

# ენის შეფასება და ტესტირება

კახა გაბუნია  
მაია ინასარიძე  
მზია წერეთელი

# ენის შეფასება და ტესტირება

(დამსმარე სახელმძღვანელო ბილინგვური სკოლების მასშავლებლებისთვის)

„საიმედო“

თბილისი, 2011

# ენის შევასება და ტუსტირება

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრმა (CCIIR) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამების დეპარტამენტთან მჭიდრო თანამშრომლობით, ასევე რეგიონალური საგანმანათლებლო რესურსცენტრებთან და სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ ენის სახლებთან ერთად დაიწყო პროგრამის „კონფლიქტის პრევენცია“ განხორციელება. პროგრამა ხორციელდება პროექტის „მულტილინგვური განათლების რეფორმის ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში 2011 წლის მაისიდან ამავე წლის დეკემბრის ჩათვლით ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისიის ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე სახელმძღვანელო ამ პროექტის ფარგლებში შემუშავდა.

კონსულტანტი: ლიბიტა ბრიბულე (ლატვია)

რედაქტორი  
შალვა ტაბათაძე



ISBN

© სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი

# ენის შეფასება და ტესტირება

---

## შინაარსი

<b>შესავალი</b>	გვ. 4
<b>თავი 1, შეფასების პრი და მნიშვნელობა სასწავლო პროცესში</b>	გვ. 5
1. შეფასების მიზნები . . . . .	გვ. 5
2. შეფასების ძირითადი პრინციპები . . . . .	გვ. 7
3. შეფასების სამი ტიპი . . . . .	გვ. 9
4. შეფასების სახეები . . . . .	გვ. 10
5. შეფასების პროცესი . . . . .	გვ. 14
6. შეფასების ფორმები . . . . .	გვ. 18
7. ეროვნული სახწავლო გეგმის მოთხოვნები შეფასების მიმართ . . . . .	გვ. 21
<b>თავი 2, მნიშვნელოვანი შეფასება</b>	გვ. 22
შესავალი . . . . .	გვ. 22
1. ზეპირმეტყველების (მოსმენისა და ლაპარაკის)	
უნარ-ჩვევების შეფასება . . . . .	გვ. 25
ა. მოსმენის უნარის შეფასება . . . . .	გვ. 25
ბ. ლაპარაკის უნარის შეფასება . . . . .	გვ. 35
2. წიგნიერების (კითხვისა და წერის უნარების) შეფასება . . . . .	გვ. 39
ა. კითხვა . . . . .	გვ. 39
ბ. წერა . . . . .	გვ. 54
გ. ლექსიკა . . . . .	გვ. 59
დ. გრამატიკა . . . . .	გვ. 61
3. თვითშეფასება . . . . .	გვ. 68
<b>თავი 3, ტესტირების მნიშვნელობა მეორე ენის სრულების პროცესში</b>	გვ. 78
შესავალი . . . . .	გვ. 78
1. ტესტების კატეგორიები . . . . .	გვ. 82
2. ტესტის ძირითადი განზომილებები . . . . .	გვ. 92
3. ტესტის ძირითადი ოქორიები . . . . .	გვ. 112
4. ტესტის შედგენის საფეხურები (ეტაპები) . . . . .	გვ. 115
5. ტესტური დავალებების ტიპები . . . . .	გვ. 131
6. დამატებითი რჩევები ტესტის შექმნისათვის . . . . .	გვ. 143
7. ტესტირების მონაცემების პირველადი ანალიზი . . . . .	გვ. 146
<b>თავი 4, შეფასების მეთოდები</b>	გვ. 151
1. სკალების შემუშავების მეთოდები . . . . .	გვ. 151
ა. ინტუიტიური მეთოდები . . . . .	გვ. 153
ბ. თვისებრივი მეთოდები . . . . .	გვ. 154
გ. რაოდენობრივი მეთოდები . . . . .	გვ. 156
<b>თავი 5, ბილინგური განათლების პროცესის შეფასება</b>	გვ. 160
1. ბილინგური განათლების არსი და შეფასების მნიშვნელობა . . . . .	გვ. 160
2. ორენოვნების (ბილინგვიზმის) შეფასება . . . . .	გვ. 163
3. მეორე ენის შეფასება ბილინგვურ გაკვეთილზე . . . . .	გვ. 169
4. ბილინგური განათლების პროგრამების შეფასება . . . . .	გვ. 216
<b>ტერმინთა განმარტება</b>	გვ. 226
<b>გამოყენებული ლიტერატურა.</b>	გვ. 235

## შესპაგლი

ეროვნული სასწავლო გეგმის ხუთ ძირითად სიახლეთა შორის უპირველესი არის ის, რომ „საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე და მიღწეული შედეგი (მნიშვნელოვანია არა იმდენად ის, თუ რომ სწავლებას ცდილობს მასწავლებელი, არამედ ის, თუ რა ისწავლა მოსწავლემ)“. ორიენტაცია თითოეულ მოსწავლესა და შედეგზე თვისებრივად ცვლის შეფასების სისტემას. შეფასების საშუალებით განისაზღვრება იმ სასწავლო შედეგების მიღწევის ხარისხი, რომლებიც სტანდარტით არის გათვალისწინებული.

სასწავლო პროცესის შეფასება არის სასწავლო მიზნების მიღწევის ხარისხის დამდენი მონაცემების შეგროვების, აღრიცხვისა და ანალიზის მუდმივი პროცესი, მოსწავლეთა წარმატებისა და პროგრესის თანამიმდევრული შესწავლა.

სწავლების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში შეფასებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მასწავლებელმა უნდა იცოდეს, თუ რა, როდის, რატომ და როგორ უნდა შეაფასოს. მასწავლებელი, პირველ რიგში, გეგმავს, თუ რა შედეგს (ან შედეგებს) სურს, რომ მიაღწიოს; შემდეგ გეგმავს, თუ როგორ შეაფასოს, აღწევს თუ არა იგი ამ შედეგს და ბოლოს, განსაზღვრავს იმ საშუალებებს, რომლითაც იგი ამ შედეგის მიღწევას შეეცდება. აქედან გამომდინარე, შეფასების როლი უმნიშვნელოვანებია სწორედ იმიტომ, რომ მისი საშუალებით მასწავლებელი განსაზღვრავს და ადგენს იმ საშუალებებს, რითაც მან სასურველ შედეგებს უნდა მიაღწიოს.

ამდენად, შეფასების პროცესში დგება რამდენიმე მნიშვნელოვანი კითხვა:

- რისთვის ვაფასებთ (შეფასების მიზანი)?
- რას ვაფასებთ (შეფასების საგანი)?
- როგორ ვაფასებთ (შეფასების ხერხები, ინსტრუმენტები)?
- ვის ვაფასებთ (შეფასების ობიექტი)?
- როდის ვაფასებთ (რა ხისშირით, რა ვადებში)?
- როგორ ვიყენებთ შეფასების შედეგებს (მონაცემთა ანალიზი)?

## თავი 1

### შეფასების პრცედურები სასწავლო პროცესში

#### 1. შეფასების მიზნები

სასწავლო პროცესის შეფასების მიზნებია:

- ცალკეული მოსწავლისა თუ მოსწავლეთა ჯგუფის განვითარებაზე ხანგრძლივი და უწყვეტი დაკვირვება;
- სწავლებისა და სწავლის პროცესის მუდმივი შესწავლა, მონაცემთა შექრება და შედეგების აღნუსხვა-წარდგენა;
- მოსწავლეთა, მასწავლებელთა, მშობელთა, სკოლის დირექციისა და საზოგადოების (დაინტერესების შემთხვევაში) ინფორმირება სწავლების შედეგების შესახებ;
- მოსწავლეთა სასწავლო მოთხოვნილებებისა და საჭიროებების დადგენია და შესაბამისი გადაწყვეტილებისათვის ხელის შეწყობა;
- სასწავლო პროგრამების შემდგომი დახვეწა;
- სწავლების სამომავლო პროცესების განხილვა მშობლებთან და სკოლის ხელმძღვანელობასთან ერთად და შემდგომი სრულყოფა;
- სწავლისადმი შეგნებული დამოკიდებულების სტიმულირება მოსწავლეებში;
- დაინტერესებული მხარეების ინფორმირება ეროვნული სასწავლო გეგმისა და სკოლის სასწავლო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

## ენის შეფასება და ტქსტირება

- მოსწავლეთათვის შეფასებისა და თვითშეფასების უნარის განვითარება;
- სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ინიციატივებისა და აქტიურობის წახალისება;
- ცალკეული საგნებისა თუ საგნობრივი სფეროების სწავლებაში არსებული ვითარების დადგენა;
- სწავლის პროცესის ეფექტიანი წარმართვა და მისი პორექტირება; აუთვისებელი მასალის, შეცდომების გამოვლენა და შესაბამისი ღონისძიებების განსაზღვრა;
- სასწავლო გეგმების (სტანდარტების) შესრულებისა და მიღწევადობის შეფასება ცალკეულ საგნებში;
- სწავლებისა და სწავლისათვის საჭირო აქტივობების შერჩევა და დაგეგმვა მასწავლებლის მიერ;
- ხელის შეწყობა მოტივაციური გარემოს ჩამოყალიბებისათვის;
- სასწავლო სტრატეგიების დახვეწა;
- საგანმანათლებლო რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენება;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარება;
- სასკოლო პროცესების შესწავლა და კოორდინირებული საქმიანობისათვის ხელშეწყობა;
- მოსწავლეების სამომავლო მოსწრების პროგნოზირება;
- შეფასების შედეგების გათვალისწინება სკოლის განვითარების გეგმის შესადგენად.

# ენის შეფასება და ტუსტირება

## 2. შეფასების ძირითადი პრინციპები

შეფასება ეყრდნობა შემდეგ პრინციპებს:

- **მოსწავლეთა ასაკობრივი განვითარების თავისებურებების გათვალისწინება.** შეფასების პროცესში არ შეიძლება დავისახოთ მიზნად იმის შეფასება, რაც არ შეესაბამება მოსწავლეთა ასაკს;
- **მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და განვითარების ტემპის გათვალისწინება.** შეფასების კრიტერიუმების შერჩევის ან შედეგების პროგნოზირებისას დიდია შეცდომების დაშვების რისკი, თუ არ ვიციოთ მოსწავლეთა შესაძლებლობები და მოვითხოვეთ მათგან ის, რაც არ შეესაბამება მათი განვითარების ტემპს. შეფასებით გათვალისწინებული მოთხოვნები / კრიტერიუმები არც ძალიან უნდა აღემატებოდეს ამ მაჩვენებლებს და არც უნდა ჩამორჩებოდეს. ის უნდა შეესაბამებოდეს ან შეიძლება და სასურველიცაა, ოდნავ უსწრებდეს მოსწავლის განვითარების ტემპს;
- **ეროვნული სასწავლო გეგმითა და სტანდარტებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვა.** შეფასება უნდა ითვალისწინებოდეს, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული სასწავლო გეგმითა და სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და სკოლის სასწავლო გეგმით (თუ ასეთი სკოლას აქვს) განსაზღვრულ სტანდარტებს;
- **ობიექტურობის დაცვა წინასწარ შემუშავებული და შეთანხმებული კრიტერიუმების საფუძველზე.** მოსწავლემ უნდა იცოდეს, რა კრიტერიუმებით შეაფასებენ მის სასწავლო საქმიანობას. სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად შეიმუშაოს ეს კრიტერიუმები ან სტანდარტით გათვალისწინებული შედეგების მიხედვით თავად ჩამოაყალიბოს და შემდეგ განიხილოს კლასში. ეს, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობას, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს თვითშეფასების უნარის განვითარებას;

## ენის შევასება და ტქისტირება

- **შეფასების შედეგების სანდოობის უზრუნველყოფა.** უნდა ვიცოდეთ ზუსტად, რას ვაფასებთ და დარწმუნებული უნდა ვიყოთ იმაში, რომ შეფასების შედეგები სწორია. სანდოობის მისაღწევად სასურველია შეფასების განმეორება გარკვეულ პერიოდში. მონაცემები სანდოა, თუ შედეგი განმეორებადია;
- **შეფასების სიზუსტის (გალიდობის) უზრუნველყოფა.** შეფასების ეფექტიანობის განსაზღვრა შეიძლება მონაცემების ზუსტი ანალიზით, რაც მიიღწევა საზომი საშუალებების შესაბამისობით გასაზომობიერთან. თუ შეფასებითი ლონისძიება მთელი თავისი შინაარსით ნამდვილად აფასებს იმ ასპექტს, რომლის შეფასებაც გვინდა, შეფასება ვალიდურია.;
- **დიაობა და გამჭვირვალობა.** შეფასების შედეგები და მისი ანალიზი დია და გამჭვირვალე უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისათვის (ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ცალკეული მოსწავლის შეფასების შედეგად აღმოჩენილი შეცდომებზე საჯაროდ ვისაუბროთ).

# ენის შეფასება და ტუსტირება

## 3. შეფასების სამი ტიპი

იმის მიხედვით, რას ადარებენ შეფასებელ საგანს / ობიექტს, განასხვავებენ შეფასების სამ ტიპს: **ნორმაზე ორიენტირებულს, კრიტერიუმზე ორიენტირებულს და პიროვნებაზე ორიენტირებულს** (ენათა ფლობის... (1), 2008, გვ. 178).

თუ ხდება ცალკეული მოსწავლეების მოსწრების შედარება, ან მოსწავლის მოსწრებისა – დადგენილ ნორმასთან (ნორმა განისაზღვრება რომელიმე ჯგუფის მოსწრებით), მაშინ ეს არის **ნორმაზე ორიენტირებული შეფასება** (ენათა ფლობის... (1), 2008, გვ. 178).

მაგალითად: ნიკო წელს ძებუთეა მოსწრებით კლასში; ნინოს 120 ქულიდან აქვს 62 ქულა.

თუ მოსწავლის მოსწრებას ადარებენ წინასწარ დადგენილ კრიტერიუმებს, მაშინ ეს **კრიტერიუმზე ორიენტირებული შეფასებაა.** რომელიც ადგენს, მიაღწია თუ არა მოსწავლემ კრიტერიუმებით განსაზღვრულ დონეს ან რამდენმა მოსწავლემ მიაღწია ამას კლასში. მაგალითად, კლასში ყველას შეუძლია წაკითხული ტექსტის შინაარსის გაგება და საპუთარი დამოკიდებულების გამოხატვა; კანა ზუსტად იწერს ექსპერიმენტის შედეგებს და აკეთებს ლოგიკურ დასკვნებს.

თუ მოსწავლის მოსწრებას ადარებენ მის წარსულ მოსწრებას, ეს არის **პიროვნებაზე ორიენტირებული შეფასება.** ამ შეფასებით ადვილად დგინდება მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესი. მაგალითად, ქვეთის მეორე სემესტრში პრეზენტაციის კომპონენტში ორი ქულით მეტი აქვს წინა სემესტრთან შედარებით; წერით დავალებებში გიორგი აღარ უშვებს უხეშ სინტაქსურ შეცდომებს.

ცხადია, დგება კითხვა: ჩამოთვლილთაგან რომელი გამოვიყენოთ? პასუხი ყველასათვის ნათელია, ვისაც სასწავლო პროცესთან შეხება აქვს: პედაგოგიურ პრაქტიკაში სამივე გამოიყენება. თითოეულის გამოყენებას განსაზღვრავს **შეფასების მიზანი,** თუმცა შედეგზე და პიროვნებაზე ორიენტირებული სწავლების პირობებში უპირატესობა ენიჭება კრიტერიუმსა და პიროვნებაზე ორიენტირებულ შეფასებას.

## ენის შევასება და ტუსტირება

### 4. შევასების სახელი

#### განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება

შეფასების ორი უმნიშვნელოვანესი ფორმა, რომელიც სწავლისა და სწავლების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, არის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა იცოდეს, თუ როდის და რა კონკრეტული მიზნისთვის უნდა გამოიყენოს შეფასების ერთი ან მეორე ფორმა.

**განმავითარებელი შეფასების** მიზანია, რომ დაეხმაროს მოსწავლეს შედეგების გაუმჯობესებაში სხვადასხვა რჩევის, რეკომენდაციის თუ პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზებით. განმავითარებელი შეფასების დროს მოსწავლე მასწავლებლისგან გაკეთებული კომენტარების საშუალებით მუდმივად იღებს ისეთ ინფორმაციას, რომელიც მას შედეგების გაუმჯობესებასა და საკუთარი სწავლის გაცნობიერებაში ეხმარება. ასევე განმავითარებელი შეფასების მიზანია, რომ მასწავლებელმა მოსწავლეების სუსტი და ძლიერი მხარეების დადგენის შემდეგ უკეთ დაგეგმოს სასწავლო პროცესი.

განმავითარებელი შეფასების ტიპური ფორმებია ზეპირი და წერილობითი კომენტარები, რომლებიც ტრიმესტრის განმავლობაში ან ტრიმესტრის ბოლოს კეთდება. კომენტარები აღწერს მოსწავლის (და მისი ნამუშევრების) ძლიერ და სუსტ მხარეებს და, ამავდროულად, შეიცავს რეკომენდაციებს სწავლის გაუმჯობესების შესახებ. განმავითარებელი შეფასების გავრცელებული ხერხებია შეფასებისა და თვითშეფასების ცხრილების გამოყენება და ამ ცხრილების საფუძველზე შესაბამისი რეკომენდაციების მიცემა.

განმავითარებელი შეფასება მოსწავლის განვითარებაზე და სწავლებაზეა ორიენტირებული. აქედან გამომდინარე, ასეთი სახის შეფასებისას არ არის აუცილებელი, რომ მასწავლებელმა მოსწავლეებს ქულა დაუწეროს.

## **ენის შეფასება და ტუსტირება**

**განმსაზღვრელი შეფასების** მიზანია მოხსენების დონის განსაზღვრა სასწავლო გეგმასთან და სასწავლო მიზნებთან მიმართებით. განმსაზღვრელი შეფასება, ფაქტობრივად, არის ქულა, რომელსაც მასწავლებელი უწერს მოსწავლეს კონკრეტული თემის ან საკითხის დასრულების შემდეგ ტრიმესტრის განმავლობაში ან ტრიმესტრის/წლის ბოლოს. განმსაზღვრელი შეფასების მიზნით, მასწავლებელი იყენებს სხვადასხვა შემაჯამებელ აქტივობას, მაგალითად, პრეზენტაციას, პროექტს, ტესტს, საკონტროლო წერას და ა.შ. განმსაზღვრელი შეფასების ძირითადი დანიშნულება სწავლისა და სწავლების შედეგების შემოწმება-შეფასებაა. აქედან გამომდინარე, ქულის დაწერა განმსაზღვრელი შეფასების საგალდებულო მოთხოვნაა. ქულის სახით მიცემული განმსაზღვრელი შეფასება მოსწავლის მიღწევების დონის განმსაზღვრელია და მას არ ახლავს კომენტარები ან რეკომენდაციები შედეგების გაუმჯობესების შესახებ.

მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელი სისტემატურად იყენებდეს ორივეს: განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას. ამავე დროს, სასურველია, განმავითარებელი შეფასების წილი უფრო მეტი იყოს, ვიდრე განმსაზღვრელის.

როგორც ითქვა, განმსაზღვრელი შეფასება შედეგზე, ანუ ნიშანზეა ორიენტირებული, ხოლო განმავითარებელი შეფასება - მოსწავლის განვითარებასა და შედეგების გაუმჯობესებაზე. ამ ორივე მიზნის მისაღწევად მასწავლებელი სისტემატურად იყენებს შეფასების სამ სახეს: დიაგნოსტიკურს, მიმდინარეს, ანუ ფორმატულს და შემაჯამებელს.

**დიაგნოსტიკური შეფასებით მიღებული ინფორმაცია გამოიყენება ცალკეული მოსწავლის ან მოსწავლეთა ჯგუფის სასწავლო საჭიროებების დასადგენად და იგი გვეხმარება სასწავლო მიზნების სწორად განსაზღვრაში, ამ მიზნების მიღწევის ოპტიმალური გზების მონახვაში. დიაგნოსტიკური შეფასება, როგორც წესი, ტარდება სასწავლო წლის დასაწყისში ან ახალი თემის სწავლებამდე. მისი მიზანია მოსწავლის მომზადების საწყისი დონის დადგენა. დიაგნოსტიკური შეფასების**

## ენის შეფასება და ტქმირება

საშუალებით ჩვენ ვიგებთ, რა ვითარებაა კლასში, არიან თუ არა მოსწავლეები მზად ახალი საპროგრამო მასალის ათვისებისათვის, რა სირთულეები შეიძლება შეგვექმნას და როგორ დავძლიოთ ისინი. მოსწავლის მომზადების საწყისი დონის დადგენა საშუალებას გვაძლევს, თვალი გავადევნოთ მის ინდივიდუალურ პროგრესს გარკვეულ პერიოდში. ასეთ შემთხვევაში მოსწავლის შედეგებს ვადარებოთ არა დადგენილ სტანდარტს, არამედ საწყის დონეს.

**მიმდინარე, ანუ ფორმატული შეფასება ხდება ყოველ გაკვეთილზე, ყოველდღე, ყოველი აქტივობის დროს. არ არის სავალდებულო ქულებით შეფასება. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის, რომ ასეთი შეფასება გვაძლევს მოსწავლის მრავალმხრივი შესწავლის საშუალებას, კერძოდ, რა სახის საქმიანობა იზიდავს და რა – არა, როგორია მისი სწავლის სტილი (სწავლობს მოსმენით, კითხვით, წერით, კეთებით, აქვს მთლიანობითი აღქმა თუ საგნებსა და მოვლენებს დანაწევრებულად აღიქვამს, თეორეტიკოსი თუ პრაგმატისტია და ა.შ.), რა უმნელდება, რა უადვილდება, შეუძლია თუ არა კონცენტრაცია, აქვს თუ არა წინსკლა, თუ არა – რა არის წარუმატებლობის მიზეზი ან რა განაპირობებს მის წარმატებას, აქვს თუ არა განვითარებული შემოქმედებითი, სააზროვნო და სოციალური უნარები, როგორია მისი ინტერესების სფერო, ინდივიდუალური თავისებურებები, რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვს. მიმდინარე შეფასების პროცესში მნიშვნელოვანია არა იმდენად ქულების დაწერა (ნიშნით შეფასება), რამდენადაც ჩვენი რჩევები, რა და როგორ გააუმჯობესოს. ფორმატული შეფასება მოსწავლის შესახებ ამომწურავ, მრავალმხრივ ინფორმაციას იძლევა და ობიექტურობის გარანტია.**

ამასთან, მიმდინარე ანუ ფორმატული შეფასება მასწავლებელს აძლევს საკუთარი ყოველდღიური საქმიანობის რეფლექსის შესაძლებლობას. იმაზე დაყრდნობით, რამდენად მიაღწია საგაბეჭილო მიზანს, რა ცოდნა და უნარ-ჩვევები გამოავლინეს მოსწავლეებმა, რა დაძლიერს და რა – ვერა, მასწავლებელს შეუძლია შეაფასოს დაგეგმილი აქტივობების ეფექტიანობა, შერჩეული მასალის სირთულე, კლასის მართვის, ორგანიზების უნარი და სხვ.

## ენის შეფასება და ტუსტირება

შემაჯამებელი შეფასება ადგენს მოსწავლის წარმატებას სწავლებისა და სწავლის კონკრეტულ ეტაპზე: თემის დასრულებისას, სემესტრის ბოლოს, სასწავლო წლის ბოლოს. ასეთი შეფასებისას მოწმდება ის, თუ რამდენად მიაღწია ცალკეულმა მოსწავლემ და მოსწავლეთა ჯგუფმა სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგს / შედეგებს. სწორედ შემაჯამებელი შეფასების შედეგების ანალიზზე დაყრდნობით ვაკეთებთ დასკვნას, რამდენად შესრულდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნები. ტესტები, საკონტროლო წერა, კონფერენცია, შემაჯამებელი დისკუსია, ჩათვლები, პროექტი და სხვ. შემაჯამებელი შეფასების ის ხერხებია, რომლებიც ხელს უწეობენ დასკვნების გაკეთებას.

მიმდინარე, ანუ ფორმატული და შემაჯამებელი შეფასება ავსებს ერთმანეთს და გვაძლევს მოსწავლის ან მოსწავლეთა ჯგუფის მიღწევების დადგენის ობიექტურ სურათს.

## ენის შევასება და ტუსტირება

### 5. შევასების პროცესი

შემაჯამებელ შეფასებას წინ უნდა უძღვდეს სასწავლო პროცესის მონიტორინგი. მონიტორინგი არის სასწავლო პროცესზე მეთვალყურეობა, დაპვირვება, რომლის შედეგადაც მიღებული მონაცემები (პროცესის ზუსტი აღრიცხვა) საფუძვლად ედება ანალიზსა და შეფასებას. მნიშვნელოვანია, რომ მონიტორინგის მიმდინარეობისას თავი ავარიდოთ შეფასებით დამოკიდებულებებს. მთავარია, ზუსტად ვიცოდეთ, რას ვაკვირდებით და როგორ, რა ფორმით აღვნესხოთ მონიტორინგის საგნის თითოეული ასპექტი ისე, რომ მასზე დაფუძნებული შეფასება ობიექტური იყოს.

**ინფორმაციის შეგროვება.** მასწავლებელი მუდმივად უნდა აგროვებდეს ინფორმაციას მოსწავლის პროგრესის, წარმატებების შესახებ. ამ მონაცემების საფუძველზე იქმნება ე.წ. მონაცემთა ბაზა, რომელიც მას აძლევს საშუალებას დროულად მიაწოდოს საჭირო რჩევები მოსწავლეს და სასწავლო პროცესშივე მოახდინოს ხარვეზების კორექტირება. სასურველია შეგროვებული ინფორმაციის ორგანიზება, მისი კლასიფიცირება და კატეგორიზაცია.

**ანალიზი.** ეს შესაძლებელია არა მარტო ინფორმაციის შეგროვებით, არამედ შეფასების სხვადასხვა ხერხებით მოპოვებული მონაცემების ანალიზით. მასწავლებლები ანალიზისთვის ძირითადად მოსწავლეთა მიერ საშინაო დავალებების, საკონტროლო წერების, საკლასო სავარჯიშოების შესრულების მონაცემებს ეყრდნობიან, მაგრამ არსებობს კიდევ სხვა ხერხებიც, რომელთა გამოყენებაც არანაკლებ მნიშვნელოვან მასალას იძლევა ანალიზისათვის.

**დაკვირვება.** მონაცემთა ბაზის შესაქმნელად და შემდგომში მოსწავლის შეფასებისათვის ერთ-ერთი გავრცელებული და მნიშვნელოვანი ხერხია

## ენის შეფასება და ტუსტირება

**დაკვირვება.** ეს არის მუდმივი პროცესი, რომელიც გულისხმობს მოსწავლეზე დაკვირვებას სხვადასხვა სასწავლო თუ არასასწავლო (დასვენებებზე, სპორტულ მოქნებზე / დარბაზში და სხვ), სიტუაციაში იმის მიხედვით, თუ რა ინფორმაციის მიღება სურს მასწავლებელს. დაკვირვებამდე უნდა განისაზღვროს, რომელ მოსწავლეს / მოსწავლეებს ვაკვირდებით და რას, რომელ უნარ-ჩვევას ვაკვირდებით (სასწავლო უნარ-ჩვევებს, სააზროვნო უნარებს ძირითადად გაკვეთილებზე ვაკვირდებით, ხოლო სოციალურ უნარ-ჩვევებს – გაკვეთილზე წყვილებსა თუ ჯგუფებში მუშაობისას და არასასწავლო სიტუაციებში).

დაკვირვება რომ საიმედო იყოს, საჭიროა ჩანაწერების ან ჩანიშვნების გაკეთება. დაკვირვების ჩანაწერები მოკლე და ინფორმაციული უნდა იყოს. ჩანაწერი შეიძლება იყოს კონკრეტულიც, როგორიცაა, მაგალითად, სანდრომ დღეს კარგი პრეზენტაცია გააკეთა. და ზოგადიც, როგორიცაა, მაგალითად, სანდრო კარგ პრეზენტაციებს აკეთებს. ჩანაწერების სხვა მაგალითებია: სალომე ჯგუფში კარგად მუშაობს, კომუნიკაციებისა და მოსმენაც შეუძლია. ნინოს გაუჭირდა ყურადღების კონცენტრაცია; დათომ დღეს ძალიან ნება იმუშავა.

ასეთი სახის ჩანაწერები განსაკუთრებით სასარგებლოა დიდ ჯგუფებთან მუშაობისას, როდესაც მასწავლებელს დრო არ რჩება ყოველთვის თანაბარი ყურადღება მიაქციოს თითოეულ მოსწავლეს. ჩანაწერები მას ეხმარება იმის დადგენაში, თუ რომელ მოსწავლეს კონკრეტულად რა დახმარება სჭირდება.

**კომენტარი (გამოხმაურება)** მიმდინარე შეფასების კიდევ ერთი მეთოდია. კომენტარი ის ინფორმაციაა, რომელსაც მასწავლებელი აწვდის მოსწავლეს იმის შესახებ, თუ როგორ აფასებს იგი მოსწავლის კონკრეტულ პასუხს ან მის მიერ შესრულებულ კონკრეტულ დავალებას.

კომენტარები მოსწავლეს დამატებითი ფიქრისა და სამუშაოს შესრულებისკენ უბიძგებს, რაც მოსწავლის მიერ შეცდომის გაცნობიერებას, დამოუკიდებელი სამუშაოს ჩატარებას, კვლევისა და ძიების უნარ-ჩვევის განვითარებას და წერითი მეტყველების დონის გაუმჯობესებას გამოიწვევს. არსებობს „არაფრისმომცემი კომენტარებიც“. ისინი უფრო ზოგადი

## ენის შევასება და ტუსტირება

ხასიათისაა და შეცდომა მხოლოდ დასახელებულია. ასეთი კომენტარების მიხედვით მოსწავლე ვერ შეძლებს შეცდომის გამოსწორებას, მის გაცნობიერება-დამახსოვრებას და ამავე შეცდომას, სავარაუდოდ, მომავალ ნაწერებშიც გაიმეორებს. ასევე, იმგვარ კომენტარებს, რომელთა წაკითხვის შემდეგაც მოსწავლე ავტომატურად ჩაასწორებს ხარვეზს და რომლებიც მას დამატებითი ფიქრის, მუშაობისა და ძიებისკენ არ უბიძგებს.

გთავაზობთ დამხმარე კომენტარის რამდენიმე ნიმუშს:

1. ჩემ მიერ მონიშნული წინადაღება ძალიან გრძელია, შესაბამისად, აზრიც იფანტება და ნათქვამი ბუნდოვანი ხდება. დააკვირდით მას და დაყავით ეს უზარმაზარი წინადაღება ორ-სამ შედარებით მოკლე წინადაღებად. თითოეულს დაუსკით შესაბამისი სასვენი ნიშანი და კარგად გადაამოწმეთ (ხმამაღლა წაიკითხეთ), კვლავ ბუნდოვანია თუ არა აზრი. წინადაღება გამართვის შედეგ ხევასაც მოასმენინეთ.
2. დაიმახსოვრე: -გან გამოიყენება მასალის ან მიზეზის აღსანიშნავად. მონიშნულ წინადაღებაში კი ხაზგასმულ სიტყვას დაესმის კითხვა საიდან? და აღნიშნავს ადგილს.
3. აშკარაა, რომ ზუსტი სიტყვის პოგნა კვლავ პრობლემად რჩება. მე მოგინიშნე ის ადგილები, სადაც ეს პრობლემა ნათლად დავინახე. განმარტებით ლექსიკონში ჩაეძიგ შემ მიერ გამოყენებული სიტყვის მნიშვნელობას, შემდეგ სინონიმთა ლექსიკონში მონახე ალტერნატივები და აირჩივ, რომელი უფრო მიესადაგება კონტექსტს.

არაფრისმომცემი კომენტარების ნიმუშები:

1. აზრი გაუგებარია. გრამატიკულად გამართე წინადაღება.
2. უურადღება მიაქციეთ პუნქტუაციას, განსაკუთრებით მძიმეებს!
3. შეცდომაა, ჩანს ტექსტი არ იცი კარგად!

**კონსულტაციები.** მოსწავლეებზე სრულყოფილი ინფორმაციის შესაგროვებლად (ეს კი მაქსიმალურად ამცირებს შეფასების არაობიერებულობას) სასურველია მუდმივი კონსულტაციები მშობლებთან, კოლეგებთან, მოსწავლეებთან. კონსულტაციები შეიძლება გამოვიყენოთ სხვა ხერხებით შეგროვე-

## ენის შეფასება და ტუსტირება

---

ბული ინფორმაციის გადასამოწმებლად. კონსულტაციების შედეგად მასწავლებლის რეკომენდაციები გაცილებით უფრო სასარგებლო ხდება.

**შედარება.** მოსწავლის განვითარების დონის, მისი პროგრესის შესაფასებლად რეკომენდებულია შეფასების ყოველ ეტაპზე მისი შედეგები შევადაროთ წინანდელი შეფასების შედეგებს. იქიდან გამომდინარე, რის შედარება გვინდა, ვარჩევთ მონაცემთა ბანკიდან ჩვენი მიზნის შესაბამის მონაცემებს.

### 6. შევასების ზორმები

შეფასების პროცესი შეფასების სხვადასხვა ფორმას ემყარება. ეს შეიძლება იყოს ზეპირი გამოკითხვა, წერითი სამუშაო, ტესტირება, დისკუსიები, პროექტი, ჩათვლა ან გამოცდა, საქადალდე, ანუ ე.წ. “პორტფოლიო”, თვითშეფასება და ურთიერთშეფასება და სხვა.

**ზეპირი გამოკითხვა** არის მოსწავლის ინდივიდუალური შეფასების ფორმა, რომელიც ამოწმებს ცოდნას და თხრობის, პრეზენტაციისა და კითხვებზე ადეკვატური პასუხების გაცემის უნარს.

**წერითი სამუშაო** არის მოსწავლის ინდივიდუალური შეფასების ფორმა, რომელიც ამოწმებს ცოდნას, აზროვნებით და წერით უნარ-ჩვევებს საკონტროლოების, დამოუკიდებელი საკლასო სამუშაოების, წერითი საშინაო დავალებების საფუძველზე. წერით სამუშაოს მიეკუთვნება ტესტებიც, თუმცა აქ სურათი არაერთგვაროვანი შეიძლება გვქონდეს. არის ტესტები, რომლებიც ერთ სწორ პასუხს ითხოვენ (თუნდაც რამდენიმე საგარაუდოდან ერთის შემოხაზვას). მაშინ ასეთი ტესტები ძირითადად ინფორმაციული ცოდნის შეფასების საშუალებას იძლევა.

ძალიან ხშირად წერით ნამუშევრებში მასწავლებლები აღნიშნავენ შეცდომებს და ისე წერენ ნიშანს, რომ მოსწავლისათვის ძნელი გასაგებია, რატომ მიიღო ეს ნიშანი ან რა შეცდომა აქვს. სასურველია, ნაწერს გავუკეთოთ კომენტარები, რომლებითაც მივუთითებთ მოსწავლეს, რა სახის შეცდომაა დაშვებული, რას მიაქციოს ყურადღება ან რა უნდა გაითვალისწინოს მომავალში ნაწერის გასაუმჯობესებლად.

**დისკუსიების** დროს მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩაბმას ისეთი საკითხის განხილვაში, რომელზეც ალტერნატიული თვალსაზრისები შეიძლება იყოს. ეს ქმნის მოსწავლეთა ცოდნისა და როგორც აზროვნებითი, ისე კომუნიკაციური უნარების შეფასების საშუალებას.

**პროექტი** ეს არის რომელიმე პრობლემის ინდივიდუალური ან ჯგუფური (შეიძლება წყვილებში) გადაჭრა, რომლითაც ფასდება მოსწავლეების

## ენის შეფასება და ტუსტირება

არა მარტო ცოდნა, არამედ სააზროვნო, კომუნიკაციური და სოციალური უნარები, შემოქმედებითობა და ცხოვრებისეული გამოცდილება.

პროექტის დაგეგმვის დროს უნდა განისაზღვროს **პრობლემა** (გათვალისწინებული იყოს პრობლემის აქტუალურობა), განისაზღვროს მკაფიო და მიღწევადი **მიზანი**, რომელიც ამ პრობლემის გადაჭრაზე იქნება ორიენტირებული, კონკრეტული **ამოცანები** – ამ მიზნის განხორციელების გზები თითოეული ამოცანის შესატყვისი კონკრეტული **საქმიანობები**, გაწერილი **დროში** (სამუშაო გეგმა) პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების მითითებით, **მოსალოდნებლი** **შედეგები** და **რესურსები**, რომლებიც საჭიროა პროექტის განსახორციელებლად. პროექტი შეიძლება შესრულდეს ერთი საგნის ფარგლებში და ინტეგრირებულად (რამდენიმე საგნის ფარგლებში). პროექტი შეიძლება იყოს კვლევითი, გამოყენებითი და შემოქმედებითი.

**საქადალდე, ანუ ეწ. “პორტფოლიო”** შეფასების უფრო ხანგრძლივი და შრომატევადი ფორმაა. მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს შეფასების მიზანს. მასწავლებელი და მოსწავლე წინასწარ თანხმდებიან იმ მასალებზე, რომლებიც დაადასტურებენ, რომ მოსწავლემ დააკმაყოფილა მოთხოვნები და მიაღწია სასწავლო შედეგს. მოსწავლე ხსნის საკუთარ საქადალდეს, რომელ შიც იდება სამუშაოს შეფასებისას გამოსაყენებული ნამუშევრები.

შეფასების პერიოდის დასრულებისათვის მოსწავლე წერს ესეს, რომელშიც აღწერს, თუ რა ისწავლა შეფასების პროცესში და რატომ შეარჩია საქადალდისათვის მაინცდამაინც წარმოდგენილი მასალა.

საქადალდით მოსწავლის შეფასება საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესს, შევადაროთ სხვადასხვა დროს შექმნილი ნამუშევრები ერთმანეთს, კნახოთ, როგორ გაითვალისწინა მან ჩვენი კომენტარები და რჩევები, რომლებსაც დროდადრო ვაძლევდით.

**თვითშეფასება და ურთიერთშეფასება.** იმისათვის, რომ მოსწავლე შეეჩიოს საკუთარი პასუხის შემოწმებას, ჩამოუყალიბდეს შეცდომის მიმართ სწორი დამოკიდებულება, დაძლიოს შიში შეცდომის წინაშე, ხშირად უნდა მივცეთ საკუთარი ნამუშევრის შეფასების საშუალება. თვითშეფასება მას ეხმარება იმის გაცნობიერებაში, რომ შეცდომების აღიარება და გამოსწორება წინსვლის აუცილებელი პირობაა. თვითშეფასებით იგი გრძნობს მეტ ვალდებულებას და ცდილობს იყოს მაქსიმალურად ობიექტური.

## ენის შეფასება და ტქმირება

თვითშეფასების რამდენიმე ხერხი არსებობს. ყველაზე გავრცელებულია სწორ პასუხებთან მოსწავლეების პასუხების შედარება. მოსწავლეები ამ შედარების გზით თავად აღმოაჩენენ საკუთარ შეცდომებს და შემდეგ აანალიზებენ, რატომ დაუშვეს ეს შეცდომები, რის ცოდნა დააკლდათ, რა ვერ გაითვალისწინეს, იქნებ კონცენტრაცია ვერ მოახერხეს საკითხთან დაკავშირებით ან მართებული გზა არ აირჩიეს და სხვა.

თვითშეფასების პროცესში მნიშვნელოვანი სწორედ საკუთარი საქმიანობის რეფლექსიის პროცესია. ეს აღმოაჩენინებს მოსწავლეს საკუთარ სუსტ მხარეებს, რომელთა დასაძლევადაც უნდა მიმართოს საკუთარი ძალისხმევა. შედეგიანია თვითშეფასების ისეთი ხერხი, როცა მოსწავლე წინასწარ შემუშავებული შეფასების სქემის მიხედვით აფასებს საკუთარ ნაშრომს, შემდეგ უცვლის მეწყვილეს და ერთმანეთის ნამუშევრებს აფასებენ, ბოლოს კი მასწავლებელი აფასებს. ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია ანალიზის პროცესი. რა დაემთხვეთ შეფასების ამ სამ შემთხვევაში ერთმანეთს, რა – არა და რატომ? რის ცოდნა არ ეყო მოსწავლეს თავად ან მის თანაკლასელს ობიექტური შეფასებისათვის.

ურთიერთშეფასებაც მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი და ნაყოფიერი, თუ მოსწავლეებს აქვთ წინასწარ შემუშავებული შეფასების მკაფიო და ნათელი კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც აფასებენ ერთმანეთის ნამუშევარს.

თვითშეფასებითა და ურთიერთშეფასებით მასწავლებელი აფასებს მოსწავლის თვითშეფასების უნარს და მის ანალიტიკურ შესაძლებლობებს.

**რუბრიკები.** როგორც ზემოთ აღნიშნეთ, მოსწავლეთა ჩაბმა შეფასების პროცესში გაადვილდება, თუ ისინი კარგად გააცნობიერებენ, რას ითხოვენ, რა შედეგებს ელიან მათგან. ამის გაცნობიერებაში მათ დაეხმარება მარტივად, მათთვის გასაგები ენით ჩამოყალიბებული კრიტერიუმები, ანუ ე.წ. რუბრიკები. რუბრიკები არის კონკრეტული ინფორმაცია ჩვენი მოთხოვნებისა და შეფასების კრიტერიუმების შესახებ.

## ენის შეფასება და ტუსტირება

### 7. მომცველი სასწავლო გებმის მოთხოვნები შეფასების მიმართ

როგორც ეროვნულ სასწავლო გებმაშია მითითებული, სკოლა თავად ადგენს შეფასების პრინციპებს, რომლითაც შემდეგ სკოლის ყველა მასწავლებელი ხელმძღვანელობს. სწორედ სკოლას შეუძლია დაადგინოს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე ის მინიმალური ბარიერი, რომელიც მოსწავლეებს უნდა დაძლიოს კლასიდან კლასში გადასაყვანად.

იმისათვის, რომ სკოლამ შექმნას შეფასების მოქნილი და ეფექტური სისტემა, შეფასება უნდა იყოს **ხშირი და მრავალმხრივი**.

ნიშანი (ქულა) გამოხატავს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას საგანში, ამიტომ, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, არ არის მიზანშეწონილი და გამართლებული დისციპლინარული სასჯელის მოტივით მოსწავლის დაბალი ნიშნით შეფასება. თუ მოსწავლე გაკვეთილებზე არღვევს დისციპლინას, ეს აუცილებლად აისახება მის აკადემიურ მოსწრებაზე, მაგრამ ნიშნით ფასდება სწორედ ეს უკანასკნელი და არა მისი ქცევა.

ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, შეფასების სისტემა ათქულიანია და ქულებისა და სწავლის დონეების შეფარდება ასეთია:

ნიშნები	დონეები
10 9	მაღალი
8 7	საშუალოზე მაღალი
6 5	საშუალო
4 3	საშუალოზე დაბალი
2 1	დაბალი

## თავი 2

### ენობრივი უნარების შეფასება

#### შესავალი

„ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციები“ (ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო) შეიქმნა 2001 წელს ევროსაბჭოს ენის დეპარტამენტის ინიციატივით. იგი ემსახურება ევროპაში ენობრივი პოლიტიკის გატარებას და პოლიტიკური ქმედებების განხორციელებას.

„ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციები“ გვთავაზობს საფუძვლებს ენობრივი სილაბუსების, კურიკულუმების, საგამოცდო მასალების, სახელმძღვანელოებისა და სხვა დამხმარე საშუალებების შემუშავებისათვის ევროპულ სივრცეში. კომპეტენციები გასაგებ და მისაღებ ფორმებში განსაზღვრავს, თუ რას უნდა დაეუფლოს შემსწავლელი, რათა მოახერხოს ურთიერთობის დამყარება შესასწავლი უცხო ენის მატარებელთან და რა ცოდნას ან რა უნარებს უნდა ფლობდეს იგი იმისთვის, რომ წარმატებით დამყაროს კომუნიკაცია. „კომპეტენციები“ განსაზღვრავს ენის ფუნქციონირების კულტურულ კონტექსტს, ასევე ენის ფლობის დონეებს, რაც ხელს უწყობს ენის შემსწავლელის მიღწევების ფიქსირებას მთელი ცხოვრების მანძილზე.

„კომპეტენციების“ მიზანია, გადალახოს ევროპის საგანმანათლებლო სისტემებში არსებული განსხვავებებით გამოწვეული წინააღმდეგობები, რომლებიც წარმოიქმნება თანამედროვე ენების სფეროში. ის საშუალებას აძლევს განათლების სპეციალისტებს, ენის კურსების შემქმნელებს, მასწავლებლებს, მასწავლებელთა ტრენერებს, საგამოცდო კომისიებს და სხვებს – გაიაზრონ თავიანთი მუშაობა, მოახდინონ თავიანთი ძალების

## ენის შეფასება და ტუსტირება

კოორდინირება, რომლებიც მიმართულია შემსწავლელთა რეალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ენის ფლობის ობიექტური კრიტერიუმების შემუშავება უზრუნველყოფს იმ საკვალიფიკაციო მახასიათებლების აღიარებას, რომლებიც მიღებულია სხვადასხვა სასწავლო კონტექსტში. ეს კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ევროპაში თავისუფალ გადაადგილებას.

წინამდებარე ნაშრომის პირველ თავში მოხდა შეფასების 3 ტიპის გამოყოფა იმისდა მიხედვით, თუ რა არის შეფასების მიზანი – იმის მიხედვით, რას ადარებენ შესაფასებელ საგანს / ობიექტს, განასხვავებენ შეფასების სამ ტიპს: ნორმაზე ორიენტირებულს, კრიტერიუმზე ორიენტირებულს და პიროვნებაზე ორიენტირებულს. ენის ფლობის დონეთა შეფასების დროს, როდესაც მიზნად დასახული გვაქვს შემსწავლელის დონის მიმართება ენის ფლობის სტანდარტთან (იგულისხმება „ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციების“ მიერ მიღებული 6-დონიანი სტანდარტი), ბუნებრივია, საუბარია **კრიტერიუმზე ორიენტირებულ შეფასებაზე**.

„ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციების“ მიერ განსაზღვრული დონეთა სკალები, თავის მხრივ, წარმოადგენს შეფასების სკალის შედგენის წყაროს. შეფასების სკალაზე აისახება განსაზღვრული სასწავლო მიზნის მიღწევის დონე, ხოლო ინდიკატორებს შეუძლია დახმარების გაწევა კრიტერიუმების ფორმულირებაში. მიზანი შეიძლება იყოს ენის დაუფლება „კომპეტენციებში“ წარმოადგენდეს რომელიმე დონეზე (მაგალითად, B1). მიზანს ასევე შეიძლება წარმოადგენდეს აქტივობის განსაზღვრული სახეები, უნარები და კომპეტენციები.

ინდიკატორების გამოყენებაზე მსჯელობისას აუცილებელია განვასხვაოთ:

1. კომუნიკაციურ ქმედებათა ინდიკატორები;
2. ენის ფლობის ასპექტების ინდიკატორები, რომლებიც განსაზღვრულ კომპეტენციებს მიეკუთვნება.

პირველი შეიძლება წარმატებით გამოვიყენოთ მასწავლებლის მიერ შეფასებისა და თვითშეფასებისათვის რეალურ დავალებათა შესრულებისას.

## ენის შეფასება და ტუსტირება

მასწავლებლის მიერ შეფასება და თვითშეფასება კი ხდება შესასწავლებაში მოსწავლის შესაძლებლობების დეტალური სურათის საფუძველზე, რომელიც სწავლების კურსის მთელი ხანგრძლივობის მანძილზე ყალიბდება. შეფასების ქს სახეები მისაღებია როგორც მასწავლებლის, ასევე მოსწავლისათვის, ვინაიდან ხელს უწყობს ქმედითი მიღგომის გამოყენებას.

ენის ფლობის დონის განსაზღვრისას არ შეიძლება შეფასება მოვახდინოთ მხოლოდ ერთი კონკრეტული ტესტის საფუძველზე. როგორც ცნობილია, სამეტყველო უნარები რეცეფციისა და პროდუცირების მიმართულებით, 4 ძირითად უნარზე დაიყვანება: **მოსმენა & კითხვა (რეცეფციული უნარები) და ლაპარაკი & წერა (პროდუცირების უნარები).**

„ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციების“ მიერ განსაზღვრული დონეთა სკალებში ოთხივე სამერტყველო ფუნქციის (ლაპარაკი, მოსმენა, კითხვა, წერა) მიხედვით არის გაწერილი დესკრიპტორები (ინდიკატორები, რომელთა შესრულების შემთხვევაშიც მიიჩნევა, რომ სტანდარტით განსაზღვრული შედეგი მიიღწევა); ბუნებრივია, თითოეული ამ მიმართულებისთვის დამახასიათებელია სპეციფიკური ნიშნები, რომელთა გათვალისწინებაც შეფასებისას აუცილებელია. ქვემოთ ჩვენ წარმოვადგენთ ენის ფლობის დონეთა შეფასების მიზნებსა და ინსტრუმენტებს **თითოეული სამეტყველო ფუნქციის მიხედვით;** ვისაუბრებთ აგრეთვე იმ გამოცდილებაზე (როგორც ლოკალური, ასევე საერთაშორისო), რაც არსებობს შეფასებისა და პლევების მიმართულებით (მხედველობაში გვაქვს PIRLS-ის, PISA-ს, EGRA-სა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ წარმოებული პლევები 2006-2011 წლებში (ესგშც..., 2007; ეროვნული..., 2008).

# ენის შეზასხვა და ტუსტირება

## 1. ზეაირმეფზელების (მოსმენისა და ლაპარაკის)

### უნარ-ჩვევების შეზასხვა

#### ა. მოსმენის უნარის შეზასხვა

ზეპირი მეტყველების აღქმა-გაგებისა და მასთან დაკავშირებული ფონეტიკურ-ფონოლოგიური კომპეტენციის გარეშე მეორე ენის შემსწავლელები უცხოენოვან გარემოში ელემენტარულ დონეზე კომუნიკაციასაც კი ვერ გაართმევენ თავს. ემპირიული გამოკვლევებით დასტურდება, რომ „მოსმენას“ ენის ყოველდღიური გამოყენების დროს წამყვანი ფუნქცია აკისრია – 42%. მას მოსდევს „ლაპარაკი“ – 32%, „კითხვა“ – 15% და „წერა“ – 11% (იხ. ნოინერი, ჰუნგელდი, 1993, გვ. 37). ის ფაქტი, რომ მოსმენა, როგორც რეცეფციული უნარი, წარმოადგენს საფუძველს პროდუცირებისათვის, ლაპარაკისთვის, განსაკუთრებით გასათვალისწინებელია მეორე ენის გაკვეთილზე. მეორე ენის გაკვეთილზე, ერთი მხრივ, უნდა ვიზრუნოთ აუდიო- და კომპიუტერული ტექნიკისა და უახლესი მეორედოლოგიის გამოყენებით მოსმენის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისათვის, მეორე მხრივ კი, მხედველობაში უნდა მივიღოთ ზეპირი მეტყველების გაგებასთან დაკავშირებული სირთულეები. ამ სირთულეების ანალიზის ბაზაზე შესაძლებელი გახდება როგორც ენის შემსწავლელთა მიზნების გათვალისწინება, სასწავლო მასალის სწორი შერჩევა და გამოყენება სწავლებისა და სწავლის პროცესში, ასევე, შეფასების ტესტების კორექტული შედგენა და ობიექტური შეფასება ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციების სტანდარტის გათვალისწინებით.

მართალია, ხშირ შემთხვევაში როგორია მოსმენის კომპეტენციის მისადაგება ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციების დონეებისადმი, მაგრამ ამ პრობლემის გადაჭრისათვის აუცილებელია გზების გამონახვა. ამდენად, მოსმენის კომპეტენციის სწავლის, სწავლებისა და

## ენის შეფასება და ტქისტირება

განსაკუთრებით – შეფასების პროცესში გასათვალისწინებელია გარკვეული სირთულეები.

უპირველესი პრობლემა ამ მხრივ ისაა, რომ შეუძლებელია ზეპირი მეტყველების აღქმა-გაგების პროცესზე უშუალო დაკვირვება. ეს ფაქტი მოსმენის ძირეულად განასხვავებს პროდუცირების (მეტყველებისა და წერის) უნარ-ჩვევებისაგან, რომლებზე დაკვირვებაც შესაძლებელია. მოსმენის უნარ-ჩვევის ტესტირების დროს ჩვენი დაკვირვება გამოსაცდელ პირზე ამოიწურება მისი რეაქციის გაკონტროლებით, მაგ. შემოხაზავს თუ არა იგი მოსმენილი ტექსტის თანმხლებ დავალებაში რამდენიმე მოცემული ალტერნატივიდან სწორ ვარიანტს... რასაკვირველია, ეს ართულებს ობიექტურ და ზუსტ შეფასებას.

ენის შემსწავლელმა მოსმენილი ტექსტი შეიძლება სხვადასხვაგვარად გაიგოს. მოსმენილი ტექსტის გაგება აქტიური, სუბიექტური პროცესია, რომელიც დამოკიდებულია პიროვნულ ფაქტორებზე, როგორიცაა: მეორე ენის მატარებელი ხალხის კულტურის ზოგადი ცოდნა, მეორე ენის შესწავლის მოტივაცია, ტექსტის ტიპებისა და აგებულების (სტრუქტურების) ცოდნა, გაგების კომპეტენცია მშობლიურ ენაში (შესაბამისად - ტრანსფერის პრობლემა), ზოგადი ენობრივი და სტრატეგიული კომპეტენციები მეორე ენაში, დამახსოვრების უნარი და სხვ. მოვიყვანთ ერთ მაგალითს: თუ მოსახმენ ტექსტში აღწერილია მისალმება-გაცნობა-დამშვიდობების სცენები, ბუნებრივია, ამ სცენას უკეთ აღიქვამს და გაიგებს ის შემსწავლელი, რომელიც შედარებით კარგად იცნობს ქართულ ტრადიციებს (მოგესალმებით - გამარჯობა; როგორ ბრძანდებით / როგორ გიკითხოთ - როგორ ხარ; ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ - გაიცანით; კარგად ბრძანდებოდეთ - კარგად იყავი და სხვა).

სხვა მაგალითი: აქსიომაა, რომ გაცილებით უკეთ აღიქვამს და იგებს მეორე ენაზე ტექსტს ის შემსწავლელი, რომელიც მშობლიურ ენაზე მაღალი აკადემიური მოსწრებით გამოირჩევა (წიგნიერების თვალსაზრისით) და განვითარებული აქვს მშობლიურ ენაზე მოსმენისა და კითხვის (რეცეფციული) უნარები... ასეთ შემთხვევებში ხდება ტრანსფერის ეფექტური

## ნის შეფასება და ტუსტირება

გამოყენება და შემსწავლელი გაცილებით უკეთეს შედეგს გვაჩვენებს ტესტირებისას (მუჯირი, 2011, გვ. 89).

კითხვის პროცესისაგან განსხვავებით, მოსმენა დროის შეზღუდულ მონაკვეთში ხორციელდება. მოსმენის პროცესს ართულებს ძალიან შენელებული, ან პირიქით – ჩქარი, აუთენტური მეტყველების ტემპი და ზოგჯერ (თუ ეს განისაზღვრება შეფასების მიზნებიდან გამომდინარე) – მოსასმენი ტექსტის თანმხლები ფონური ხმაური. თუ ამ სირთულეების გამო მსმენელმა ტექსტის ერთი ნაწილი კარგად ვერ გაიგო, მას უჭირს ტექსტის შემდგომი ნაწილის ადგევატური გაგება. ეს სპეციფიკა განაპირობებს მოსმენილი ტექსტის დამახსოვრების შეზღუდულ შესაძლებლობებს. შესაბამისად, შეფასებისას, მოსასმენი ტექსტი არ შეიძლება იყოს კრიტიკული ტექსტის მოცულობას სხვადასხვა ფაქტორი განსაზღვრავს და პირდაპირი „რეცეპტის“ გაცემა მეტად ჭირს: გასათვალისწინებელია, მაგალითად, რა ტიპის ტექსტს ვასმენინებთ – საინფორმაციოს, აღწერითს, მხატვრულს...

მოსმენის უნარის შეფასების პროცესში ტექსტის მოსმენას აუცილებლად თან ერთვის თანმხლები დავალებები, რომელთა დამახსოვრება საჭიროა ტექსტის გააზრებისთვის (მოსმენაში, ცხადია, არ იგულისხმება მხოლოდ ცვერითი ნაკადის აღქმა – ივარაუდება, რომ ფასდება მოსმენილის შინაარსი როგორ / რამდენად გაიგო მსმენელმა); ცხადია, რომ ამან გამოსაცდელი პირის მეხსიერება შეიძლება გადატვირთოს. შესაბამისად, შეფასებისას მოსასმენი ტექსტის ტესტური დავალებები ტექსტის მოსმენის შემდეგ არ უნდა მივცეთ: ამ შემთხვევაში ფაქტორივად უკვე ვამოწმებოთ არა მოსმენის უნარ-ჩვევას, არამედ გამოსაცდელი პირის დამახსოვრების უნარს... დავალებები აუცილებლად ტექსტის მოსმენამდე უნდა მიეწოდოს მსმენელს.

ენის შესწავლა მხოლოდ ხელოვნური, შედგენილი ტექსტებით ნაკლებ ეფექტურია; აუცილებელია აუთენტური ტექსტების გამოყენება სწავლების პროცესში. ყოფითი მეტყველება კი ხასიათდება გამეორებებით, ნაწილაკებით, დიალექტური გამონათქვამებით, ვულგარიზმებით, რედუქციით (მაგალითად, „რა პონტია“, „ნუ, კაი, რა...“, „წამო“ („წამოდი“), „მაჯ“ („მაჯეს“) და ა.შ.)... შეფასება-ტესტირების მიზნით აუთენტური აუდიოტექსტების

## ენის შეზასხბა და ტქმირება

შერჩევის დროს ეს ფაქტი გასათვალისწინებელია, როგორც პოტენციური სირთულის ფაქტორი: ბუნებრივია, ვერ მოვთხოვთ შემსწავლელს, გაიგოს და აღიქვას ის, რაც არ შესწავლია; მაგალითად, აუთენტურ აუდიოტექსტი „**მაიტა, რა, წიგნი**“ - ვე გაიგებს, რას ნიშნავს, ვინაიდან სალიტერატურო ქართულით ეს ფრაზა სრულიად სხვა ზმნით გამოიხატება: „**მომეცი, რა, წიგნი**“... ასევე გაუგებარი იქნება მსმენელისთვის რედუციორებული ფორმა: „**მომე** (=**მომეცი**)“ - რომელიც, ასევე, სპონტანური მეტყველებისას, აუთენტურ აუდიოტესტებში შეგვხდება.

ზეპირი ტექსტის გაგებაზე გავლენას ახდენს კანდიდატის ფონეტიკურ-ფონოლოგიური კომპეტენციის დონე – განსხვავებით წერითი ტექსტისაგან, რომელიც წარმოადგენს ასოებისაგან, სიტყვებისაგან და ა.შ. შემდგარ სისტემას, ზეპირი ტექსტი, ასე ვთქვათ, ბგერათა ნაკადია, რომელშიც სიტყვათა საზღვრები ხშირად არაა კარგად გამოკვეთილი. მსმენელი იძულებულია, დაანაწევროს აუდიოტექსტი პაუზების დახმარებით, ბგერათა ნაკადში გამოარჩიოს ცალკეული სიტყვები და წინადაღებები, რაც მოსმენილის აღქმა-გაგების პროცესს ართულებს. მოსმენილის გაგება მით უფრო რთულია, რაც უფრო მეტია ზეპირ ტექსტში ისეთი ფონეტიკური მოვლენები, როგორიცაა: ასიმილაცია, დისიმილაცია, და სხვ. (გოპი, 2000, გვ. 56-79). მართლაც, დიალექტიზმების, არქაიზმებისა და სხვა ტიპის ლექსიკოლოგიურ-გრამატიკული მოვლენების გაგება-აღქმა შეუძლებელია, თუ შემსწავლელს არ შეუსწავლია, მაგალითად, ქართულის ენისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესების ძირითადი მიმართულებები და ტენდენციები (მისთვის გაუგებარი იქნება „**მეიტანა**“, „**გეიგო**“, „**კარქათ**“ და ა.შ. ფორმათა მნიშვნელობები, მაშინ, როცა ამ ქვესისტემების მეტ-ნაკლებად მცოდნე მშობლიური ენის მფლობელი იოლად ახერხებს მათ იდენტიფიცირებას სალიტერატურო ინვარიანტებთან – თუნდაც თავად არ იყოს ამ დიალექტის მატარებელი).

ტექსტის შედგენისა და შეფასების დროს გასათვალისწინებელია შემსწავლელის, როგორც მსმენელის როლი. საზოგადოდ, მოსმენის პროცესში პირმა შეიძლება შეასრულოს ისეთი როლები, როგორიცაა: საუბრის თანამონაწილე (რომელსაც მოსმენაც შეუძლია და მეტყველებაც); აუდიორი

## ნის შევასება და ტუსტირება

(რომელსაც პასუხის გაცემის საშუალება საერთოდ არა აქვს და მისგან პასუხის არც ელიან – მაგალითად, რადიოგადაცემის მსმენელი); ადრესატი (რომელსაც მეტყველი პირი უშუალოდ მიმართავს, მაგრამ თავად ადრესატს ნაკლებად აქვს პასუხის გაცემის შესაძლებლობა – მაგ. სტუდენტი ტრადიციულ ლექციაზე); თანამსმენელი (რომელიც არ წარმოადგენს ადრესატს, ის შემთხვევითი მსმენელია, რომლისაგან პასუხს ასევე არ ელიან)...

იმისდა მიხედვით, თუ რა როლს ასრულებს გამოსაცდელი პირი, მას განსხვავებული მოთხოვნები უნდა წავუყენოთ. შემსწავლელი მოსმენის მიმართულებით ტესტირებისას პასიური მსმენელის როლშია, ანუ მისგან არ მოითხოვენ საუბრის შინაარსში ჩართვას (ადრესატია).

მოსმენილი ტექსტის თანმხლები ტესტური დავალებების სირთულეს ხშირად თავად აუდიოტექსტის სპეციფიკა და დავალებათა ინსტრუქციების ხასიათი განაპირობებს. მოსმენის უნარ-ჩვევის შესამოწმებლად არ უნდა შევარჩიოთ შინაარსობრივად როული ტექსტები. სამეცნიერო ლიტერატურაში დასახელებულია მოსასმენი ტექსტების სირთულის სხვა მახასიათებელი თვისებებიც და საჭიროა, რომ შეფასებისას ტექსტებში:

- შინაარსი მკაფიოდ იყოს ფორმულირებული;
- რეფერენტების (მოქმედი გმირების, ობიექტების) მცირე რაოდენობა უნდა იყოს მოცემული;
- ლოგალური მიმართებები ნაკლებად კომპლექსური უნდა იყოს (მაგალითად, მოქმედების გეოგრაფიული არეალი მრავალ პუნქტს არ მოიცავდეს, რაც დამატებით სირთულეს ქმნის მეხსიერებასთან დაკავშირებით – ეს კი მოსმენის უნართან პირდაპირ კავშირში არ არის);
- თხრობის თანმიმდევრობა რეალურ მოვლენათა თანმიმდევრობას უნდა შეესაბამებოდეს (არ არის რეკომენდებული, აწყოს ვითარება იყოს მოთხოვნილი ტექსტში, შემდეგ კი წარსული ფაქტებზე გადაერთოს სიუჟეტი...);
- მოსასმენი ტექსტი არ უნდა იყოს ძალიან სწრაფი ტემპით წარმოდგენილი (თუმცა, აქ გასათვალისწინებელია, ენის ფლობის რომელ დონეზე ვახდენთ „სწორებას“...).

(შდრ. ბრაუნი, 1995, გვ. 70-73).

## ენის შეფასება და ტქსტირება

ნათქვამიდან გამომდინარე, შეიძლება მთელი რიგი დასკვნების გამოტანა მოსმენის უნარ-ჩვევის შეფასების (შემოწმების) ისეთი ტესტის შედგენისათვის, რომელშიც გათვალისწინებული იქნება: ენის შემსწავლელთა ჯგუფის წარმომავლობა, მათი ზოგადი ენობრივი კომპეტენცია – პირველ რიგში, ლექსიკურ-გრამატიკული და ფონეტიკურ-ფონოლოგიური (ბგერებისა და სიტყვების აღქმისა და უცხოენოვანი ზეპირი ტექსტის სეგმენტაციის უნარი, ისეთი ფონეტიკური ფენომენების შეცნობის უნარი, როგორიცაა: მახვილი, ასიმილაცია, რედუქცია და სხვ.), ზეპირი, აუთენტური ყოფითი მეტყველების მნიშვნელოვანი მახასიათებლებისა და ტემპის აღქმის უნარი. მსმენელებისათვის, რომლებიც კარგად ვერ ფლობენ მეორე ენას, უნდა შევარჩიოთ ნაკლებად სპონტანური აუდიორექსტი, რომლის თანმხლები დავალებები აუცილებლად ტექსტის მოსმენამდე იქნება მიცემული (მუჯირი, 2011, გვ. 91).

მოსასმენ ტექსტში ყოფითი მეტყველების მახასიათებლები ნაკლები სიხშირით უნდა იყოს წარმოდგენილი. არ უნდა შევარჩიოთ „კონცეპტუალურად რთული“ ტექსტები, მოსმენის სტილი უნდა იყოს უმთავრესად გლობალური ან სელექციური, მცირე ფონური ხმაურის თანხლებით. მსმენელის როლებიდან უნდა შევარჩიოთ ტესტირებისათვის უფრო ხელსაყრელი – ადრესატის როლი.

მეცნიერთა ნაწილს მიზანშეწონილად მიაჩნია „მოსმენილის გაგების“ უნარის შესამოწმებლად კარნახის გამოყენება და მისი ინტეგრაცია ისეთ დავალებებთან, როგორიცაა, მაგალითად, სწორი/არასწორი პასუხების შემოხაზვა, მრავლობითი არჩევანის ტიპის დავალებები და სხვა (ბუკი, 2001, გვ. 73). ვფიქრობთ, კარნახის გამოყენება ეფექტურად არის შესაძლებელი მოსმენის უნარის შეფასებისას, თუმცა იგი ვერ ჩანაცვლებს აუთენტურ ტექსტებს...

მოსმენის უნარების ტესტირების პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ რამდენჯერ უნდა მოისმინოს გამოსაცდელმა პირმა ტექსტი... ფაქტია, რომ რეალური კომუნიკაციის პროცესში ტექსტებს, ჩვეულებრივ, ერთხელ ვისმენთ, მაგრამ მეორე ენის შემსწავლელისათვის (განსაკუთრებით – ენის შესწავლის საწყის საფეხურზე) არ არის საცმარისი ტექსტის ერთხელ მოსმენა, რადგან აუდიოფირის გაგება უფრო რთულია, ვიდრე რეალურ სიტუაციაში მეტყველების გაგება. ამიტომ, მკვლევართა

## **ენის შეფასება და ტუსტირება**

უმეტესობა მიიჩნევს, რომ გამოსაცდელმა პირმა ტექსტი თრჯერ უნდა მოისმინოს: პირველად გლობალურად, მეორედ კი ტექსტის თანმხლები დავალებების წაკითხვის შემდეგ – სელექციურად ან დეტალურად (ბოლტონი, 1996, გვ. 47; იხ. მუჯირი, 2011, გვ 93). როგორც წესი, საქართველოში ჩატარებული მოსმენის უნარის ტესტირების პროცესში, 2-ჯერ წაკითხვა აუცილებელ პირობად მიიჩნევა.

მოსმენის უნარების ტესტირებისთვის მეტად მნიშვნელოვანია უცხოელი კოლეგების გამოცდილების გაზიარება, რომელთაც ამ მიმართულებით ათწლეულების განმავლობაში აქვთ ნამუშევარი. ზოგადევროპულ სტანდარტებთან მიმართებით, გამოყოფილია ტექსტის ტიპების იერარქია მზარდი სირთულის მიხედვით:

1. **ყოველდღიური სწავლის სფეროსთან დაკავშირებული ტექსტები** (როგორც წესი, ამ ტიპის მოსასმენი ტექსტები ეძლევათ A1 / A2 დონის შემსწავლელებს);
2. **ინტერდისციპლინარული სამეცნიერო თემატიკის ტექსტები,** რომელთა სტრუქტურა ორიენტირებულია **სტანდარტულ ენაზე** (ამ ტიპის მოსასმენი ტექსტები ეძლევათ B1 დონის შემსწავლელებს);
3. **ინტერდისციპლინარული სამეცნიერო თემატიკის ტექსტები,** რომლებიც ენობრივად და შინაარსობრივად კომპლექსურადაა **სტრუქტურირებული** (ამ ტიპის მოსასმენი ტექსტები ეძლევათ B2 და უფრო მაღალი დონის პრეტენდენტ შემსწავლელებს).

მიუხედავად ზემოჩამოთვლილი რეკომენდაციების განხილვისა, კითხვა, თუ რამდენად სრულყოფილია მოსმენილის გაგების შეფასება – ჯერ კიდევ ელის ამომწურავ პასუხს პრაქტიკიდან თუ მომავალი გამოკვლევებიდან. თუმცა, უკვე არსებული ინფორმაცია წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული მოსმენილის გაგების უნარ-ჩვევის შეფასებისას.

აღსანიშნავია, რომ მოსმენის უნარის შეფასებაზე ორიენტირებული ტექსტები შესაძლებელია, მასწავლებელმა შეადგინოს როგორც მიმდინარე, ასევე შემაჯამებელი შეფასებისას; დასაშვებია, მიმდინარე შეფასებისას დაგეყრდნოთ მეტწილად კარნახის მეთოდს (განსაკუთრებით – სწავლების საწყის ეტაპზე), თუმცა, სწავლების პროცესში აუთენტური ზეპირი ტექსტების გამოყენება აუცილებელია, რათა შემსწავლელმა სხვადასხვა

## ენის შევასება და ტქირება

რეგისტრისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი შეისწავლოს და გაითავისოს.

რაც შეეხება შემაჯამებელ შეფასებას – რეკომენდებულია აუდიოტექსტის მოსმენა შემსწავლელის სავარაუდო ენის ფლობის დონის გათვალისწინებით: მაგალითად, თუკი სწავლების საწყის ეტაპზე შესაფასებლად ინტერდისციპლინარული სამეცნიერო თემატიკის ტექსტებს მოვასმენინებთ შემსწავლელს, ბუნებრივია, იგი ვერაფერს (ან თითქმის ვერაფერს) გაიგებს და ტესტირების ვალიდურობა-სანდოობის პრობლემა დადგება...

სანიმუშოდ, გთავაზობთ მოსმენის უნარის შესამოწმებლად ჩატარებული ტესტის ტექსტსა და მოსმენილის აღქმა-გაგებაზე ორიენტირებულ დავალებებს (ტესტირება ჩაუტარდათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არაქართულენოვან სტუდენტებს, რომლებიც საშედავათო პოლიტიკის ფარგლებში, 60-კრედიტიან 1-წლიან კურსს გადიან ქართული ენის შესწავლის მიზნით):

### ტექსტი:

გამარჯობა, ამირან, როგორ ხარ? დედაჩვენი როგორ არის? კიდევ აწებებს წნევა?

ამირან, თბილისში მშენებელი დრო გავატარე. კონცერტზე ვიყავი. იმ დამებს თბილისში დავრჩი, მეორე დღეს კი ნინოსთან ხოველში წავედი; 2 დღე დავრჩით იქ ნინოს დედა მასწავლებელია, ბათუმში იყო ტრენინგზე წასული, ამიტომ მე და ნინოს მოგვიწია დიასახლისობა. გუშინწინ ნინომ გააკეთა სადილი, გუშინ კი მე ხაჭაპური გამოვაცხვე, თუმცა ნინო მოხვდა, შენ ხტემარი ხარ, არაფერი გააკეთოთ...

დღეს 15 ივნისია და უკვე გორში ვარ. ხომ იცი, ნინოს ბაბუის იუბილეა და აუცილებლად უნდა დაგეხსწრო. დამებს ნინოს ბაბუასთან გავათევ.

ხვალ კიორაა და ადრე ვერ ავდგები. შეადგისთვის დაგჯდები ავტობუსზე და ჩამოვალ მშობლიურ ქუთაისში...

აბა, შენ იცი, მალე გნახავ!

შენი ლეილა

# მნის შეფასება და ტესტირება

ტესტური დაგალებები და შესავასებელი ქულები

1. ვინ არის წერილის ავტორი? 1

- ა. ამირანი
- ბ. ლეილა
- გ. ნინო
- დ. ბატონი გიორგი

2. ვინ არის წერილის ადრესატი? ვის სწერს ავტორი წერილს? 1

- ა. ნინოს
- ბ. დედას
- გ. ამირანს
- დ. ბატონ გიორგის

3. ვინ არის ლეილა ამირანისთვის? 2

**შენიშვნა:** ვინაიდან ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით,  
ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მხოლოდ ინფორმაციის  
უბრალოდ მოძიებას არ გულისხმობს და უფრო მაღ-  
ალ კომპეტენციებს მოითხოვს, მისანიჭებული ქულის  
„წონა“ ამ ტიპის კითხვებში უფრო მაღალია.

- ა. ცოლი
- ბ. შვილი
- გ. და
- დ. მეგობარი.

4. ვინ ცხოვრობს ქუთაისში? 2

- ა. ლეილას ოჯახი
- ბ. ნინო
- გ. ბატონი გიორგი
- დ. არავინ.

5. ვისთან აპირებს ლეილა გორში ღამით დარჩენას? 1

## ენის შევასება და ტქსტირება

6. ლეილა არის: 2

- ა. სერიოზული ადამიანი
- ბ. მხიარული გოგო
- გ. გამოცდილი მზარეული

7. რა აწუხებს ლეილას დედას? 1

---

8. დააღიარეთ ქრონოლოგიური თანამიმდევრობით, რა რის მერე მოხდა: 2

- ა) ქუთაისში დაბრუნება
- ბ) ხაჭაპურის გამოცხობა
- გ) ნინოსთან სოფელში ჩასვლა
- დ) ობილისში კონცერტზე დასწრება
- ე) გორში ნინოს ბაბუის იუბილეზე ჩასვლა

---

1	2	3	4	5

## ენის შეფასება და ტუსტირება

### ბ. ლაპარაკის უნარის შეფასება

როგორც ითქვა, მოსმენის უნარის შეფასება უამრავ პრობლემასთანაა დაკავშირებული. კიდევ უფრო რთულია ლაპარაკის (მეტყველების) უნარის შეფასება: მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში პროდუცირებასთან გვაქვს საქმე და თავად პროცესზე დაკვირვება (რეცეფციული უნარებისგან განსხვავებით) შესაძლებელია, სამაგიეროდ, აქ სხვა პრობლემები იჩენს თავს... კერძოდ, ტესტირების მეთოდის გამოყენება ლაპარაკის უნარ-ჩვევის შემოწმებისას შეუძლებელია და, პრაქტიკულად, ამ უნარის ტესტირებით შემოწმება არც ხერხდება. შესაბამისად, მხოლოდ გასაუბრების (ინტერვიუს) ფორმატშია შესაძლებელი ლაპარაკის უნარის შემოწმება. ეს, კი, თავის მხრივ, გარკვეულ დისკომფორტს ქმნის – უპირველეს ყოვლისა, სუბიექტური ფაქტორის გააქტიურების თვალსაზრისით. ქულებით შეფასება ამა თუ იმ სარგებისა (ენობრივ-გრამატიკული, ტემპი, მახვილი, ფონეტიკური ხასიათის შეცდომები და ა. შ.) ზუსტ ინსტრუქციებს მოითხოვს, რაც, პრაქტიკულად, მაინც ზოგადი ხასიათისა შეიძლება აღმოჩნდეს და შემფასებლის სუბიექტური ხედვა კვლავ გადამწყვეტი ფაქტორია.

უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს, ვისთვისად ტესტირება განკუთვნილი: ბუნებრივია, სწავლების საწყის ეტაპზე ლაპარაკის (მეტყველების) სხვა უნარების განვითარებაზე კეთდება აქცენტი, შემდგომ საფეხურებზე – სხვა უნარებზე... მაგალითად, სწავლების საწყის საფეხურზე აქცენტი კეთდება ქართული ენისათვის სპეციფიკური ბგერების სწორად წარმოთქმაზე, მახვილის სათანადოდ გამოყენებაზე, ქართულისთვის დამახასიათებელ ინტონაციაზე... ამ ეტაპზე მორფოლოგიური თუ სინტაქსური გამართულობის მოთხოვნა, რასაკვირველია, ნაადრევია.

მომდევნო ეტაპზე უკვე აქტიურდება ლექსიკის კომპონენტი: შეუძლებელია აზრის გადმოცემა, თუკი „საშენ მასალას“ ლექსიკური ერთეულების სათანადო ოდენობას (რაც ყოველი დონისათვის არის განსაზღვრული ენის ფლობის დონეების ზოგადევროპული სტანდარტის მიხედვით) ვერ ფლობს შემსწავლელი. საწყის ეტაპზევე საჭიროა მარტივი

## ენის შეფასება და ტუსტირება

სინტაქსური და მორფოლოგიური კანონზომიერებების ათვისება, ვინაიდან – მხოლოდ ლექსიკის ცოდნა არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს ენის ამა თუ იმ დონეზე ფლობას... შემსწავლელის განვითარებასთან ერთად, შეფასებისას უფრო და უფრო მაღლა იწევს შეფასების კრიტერიუმებიც სამივე კომპონენტის თვალსაზრისით (ფონოლოგიური დონე, ლექსიკოლოგიური დონე, გრამატიკული დონე). მაგალითად, როდესაც ვაფასებთ ლაპარაკის უნარს, შემფასებელს უნდა ახსოვდეს, რომ ლექსიკის, ასე ვთქვათ, „სტატიკურად“ ცოდნა არ ნიშნავს, რომ შემსწავლელი მაღალი ქულით უნდა შეფასდეს... მტავარია, როგორ ახერხებს იგი ფრაზების, წინადადების კონსტრუირებისათვის სათანადო სიტყვების შერჩევას, რათა აზრი ადეკვატურად გადმოსცეს... ასევე, გრამატიკული წესების ცოდნა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ შემსწავლელს შეუძლია, მაგალითად, დროში ადეკვატურად შეუხამოს ორი ზმნა (მაგ. „ის საუზმობდა, როცა ზარი რეკავდა“ - შეცდომაა... სწორია: **დაირეგა**).

გამომცდელმა ლაპარაკის უნარის შეფასებისას აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს კიდევ ერთი ფაქტორი: ეს არის მეტყველების სისტრაფე და ბუნებრიობა. შემსწავლელის მიერ პაუზებით გაჭიმული, ხელოვნურობით დადღასმული ტექსტების მაღალი ქულით შეფასება, თუნდაც ეს ტექსტი აკმაყოფილებდეს ლექსიკური თუ მორფოსინტაქსური კვალიფიკაციის მოთხოვნებს, არ არის რეკომენდებული.

სანიმუშოდ გთავაზობთ ლაპარაკის მოდულს, რომელიც ჩაუტარდათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არაქართულენოვან სტუდენტებს.

მოდული ორი სექციისგან შედგებოდა. პირველი სექცია წარმოადგენდა ინტერვიუს, რომლის დროსაც კანდიდატები წინასწარ მიცემული 30 თემიდან ერთ-ერთის პრეზენტირებას ახდენდნენ; მაგ. თემები: „თბილისი – საქართველოს დედაქალაქი“, „ჩემი პოპი“, „ჩვენი ტრადიციები“, „რატომ ვსწავლობს სახელმწიფო ენას“ და სხვა... (სექციის შეფასება – 10-ქულიანი სისტემით).

მეორე სექციაში კანდიდატს კითხვები ეძლეოდა არა იმ თემიდან, რომელიც პირველი სექციაში იყო მიცემული, არამედ ნებისმიერი ისეთი ზოგადი სფეროდან, როგორიცაა: ოჯახი, დაბადების ადგილი და გარემო,

## მნის შეფასება და ტუსტირება

ჩაცმულობა, თავისუფალი დროის განაწილება, საყვარელი ფილმი, მუსიკა, სპექტაკლი და ა.შ. (სექციის შეფასება – 10-ქულიანი სისტემით).

სულ ორივე სექციის შეფასების მაქსიმალური ზღვარი - 20 ქულა.

შეფასებისას ქულები იწერებოდა რამდენიმე კომპონენტის გათვალისწინებით: გამოთქმა, ინტონაცია, ორთოეპია (სწორი მეტყველება), ლექსიკური მარაგის გამოყენება, გრამატიკული კომპეტენცია, ლოგიკური თანამიმდევრობისა და ზეპირი ტექსტის აგების უნარები, მეტყველების ტემპი და ბუნებრიობა.

ლაპარაკის უნარის განვითარების (პროგრესის) შემოწმება სასურველია სწავლების მთელი პროცესის განმავლობაში, რეგულარულად ტარდებოდეს. მიმდინარე შეფასებისას გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები:

1. უპირველეს ყოვლისა, შემფასებლისთვისაც და შესაფასებელი (გამოსაცდელი) პირისთვისაც მკაფიო და გასაგები კრიტერიუმები უნდა შემუშავდეს;
2. არ უნდა შემოვიფარგლოთ ერთი (ან მცირე ოდენობის) დაგალებით – მივცემ საშუალება ენის შემსწავლელს, მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი უნარები;
3. ტექსტი უნდა იყოს ბუნებრივი და შინაარსიანი (ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ არ მოხდეს შემსწავლელის მიერ ტექსტის დაზეპირება!);
4. სასურველია, ბუნებრივი გარემოს შესაქმნელად, დაგაჯგუფოთ (დავაწყვილოთ) გამოსაცდელები და, ამასთან, გავითვალისწინოთ თითოეული მათგანის დონე – არ დაგარდვიოთ თანაბრობის პრინციპი და ადეკვატურად დავაჯგუფოთ (დავაწყვილოთ) შემსწავლელები (არ არის რეკომენდებული ენის ფლობის საკმაოდ განსხვავებული დონის შემსწავლელთა დაწყვილება);
5. შეფასებისას მაქსიმალურად ჩავრთოთ თვითშეფასების კომპონენტი;
6. შეფასება, რასაკვირველია, უნდა მოხდეს იმ მასალაზე დაყრდნობით, რაც გამოსაცდელმა სწავლების პროცესში გაიარა;

## **ენის შევასება და ტქისტირება**

---

7. გამოსაცდელს უნდა მიეცეს საკმაო დრო (10-15 წუთი მაინც), რათა სათანადოდ მოემზადოს ზეპირი შემოწმებისათვის და სრულყოფილად გამოავლინოს თავისი უნარები;;
8. უნდა გამოიცადოს არა მხოლოდ გრამატიკაში (მორფოსინტაქსი) მისი მიღწევები (ანუ, რამდენად სწორად აგებს სიტყვებს, წინადევებებს...), არამედ ლაპარაკის სხვა უნარებშიც;
9. დეტალიზებული და მკაფიოდ განსაზღვრული ჟკუპავშირი.

მუნიცი, ალვარეზი, 2010, გვ. 34

## მნის შეფასება და ტუსტირება

### 2. ფიგურულის (კითხვისა და ფერის უნარების) შეფასება

#### ა. კითხვა

კითხვის უნარი ერთ-ერთი ძირითადი უნართაგანია. იგი მხოლოდ ერთი კონკრეტული ენის შესწავლას არ უკავშირდება და, საზოგადოდ, წიგნიერების ძირებული კომპონენტია – აქ იგულისხმება მოსწავლის უნარი, იკითხოს არა მხოლოდ მხატვრული თუ სახსწავლო ლიტერატურა, არამედ გაეცნოს და გაიგოს / აღიქვას სხვადასხვა ტიპის (მათ შორის საინფორმაციო, სარეკლამო, სამეცნიერო ხასიათის) ტექსტები.

კითხვის დანიშნულება და მიზანი 2 ძირითად კომპონენტზე დაიყვანება:

- ლიტერატურული გამოცდილების მიღება
- ინფორმაციის მიღება და გამოყენება.

წიგნიერების შეფასებისას აქცენტი კეთდება იმ უნარებზე, რაც არსებითი და უმნიშვნელოვანესია ანუ წერილობითი ტექსტის აღქმის, მიღებული ინფორმაციის გაგებისა და გამოყენების უნარზე; ამის გათვალისწინებით, მკითხველს უნდა შეეძლოს:

1. სხვადასხვა სახის ტექსტების ძირითადი აზრის გაგება და ჩამოყალიბება;
2. სხვადასხვა ტიპის ტექსტებიდან ინფორმაციის ამოკრეფა;
3. მხატვრული ნაწარმოებების კითხვისას სიამოვნების განცდა.

შეფასების ჩარჩოს შექმნისას მოქმედებს პრინციპი, რომ კითხვის პროცესი კოგნიტური თვალსაზრისით, ორ ძირითად დონეს მოიცავს – გაგება-გააზრებასა და ინტერპრეტაციას.

სფეროებად დაყოფისას გათვალისწინებული უნდა იყოს ისიც, რომ ყველა სააზროვნო ოპერაცია, რომელიც შემსწავლელს წაკითხულის გაგება-გააზრებისთვის, გაანალიზებისა და ინტერპრეტირებისთვის სჭირდება, მიემართება არა მხოლოდ ტექსტის შინაარსობრივ პლანს, არამედ მის ენობრივ-გამომსახველობით მხარესაც.

## ენის შეფასება და ტუსტირება

წერილობითი ტექსტის გაგება ნიშნავს:

- ტექსტი პირდაპირ (ექსპლიციტურად) და ქვეტექსტურად (იმპლიციტურად) მოცემული ინფორმაციის გაგება, მოძიება და კონკრეტული ნიშით კლასიფიკაცია;
- ტექსტის შინაარსის გაგება, რომელიც გულისხმობს მთლიანი ტექსტის ან მისი ცალკეული ნაწილის, როგორც დასრულებული ერთეულის, ზოგადი და დეტალური შინაარსის გაგებასა და აღქმას;
- ტექსტი პირდაპირ და ქვეტექსტის საშუალებით გადმოცემული ამბების, გამოთქმული მოსაზრებების გაგება-გააზრებას,
- დასკვნების გამოტანასა და ტექსტის (ასევე, მისი ცალკეული ეპიზოდისა თუ მონაბეჭთის) შეჯამებას,
- ტექსტის დაკავშირებას საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან თუ არსებულ ლიტერატურულ ცოდნასთან.

კითხვის უნარების შეფასებისას აუცილებელია, შემოწმდეს ტექსტის ინტერპრეტაციასა და ანალიზის უნარ-ჩვევები – მოსწავლეთა რეფლექსიისა და შეფასების უნარები, რაც გულისხმობს ტექსტი მოცემული იდეების, მოსაზრებების, შეხედულებების (მხატვრულ ტექსტებში ასევე პერსონაჟთა საქციელის), აგრეთვე, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების გაანალიზებისა და შეფასების, მოსწავლისგან საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის უნარების გამოვლენას.

საზოგადოდ, ინტერპეტირება შეიძლება პირდაპირ (ზედაპირულ, ექსპლიციტურ), გადატანით (მეტაფორულ, ქვეტექსტურ) და სიმბოლურ დონეზე. ეს გულისხმობს წაკითხული ტექსტის იდეური მხარის, მთავარი პრობლემის, ავტორის ჩანაფიქრის ამოცნობას და გააზრებას, მისი პოზიციის შეფასებას; ფაქტებისა და მოსაზრებების ერთმანეთისაგან გამიჯვნას, არაპირდაპირი დასკვნების გამოტანას, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დანახვასა და ასენას, პერსონაჟის საქციელისა თუ შეხედულებების გაანალიზებას და შეფასებას სხვადასხვა პოზიციიდან, აგრეთვე, მთლიანი ტექსტის თუ მისი ცალკეული ეპიზოდის ინტერპრეტაციას, ანალიზს, შეფასებას თუ სხვა კომპლექსურ სააზროვნო ოპერაციებს.

## მნის შეფასება და ტუსტირება

კითხვისა და წერის უნარების შეფასებისას გასათვალისწინებელია ის გამოცდილება, რაც არსებობს დასავლეთის წამყვან ქვეყნებში: უკვე ათწლეულებია, ევროპასა და ამერიკაში მიმდინარეობს საერთაშოროსო კვლევები, რომლებიც იმ მხრივაც არის საინტერესო, თუ რა ტიპის ტესტურ დაგალებებს იყენებენ ჩვენი კოლეგები კითხვისა თუ წერის ამა თუ იმ უნარის შესაფასებლად.

წიგნიერების შეფასების თვალსაზრისით, საქართველოში ქვეყნის მასშტაბით საქართველოში კვლევა პირველად 2006 წელს ჩატარდა. ეს იყო PIRLS-ის მიერ ჩატარებული ფართომასშტაბიანი გამოკვლევა, რომელიც 9-10 წლის ბავშვთა წიგნიერების დონისა და მიხი განმაპირობებელი ფაქტორების შესწავლას ისახავდა მიზნად.

PIRLS-ის კვლევას დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა: უპირველეს ყოვლისა, ეს გახდათ საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული სოლიდური სამუშაო, რომელიც იყენებდა დასავლურ მოწინავე ქვეყნებში არაერთხელ აპრობირებულ, ზუსტ და სანდო ინსტრუმენტებს; PIRLS-ის მიერ დადგინდა სტანდარტი, რომლის მიხედვითაც გამოიკვეთა წაკითხულის გააზრების პროცესების (1. ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაციის მოძიება, 2. დასკვნების გაკეთება, 3. ინფორმაციის ინტერპრეტაცია საკუთარ ცოდნასთან ინტეგრირების საფუძველზე, 4. მხატვრულ ტექსტის ენის შეფასება და მხატვრული ხერხების / სახეების გააზრება) პროცენტული ურთიერთმიმართება:

ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაციის მოძიება	22%
უშუალო დასკვნების გამოტანა	28%
აზრებისა და ინფორმაციის ინტერპრეტაცია საკუთარ ცოდნასთან ინტეგრირების საფუძველზე	37%
ტექსტის ენის შეფასება და მხატვრული ხერხების გააზრება	14%

იხ. წიგნიერების საერთაშორისო კვლევის ანგარიში, 2010.

კვლევის ინსტრუმენტებად PIRLS-ის კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა:

## ენის შევასება და ტუსტირება

- წაკითხულის გააზრების პროცესები (ტესტი);
- კითხვისადმი დამოკიდებულება (მოსწავლის კითხვარი);
- მშობლის კითხვარი;
- მასწავლებლის კითხვარი;
- სკოლის კითხვარი;
- სასწავლო გეგმის კითხვარი.

\* *PIRLS-ის კვლევის შედეგად, აღმოჩნდა, რომ წიგნიერების თვალსაზრისით, ქართველი მოსწავლეები საშუალოზე დაბალ შედეგებს აჩვენებდნენ (ქართველი ბაგშეების წიგნიერების საშუალო მაჩვენებელი (471) სტატისტიკურად მნიშვნელოვნად ჩამორჩება PIRLS-ის საერთაშორისო სკალირებულ მაჩვენებელს (500); ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ ბაგშეებს მხატვრული ტექსტების გააზრებაში უფრო კარგი მაჩვენებელი აქვთ, ვიდრე საინფორმაციო ტექსტებისა...);*

იხ. წიგნიერების საერთაშორისო კვლევის ანგარიში, 2010.

2009 წელს ჩატარდა PISA-ს (PISA საერთაშორისო კვლევაა, რომელიც მიზნად ისახავს 15 წლის მოზარდების მიერ სკოლაში შეძენილი ცოდნისა და უნარების შეფასებას) მიერ განხორციელებული კვლევა, რომელიც კითხვის უნარების შეფასებას ისახავდა მიზნად (საცდელი კვლევა ჩატარდა 2009 წლის ოქტომბერს, ძირითადი კვლევა კი 2010 წლის აპრილში).

ასაკობრივი ჯგუფი იყო 15 წლის მოსწავლეები, აღსანიშნავია, რომ კვლევა ემყარებოდა ზოგადად წიგნიერების გაგებას და არ შემოიფარგლებოდა სასწავლო გეგმით.

PISA აფასებდა მოსწავლის უნარს, გაიგოს, გამოიყენოს და გაიაზროს წერილობითი ტექსტები, იმისათვის, რომ შეიძინოს ცოდნა, განივითაროს შესაძლებლობები და მიიღოს სრულყოფილი მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

- **ტექსტის ფორმატი:** გარდა ვრცელი ტექსტებისა, PISA-ზ გამოიყენა სხვადასხვა ტიპის ტექსტები – სიები, დიაგრამები, სარეკლამო განცხადებები;

## ენის შეფასება და ტუსტირება

- **კითხვის პროცესი:** შემოწმდა მოსწავლეების უნარი, მოიძიონ ინფორმაცია, შეიქმნან ზოგადი წარმოადგენა ტექსტის შესახებ, გაიაზრონ მისი შინაარსი, ფორმა და ელემენტები
- **სიტუაციები:** სხვადასხვა მიზნით შექმნილი ტექსტის გამოყენება.  
წიგნიერების საერთაშორისო კვლევის ანგარიში (*PISA*), 2009

2010 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა საქართველოს მასშტაბით ჩაატარა ეროვნული შეფასება ქართულ ენასა და ლიტერატურაში, კერძოდ, კითხვის მიმართულებაში იმ მოსწავლეებისთვის, რომლებმაც საბაზო საფეხურზე დაასრულეს სწავლა.

წიგნიერების დონის შესამოწმებლად შერჩეული იყო სხვადასხვა ტიპის ტექსტები, მათ შორის მხატვრული თხზულებები (როგორც პროზაული, ასევე – ლექსები) და არამხატვრული (საინფორმაციო, შემცნებითი, სამეცნიერო-პოპულარული...). ტექსტები ხოლო ინსტრუმენტად გამოყენებულ იქნა ამ ტექსტებზე შექმნილი ტექსტური დავალებები (ეროვნული შეფასება ქართულ ენასა და ლიტერატურაში, 2010).

რასაკვირველია, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვალიფიციური კვლევებისას გამოყენებული ინსტრუმენტი (ტესტური დავალებების ტიპები) შესაძლებელია და აუცილებელიცაა გამოვიყენოთ როგორც შემაჯამებელი, ასევე მიმდინარე შეფასების დროს. საჭიროა ზუსტად განისაზღვროს, თუ რა უნარების შემოწმებას ვაპირებთ, რა დონის შემსწავლელისთვის ვიღებთ ამა თუ იმ ტესტურ დავალებას და შემოთავაზებული მრავალფეროვანი ტესტური დავალებებიდან იოლად მოვახერხებთ ტიპის შერჩევას... მაგალითად, თუკი ვაპირებთ მთლიანი ტექსტის, ცალკეული ეპიზოდის, ანალიზის საფუძველზე არაპირდაპირი დასკვნების გამოტანაზე თრიენტირებული უნარის გამორკვევას – ტესტური დავალების შესაბამისი ტიპი უნდა მოვიძოთ (მაგალითად, ქვემოთ, II ტესტური დავალება)... მაგრამ ამ კონკრეტული ტესტური დავალების მიხედვით ჩვენ ვერაფრით ვერ გავარკვევთ, თუ რამდენადაა შემსწავლელი „დახელოვნებული“ ტექსტიდან ინფორმაციის მოძიებაზე... სხვათა შორის, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ხშირად შემსწავლელები ლოგიკური აზროვნების

## **ენის შევასება და ტქისტირება**

უფრო მაღალი საფეხურის ოპერაციებს უკეთ ასრულებენ, ვიდრე, მაგალითად, ერთი შეხედვით ისეტ მარტივ ლოგიკურ ოპერაციას, როგორიცაა ექსპლიციტური ინფორმაციის მოძიება ტექსტიდან... ამ სახის ლოგიკურ ოპერაციას სრულიად სხვა ტიპის ტექსტური დავალება უნდა შევუფარდოთ (მაგალითად, I დავალება სანიმუშოდ წარმოდგენილი ტექსტებიდან).

სანიმუშოდ გთავაზობთ კითხვის სხვადასხვა უნარის შესამოწმებლად PIRLS-ისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოყენებულ რამდენიმე ტექსტურ დავალებას:

I. ინფორმაციის მოძიებაზე ორიენტირებული ტექსტური დავალება:

საიდან ჩანს, რომ საბა ცდილობს, წმინდა პაპის, და, საერთოდ, ქრისტიანული სამყაროს საყოველთაო ინტერესებს დაუკავშიროს დატყვევებული გახტანგ VI-ის გამოხსნის საკითხი? დაიმოწმეთ შესაბამისი ადგილი ტექსტიდან.

**ტექსტი:** სულხან საბა ორბეჭიანი, „მოგზაურობა ევროპაში“;

**შენიშვნა:** კითხვა დაძლიერ საშუალო მიღწევის დონეზე.

II. მთლიანი ტექსტის, ცალკეული ეპიზოდის, ანალიზის საფუძველზე არაპირდაპირი დასკვნების გამოტანა:

საბას მიზნიდან გამომდინარე, რომელი შეხვედრა იყო მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და რატომ? პასუხი დაასაბუთეთ.

**ტექსტი:** სულხან საბა ორბეჭიანი, „მოგზაურობა ევროპაში“;

**შენიშვნა:** კითხვა დაძლიერ საშუალოზე მაღალი მიღწევის დონის მქონე მოსწავლეებმა

III. მთლიანი ტექსტის, ანალიზი, ტექსტის დაკავშირება გამოცდილებასთან, არაპირდაპირი დასკვნების გამოტანა, ტექსტის ინტერპრეტაცია:

## ენის შევასება და ტუსტირება

არის თუ არა საბასდროინდელი პრობლემები დღეს აქტუალური და რატომ? რა მსგავსებას ხედავთ საბასდროინდელ და თანამედროვე ძღვომარეობას შორის? პასუხი დაასაბუთოთ.

**ტექსტი:** სულხან საბა თრბელიანი, „მოგზაურობა ევროპაში“;

**შენიშვნა:** კითხვა დაძლიერ მაღალი მიღწევის დონის მქონე მოსწავლეებმა.

IV. ტექსტის მთავარი აზრის, მთავარი თემის ამოცნობა:

**მოცემული ტექსტის მთავარი თემა:**

- ა) ზეზასა და ლუხუმის კამათი
- ბ) ლეკი მეომრის მოკვლის ამბავი
- გ) მთიელთა მებრძოლი სულის წარმოჩენა
- დ) ორი განსხვავებული დამოკიდებულების ჩვენება, თუ როგორ უნდა მოექცე მტერს

**ტექსტი:** ნაწყვეტი გაუაფშაველას პოემიდან „ბახტრიონი“;

**შენიშვნა:** კითხვა თავისუფლად დაძლიერ დაბალი მიღწევის დონის მოსწავლეებმა.

V. პერსონაჟის საქციელის, მისი შეხედულების ანალიზი:

ეთანხმებით თუ არა ზეზას პოზიციას, რომ გაუკაცმა მტერი არ უნდა დაინდოს? თქვენი აზრი დაასაბუთოთ

**ტექსტი:** ნაწყვეტი გაუაფშაველას პოემიდან „ბახტრიონი“;

**შენიშვნა:** დავალება დაძლიერ საშუალო, შესაბამისად, საშუალოზე მაღალი და მაღალი მიღწევის დონისმოსწავლეებმა.

VI. პერსონაჟის საქციელის ახსნა, მისი მოტივაციის ანალიზი:

იმსჯელეთ იმ ლირებულებების შესახებ, რომლებიც ლუხუმის ქვებას განსაზღვრავს.

## ენის შევასება და ტუსტირება

**ტექსტი:** ნაწყვეტი ვაჟა-ფშაველას პოემიდან „ბახტონი“;

**შენიშვნა:** დაგალება დაძლიერ მხოლოდ მაღალი მიღწევის დონისმოსწავლებმა.

VII. ტექსტი ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაციის გაგება-გააზრება:

**ტექსტის მიხედვით რა კავშირი აქვს პლატონს ცნობილ ათენელ პოეტსა და პოლიტიკურ მოღვაწე სოლონთან?**

- ა) პლატონი თავის დიალოგებში გადმოგვცემს იმას, რაც სოლონისგან მოისმინა ატლანტიდის შესახებ
- ბ) პლატონმა დააფიქსირა თავისი პატივისცემა სოლონის მიმართ
- გ)პლატონმა თავის დიალოგებში აღწერა სოლონის მიერ ეგვიპტეში მოსმენილი ამბავი ატლანტიდის ცივილიზაციის დაღუპვის შესახებ
- დ) პლატონს სოლონთან ერთად უმოგზაურია კუნძულ ატლანტიდაზე და აღუწერია მისი მაღალგანვითარებული ცივილიზაცია

**ტექსტი:** ინფორმაციული ტექსტი ფილოსოფოს პლატონის შესახებ;

**შენიშვნა:** კითხვა დაძლიერ დაბალი მიღწევის დონის მოსწავლეებმა

VIII. ტექსტის ენის, მეტაფორული მეტყველების გაგება-გააზრება, ობიექტივაცია

**ტექსტის მიხედვით, რა იგულისხმება სიტყვებში „ყოვლისშემძლებულებუნების მოულოდნელი ჩარევა“?**

**ტექსტი:** ინფორმაციული ტექსტი ფილოსოფოს პლატონის შესახებ;

**შენიშვნა:** დაგალება დაძლიერ საშუალოზე მაღალიმიღწევის დონის მოსწავლეებმა.

## ენის შეფასება და ტუსტირება

IX. ინფორმაციის განზოგადება, ობიექტივაცია, ტექსტი მოცემული ინფორმაციის საფუძველზე დასკვნის გამოტანა:

ჩამოთვლილთაგან რომელი გარემოება უშლის ხელს ატლანტიდის ციფრიზაციის განადგურებისა და კუნძულ თერაზე მომხდარი კატასტროფის გაიგივებას?

- ა) არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა
- ბ) ოკეანოლოგთა დასკვნები
- გ) ფაქტობრივი უზუსტობა
- დ) ქრონოლოგიური შეუსაბამობა

**ტექსტი:** ინფორმაციული ტექსტი ფილოსოფოს პლატონის შესახებ;

**შენიშვნა:** კითხვა დაძლიერ მხოლოდ მაღალი მიღწევის დონის მოსწავლეებმა.

ზემოხსენებულმა კვლევებმა დიდწილად განსაზღვრა იმ პრობლემების ჩამონათვალი, რომელთა გათვალისწინებაც კითხვის უნარების შეფასებისას აუცილებელია. განისაზღვრა და ჩამოყალიბდა ტესტური დაგალებების ტიპები, რომელთაც მეორე ენის შემსწავლელთა კითხვის უნარ-ჩვევების შესაფასებელ ტესტებში აქტიურად ვიყენებთ:

- ა. ეწ. „ჰეშმარიტია / მცდარია“ ტიპის კითხვები და ტესტური დავალებები, რომლებიც მეტწილად კითხვის უნარების დაუფლების აღრეულ ეტაპზე გამოიყენება:

### ტექსტი

- საღამო მშეიდობის, დე (დი/და).
- გაგიმარჯოს, შვილო!
- დათუნა, მოდი, დედიკო.
- ბატონი.
- აი, დამჯერე ბიჭი.
- რა არის, დე?

## ენის შევასება და ტქისტირება

- გაცემცელდი და კბილები გამოიხეხე, კარგი?
- კი, დე!
- ახლა მოდი (*კოცნის*).
- დედა!
- გთხოვ, ახლა დაწეჭი და დაიძინე, კარგი?
- კარგი, დე, ახლავა.
- ჩემი უსაყვარლები შვილი ხარ, დათუნა. ჩემო ერთადერთო!
- უველაზე, უველაზე კარგი და ლამაზი დედა ხარ.

### შემოხაზეთ სწორი პასუხი:

1. საღამოს დათო ესალმება დედას? სწორია / არასწორია.
  2. დედა გამარჯობით პასუხობს? სწორია / არასწორია.
  3. დედა დათოს თავისთან იხმობს? სწორია / არასწორია.
  4. დათო დამჯერე ბიჭი არ არის? სწორია / არასწორია.
  5. დათოს არ აინტერესებს დედის დაძახება? სწორია / არასწორია.
  6. დედამ კბილების გამოხეხვა სთხოვა დათოს? სწორია / არასწორია.
  7. დათო არ დაემორჩილა? სწორია / არასწორია.
  8. დედა დათოს კოცნის? სწორია / არასწორია.
  9. დედამ დათო დასაძინებლად გაუშვა? სწორია / არასწორია.
  10. დათო უსაყვარლები შვილი არ არის? სწორია / არასწორია.
- ბ. მრავლობითი არჩევანის ტიპის დაგალებები, რაც გულისხმობს სტანდარტულ, არჩევითი პასუხების მქონე კითხვებს:

### ტექსტი

გამარჯობა, შალგა, როგორ ხარ? დედაშენი როგორ არის? ჩვენი ახა-  
ნო ხომ არ გაბრაზებს?

ბათუმიდან პირდაპირ ქუთაისში ჩაგედი, როგორც შენ მოხვევ, ლელა  
ვნახე და შენი წიგნი სარედაქციოდ გადავეცი. კარგი ვქენი, რომ ჩაგედი:

## მნის შეფასება და ტუსტირება

ლელა ავად იყო, დედამისი კი მივლინებაში იყო წასული და მომვლელი არავინ პყავდა... ამიტომ 2 დღით ქუთაისში დაგრჩი... მეტი ვეღარ დაგრჩებოდი, რადგან თოხზაბათს თბილისში, სემინარზე ვიყავი ჩასახვლელი.

სემინარი სამინისტროში გაიმართა, მისახალმებელი სიტყვა თბილისის მე-60 სკოლის დირექტორმა წარმოთქვა. მე დილას მქონდა მოხსენება. სულ კი იმ დღეს, ჩემი ჩათვლით, შვიდი გამომსვლელი იყო. ჩემი მოხსენების მერე სადილი იყო. მერე კი ქალაქში გავედი. სადამომდევ კიდევ 3 მოხსენება მაქს მოხასმენი.

ახლა ჩემს დასთან ვარ და წერილს გწერ. უბავ 3 საათია. ღამით დაგრჩები ჩემს დასთან და 9 აპრილს დაგბრუნდები სახლში.

ანანო დამიკოცნე. დედამთილი აუცილებლად მომიკითხე.

ჯენი მეგო

ტესტური დავალების ნიმუში:

ვინ არის შალვა მეგისთვის?

- ა) ქმარი
- ბ) შვილი
- გ) ძმა
- დ) მამა.

გ. ასევე ტესტური დაგალებები, რომლებიც ჩამოთვლილი მოვლენებისა თუ საგნების გარკვეული თანამიმდევრობით (ქრონოლოგიური, ლოგიკური და ა.შ.) დაწყობას მოითხოვდა:

ტესტი (იხ. წინა ტესტი)

ტესტური დავალების ნიმუში:

დაალაგეთ ქრონოლოგიური თანამიმდევრობით, რა რის მერე მოხდა (მიუწერეთ რიცხვები):

- ქუთაისში ლელასთან 2 დღით დარჩენა
- სემინარზე დირექტორის სიტყვით გამოსვლა
- ლელასთან ჩასვლა
- სადილი
- დამის გათევა თბილისში მეგის დასთან

## ენის შევასება და ტუსტირება

დ. წიგნიერების მიმართულებით საკმაოდ მაღალ კომპეტენციებს მოითხოვს დია ტესტური დავალებები, რომლებშიც მოსწავლემ თავად უნდა დაწეროს პასუხი (მოკლე, ვრცელი და ესეს ტიპისა):

**წარმოიდგინეთ, რომ გაგაგზავნებს მივლინებაში უცხოეთში 2 თქვენს თანამშრომელთან ერთად. მისწერეთ წერილი თქვენი ოჯახის წევრს (მეუღლეს, დედას, შვილს...); მოუყვეთ, სად ხართ, ვისთან ერთად, როგორი ამინდია, რას აკეთებთ დიდას, შუადღისას, საღამოთი; მოიფიქრეთ, რას გააკეთებთ თქვენი ოჯახის წევრებთან ერთად, როცა მივლინებიდან დაბრუნდებით.**

### სიტყვების მინიმალური რაოდენობა – 50

**შენიშვნა:** ამ ტიპის დავალებას აუცილებლად უნდა ახლდეს ზუსტი ინსტრუქცია, თუ რამდენი ქულა იწერება ამა თუ იმ კომპონენტის მიხედვით (მათშორის - ლექსიკური მარაგი, გრამატიკული კომპეტენცია – დაწვრილებით იხ. თავი III)

ე. ტესტური დავალებების ტიპი, რომელიც მოითხოვს შემსწავლელისგან, ჩასვას გამოტოვებული სიტყვა ან ფრაზა და დაასრულოს წინადადება.

(ინფორმაციული ტექსტი ჟირაფზე)

ამერიკა დასავლეთ ავსტრალია ძუძუმწოვარა ცხოველია  
სამხრეთ ამფიბიაა ფრინველია აფრიკა ჩრდილოეთ  
ჟირაფი კვერცხაზე მაღალი . . . . .  
ჟირაფი . . . . . ქვეყნებში ბინადრობს.  
ჟირაფის სამშობლოა . . . . .

ორიოდე სიტყვით შევეხებით ადრეული წიგნიერების სპეციფიკას, რომელიც შეფასებისას რამდენადმე განსხვავებული პრინციპების გათვალისწინებას მოითხოვს, ვინაიდან სწავლების ამ საფეხურზე სხვა

## ნის შეფასება და ტუსტირება

დონის კომპეტენციების განვითარებასა და, შესაბამისად, შემოწმებაზეა ორიენტირებული შემფასებელი.

აღსანიშნავია, რომ ადრეული წიგნიერების პლატფორმა საერთაშორისო მასშტაბით აქამდე არ ჩატარებულა. 2011 წლიდან საქართველოში ადრეული წიგნიერების პლატფორმა მიზნით, შემოდის **EGRA** (Early-Grade-Reading-Assessment), რათა აპრობირებული მეთოდოლოგიისა და ინსტრუმენტების საშუალებით, მოახდინოს ადრეული წიგნიერების ძირითადი უნარების შეფასება.

ადრეული წიგნიერების შეფასება გამოირჩევა სპეციფიკურობით და მისი შეფასება საკმაოდ რთულია. თუმცა, თუკი კარგად გამოიკვეთება ის უნარები, რომლებზეც უნდა მოხდეს ყურადღების გამახვილება, შესაძლებელია ინსტრუქციების კრიტიკული კომპონენტებისგან მივიღოთ შეფასების მნიშვნელოვანი ასპექტების გაგება.

EGRA-ს ექსპერტების მიერ გამოყოფილია ადრეული კითხვის უმნიშვნელოვანები:

1. წაკითხულის სწორი ფონემატური აღქმა;
2. წაკითხულის სწორი აკუსტიკური აღქმა (ასოსა და ბგერის ურთიერთშესატყვისობის დადგენა);
3. კითხვის სისტრაფე;
4. ლექსიკონი;
5. წაკითხულის აღქმა-გაგება.

ადრეულ ეტაპზე უმნიშვნელოვანებია **სიტყვების ამოცნობა** და **დეკოდირება**. აქ იგულისხმება, რომ მოსწავლეს შეუძლია დაადგინოს ასო-ბგერითი შესატყვისობები, ანუ აღიქვას კავშირი გამოთქმულ ბერასა და დაწერილ ასოს შორის, შეუძლია ანბანის პრიციპის გაგება-გამოყენება და ამა თუ ის სიტყვის სწორად ამოკითხვა. მოსწავლეებში ამ კომპეტენციების განვითარება, ჩვეულებრივ, წერა-კითხვის დაწყების პირველივე ეტაპზე ხდება (ადრეული წიგნიერების კვლევა, ეგრა, 2009, გვ. 6). აქვე უნდა ითქვას, რომ ამ კომპონენტს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ენებისთვის, რომლებშიც დაწერილობა და წარმოთქმა ერთმანეთს ზუსტად არ ემთხვევა

## ენის შეზასხბა და ტქისტირვბა

(მაგ. ინგლისურში). ქართულში ამ მხრივ ნაკლები პრობლემებია, თუმცა ბგერისა და მისი წერილობითი ხატის კავშირის განმტკიცება სწავლების დაწყებით საფეხურზე (ადრეულ ეტაპზე) აუცილებელია. ამ ტიპის დავალებები ქართულისთვისაც ადეკვატურია; მაგ., შესაძლებელია, დაიხვას ასეთი კითხვა:

**„გამოთქვით პირველი ბგერა, რომლითაც იწყება ეს სიტყვა.“**

(დაფაზე წერია სიტყვა „ყვავი“);

შემდეგ ამას მოსდევს მეორე კითხვა:

**„გამოთქვით მომდევნო ბგერა“... და ა. შ.**

ამ ტიპის დავალებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, როდესაც გამოსაცდელი აზერბაიჯანულენოვანია: საქმე ის გახლავთ, რომ აზერბაიჯანული ენისათვის უცხოა ზოგიერთი ქართული სპეციფიკური ბგერა (ყრუ მკვეთრი თანხმოვნები – კ, ტ, პ, ყ, ჭ...); შესაბამისად, საწყის ეტაპზე ბავშვებს უჭირთ ამ ბგერათა არა მხოლოდ სწორად გამოთქმა, არამედ განსხვავების აღქმა სათანადო ყრუ ფშვინციერთან (ქ-ქ; ო-ტ, ც-წ, ჩ-ჭ, ყ-ხ...).

მომდევნო ეტაპზე უპავ ცალკეული ბგერებისგან სიტყვის აგების უნარის შემოწმებაა: შესაძლებელია, ბავშვი თავისუფლად ამოიცნობდეს ასოებს (ქართული ამ მხრივ უაღრესად „კომფორტული“ ენაა – ბგერა ყოველთვის / თითქმის ყოველთვის შეესაბამება სათანადო აღმნიშვნელს – ასოს ნებისმიერ კონტექსტში / სიტყვის ფარგლებში), მაგრამ ვერ ახერხებდეს ამ ბგერათა ერთ მთლიანობად „შეკვრას“: სიტყვა ორგანიზებული სტრუქტურული ერთეულია, რომელსაც საკუთარი, დამოუკიდებელი შემართვა და დამართვა აქვს, განსხვავებული, ციდრე, უბრალოდ, მისი შემადგენელი ბგერების ერთობლიობას (შდრ. ბგერათა თანამიმდევრობა **პ-ა-კ-შ-გ-ი** და სიტყვა **ბაგშვი**).

ტექსტის გაგებისათვის უმთავრესი პირობაა **სიტყვების მნიშვნელობის ცოდნა** და **ლექსიკური მარაგის გამდიდრება**. ადრეულ ეტაპზე ბავშვების ლექსიკური მარაგის გაფართოების საუკეთესო საშუალებაა სწავლის პროცესში მრავალფეროვან მასალაზე მუშაობა. გაუგებარი სიტყვებისა და ფრაზების განმარტებისათვის მასწავლებელმა შეიძლება სხვადასხვა ხერხს

## ენის შეფასება და ტუსტირება

მიმართოს: გამოიყენოს კონტექსტური გასაღებები, თავად აუხსნას მოსწავლეებს მათი მნიშვნელობა, ახლად შესწავლილი სიტყვებით შეადგენინოს წინადაღებები, გაააზრებინოს სიტყვის შემადგენელი ცალკეული ნაწილები, გამოიყენოს ახალი სიტყვები თუ გამოთქმები სიტუაციურ საუბარში და ა. შ. შესაბამისად, შეფასებისას უნდა განისაზღვროს, თუ რამდენად აქვს გამოსაცდელს ათვისებული ეს უნარები.

მნიშვნელოვანია სიტყვების კითხვის ტემპი. ექსპერტები გვირჩევენ, ვისარგებლოთ წამმზომით, რატა დავადგინოთ, თუ რამდენი სიტყვის ამოკითხვას შეძლებს ბავშვი, მაგალითად, 1 წუთის განმავლობაში; თუ მოსწავლე 60 წამში 30 სიტყვას ვერ კითხულობს – ეს უკვე პრობლემაა და შეფასებისას მას ქულა აკლდება (იხ. ეგრა, 2010)...

სწავლების გარკვეულ ეტაპზე მოსწავლემ უკვე უნდა შეძლოს გამართული კითხვა. ეს ეხება არა სმამადალ, არამედ ჩუმად კითხვას: გამართულად მკითხველი ჩუმად კითხვის დროს, დეკოდირების გარეშე, ავტომატურად ამოიცნობს სიტყვებს და ადვილად იგებს ტექსტის შინაარსს; შესაბამისად, მისოვის უკვე პრობლემა არარ არის, არ უჭირს სმამადლა კითხვა, სასვენ ნიშნებთან სათანადო პაუზებს აკეთებს და ირჩევს შესაბამის ინტონაციას.

მომდევნო ეტაპია წაკითხულის გაგება-გააზრება და ტექსტის ინტერპრეტაცია. განსხვავებით დეკოდირებისა და სიტყვების ამოცნობისაგან, წაკითხულის გააზრება ტექსტის სიღრმისეული შემეცნების პროცესია და მასში გადმოცემული აზრების გაცნობიერებასა და კონსტრუირებას გულისხმობს (შდრ, კითხვის ეფექტური მეთოდები, 2010, გვ. 13).

რასაკვირველია, თითოეული ამ ეტაპის შეფასება გრადაციას ექვემდებარება და საფეხურებრივ ზრდას გულისხმობს.

## ენის შევასება და ტუსტირება

### ბ. ზერა

წერას, საზოგადოდ, წიგნიერების შემადგენელ კომპონენტად განიხილავთ. წერის უნარების განვითარებისას, ყურადღება მახვილდება, უპირველეს ყოვლისა, შემდეგ ასპექტებზე:

1. რამდენად აქვს გამოსაცდელ პირს გაცნობიერებული წერის მიზანი;
2. რამდენად აქვს გააზრებული აუდიტორია (ვისთვის წერს);
3. არის თუ არა შესაბამისობაში (ადეკვატურია თუ არა) წერილის სტრუქტურა მიზანსა აუდიტორიასთან;
4. ნაწერის ენობრივი მახასიათებლები (ლექსიკა, გრამატიკა);
5. შემოქმედებითად იყენებს დამხმარე დეტალებს სათქმელის უკეთ წარმოსაჩენად.

წერის პროცესი საჭმალ როგორია და რამდენიმე ეტაპს მოიცავს:

1. იდეების გენერირება წერის დაწყებამდე
2. პირველი ვარიანტის შექმნა
3. გადამუშავება საბოლოო ვარიანტის შექმნამდე
4. რედაქტირება
5. გამოქვეყნება.

რასაკვირველია, შეფასებისას უნდა მოხდეს ყველა ამ კომპონენტის გათვალისწინება; კერძოდ, მოწმდება:

- a. ტექსტის სტრუქტურა (იგულისხმება ისეთი პარამეტრები, როგორიცაა აბზაცი, რვეულის არებიდან დაშორება და ა. შ.)
- b. ლოგიკური ასკექტები (რამდენად მწყობრი და არგუმენტირებულია ნაწერში გამოთქმული აზრი);
- c. ლექსიკის გამოყენება;
- d. გრამატიკა;
- e. მართლწერა და პუნქტუაცია.

წიგნიერების საერთაშორისო კვლევის ანგარიში, 2010.

## ენის შეფასება და ტუსტირება

წერის უნარების შეფასებისას ტესტური დავალების რამდენიმე სხვადასხვა ტიპი გამოიყენება. მაგალითად, იმისათვის, თუ რამდენად შეუძლია შემსწავლელს მიზნისა და აუდიტორიის განსაზღვრა, რეკომენდებულია ამგვარი ტესტური დავალების მიცემა:

**შეაღგინო ორი დიალოგი: ერთი მეგობართან, მეორე მასწავლებელთან (თემა შეარჩიეთ დამოუკიდებლად).**

შემსწავლელის მიერ ლოგიკური მიმართებების ფლობის უნარის შემოწმებისას შესაძლებელია, მაგალითად ამ ტიპის დავალების მიცემა:

**დააღაგეთ ტექსტი ლოგიკური თანმიმდევრობით (წინ მიუწერეთ რიგითი ნომერი):**

პირველი საათი, რომელიც ადამიანმა გამოიგონა, მზისა იყო, გენიალურად მარტივი კონსტრუქციით - მიწაში ჩარჭობილი ჯოხითა და მის გარშემო დახატული ცოდვებლატით. ისრის როლს ასრულებდა ჯოხის ჩრდილი.

შემდეგ, დაახლოებით ათასი წლის წინ, ქვიშის საათი შექმნეს. მაგრამ ეს საათი დროის მხოლოდ მცირე მონაკვეთის, მაქსიმუმ ნახევარი საათის, განმეოს ახერხებდა.

მაგრამ მზის საათის ლოგიკური ნაკლი ის იყო, რომ ავდარსა და შენიშვი გამოუხადებარი იყო.

კერძოა პირველი მექანიკური საათები მონასტრების კოშკებზე მეორობების საუკუნეში გამოჩნდა.

მაჯის საათები პირველად მეცნიერებულ საუკუნეებში შექმნეს მხოლოდ ქალებისთვის. ეს საათები ძვირფასი თვლებით იყო მორთული.

ამის გამო თოხი ათასი წლის წინ პუნქტუალობის მოყვარულმა ადამიანებმა წყლის საათი გამოიგონეს. პირველი მაღვიძარაც სწორედ წყლის საათს პქონდა.

## ენის შევასება და ტუსტირება

როგორი იქნებოდა ჩვენი ცხოვრება, რომ არ არსებობდეს საათი, მაღალიარა და დღის გრაფიკი? საათის შექმნას დიდი ისტორია აქვს.

წერის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შემსწავლელის მიერ თეზისის წამოჭრისა და არგუმენტების მოხმობის უნარს; ამ უნარების გამოსავლენად და შესაფასებლად შესაძლებელია შემდეგი ტიპის დავალებების მიცემა:

**განავრცელ მოცემული თეზისი სათანადო ენობრივი საშუალებების გამოყენებით:**

მოქლე ტექსტური შეტყობინება (მესიჯი) მოზარდოთა შორის ურთიერთობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა.

მოცემულია კაცობრიობის ოცამდე ყველაზე მნიშვნელოვანი გამოგონება. თქვენი აზრით, ამ სიიდან რომელია სამი ყველაზე მნიშვნელოვანი და რატომ ფიქრობთ ასე? პასუხი დაასაბუთეთ სათანადო არგუმენტებით:

დანა, წებო, მუსიკალური ისტრუმენტები, ლამფა, ქვაბი,  
სარკე, ბორბალი, საპონი, კომპასი, შუშა, დენთი,  
აგვიანი, თვითმფრინავი, კინოკამერა, ტელევიზორი,  
კომპიუტერი, ხელოვნური თანამგზავრი, ლაზერი, პრინტერი.

ანდა:

**გართებულია თუ არა მოყვანილი თეზისი? პასუხი დაასაბუთეთ არგუმენტებით.**

საქართველო ტოლერანტული ქვეყანაა.

დასაშვებია ამ ტიპის დავალების მიცემაც:

**ააგეთ მსჯელობა მოცემულ თემაზე:**

უნდა მისდოოს თუ არა ადამიანმა მოდას? უნდა ჩაიცვას თუ არა ადამიანმა მოდურად?

## მნის შეფასება და ტუსტირება

წერის ერთ-ერთი კომპონენტია საკუთარი პოზიციის გამოხატვა; ფაქტობრივად, ეს კომპნენტი შექსაბამება ბლუმის ტაქსონომიის უმაღლეს საფეხურს – შეფასებას და ენობრივი კომპეტენციების ფლობის მაღალ დონეს გულისხმობს. ამ უნარის შესაფასებლად მიზანშეწონილია ესეს ტიპის შემდეგი დავალების მიცემა:

**გამოხატეთ საკუთარი პოზიცია მოცემულ თემასთან  
დაკავშირებით:**

უმაღლეს სახწავლო დაწესებულებაში სწავლისას საჭიროა  
თუ არა საშინაო დავალებების შესრულება?

ყველაზე სრულყოფილად წერის სხვადასხვა უნარის კომპლექსურად შესაფასებლად ესეს ტიპის დავალების მიცემაა. ამ შემთხვევაში აუცილებელია ზუსტი და ობიექტური ინსტრუქციების მიცემა გამსწორებლებისათვის, რათა თითოეული კომპონენტი ინსტრუქციად და სამართლიანად შეფასდეს; მაგ:

**მოცემულია თემები. ამოირჩიეთ ერთი მათგანი და შექმენით  
აღწერითი ტექსტი.**

თქვენი სკოლა  
თქვენი ქალაქი/სოფელი  
თქვენი საყვარელი მსახიობი

(ინსტრუქცია: მაქსიმალური ქულაა 10; 3 გრამატიკულ შეცდომაზე აკლდება 1 ქულა; ლექსიკის მწირი გამოყენება – აკლდება 1 ქულა; ლოგიკურად გაუმართაობის შემთხვევაში – 3 ქულა; ტექსტის სტრუქტურული მთლიანობის დარღვევისათვის – აკლდება 2 ქულა... და ა. ა.).

გრამატიკული ცოდნის შესამოწმებლად სხვადასხვა ტიპის დავალებების მიცემაა შესაძლებელი (დაწვრილებით იხ, ქვემოთ); მეტწილად იყენებენ აპრობირებულ და გავრცელებულ ტესტურ დავალებას:

**გადაიყვანეთ ტექსტი მესამე პირში:**

აბიტურიენტი ვარ და ვეძები, თან სკოლაში დავდივარ. დილით  
ისე მიწვეს შინიდან გასვლა, რომ დილით ჭამას ვერ ვახერხებ,

## ენის შევასება და ტქისტირება

ამიტომაც დროის უქონლობის გამო სხვების მხგავსად ურკეთმოდ ვიკებები ქვეაში. ამის გამო საგრძნობლად მოვიმატე წონა. ვარ დეპრესიაში. მუდმივად უკმაყოფილო ვარ ჩემი თავით და მთლიანად ჩემი ცხოვრებით. მირჩიეთ, რა ვქნა? როგორც მითხრეს, საუკეთესო გამოსავალი ფიზიკური აქტივობაა, განსაკუთრებით ცურვაზე სიარული. მაგრამ, გულახდილად რომ ვთქვა, მეზარება ამის გაკეთება, არადა, დარწმუნებული ვარ, ჩემთვის სასურველ შედეგს მაღვე მივიღებ.

ადრეულ ასაკში, როგორც ზემოთ ითქვა, გარკვეულწილად განსხვავებულ უნარებზე კეთდება აქცენტი; მაგალითად, ამ ეტაპზე სეუძლებელია, მოვითხოვოთ ბავშვისგან ლოგიკური ასპექტების გათვალისწინება, ანდა მართლწერისა და პუნქტუაციის წესების დაცვა; თუმცა, აუცილებელია ისეთი მოთხოვნების დაკმაყოფილება გამოსაცდელისგან, როგორიცაა:

1. წერს თუ არა ყველა ასოს;
2. შეუძლია თუ არა ტექსტის გადაწერა;
3. შეუძლია თუ არა სიტყვებისა და წინადაღებების კარნახით ჩაწერა;
4. შეუძლია თუ არა წინადაღების კონსტრუირება...

ადრეული წიგნიერების კვლევა, ეგრა, 2009

მომდევნო ეტაპზე ფასდება შემდეგი უნარები:

ასახელებს პუნქტუაციის ნიშნებს და აღწერს მათ დანიშნულებას; შეგნებულად იყენებს გრამატიკის, ორთოგრაფიის, პუნქტუაციის პრაქტიკულად აუცილებელ მინიმუმს; წერს ნარატიულ/თხრობით ან აღწერით აბზაცს; წერს არგუმენტირებულ ესეის სტრუქტურის დაცვით, თეზისის ჩამოყალიბებით და არგუმენტების მოშველიებით...

უნდა შეფასდეს აგრეთვე, რამდენად შეუძლია გამოსაცდელს მისთვის ნაცნობ მარტივ თემებზე აზრობრივად გამართული ტექსტის დაწერა, უნდა შეეძლოს საკუთარი შთაბეჭდილებების და გამოცდილების გადმოცემა, საკუთარი მოსაზრების დასაცავად არგუმენტებისა და კონტრაარგუმენტების მოყვანა, მოვლენათა თანამიმდევრობის ლოგიკურად გადმოცემა; მიზეზისა და მიზნის გადმოცემა; უნდა შეეძლოს წერილების წერა, რომლებშიც გარკეულად აღწერს მოვლენებისადმი პირად მოსაზრებას და დამოკიდებულე-

## **მნის შეფასება და ტუსტირება**

ბებს... ყველა ეს მოთხოვნა ენის ფლობის დონეთა განსხვავებულ საფეხურებს განეკუთვნება და შესაბამისად, ტესტი I-ებს ნორმაზე ორიენტირებულ ხასიათს – ზუსტად განისაზღვრება, თუ რომელ საფეხურზე იმყოფება გამოსაცდები (A1, A2, B1, B2...).

### **ბ. ლექსიკა**

ლექსიკა და გრამატიკა, ბუნებრივია, ენობრივ უნარებად არ განიხილება: ყველა სამეტყველო უნარ-ჩვევის (ლაპარაკი, მოსმენა, კითხვა, წერა...) განვითარებისათვის შემადგენელი კომპონენტია ლექსიკური მარაგის შევსება და გრამატიკული (როგორც მორფოლოგიური, ასევე სინტაქსური) სტრუქტურის ათვისება... ამ თავისებურებიდან გამომდინარე, შეფასების მიზანი უნდა იყოს არა მხოლოდ იმის შემოწმება, თუ რა ოდენობის ლექსიკური მარაგი აქვთ მოსწავლეებს (ამის შემოწმება, პრაქტიკულად, შეუძლებელია), არამედ იმის შეფასება, თუ რამდენად კარგად ფლობენ ისინი კითხვის, მოსმენის თუ წერის სხვადასხვა სტრატეგიას უცნობი ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობის გასაგებად, ანუ რამდენად ეფექტურად იყენებენ ტექსტზე დართულ საცნობარო აპარატს (ლექსიკონს და სქოლიოებს...), ასევე, რა სააზროვნო უნარებს იყენებენ მათ ამოსაცნობად – მაგალითად, შეუძლიათ თუ არა კონტექსტზე დაყრდნობით უცნობი ლექსიკური ერთეულების სწორად გაგება და აღქმა. (ენათა ფლობის...(1), 2008, გვ. 178)

წვეულებრივ, ლექსიკური მარაგის ფლობის შესამოწმებლად, სამეტყველო ქმედებების იმ თემატური სფეროებიდან იღებენ სიტყვებს (რასაკვირვებებია, შერჩევით), რომელთა ცოდნაც აუცილებელია ამა თუ იმ კონკრეტულ დონეზე; მაგალითად, A1 დონეზე საბანკო საქმიანობის ან იურისპრუდენციის სფეროდან შერჩეული ლექსიკური ერთეულების (მით უმეტეს – ტერმინების) ცოდნას ვერ მოვთხოვთ შემსწავლელს... გამოიყენება შემდეგი სახის ტერმური დავალებები:

## ენის შევასება და ტქისტირება

მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სათანადო სიტყვა:

ბიძა, ბაბუა, დეიდაშვილი - ჩემი ..... არიან.

წელიწადის რომელი დრო მოდის გაზაფხულის შემდეგ?

სად შეიძლება იყიდოთ:

1. რგეული? \_\_\_\_\_
2. მსხალი? \_\_\_\_\_
4. ქურნალი? \_\_\_\_\_
5. სანთებულა? \_\_\_\_\_
6. ტანსაცმელი? \_\_\_\_\_
7. პური? \_\_\_\_\_
8. თერმომეტრი? \_\_\_\_\_

გაარკვიეთ სიტყვების ზოგადი მნიშვნელობები:

ბიჭი, კაცი, ქალი, გოგო... (= ადამიანი);

კატა, ძაღლი, ძროხა, ცხვარი... =

ჭიანჭველა, ქათამი, მგელი, ადამიანი... =

ქვა, მაგიდა, რგეული, ეზო... =

რა უფრო დიდია:

- ქვა თუ ლოდი? –
- არწივი თუ ბულბული?
- დათვი თუ თაგვი? –
- მზე თუ დედამიწა? –

## ენის შეფასება და ტუსტირება

გაიხსენე საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვა:

- დილა – (საღამო).
- დამე – .....
- სინათლე – .....
- მაღალი – .....

წინადადებაში: „ქალაქში უნდა წახვიდე და წიგნები ჩამოიტანო“ – რა მნიშვნელობით გამოიყენება სიტყვა უნდა?

- a. გამოხატავს სურვილს.
- b. მოდალური ვალდებულებას.
- c. გამოხატავს ბრძანებას.

### დ. ბრამატიკა

ცნებაში „გრამატიკული კომპეტენცია“ იგულისხმება ენის გრამატიკული საშუალებების ცოდნისა და გამოყენების უნარი.

ენის გრამატიკა შეიძლება განვიხილოთ, როგორც პრინციპების ერთიანობა, რომელიც აქცევს ელემენტების ერთობლიობას შინაარსის მქონე წინადადებად. გრამატიკული კომპეტენცია იძლევა კარგად ფორმულირებული ფრაზებითა და წინადადებებით შინაარსის გამოხატვისა და გაგების საშუალებას. ნებისმიერი ენის გრამატიკა ამ გაგებით არის მეტად ამომწურავად დამუშავებული კომპლექსური ერთობლიობა. კომპეტენციის განსასჯელი არ არის, თუ რომელი მათგანის გამოყენებას მიეცემა პრიორიტეტი. მომსმარებელი უნდა წახალისდეს, რათა მიჰყვეს თავის არჩევანს და გამოიყენოს პრაქტიკაში (ენათა ფლობის...), 2008, გვ. 180). წვენ აქ შემოვიფარგლებით ზოგიერთი პარამეტრითა და კატეგორიით, რომელიც ფართოდაა გამოყენებული გრამატიკულ აღწერილობაში.

## ენის შეზასხვა და ტქისტირება

ენის გრამატიკული წეობის აღწერა გულისხმობს შემდეგ ცნებათა კონკრეტიზაციას:

- **ელემენტები, მაგ.:** მორფები ძირგული მორფები და აფიქსები, სიტყვები.
- **კატეგორიები, მაგ.:** რიცხვი, ბრუნვა, პირი, კონკრეტული / აბსტრაქტული, გარდამავალი / გარდაუვალი მოქმედებითი / გვარი, დრო, ასპექტი...
- **კლასები, მაგ.:** უდლება, ბრუნვა, დია ლექსიკური კლასები: არსებითი, ზედსართავი, ზმნა, ზმნიზედა....
- **სტრუქტურები, მაგ.:** რთული და შედგენილი სიტყვები, შესიტყვებები (ზმნური, სახელური და ა. შ.), წინადაღება (მთავარი და დაქვემდებარებული), მარტივი წინადაღება, რთული წინადაღება (რთული თანწყობილი, რთული ქვეწყობილი).
- **პროცესები, მაგ.:** ნომინალიზაცია, აფიქსაცია, სუბლეტივიზმი, გრადაცია, ტრანსპოზიცია, ტრანსფორმაცია.
- **წინადაღების წევრთა ურთიერთობის სახეები, მაგ.:** მართვა, შეთანხმება, მირთვა.

გრამატიკის შესწავლის დროს გრამატიკული მიჯნავენ მორფოლოგიასა და სინტაქსის.

მორფოლოგია სწავლობს სიტყვების შინაგან ორგანიზებას, სიტყვაში გამოიყოფა:

- ფუძე და ძირი;
- აფიქსები (პრეფიქსები, სუფიქსები, ინფიქსები).

### სიტყვათწარმოება:

სიტყვები შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგნაირად:

- მარტივი სიტყვები (კაცი, წიგნი...)
- რთული სიტყვები (ძირი+აფიქსი, მაგ.: კაც-ური, უ-წიგნ-ური...)
- შედგენილი სიტყვები (შეიცავს ერთ ძირზე მეტს, მაგ.: და+ენა=დედაენა, დედ-მამა...).

მორფოლოგია ასევე სწავლობს ფორმათწარმოქმნის ხერხებს.

## ენის შეფასება და ტუსტირება

სინტაქსის საგანს წარმოადგენს წინადადებაში სიტყვათა ურთიერთმიმართება ელემენტების, სტრუქტურების, კატეგორიების, კლასების, პროცესებისა და ურთიერთობის სახეების დონეზე. ამასთანავე, სინტაქსი ხწაგლობს წინადადებაში სიტყვათა ურთიერთობებს გარკვეული წესების კომპლექსის საფუძველზე. უფროსი ასაკის ენის მატარებლის სინტაქსი საკმაოდ რთულია და მათი წარმოქმნა ხდება უმეტესად გაუცნობიერებლად. გარკვეული შინაარსის მქონე წინადადების აგების უნარი უდევს საფუძვლად კომუნიკაციურ კომპეტენციას.

(ენათა ფლობის... (1), 2008, გვ. 185).

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი აუცილებელია გრამატიკული სიზუსტისათვის. ოუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ფაქტობრივად შეუძლებელია ისეთი უნივერსალური ცხრილის შედგენა, რომელიც განსაზღვრავს შემსწავლელის გრამატიკული სტრუქტურის ფლობის დონეს ყველა ენისათვისამცხრილს ზოგადი სახე აქვს და ყველა ენისათვის სპეციფიკური „განშლაა“ აუცილებელი:

### გრამატიკული სიზუსტე

C2	მუდმივად ინარჩუნებს გრამატიკული სიზუსტის მაღალ დონეს რთული მეტყველების დროს, მაგრამ შემთხვევაშიც კი, როცა კურადღება იფანტება რაღაც მოხეზის გამო (მაგალითად, მომდევნო გამონათქვამების დაგეგმვისას, სხვების რეაქციის მონიტორინგის დროს).
C1	მუდმივად ინარჩუნებს გრამატიკული სიზუსტის მაღალ დონეს, იშვიათად უშვებს სხვებისათვის შეუმნეველ უზუსტობებს.
B2	გრამატიკული კონტროლის მაღალი დონის ჩვენება: წინადადების აგებისას მცირე ხარვეზები, რომელთა აღმოფხვრაც თვითონვე შეუძლია.
	გრამატიკული სიზუსტის შედარებით მაღალი დონე. შემსწავლელი არ უშვებს ისეთ შეცდომებს, რომელიც დაამახინჯებს გამონათქვამის აზრს.
B1	ნაცნობ სიტუაციებში მეტყველებს საკმაოდ ზუსტად, თუმცა ემჩნევა მშობლიური ენის გავლენა. აქვს შეცდომები, მაგრამ გამონათქვამის ზოგადი აზრი სავსებით ნათელია.
	საკმაოდ კარგად იყენებს გარკვეულ სტანდარტულ კონსტრუქციებს წინასწარგანსაზღვრულ სიტუაციებში.

## ენის შევასება და ტუსტირება

A2	ხწორად იყენებს მარტივ გრამატიკულ კონსტრუქციებს, მაგრამ მუდმივად უშვებს ტიპურ შეცდომებს. მაგალითად, ერევა დროები, არასწორად აფორმებს შეთანხმებას, თუმცა გამონათქვამის აზრი ნათელია.
A1	შეუძლია დაზეპირებული მარტივი კონსტრუქციებისა და წინადაღებების მოდელების შეზღუდული რაოდენობის გამოყენება.

ენათა ფლობის... (I), 2008, გვ. 186)

მოცემული ზოგადი პრინციპების გათვალისწინებით, უნდა მოხდეს შემსწავლელის გრამატიკული კომპეტენციის შეფასება. ამისათვის რამდენიმე ტიპის ტესტური დავალება გამოიყენება; ნიმუშის სახით გთავაზობთ რამდენიმე მაგალითს:

### რომელია სწორი ფორმა:

- ა) ბავშვმა კარი გააღო და ოთახში შევიდა
- ბ) ბავშვმა კარი გააღო და ოთახში გადავიდა
- გ) ბავშვმა კარი გააღო და ოთახში გამოვიდა
- დ) ბავშვმა კარი გააღო და ოთახში წავიდა

### მოცემული ფორმებიდან ჩასვით წინადაღებაში ერთ-ერთი:

1. ————— სახლში არ ვიქნები (გუშინ / ხვალ).
2. ————— თავისუფალი ვარ (გუშინ / დღეს).
3. ————— თეატრში კარგი სპექტაკლია (დღეს / გუშინ-წინ).
4. ————— დილით სად იქნება შენი ძმა? (გუშინწინ / ძაბუბ)
5. ————— მაღაზიაში ვიყავი და კარგი შარვალი ვიყიდე. (გუშინ / ხვალ)

### ჩასვით ფორმები ნიმუშის მიხედვით:

1. ნინო (1987-1989) 1987 წლიდან 1989 წლამდე პარიზში ცხოვრობდა.
2. მაია (6-10საათი) \_\_\_\_\_ ჩემთან იქნება.
3. (სამშაბათი – ხუმაბათი) \_\_\_\_\_ არ მცალია.

## ნის შევასება და ტუსტირება

4. ამ ხოლო ში გხვდავლობდი (1990-1995) \_\_\_\_\_  
5. (7 საათი - 9 საათი) \_\_\_\_\_ სახლში არ ვიქნები.

ჩასვით სათანადო დაბოლოებები სიტყვების ბოლოს:

კველანი სახლ... ვძრუნდებით; ამ ადამიან... კველა კარგს აძმობს; თეატრ... დღეს პრემიერაა; სახურავ... კარლხონი დაბინავდა; ამ ამბავ... დიდხანს ვფიქრობდი; სკოლა... მივდივარ; თოხის... ჭურჭელი კეთდება; სახლისა... წავედი.

ცალკე განიხილება ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის სფეროები; რასაკვირველია, ამ მიმართ ულებითაც უნდა მოხდეს შემსწავლის შეფასება:

გახაზეთ სწორი ფორმები:

მერაბმა, რამაზიმ, ლევანს, თოარმა, ნებანიზე, თენგიზ! მერაბიმ, ლევანმა, რამაზიზე, თამარიმ, ეთერი! ლევან! ეთერმა, ნოდარიმ, რამაზი! გურამისთან, ზაურმა, დაგით! თამაზზე, ბაქარმა, ზურაბ! ელდარისთან, ნებანმა, ეთერ! ელდარი! თემურმა.

ჩასვით გამოტოვებულ აღგილას:

შენს გამო, შენ გამო, შენგამო.  
..... ვერ წავედი.

ჩასვით სიტყვები სათანადო ფორმაში:

- წყალწაღებული \_\_\_\_\_ ეჭიდებაო. (ხავსი)
- მწერალმა მრავალი მოთხოვნა \_\_\_\_\_ და \_\_\_\_\_ . (თბილისი; ქუთაისი)
- \_\_\_\_\_ და ქაოსმა ქვეყანა განადგურებამდე მიიყვანა. (ომი)
- ამ \_\_\_\_\_ სასიამოვნო მოგონებები მაკავშირებს. (ნივთი)
- \_\_\_\_\_ ყველა მსურველი ვერ დაიტია. (გემი)

## ენის შეზასება და ტუსტირება

### გაასწორეთ შეცდომები:

1. ნუცა მანქანას აკეთებიებს. \_\_\_\_\_
2. მან სახლი ცნობილ დიზაინერს დააპროექტებია.
  
3. ეკა პალტოს ნინოს აკერინებს.
  
4. საჩუქარი დედამ შეარჩევია.
  
5. მგზავრმა მძღოლს ავტობუსი გააჩერებია.

### დახვით მძიმეები:

1. ლამაზი გოგოები ჯინსის შარვლებში გამოწყობილები უნივერსიტეტი ში მოვიდნენ.
2. ლუკამ საშინლად აღელვებულმა და გაფიორებულმა ლუკაც ვერ გადაყდაპა.
3. საბა ფიქრებში გართული ტიროდა.
4. გოგონა დედის მკერდში მიყუჩებული უკვე იცინოდა.
5. ბავშვები შეშინებულნი და დასველებულნი შინ დაბრუნდნენ.

საზოგადოდ, ენის სწავლების მაღალ საფეხურებზე უფრო მეტი მოთხოვნაა გრამატიკული ასკექტების მიმართ. მხოლოდ გრამატიკულ ფორმათა ანალიზი აღარ არის საკმარისი და გამოსაცდელს მოეთხოვება ტექსტის ენის აღქმა-გაგება, რაც გულისხმობს კონკრეტული ტიპის ტექსტისთვის დამახასიათებელი გრამატიკული კონსტრუქციების, ავტორისა თუ პერსონაჟის ენის, პროფესიული ლექსიკის, უარგონის, დიალექტური ფორმებისა და არქაიზმების ამოცნობასა და გაგებას, ასევე ფრაზეოლოგიზმებისა და მხატვრული ხერხების ამოცნობას, მათი შინაარსის აღქმა-გაგებას.

ტექსტის ენის გაანალიზება და შეფასება - ეს არის წაკითხული ტექსტის ენობრივი ანალიზი იმ ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებით (მხატვრული სახეები, სპეციალური ლექსიკა, ენობრივი კონსტრუქციები და

## ენის შეფასება და ტუსტირება

---

სხვ.), რომლებიც ქმნიან სხვადასხვა ჟანრის მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებს.

მეორე ენის შეფასებისას ტექსტის ენის ანალიზის უნარი მხოლოდ უმაღლეს საფეხურებზე (C1, C2) შეიძლება მოვთხოვოთ შემსწავლელს. ამ უნარების განვითარება საჭმალ მაღალი ენობრივი კომპეტენციების დაუფლებას გულისხმობს...

## 3. თვითშეფასება

როგორც ზემოთ აღინიშნა, იმისათვის, რომ მოსწავლე შეეჩვიოს საპუ-  
თარი პასუხის შემოწმებას, ჩამოუყალიბდეს შეცდომის მიმართ სწორი და-  
მოკიდებულება, დაძლიოს შიში შეცდომის წინაშე, მას საშუალება უნდა  
მივცეთ, თავად შეაფასოს საპუთარი ცოდნა (უნარები).

**თვითშეფასება** არის შემსწავლელის მიერ ენის ფლობის დონის მი-  
სეული შეფასება.

გამოკვლევათა შედეგები გვიჩვენებს, რომ ოუ შეფასება არ არის „სა-  
სიცოცხლო მნიშვნელობისა“ (მაგ.: კურსიდან კურსზე გადასვლა) თვითშეფა-  
სება შეიძლება გამოდგეს, როგორც **დამატებითი არგუმენტი** ენის ფლობის  
ობიექტური, სრულყოფილი შეფასებისთვის. თვითშეფასების ობიექტურობა  
მით უფრო მაღალია, როდესაც ეყრდნობა მკაფიოდ აღწერილ ინდიკატო-  
რებს, რომლებიც განსაზღვრავენ, ენის ფლობის სტანდარტებს; შეფასება  
იქნება უფრო ზუსტი, ოუ შემსწავლელს „ასწავლიან“ თვითშეფასებას. ასეთი  
სტრუქტურირებული თვითშეფასება შეიძლება უკავშირდებოდეს მასწავლებ-  
ლის შეფასებასა და ტესტის შეფასებას. რაც იმ შეთანხმებული შეფასების  
ეკვივალენტურია, რომელიც დაღგენილია მასწავლებელთა შორის ტესტებისა  
და მასწავლებლის შეფასების შორის (თანხვედრა-ვალიდურობა).

მაგრამ თვითშეფასების მთავარი ამოცანაა შემსწავლელის მოტივაციის  
ამაღლება და ენის შესწავლისადმი მისი შეგნებულ დამოკიდებულება: ის  
ეხმარება შემსწავლელს, შეაფასოს თავისი ძლიერი მხარეები, გაარკვიოს  
საკუთარი სისუსტეები და მოახდინოს თავისი სასწავლო ქმედებების კორექ-  
ცია.

თვითშეფასების სტანდარტიზაციის მიზნით, ევროპის საბჭომ შეიმუ-  
შავა ევროპული ენობრივი პორტფოლიო (ELP), რომლის მეშვეობითაც მოე-  
ლი ევროპის მასშტაბით ნებისმიერი ასაკისა და წარმოშობის ენის შემს-  
წავლელთ შეუძლიათ აღნუსხონ საპუთარი ენობრივი შესაძლებლობანი და  
ყველანაირი მნიშვნელოვანი კულტურული განცდა.

## ენის შეფასება და ტუსტირება

პორტფოლიო პერსონალური დოკუმენტია, რომელსაც ფლობს და რეგულარულად ანახლებს შემსწავლელი. იგი სამი განყოფილებისაგან შედგება:

- საპასპორტო განყოფილება, რომელიც აღნუსხავს ენობრივ კვალიფიკაციას და შესაძლებლობებს (ფორმალური და არაფორმალური) საერთაშორისო დონეზე აღიარებული სახით;
- ენობრივი და კულტურული ბიოგრაფიის განყოფილება, რომელშიც შემსწავლელთ შეუძლიათ აღწერონ ენის ცოდნა და სწავლისას მიღებული შთაბეჭდილებები რაც შეიძლება მეტ ენასთან მიმართებით;
- დოსიე – შემსწავლელის მიერ გაწეული შრომის მაგალითების განსათავსებლად, მიზნად ისახავს რა ადამიანთა მოტივირებას ენების შესასწავლად, როგორც ფორმალური განათლების ფარგლებში, ისე მის გარეთ, პორტფოლიო ხელს შეუწყობს ევროპაში მობილურობასაც, რადგან ის ნათლად აღნუსხავს ადამიანის ენობრივ შესაძლებლობებს, რაც ამ უკანასკნელს მნიშვნელოვნად გამოადგება სამუშაო განაცხადის შევსებისას, რომელიმე საგანმანათლებლო დაწესებულებაში შესვლისას და ა.შ.

პორტფოლიოს ნიმუშების აკრედიტაციის წესები შეთანხმდა და აკრედიტაციაზე პასუხისმგებლობის ასაღებად კულტურული თანამშრომლობის საბჭოს განათლების კომიტეტის ხელმძღვანელობით შეიქმნა ევროპის ვალიდაციის კომიტეტი. პორტფოლიო ამოქმედდა 2001 – „ევროპის ენათა“ წელს.

დღესდღეობით აქტიურად განიხილება საკითხი სხვადასხვა ქვეყანაში „ეგროპული ენობრივი პორტფოლიოს“ ფართო დანერგვის შესახებ. ენობრივი პორტფოლიო საშუალებას მისცემს შემსწავლელს, დააფიქსიროს თავისი გზა მრავალენოვნების მისაღწევად და წარმოაჩინოს თავისი მიღწევები სხვადასხვა ენაში. ენობრივი პორტფოლიო მოწოდებულია იმისთვის, რომ შემსწავლელმა რეგულარულად განახორციელოს შესასწავლი ენის ფლობის დონის თვითშეფახვა. იმისათვის, რომ ენობრივ პორტფოლიოში წარმოდგენილი ცნობები სარწმუნოდ იქნეს მიღებული, ის უნდა იყოს შევსებული დაფიქრებულად, ყოველგვარი ორაზროვნების გამორიცხვით.

## ენის შევასება და ტუსტირება

ენობრივი პორტფოლიო არის შემსწავლელის – მოსწავლის ან სტუ-  
დენტის საკუთრება. ის თან სდევს შემსწავლელს სწავლის მთელი პროცესის  
განმავლობაში, თუნდაც მანამდე, სანამ ისინი შეიცვლიან აკადემიურ თუ  
სასწავლო კურსს.

ევროპული ენობრივი პორტფოლიო მომხმარებლებს აძლევს შემდეგ  
საშუალებებს:

- ჩაიწეროს მათი ყველა ენობრივი უნარი და გამოცდილება სხვადასხვა  
ენის გამოყენებაში, სხვა ქვეყნებში ან დანარჩენ რეგიონებში და იმ  
ენაზე მეტყველებთან კონტაქტები, რომლებიც განსხვავდება მათი  
მშობლიური ენისაგან (ენებისაგან) ისე, რომ შესაძლებელი იყოს მათი  
წარდგენა მესამე მხარისთვის;
- განვითარდეს მათი ენის სწავლის ავტონომიურობა, ანუ იმაზე ფიქრი,  
თუ როგორ საქმიანობენ და სწავლით როგორ ახდენენ თვითშეფასე-  
ბას;
- მიზანმიმართული სვლა ნამდვილი მრავალენოვნებისკენ.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, „ენათა ფლობის ზოგადევროპული  
კომპეტენციები“ ყოფს დონეების სკალას სხვადასხვა ენობრივი აქტივობის  
მიხედვით: მოსმენა - კითხვა - წერა - მეტყველებითი ინტერაქტივი – ზეპირი  
წარმოთქმა. აქედან გამომდინარე, წვენ ვიღებთ თვითშეფასების ბადეს, რო-  
მელიც ქვემოთაა მოცემული. ამ ბადის თითოეულ ბლოკში „ენათა ფლობის  
ზოგადევროპული კომპეტენციები“ წარმოადგენს განსაზღვრებას, რომელიც  
განსხვავდება სხვა ბლოკების შინაარსისგან ვერტიკალური დერძის გასწ-  
ვრივ გამოყენებული ენის აქტივობის ტიპის მიხედვით და პორიზონტალური  
დერძის გასწვრივ – შეძენილი კომპეტენციის დონით. ამის გამო, მოსწავლის  
კომპეტენციის დონე შესაძლებელია დადგინდეს ცალ-ცალკე თითოეულ აქ-  
ტივობაში მისი უნარის მიხედვით. მაგალითად, ერთი და იგივე პიროვნება  
საკმაოდ ობიექტურად და ბუნებრივად შეიძლება შეფასდეს A2 დონეზე წა-  
კითხულის გაგებაში (რეცეფციული უნარი) და A1 დონეზე – წერით გამო-  
ხავაში (პროდუცირების უნარი, რომელიც დონში, როგორც წესი, მისდევს  
რეცეფციულ უნარებს) ქართულ (მეორე) ენაში...

## የኖብ ሽეቶታዊና ደንብ ቅዱስተኛነት

სწავლის სხვადასხვა ტიპების, პირადი საქმიანობების თუ სამსახურების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მოსწავლეებმა ან სტუდენტებმა შესაძლებელია გადაწყვიტონ, კონცენტრაცია მოახდინონ ერთ ენობრივ აქტივობაზე, ვიდრე მეორეზე და, ამგვარად, გამოავლინონ საკმაო დისპალანსი გაგების (რეცეფციის) თუ პროდუცირების მიღწეულ დონეებს შორის, იქნება ეს ზეპირი თუ წერითი. სხვადასხვა ენობრივ აქტივობაში კომპეტენციის დონეებს შორის დისპალანსი ბუნებრივად უნდა მივიღოთ. ეს ასიმეტრია არ არის დაბრკოლება, არამედ შესაძლებელია სწავლის ბიძგად იქცეს. სწავლების თანამიმდევრობები მეტად მრავალრიცხოვანია, კერძოდ, ლინგვისტურ კვალიფიციურობაში განსხვავებები იმას შორის, თუ რა არის აუცილებელი გაგებისთვის და რა არის აუცილებელი პროდუცირებისათვის. თვითშეფასების ბადის წყალობით ხუთ სხვადასხვა საკომუნიკაციო აქტივობაში ამჟამად ენის შემსწავლელებს აქვთ არსებული რეალობის ზუსტად ჩაწერის საშუალება:

## ენის შეზასხვა და ტუსტირება

				მკაფიოდ.
მ ც ა ბ ი რ ე ბ ი ს	წაკითხვა	მე შემიძლია განცხადებებში, პლაკატებში, ან კატალოგებში ნაცნობი სახელების, სიტყვებისა და ძალიან მარტივი წინადაღებების გაგება.	მე შემიძლია მოკლე ტექსტების გაგება. მე შემიძლია ყოველდღიური ურთიერთობების ენტერივ მასალაზე აგებული ტექსტის გაგება. მე შემიძლია კერძო ხასიათის წერილებში აღწერილი მოვლენების, გრძნობებისა და სურვილების გაგება	მე შემიძლია ყოველდღიური და პროფესიული ურთიერთობების ენტერივ მასალაზე აგებული ტექსტის გაგება. მე შემიძლია კერძო ხასიათის წერილებში აღწერილი მოვლენების, გრძნობებისა და სურვილების გაგება
	დიალოგი	მე შემიძლია მარტივი დიალოგი პიროვნებასთან თუ ის ჩემი თხოვნით გაიმეორებს თავის ნათქვამს, ან ჩამოაყალიბებს მას უფრო ნელი ტემოით და დამეხმარება ჩემი სათქმელის ფორმულირებაში. მე შემიძლია მარტივი შეკითხვის დასმა და პასუხის გაცემა ჩემთვის ნაცნობი ან საინტერესო თემების ფარგლებში	მე შემიძლია ურთიერთობა მარტივ, ტიპობრივ სიტუაციებში, სადაც მომეოთვება ჩემთვის ნაცნობი თემებისა და საქმიანობის ფარგლებში ინფორმაციის უშუალო გაცელა. მე შემიძლია ჩაგება დალიან მოკლე ჩემთვის ნაცნობ / საინტერესო თემებზე (მაგ. „ოჯახი“, „პობი“, „სამსახური“, „მოგზაურობა“, „მიმდინარე მოვლენები“).	მე შემიძლია იმ მრავალგვარ სიტუაციაში ურთიერთობა, რომელიც წარმოიშვება შესასწავლი ენის ქვეყანაში ყოფნისას. მე შემიძლია მოუმზადებლად მივიღო მონაწილეობა დიალოგებში ჩემთვის ნაცნობ / საინტერესო თემებზე (მაგ. „ოჯახი“, „პობი“, „სამსახური“, „მოგზაურობა“, „მიმდინარე მოვლენები“).
	მონოლოგი	მე შემიძლია მარტივი წინადაღებებისა და ფრაზების გამოყენებით მოვყვე ჩემთვის ნაცნობი ადამიანების ან ჩემი საცხოვრებელი	მე შემიძლია უბრალო ფრაზებით და წინადაღებებით მოვყვე ჩემი ოჯახისა და სხვა ხალხის, ცხოვრების პირობებისა და სწავლის, ამჟამინ-	მე შემიძლია მარტივი საშუალებებით ერთმანეთს დაუკავშირო ფრაზები, რომ აღვწერო პირადი შტაბებილებები და მოვლენები, მოვყვე

## მნის შეფასება და ტუსტირება

		ადგილის შესახებ.	დელი და ძველი სამსახურის შესახებ.	ჩემი ოცნებების, იმედებისა და სურვილების შესახებ. მე შემიძლია მოკლედ ავხსნა და დაგვასაბუთო ჩემი შეხედულებები და გეგმები. მე შემიძლია ამბის მოყოლა და წიგნის ან ფილმის შინაარსის გადმოცემა და მის მიმართ ჩემი დამოკიდებულების გამოხატვა.
ა ვ ა რ	წერა	მე შემიძლია მისალოცი ბარათების წერა, ფორმულარების შევსება, სასტუმროს სარეესტრაციო ფურცელში გვარის, ეროვნების, მისამართის შეტანა.	მე შემიძლია მოკლე შეტყობინებათა და ბარათების წერა. მე შემიძლია მარტივი პირადი ხასიათის წერილის დაწერა (მაგ. ვინმეს მიმართ მადლიერების გრძნობის გამოხატვა).	მე შემიძლია ჩემთვის ნაცნობ ან საინტერესო თქმებზე მარტივი გაბმული ტექსტის დაწერა. მე შემიძლია კერძო ხასიათის წერილის დაწერა, რომელშიც ჩემს განცდებსა და შტაბეჭდილებებზეა საუბარი.

ქართული ენისათვის ენობრივი პორტფოლიო 2011 წელს შეიქმნა. წესისამებრ, იგი 3 ნაწილისგან შედგება და ეფუძნება ზოგადევროპულ სტანდარტებს. გთვაზობთ ამონარიდს ამ პორტფოლიოდან (სრულად იხ. ევროპული ენობრივი პორტფოლიო, თბილისი, „საიმედო“, 2011):

# ენის შეფასება და ტესტირება

დანართი 1

„ჩემი უნარები“

თვით შეფასება

(არამშობლიური ენების ჩემეული შეფასება)

ქვემოთ მოთავსებული თითოეული ცხრილი განკუთვნილია შენი უნარების გამოსავლენად იმ არამშობლიურ ენებში, რომლებსაც სწავლობ. მათ შეფასებაში დაგეხმარება თვითშეფასების ტაბულა.

ჩემი უნარები

ენა -----

თარიღი -----

	ენის გასაღები A 1	ენის საფუძველი A 2	ზღვრული დონე B 1
როცა ვისმენ			
როცა ვსაუბრობ			
როცა ვკითხულობ			
მე შემიძლია დაგწერო			

# ენის შეფასება და ტუსტირება

დანართი 2

„ჩემი ენობრივი ბიოგრაფია“

## მოსმენა

### ენის გასაღები

#### A 1

მე შემიძლია ცალკეული სიტყვებისა და წინადაღებების გაგება მოთხოვებსა და ზღაპრებში.

მე შემიძლია მარტივი საბავშვო ლექსებისა და სიმღერების გაგება.

მე შემიძლია გავიგო პიროვნების სახელი, გვარი და მისამართი.

მე შემიძლია მარტივი თხოვნის გაგება.

მე შემიძლია წარმოთქმული სახელების, გვარების, რიცხვების, საათის გაგება.

მე შემიძლია მარტივი თხოვნის, შეკითხვის გაგება, თუ მელაპარაკებიან ნელა.

მე შემიძლია მარტივი ბრძანების გაგება და მისი შესრულება.

მე შემიძლია გავიგო, როცა მეკითხებიან ჩემს გინაობას და მისამართს.

მე ასევე შემიძლია -----  
-----

## ენის შეზასება და ტესტირება

დანართი 3  
„ჩემი დოსიქ“

ჩააწყვე საქალალდეში ყოველივე ის, რის შენახვა და სხვებისთვის ჩვენება გინდა. ეს შეიძლება იყოს:

- შენთვის საინტერესო სურათები, რომლებსაც წარწერები აქვს შენთვის მეორე ან უცხო ენაზე.
- წერითი დაგალებები.
- შესწორებული და შეფასებული საკონტროლო სამუშაოები.
- საკუთარი მეტყველების მაგნიტოფირი ან CD.
- და ასე შემდეგ...

შენ შეგიძლია მუდმივად შეავსო ეს საქალალდე ახალი მასალით.

## ენის შეფასება და ტუსტირება

დანართი 4

### მასწავლებლის გვერდი

მოსწავლე —————

შესასწავლი ენა / ენები —————

საგნები, რომლებიც ისწავლება არამშობლიურ ენაზე —————

ენის ფლობის დონის შეფასება: მოსწავლის წარმატებების მოკლე დახასიათება

—————

—————

—————

—————

მასწავლებლის ხელმოწერა —————

მოსწავლე —————

შესასწავლი ენა / ენები —————

საგნები, რომლებიც ისწავლება არამშობლიურ ენაზე —————

—————

—————

—————

ენის ფლობის დონის შეფასება: მოსწავლის წარმატებების მოკლე დახასიათება

—————

—————

—————

## თავი 3

### ტესტირების მნიშვნელობა მეორე ენის სტაციუნბის პროცესში

#### შესავალი

**ტესტირება** - შეფასების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმა. განათლების სხვადასხვა საფეხურზე ტესტირება გამოიყენება, როგორც ცოდნისა და უნარების შეფასების ერთ-ერთი ობიექტური და შედარებით სწრაფად განხორციელებადი მეთოდი.

ტესტირების ინსტრუმენტს ტესტი წარმოადგენს.

რა არის ტესტი?

ტესტი (test) ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს გასინჯვას, გამოცდას, შემოწმებას. ტესტი სპეციალური კვლევის მეთოდია, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანთა ცოდნის, შესაძლებლობებისა და უნარ-ჩვევების ობიექტურ, სწრაფ და სანდო შეფასებას. ტესტი – ეს არის საზომი ინსტრუმენტი, რომელიც მეცნიერულ მეთოდოლოგიას ეფუძნება. ტესტის შექმნისა და ანალიზის თეორიას შეისწავლის მეცნიერების სპეციალური დარგი, რომელსაც ფსიქომეტრიკა ეწოდება.

ტესტის, როგორც საზომი ინსტრუმენტის უმნიშვნელოვანესი ცნებებია ვალიდობა, სანდოობა, არატენდენციურობა – მათ ხშირად ტესტის განზომილებებსაც უწოდებენ.

ჩვეულებრივ, ტესტი შედგება ამოცანებისა და კითხვებისგან, რომლებსაც ტესტურ დავალებებს ან ტესტურ კითხვებს უწოდებენ. მაგრამ ტესტი არ არის ტესტური დავალებების (კითხვების) უბრალო ნაკრები, იგი მეცნიერული მეთოდოლოგიის საფუძველზე გარკვეული წესებით შედგენილი ინსტრუმენტია, სადაც თითოეულ ტესტურ დავალებას ან დავალებათა ჯგუფს თავისი განსაზღვრული ფუნქცია აქვს. ამავდროულად, ტესტში გამოყენებული ყოველი ტესტური დავალება გარკვეულ კრიტერიუმებს უნდა

## მნის შეფასება და ტუსტირება

აკმაყოფილებდეს. ამიტომ ტესტის შედგენა საკმაოდ რთული და შრომატევადი პროცესია. ამ პროცესს ტესტური დავალებების შედგენას უწოდებენ. მეცნიერებაში ცნობილია ტესტის შედგენის სხვადასხვა ტექნიკა, თუმცა ყოველი მათგანი აუცილებლად მოიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან ეტაპს. ესენია: ტესტის მიზნის და ამოცანის განსაზღვრა, შესაფასებელი ცოდნის და უნარების განსაზღვრა, ტესტის სპეციფიკაციის შედგენა, ტესტში ტესტური დავალებების ტიპების ბალანსის დადგენა, ტესტური დავალებების შედგენა, ტესტური დავალებების ემპირიული გამოცდა და ტესტის კონსტრუირება. თითოეული ეს ეტაპი, თავის მხრივ, მოიცავს არაერთ საფეხურს და სწორედ ამიტომ, ჩვეულებრივ, ტესტის შექმნაზე სპეციალისტთა საკმაოდ დიდი ჯგუფი მუშაობს, რომელიც შედგება ფსიქომეტრიკოსების, საგნობრივი და ტესტური დავალებების სპეციალისტების, განვითარების, კოგნიტური ფსიქოლოგიისა და სხვ. სპეციალისტებისგან.

ტესტის შედგენისას პირველ რიგში ძალიან მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული ტესტის საბოლოო მიზანი. ზუსტად უნდა განისაზღვროს, თუ რის გარკვევა გვხურს მოსწავლის ცოდნისა და უნარების შესახებ. მნიშვნელოვანია გვასსოვდეს, რომ, ტესტირების მიზანს არ წარმოადგენს მოსწავლის „გამოჭერა“, არამედ იმის აღნუსხვა, თუ რა ცოდნა და უნარები აქვს მოსწავლეს ან რა აითვისა მან სწავლის პროცესში (ტესტური დავალებების შექმნის ხელოვნება, 2009 გვ. 4).

საზოგადოდ, ტესტირების მიზნები შეიძლება იყოს: ათვისებული ცოდნის შეფასება; ქვეყანაში, რეგიონში, რაიონში ან რომელიმე კონკრეტულ სკოლაში არსებული ცოდნის დონის დადგენა გარკვეულ საგანსა თუ გარკვეულ კლასში; სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების დიაგნოსტირება, ენის ფლობის სერტიფიკატის მინიჭება და ა.შ. როგორიც არ უნდა იყოს ტესტირების მიზანი, იგი უოველოვის მოიცავს არსებული საგანმანათლებლო სისტემის სხვადასხვა კომპონენტსა და ასპექტებს და მათს მიმართებას მოსწავლეთა ტესტირების შედეგებთან. ტესტირების მიზნებიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს, თუ რა ცოდნისა და უნარების შეფასება გვინდა (ამ საკითხებზე ქვემოთ სპეციალურად შევჩერდებით) და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება ტესტური დავალებების (კითხვების) შექმნაზე მუშაობა.

## ენის შევასება და ტქისტირება

ტქის შედგება ტქისტური დავალებებისგან, რომლებიც სწავლის პროცესის სხვადასხვა კომპონენტს, უნარებსა და ცოდნას ზომავს. ტქისტური დავალება არ არის უბრალოდ შეკითხვა, ისეთი, როგორიც მასწავლებელმა შეიძლება დასვას კლასში გაკვეთილის მსვლელობისას ან მოსწავლის გამოკითხვისას. თუმცა ტქისტის რვეულში (ან ბუკლეტში), რომელსაც მოსწავლე ავსებს, ტქისტური დავალება კითხვის სახით შეიძლება იყოს წარმოდგენილი, მაგრამ ის უნდა იყოს ძალიან მკაფიოდ და არაორაზროვნად ჩამოყალიბებული და, ამავდროულად, წინასწარ უნდა არსებობდეს ამ კითხვის შესაძლო პასუხების შეფასების ზუსტი, სანდო და ობიექტური კრიტერიუმები. თუ ტქისტური დავალების შესაძლო პასუხები და მათი შეფასების კრიტერიუმები არ არის მკაფიოდ განსაზღვრული, მაშინ იგი ტქისტურ დავალებად ვერ ჩაითვლება, რადგან არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა შემფასებლის მხრიდან.

შესაძლებელია, ტქისტური დავალება არც იყოს კითხვის სახით წარმოდგენილი და მოსწავლეს მოეთხოვებოდეს კონკრეტული ამოცანის ან დავალების შესრულება, რომელიც ტქისტის ან ტქისტური დავალების ინსტრუქციაშია მოცემული. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თითოეული ტქისტური დავალება სპეციფიკურ მიზანს ემსახურება და, შესაბამისად, დამოუკიდებლად ფუნქციონირებს. კარგი ტქისტის აუცილებელი პირობაა ყოველი დავალების უშეცდომოდ და გამართულად ჩამოყალიბება. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ თუ ერთი ტქისტური დავალება ხარვეზიანია, მთლიანად ტქისტის შედეგები ეჭვება უნდა დადგეს, რადგან საბოლოო ქულასთან მიმართებით, თითოეული ტქისტური დავალება დამოუკიდებელია.

მასწავლებლები ხშირად სვამენ ხოლმე კითხვას: რომელი ტქისტია უკეთესი და არის თუ არა რომელიმე კონკრეტული ტქისტი საუკეთესო. პასუხი მარტივია: იდეალური ტქისტი, რომელიც ყველა მიზნისთვის იქნება გალიდური და სანდო (და, შესაბამისად, მოგვცემს ობიექტურ და ზუსტ შედეგებს) არ არსებობს, რადგან ერთი ტქისტი შეიძლება იყოს სრულიად ადეკვატური ერთი გარკვეული მიზნისთვის და სრულიად არავალიდური სხვა შემთხვევაში. სწორედ ამიტომ, როგორც ზემოთ ითქვა, სანამ ტქისტის კონსტრუქტება დაიწყება, ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული, თუ რა მიზნე-

## მნის შეფასება და ტუსტირება

ბისთვის იქმნება ტესტი. შეიძლება ჩამოვთვალოთ სრულიად სხვადასხვა მიზანი, რომელსაც შეიძლება ემსახურებოდეს ენის ტესტი. მაგ.:

- გაზომო და შეაფასო ენობრივი დახელოვნება იმ კურსებთან მიმართებით, რომლის აღებაც (შემდგომში სწავლაც) მოუწევს მოსწავლეს.
- შეაფასო, როგორია მოსწავლეთა წარმატება კურსის დაძლევაში;
- განსაზღვრო მოსწავლეთა სუსტი და ძლიერი შხარეები;
- განსაზღვრო ენის ფლობის ის საფეხური ან პროგრამის ის ეტაპი, რომელიც ყველაზე მეტად ერგება მოსწავლის შესაძლებლობებს და სხვ (პაგერსი, 1992, გვ. 7).

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ყოველი სიტუაცია, რომელშიც ხდება ტესტირება, მისი მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, გარკვეულწილად უნიკალურია. ამიტომ ყოველი ახალი სიტუაციისთვის საჭიროა შესატევისი და ამ სიტუაციაზე მორგებული საზომი ინსტრუმენტის - ტესტის შედგენა.

## 1. ტასტირების პატებორივები

ჩვენ ხშირად გვსმენია მოსწავლეებისგან, რომ მათ ჩაუტარდათ ტესტი და უმაღლესი ქულა მიიღეს ან პირიქით, ძალიან დაბალი ქულა მიიღეს. შეგვიძლია თუ არა ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით ვიმსჯელოთ ამ მოსწავლეების ენის ფლობის დონეზე? ცხადია არა, რადგან ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ გარკვეულ კლასში მოსწავლეთა ერთი ნაწილი უკეთ ფლობს ენას (ან, უფრო სწორად, უკეთ ფლობს იმ მასალას, რომელიც ტესტში იყო გამოყენებული), ვიდრე - მეორე ნაწილი. მაგრამ ჩვენ არ ვიცით, თუ რა იცის ან რა უნარები აქვს ტესტში საუკეთესო, საშუალო ან დაბალი ქულის მფლობელს. ამგვარად, ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩვენ მხოლოდ იმაზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, თუ **რომელი მოსწავლე რომელს სჯობს** ამ კლასში ენის ფლობის თვალსაზრისით, მაგრამ ვერაფერს ვიტყვით მათი ენის ფლობის დონეზე.

ტესტირების შედეგად თითოეული მოსწავლე გარკვეულ ქულას იღებს. ეს ქულები თავისთავად არანაირი ინფორმაციის მატარებელი არ არის. ისინი აზრს იძენენ მხოლოდ მაშინ, როცა ხდება მათი ანალიზი. კერძოდ კი – მათი ინტერპრეტაცია (შეფასება) სხვა მოსწავლეების მიერ მიღებულ ქულებთან მიმართებით, ან ცოდნის ან უნარების რაიმე დადგენილ სტანდარტან მიმართებით. ტესტის შედეგების ინტერპრეტაციის პირველი მიდგომის მიხედვით, მოსწავლის მიერ ტესტში მიღებული ქულის შედარება ხდება იმ მოსწავლეთა ქულებთან, ვისაც იგივე ტესტი ჩაუტარდა, ხოლო მეორე მიდგომის მიხედვით – ენის ფლობის გარკვეულ სტანდარტან ან დახელოვნების დადგენილ ფიქსირებულ დონესთან. პირველ მიდგომას ნორმაზე ორიენტირებულ შედარებას უწოდებენ, რადგან ტესტის ქულების ინტერპრეტაცია ხდება გარკვეული ჯგუფის მონაცემებთან მიმართებით და მოსწავლის ქულა მნიშვნელობას იძენს იმისდა მიხედვით, თუ როგორია იგი სხვა მოსწავლეებთან შედარებით. მეორე მიდგომას **კრიტერიუმზე ორიენტირებული შედა-**

## ნის შევასება და ტუსტირება

რება პქვია, რადგან მოსწავლის ტესტური ქულა განიხილება ენის ფლობის დონის სტანდარტთან მიმართებით და დგინდება, რამდენად აღწევს იგი ამ სტანდარტს (ვულფოლკი, 2007, გვ. 521).

როგორც ზემოთ ითქვა (იხ. ზემოთ, გვ. 8), არსებობს ნორმასა და კრიტერიუმებზე ორიენტირებული შეფასება; შესაბამისად, ტესტირების დროსაც, შეფასების ტესტის ქულების ინტერპრეტაციის ორი ძირითადი მიდგომა განიხილება – ნორმაზე ორიენტირებული და კრიტერიუმზე ორიენტირებული.

**ნორმასთან შედარებაზე დაფუძნებული ტესტები:** ნორმაზე ორიენტირებულ ტესტირებაში კონკრეტული ინდივიდის მაჩვენებლის მნიშვნელობა განისაზღვრება ნორმასთან - კონკრეტული ჯგუფისთვის ტესტის შესრულების ტიპურ დონესთან, მიმართებით. ამ დროს ხდება ტესტირებაში მონაწილე მოსწავლის სწორი პასუხების რაოდენობის (მისი ქულის) შედარება ტესტირებაში მონაწილე ჯგუფის საშუალო ქულასთან, დგინდება მისი ქულა ჯგუფის საშუალო ქულაზე მაღალია, დაბალი, თუ თანაბარია და ამ გზით ისაზღვრება მოსწავლის მიღწევის დონე.

არსებობს ნორმალური ჯგუფების (შესადარებელი ჯგუფები) სამი ძორითადი ტიპი: კლასი ან სკოლა, რაიონი და ზოგადად ნაციონალური მოდელი (ვულფოლკი 2007, გვ. 523). როცა ტესტირება კლასში მიმდინარეობს და მასში ყველა მოსწავლე მონაწილეობს, მაშინ ნორმატიული ჯგუფი კლასია. მაგრამ როცა ტესტირება რაიონის ან მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს, ამ შემთხვევაში ყველა მოსწავლე კი არ მონაწილეობს გამოკვლევაში, არამედ მათი გარკვეული ნაწილი. მოსწავლეთა შერჩევის გაკეთება ხორციელდება სპეციალური მეცნიერული მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომელზეც აქ არ შევჩერდებით, თუმცა აღვნიშნავთ: მნიშვნელოვანია, რომ, გარდა მოსწავლეთა საკმარისი რაოდენობისა, შერჩევა მოიცავდეს ყველა იმ სოციალური ფენისა თუ ეთნიკურობის ადამიანს, რომელიც ამ რაიონსა თუ ქვეყნაში ცხოვრობს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ნორმატიული ჯგუფი არ იყოს დაკომპლექტებული მხოლოდ ე.წ. “ძლიერი” ან “სუსტი” მოსწავლეებით (სლაგინი, 2006, გვ. 506).

## ენის შევასება და ტქისტირება

ნორმაზე ორიენტირებულ ტესტები განსაკუთრებით გამოსადეგია ისეთ შემთხვევებში, როცა ხდება საუკეთესო მოსწავლეთა სელექცია გარკვეულ პროგრამაში ჩასართველად (მაგ., კლასში საუკეთესოთა გამოვლენა დაჯილდოების მიზნით, ან გარკვეულ სასწავლებელში ჩასარიცხად) ან სწავლების სხვადასხვა მეთოდის შედეგად, მოსწავლეთა მიღწევის შესაფასებლად. თუმცა, როცა ნორმაზე ორიენტირებულ ტესტირებას ვიყენებთ, უნდა გვახსოვდეს, რომ მოსწავლის შედეგი ინტერპრეტირებულია ნორმატიულ ჯგუფთან მიმართებით და, აქედან გამომდინარე, მისი ქულა (ადგილი შეფასების სკალაზე) დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია ნორმატიული ჯგუფის საერთო დონე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოსწავლე შეიძლება იყოს საუკეთესო ე.წ. “სუსტი” კლასში, მაგრამ იგივე მოსწავლე შეიძლება ძალიან “სუსტი” აღმოჩნდეს ე.წ. “ძლიერ” კლასში. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ნორმაზე ორიენტირებული ტესტებით ჩვენ შეგვიძლია დავადგინოთ, რამდენად უფრო მეტი (ან მაღალი) კომპეტენცია აქვს მოსწავლეს ენაში სხვებთან მიმართებით, მაგრამ ძნელია იმის დადგენა, თუ რა იცის მან და რა შეუძლია. მაგალითად, იმის ცოდნა, რომ მოსმენის უნარების შემმოწმებელ ტესტში მოსწავლე უვალაზე წარმატებულოთ სამ პროცენტშია, არ ნიშნავს იმას, რომ მას არ უჭირს ეს უკანასკნელი, რადგან კლასში უველა მოსწავლეს შეიძლება უჭირდეს მოსმენილის გაგება.

ამ ხარვეზის დასაძლევად, ჩვეულებრივ, ნორმაზე ორიენტირებული ტესტების მომზადება მოსწავლეთა მიერ გავლილი სასწავლო პროგრამის გათვალისწინებით ხდება (ჰაგერსი (1992, გვ. 17). ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ტესტის შედგენისას გავითვალისწინოთ, რომ სასწავლო პროგრამაში შეტანილი თემების ბალანსი ემთხვეოდეს მათ ბალანსს შექმნილ ტესტში.

**კრიტერიუმთან შედარებაზე დაფუძნებული ტესტები:** კრიტერიუმზე ორიენტირებული ტესტების მიზანია, მოახდინოს მოსწავლეთა კლასიფიკაცია იმის მიხედვით შეუძლიათ თუ არა მათ გარკვეულ ამოცანათა ან ამოცანათა სიმრავლის დამაკმაყოფილებლად გადაწყვეტა. სხვა განსაზღვრებით, კრიტერიუმზე ორიენტირებული ტესტირების დროს მოსწავლის შედეგის შედარება ხდება პროფესიონალების მიერ დადგენილ გარკვეულ კრიტერიუმთან

## მნის შეფასება და ტუსტირება

ან სტანდარტებთან (პაგერსი, 1992, გვ. 19). კრიტერიუმზე ორიენტირებული ტესტირების მიზანი არ არის მოსწავლის ქულების შედარება კლასის, სკოლის, რაიონის ან თუნდაც ქვეყნის მასშტაბით. მისი მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად აღწევის მისი ცოდნისა და უნარების დონე გარკვეულ დაწუსებულ ზღვარს. ამ ზღვარს ხშირად მინიმალურ სტანდარტსაც უწოდებენ. ამგვარად, შესაძლებელია რომელიმე მოსწავლე იყოს კლასში საუკეთესო ქართულის, როგორც მეორე ენის ტესტის მიხედვით, მაგრამ მისი კომპეტენციაც არ იყოს საკმარისი იმისთვის, რომ მან თავი გაართვას უმაღლეს სასწავლებელში ქართულ ენაზე სწავლას. ამიტომ კრიტერიუმზე ორიენტირებული ტესტების გამოყენება მართებულია მაშინ, როცა კონკრეტული მოსწავლის (ენის შემსწავლელის) გარკვეული ცოდნისა და უნარების გაზომვა გვინდა, მაგ., კითხვის უნარის გაზომვა.

კრიტერიუმზე ორიენტირებული ტესტის მინიმალური ზღვარი შესაძლებელია იყოს ტესტურ დავალებათა 80%-ის ან მეტის სწორად გადაწყვეტა. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს, მოსწავლემ ტესტურ დავალებათა 60% გააკეთა სწორად თუ 70%, რადგან თრივე შემთხვევაში მან ვერ დააგროვა გამსვლელი ქულა, ანუ ვერ გადალახა ცოდნისა და უნარების ის მინიმალური ზღვარი, რომელიც ტესტში მოცემულ ტესტურ დავალებათა მინიმუმ 80%-ის სწორად გააკეთებით იყო შემოსაზღვრული. კრიტერიუმზე ორიენტირებული ტესტების საუკეთესო მაგალითია ენის ფლობის სასერტიფიკაციო ტესტები, რადგან ენის ფლობის გარკვეული დონის სერტიფიკატს აძლევენ არა იმაში, რომ ენის შემსწავლელი ტესტირებაში მონაწილე ჯგუფში მაგ., საუკეთესოთა 3%-შია ან თუნდაც ყველაზე კარგი ქულა აქვს, არამედ იმაში, რომ მისი ენობრივი კომპეტენციის დონე აკმაყოფილებს გარკვეულ წინასწარ დადგენილ სტანდარტს. ამიტომ სრულიად მოსალოდნელია, რომ სასერტიფიკაციო ტესტში ერთ რომელიმე ჯგუფში ვერავინ ვერ მიიღოს სერტიფიკატი, თუმცა მათი ენის ფლობის დონე ერთმანეთისგან განსხვავდებული იყოს.

ნორმაზე და კრიტერიუმზე ორიენტირებული ტესტირებას, ისევე, როგორც ნორმასა და კრიტერიუმზე ორიენტირებულ შედარებას შორის განსხვავების არცოდნამ შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს, როგორც მასწავლებე-

## ენის შევასება და ტქმირება

ლი, ასევე მოსწავლეც და მშობელიც. შესაძლებელია. მასწავლებელი ეუბნებოდეს მშობელს, რომ მისი შეიღეთ საუკეთესო კლასში და ამიტომ იგი დარწმუნებული იყოს, რომ ბავშვმა კარგად იცის ქართული ენა. მაგრამ როგორც ზემოთ დავრწმუნდით, მხოლოდ ჯგუფში საუკეთესოს ადგილი არ არის საკმარისი მისი ცოდნისა უნარების შესახებ დასკვნის გამოსატანად. ამ შემთხვევაში მშობლისთვის უფრო მნიშვნელოვანია იმის ცოდნა თუ რა იცის და რა არა ანუ კონკრეტულად რა უნარები ან ფლობის რა დონე აქვს მის შეიღების ენაში (ვულფოლკი, 2007, გვ. 524).

ბუნებრივად ისმის კითხვა, რომელი შედარებაა უკეთესი, კრიტერიუმზე ორიენტირებული თუ ნორმაზე? ამ კითხვაზე არ არსებობს ერთმნიშვნელოვანი პასუხი, რადგან ორივე ტიპის ტესტირება მნიშვნელოვანია, გააჩნია, რა არის ტესტირების მიზანი. სასწავლო პროცესის საბოლოო მიზნებიდან გამომდინარე, კრიტერიუმზე ორიენტირებული ტესტირება ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ ისიც ცხადია, რომ კლასის, სკოლის, რაიონის ან თუნდაც ქვეყნის მასშტაბით სასწავლო პროცესის და, საერთოდ, განათლების პოლიტიკის დასაგეგმად მეტად მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, როგორია ჩვენი შედეგები სხვებთან მიმართებით.

**ობიექტური ტესტი:** ტესტების დახასიათებისას ტერმინი "ობიექტური" ხშირად გამოიყენება. ჩვეულებრივ, ამ ტერმინს ხმარობენ იმის აღსანიშნად, რომ ტესტის შეფასება არ არის დამოკიდებული შემფასებლის სუბიექტურობაზე, მის განწყობებზე, გემოვნებაზე ან თუნდაც შინაგან სტანდარტებზე. ამ თვალსაზრისით ობიექტური ტესტის საუკეთესო მაგალითია არჩევითპასუხიანი ტესტური დავალებების შემცველი ტესტები, სადაც მოსწავლის მიერ ტესტში მიღებული ქულა სრულიად არ არის დამოკიდებული შემფასებლის კრიტერიუმზე ან მის ხედვაზე. ამას უზრუნველყოფს ტესტური დაგალებების წინასწარ განსაზღვრული სწორი პასუხები ანუ გასაღებები (ეგგნი, კოჩაკი, 2006, გვ. 528). ამ თვალსაზრისით, ე.წ. დია ტესტური დავალებები, როგორიცაა, მაგ., გავრცობილპასუხიანი ტესტური დავალება ან ესე გაცილებით უფრო სუბიექტურია, თუმცა, ამ შემთხვევაშიც ტესტის შემქმნელები წინასწარ ადგენენ ტესტური დავალების შეფასების კრიტერიუმებს ანუ რუ-

## ენის შეფასება და ტუსტირება

ბრიკას, რომელსაც უნდა დაეყრდნოს შემფასებელი ტესტის გასწორებისას. ობიექტურობის გასაზრდელად, ასეთ ტესტურ დავალებებს რამდენიმე შემფასებელი ასწორებს.

თუმცა ტერმინი ობიექტური ტესტი ხშირად დაკავშირებულია მის არატენდენციურობასა და არადისკრიმინაციულობასთანაც და ეს საკითხები ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება განხილული (ენა, ტესტირება, შეფასება..., 2008, გვ. 211; ბეჭედი 2008).

**სტანდარტიზებული ტესტები:** ტერმინი „სტანდარტიზებული“ ინგლისური სიტყვიდან "standart" მომდინარეობს და სტანდარტულს, ტიპურს ნიშნავს. ტესტის შემთხვევაში იგი გამოიყენება ტესტის უნიფიცირების, მისი ჩატარებისა და შეფასების ერთგვაროვანი ნორმატივების აღსანიშნად. უფრო ზუსტად, სტანდარტიზებული ტესტი - ეს არის ტესტი, რომელიც შედგენილია სტანდარტული პროცედურების დაცვით, მისი ჩატარება ხდება ერთსა და იმავე პირობებში, ინსტრუქტაჟი და მონაცემთა შეგროვების ბლანკები სტანდარტულია და შეფასების / შედეგების ინტერპრეტირების სისტემა უნიფიცირებულია (ბურლაჩქვი, 2008, გვ. 426). სტანდარტიზებული ტესტების კარგი მაგალითია ტესტები, რომელთაც სახელმწიფო იურიდიკური უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ საერთო ეროვნულ გამოცდებზე ან ეროვნული შეფასების დროს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების დონის დასაღვენად.

თუმცა, ტერმინს "სტანდარტიზაცია" სხვა მნიშვნელობითაც იყენებენ. ტესტში მიღებულ ქულათა რაოდენობრივი მაჩვენებლები გადაიყვანება სკალაზე, რომელიც გვიჩვენებს მოცემული ქულის ადგილს სხვა მონაწილეების მიერ მიღებულ ქულათა შორის. ასეთ მაჩვენებლებს სტანდარტულ ქულებს უწოდებენ. სწორედ ასეთი ქულების საშუალებით შეგვიძლია განვსაზღვროთ მონაწილის მიერ ტესტში მიღებული ქულის ნამდვილი მნიშვნელობა ან გავაკეთოთ დასკვნა იმის თაობაზე, რამდენად მაღალია ეს ქულა სხვებთან შედარებით (ანასტაზი, ურბინა, 2007, გვ. 71; ეგენი, კოჩაკი, 2006, გვ. 522).

**დახულოვნების ტესტები:** დახულოვნების ტესტების მიზანია, გაზომოს მოსწავლეთა უნარები ენაში მიუხედავად იმისა, თუ რა კურსები ან მომზა-

## ენის შეზასხვა და ტქმირება

დება გაიარა მან ამ ენაში. შესაბამისად, დახელოვნების ტესტების შინაარსი არ არის დაფუძნებული ენის რომელიმე კონკრეტული კურსის შინაარსზე ან ამოცანებზე. იგი დაფუძნებულია იმ უნარებსა და ცოდნაზე, რომელსაც იგი უნდა ფლობდეს იმისთვის, რომ ჩაითვალოს ენაში დახელოვნებულად. რა თქმა უნდა ეს უკანასკნელი აუცილებლად მოიცავს იმის განმარტებას, თუ რას ვუწოდებთ ჩვენ დახელოვნებულს. ჩვეულებრივ, დახელოვნებულს განსაზღვრავენ გარკვეულ მიზანთან მიმართებით, ანუ, სხვაგვარად რომ გთქვათ, ეს ნიშნავს იმას, რომ მოსწავლეს აქვს გარკვეული მიზნისთვის საკმარისი ენობრივი ცოდნა და უნარები.

მაგ., დახელოვნების ტესტის მიზანი შეიძლება იყოს გავარკვიოთ, რამდენად შეუძლია მოსწავლეს ან ენაზე უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელება, ან კიდევ – რამდენად შეძლებს იგი რაიმე პროფესიული კურსის ათვისებას ამ ენაზე (სწორედ ამ ტიპის ტესტირება ტარდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2010 წლიდან წარმოებული „საშედავათო პლიტიკის“ ფარგლებში, რომელიც არაქართულენოვან სტუდენტებს ქართული ენის შემსწავლელ 1-წლიან კურსებს სთავაზობს). ამავე ტიპის ტესტებით ხდება იმის გარკვევა, თუ რამდენად შეძლებს იგი მაგ., თარჯიმნად მუშაობას რომელიმე სპეციფიკურ სფეროში.

თუმცა, არსებობს დახელოვნების ტესტები, რომელთაც უფრო ზოგადი ხასიათი აქვთ და არ გულისხმობენ რაიმე სამუშაოსათვის ან სწავლის გასაგრძელებლად საკმარისი ენის ცოდნაში დახელოვნებას. უნდა ითქვას, რომ დახელოვნების სწორედ ასეთი ტესტები გამოიყენება ყველაზე ხშირად დღევანდელ მსოფლიოში. ასეთი ტესტების მიზანია გამოავლინონ, თუ რამდენად აღწევს მოსწავლე გარკვეული ენის ფლობის სტანდარტებს. ასეთია, მაგ, ენის ფლობის ევროპული დონეების სტანდარტები. ამ ტიპის ტესტები არ არის გათვლილი რომელიმე კონკრეტულ პროფესიაზე და ამ თვალსაზრისით, ისინი უფრო ზოგადია.

დახელოვნების ტესტები, მიზნიდან გამომდინარე განსხვავდებიან სირთულით და შინაარსით, თუმცა ყველა მათგანისთვის საერთოა ის, რომ ისინი ეფუძნებიან გარკვეულ ენობრივ სტანდარტებს და არა რაიმე კონკრე-

## ენის შეფასება და ტუსტირება

ტულ კურსებს, რომელიც მოსწავლეებ გაიარა. ამდენად, დახელოვნების ტესტები კრიტერიუმზე ორიენტირებული ტესტებია (ჰაგერსი, 1992, გვ. 9).

**მიღწევის ტესტები:** დახელოვნების ტესტებისგან განსხვავებით, მიღწევის ტესტები პირდაპირ არის დაკავშირებული ენის კურსებთან, რადგან მათი მიზანია შეაფასოს, თუ რამდენად წარმატებული იყო კურსი, ანუ რამდენად მიაღწია მოსწავლეებ ან მოსწავლეთა ჯგუფმა **კურსით განსაზღვრულ მიზნებს.** მიღწევის ტესტები ორი ტიპისაა. ესაა **საბოლოო მიღწევის** და **პროგრესის მიღწევის** ტესტები. საბოლოო მიღწევის ტესტები კურსის დასრულების შემდეგ ტარდება და მათი მიზანია იმის დადგენა, თუ რამდენად არის მიღწეული ენის კურსის კონკრეტული მიზნები და ამოცანები. ტესტის შინაარსი სრულად არის დაფუძნებული კონკრეტულ სილაბუსზე, გამოყენებულ სახელმძღვანელოსა და შინაარსზე, რომლის სწავლებასაც კურსი ისახავდა მიზნად. ასეთი ტესტებს და მათ საფუძველზე მიღებულ ინფორმაციას მოსწავლის მიერ ენის ფლობის შესახებ ხშირად იყენებენ სასკოლო პრაქტიკაში. თუმცა ასეთი ტესტების გამოყენებისას უნდა გვახსოვდეს, მოსწავლის შეფასება დაკავშირებულია კონკრეტულ კურსთან, სწავლების მეთოდთან და გამოყენებულ სახელმძღვანელოებთან. ამდენად, თუ კურსი ცუდად არის დაგეგმილი ან სახელმძღვანელოები არ არის სწორად შერჩეული, მიუხედავად მაღალი ქულისა, რომელიც შეიძლება მოსწავლემ მიიღოს ამ ტესტში, მისი ენის ფლობის დონე საქმაოდ დაბალი იყოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პრობლემურია მოსწავლის ქულის მიხედვით მისი ენის ფლობის დონეზე მსჯელობა (ჰაგერსი, 1992, გვ. 11; სლავინი, 2006, გვ. 496).

პროგრესის მიღწევის ტესტების მიზანია, გაზომოს კურსის მსვლელობისას მოსწავლის მიერ მიღწეული პროგრესი. ცხადია, იგი კურსის ამოცანებთან მიმართებით იზომება. ერთი გზაა ენობრივი კომპეტენციების საბოლოო დონის ტესტის პერიოდულად გამეორება კურსის განმავლობაში და პროგრესის შეფასება გაზრდილი ქულის საფუძველზე. მაგ., თუ კურსის მიზანია წაკითხული ტესტის შინაარსის გაგება, ექსპლიციტურად და იმპლიციტურად მოცემული ინფორმაციის ამოღება, დედააზრის გაგება, მთავარი პერსონაჟის ან ადრესატის ამოცნობა და ა.შ., შესაძლებელია ამ უნარების

## ენის შეზასხვა და ტქმირება

შეფასებაზე მიმართული ტესტების შედგენა და მოსწავლეთათვის პერიოდულად ჩატარება. მაგრამ ამ შემთხვევაში ტესტების შედეგებს უკუღებელი შეიძლება ჰქონდეთ და ისინი შესაძლოა არა მხოლოდ მოსწავლეთა, არამედ მასწავლებლის სტრესის წყაროდ იქცეს. ამიტომ პროგრესის გასაზომად, ჩვეულებრივ, იყენებენ პროგრესის მიღწევის ისეთ ტესტებს, რომლებიც დაფუძნებულია კურსის შუალედურ მიზნებსა და ამოცანებზე. ასეთი ტესტების შესადგენად კი, ცხადია, რომ კურსის შუალედური მიზნები და ამოცანები მკაფიოდ უნდა იყოს გაწერილი და გაცნობიერებული მასწავლებლის მიერ. მნიშვნელოვანია იმ ინდივიდუალური გზის გათვალისწინებაც, რომელსაც მასწავლებელი გადის კურსის საბოლოო მიზნის მისაღწევად.

**დიაგნოსტიკური ტესტები:** დიაგნოსტიკური ტესტები გამოიყენება იმის გასარკვევად, თუ რა იცის და რა არა მოსწავლემ, რა უჭირს მას და რა აქვს კარგად ათვისებული; რომელია მისი სუსტი და ძლიერი მხარეები. მისი შედეგები პირდაპირ მიუთითებენ მასწავლებელს, თუ რა უნდა ასწავლოს მოსწავლეს მომავალში. მაგალითად, ასეთი ტესტის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია დაგადგინოთ, რომ მოსწავლეს კარგად აქვს განვითარებული კითხვის კომპეტენცია, მაგრამ მის სუსტ მხარეს წარმოადგენს მოსმენილის გაგგბა. ცხადია, ტესტმა უფრო სპეციფიკური ინფორმაციას შეიძლება მოგვცეს, კერძოდ კი ის, თუ კონკრეტულად რა ტიპის ინფორმაციის მოსმენა უჭირს მას, ან რა ტიპის პრობლემები აქვს წერაში, არის ეს პრობლემები ორთოგრაფიასთან დაკავშირებული, თუ - გრამატიკასთან. თუმცა ამ ტიპის ტესტების გამოყენებისასაც მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ერთი შეცდომა ან ერთი სწორი პასუხი არ არის საქმარისი დასკვნის გამოსატანად, რადგან ის შეიძლება შემთხვევითობის შედეგი იყოს. ამიტომ მოსწავლის სუსტი ან ძლიერი მხარეების დასადგენად მნიშვნელოვანია, რომ ენის ფლობის შესაფასებელი კომპეტენცია ან მისი რომელიმე ასპექტი საქმარისად იყოს წარმოდგენილი ტესტში ტესტური დავალებების სახით. ეს კი ხშირად დროისა და ადმინისტრირების პრობლემებთან არის დაკავშირებული (პაგერსი, 1992, გვ. 13; ეგნი, კოჩაკი, 2006, გვ. 513).

## ენის შეფასება და ტუსტირება

---

**ადგილის ტესტები.** ეს ის ტესტებია რომელიც გამოიყენება იმისთვის, რომ შეფასდეს თუ რომელი სასწავლო პროგრამა (ან რომელი დონის სასწავლო პროგრამა) შეესაბამება კონკრეტულ მოსწავლეს მისი ენობრივი კომპეტენციების მიხედვით. შესაბამისად, ადგილის ტესტები დგება კონკრეტული პროგრამების გათვალისწინებით და ისინი მორგებულია პროგრამაში არსებული კურსების დონეებსა თუ საფეხურებზე (ჰაგერსი, 1992, გვ. 14; ეგენი, გოჩაკი, 2006, გვ. 514).

## ენის შეზასება და ტქსტირება

### 2. ტქსტის ძირითადი განხომილებები

ტქსტის ძირითადი განხომილებებია:

- ✓ ვალიდობა
- ✓ სანდოობა
- ✓ სამართლიანობა/არატექნიკურობა

მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი.

#### ა. ვალიდობა

ტქსტი ვალიდურია, თუ ის ზუსტად იმას აფასებს, რისთვისაც ის არის განსაზღვრული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის საკვლევი ინსტრუმენტის - ტქსტის შესატყვისობა საკვლევ უნართან / ცოდნასთან. თეორიულად ტქსტის ამ მახასიათებლის გაგება ძალიან მარტივია, თუმცა, პრაქტიკულად, ტქსტის შედგენისას და შემდგომ, ადმინისტრირებისას, საკმაოდ დიდი ძალისხმევა და სიფრთხილეა საჭირო იმისათვის, რომ არ დაირღვეს ტქსტის ვალიდობა.

ტქსტის თეორიაში გამოყოფენ ვალიდობის რამდენიმე სახეს (ბურლაჩუკი, 2008, გვ. 50; ანასტაზი, ურბინა, 2007, გვ. 133), რომელთაგანაც ტქსტის შედგენისას ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია **შინაარსობრივი ვალიდობა**.

ამბობენ, რომ ტქსტს აქვს შინაარსობრივი ვალიდობა, თუ ის მოიცავს შესაფასებლად გამიზნული ენობრივი უნარების, სტრუქტურების და ა. შ. შესატყვის და, ამავდროულად, საკმარის ერთობლიობას. მაგ., გრამატიკის ტქსტი უნდა შედგებოდეს ტქსტური კითხვებისგან, რომლებიც ზომავენ გრამატიკული სტრუქტურების კონტროლის ცოდნას, მაგრამ ეს არ არის საკმარისი ამ ტქსტის შინაარსობრივი ვალიდურობისთვის. ამ მიზნით შექმნილი ტქსტი ვალიდური იქნება, თუ ის შეიცავს ყველა იმ სტრუქტურასა და უნარს, რომელიც აუცილებელია და საკმარისი იმისათვის, რომ დასკვნები გავაკეთოთ მოსწავლის მიერ გრამატიკის ცოდნის შესახებ. ცხადია, აქ გათ-

## მნის შეფასება და ტუსტირება

ვალისწინებული უნდა იყოს გრამატიკის ცოდნის ის დონეც, რომელიც შესაფასებელ სუბიექტს (მოსწავლეს) მოეთხოვება. მაგ., თუ ერთი ტესტის მიზანია **A** დონეზე ენობრივი კომპეტენციების შეფასება, ხოლო მეორისა – **B** დონეზე, ცხადია, იმისთვის, რომ შეფასების აღეპვატური შედეგები მივიღოთ, ეს ტესტები ტესტური კითხვების სხვადასხვა ერთობლიობას უნდა მოიცავდეს.

ამგვარად, ის, თუ რამდენად შესაბამისი და საკმარისია ტესტში გამოყენებული ტესტური კითხვები, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიზანს ემსახურება ტესტი.

რატომ არის მნიშვნელოვანი ტესტის შინაარსობრივი ვალიდობა?

რაც უფრო დიდია ტესტის შინაარსობრივი ვალიდობა, იგი მით უფრო კარგი საზომი ინსტრუმენტია გამიზნული უნარებისა თუ ცოდნის შესაფასებლად.

ტესტის შინაარსობრივი ვალიდობის მისაღწევად საჭიროა წინასწარ აღიწეროს ის უნარები და ცოდნა, რომელსაც ტესტი უნდა მოიცავდეს. შესაფასებლად განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ასეთ აღწერას ტესტის სპეციფიკაციას (ტესტური, 2009, გვ. 8) უწოდებენ. ტესტის სპეციფიკაციის საფუძველზე ხდება კონკრეტული ტესტური კითხვების შექმნა, აგრეთვე, იმის განსაზღვრა, თუ რამდენად აღეპვატური და საკმარისია განსაზღვრული ცოდნისა და უნარების შეფასება შექმნილი ტესტური კითხვების საფუძველზე. ამგვარად, კარგად შედგენილი ტესტის სპეციფიკაცია ტესტის შემდგენლებს საშუალებას აძლევს შექმნას შინაარსობრივად ვალიდური ტესტი. ამავდროულად, ტესტის შინაარსობრივი ვალიდობის დასახვეწად ხშირად იყენებენ ე.წ. ექსპერტულ შეფასებებს, როცა დამოუკიდებელი ექსპერტები აფასებენ ტესტური კითხვების შესაბამისობას ტესტის სპეციფიკიასათან.

აღსანიშნავია, რომ ტესტის სპეციფიკაციის ჩამოყალიბება ხდება ტესტის კონსტრუირების ადრეულ ეტაპზე, მას შემდეგ, რაც განისაზღვრება თუ რა არის ტესტის მიზანი და კონკრეტულად რის შეფასება გვინდა ამ ტესტით.

## ენის შეფასება და ტქმირება

ტესტის ვალიდურობის სხვაგვარი მიღომაა მისი კრიტერიალური ვალიდობის შეფასება. ეს უკანასკნელი ფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამება ტესტის შედეგები მოსწავლის შესაფასებელი უნარის საზომ სხვა დამოუკიდებელი ინსტრუმენტის შედეგებს. კრიტერიალური ვალიდობის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს **პრედიქტორული ვალიდობა**, რომელიც ფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად შესაძლებელია ტესტის შედეგების მიხედვით ვივარაუდოთ (ვიწინასწარმეტყველოთ) მოსწავლის მომავალი წარმატებები. მაგ., თუ ენის ფლობის ტესტში მიღებული მაღალი ქულა მაღალ კორელაციაშია მომავალში უმაღლეს სასწავლებელში ქართული ენის ტესტში მიღებულ ქულასთან, მაშინ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ენის ფლობის შესაფასებელ ტესტს მაღალი პრედიქტორული ვალიდობა აქვს.

ტესტის ვალიდურობის ერთ-ერთი ფორმაა თვალსაჩინო ვალიდობა (ჰაგერსი, 1992, გვ. 22). ჩვეულებრივ ვალიდობის ამ ფორმას ტესტის შესაფასებლად მაშინ იყენებენ, როცა აშკარაა, თვალსაჩინოა ტესტის არავალიდურობა. მაგალითად, თუ ჩვენ გვინდა მეორე ენაში ფონოლოგიური უნარების (გამოთქმის) შეფასება ტესტის საშუალებით, ხოლო ტესტი არ მოიცავს ტესტურ დაგალებებს, რომელშიც მოსწავლეს ლაპარაკი მოეთხოვება, მაშინ აშკარაა, რომ ტესტი არავალიდური იქნება. ამგვარად, ვიტყვით, რომ ასეთ ტესტს არ აქვს თვალსაჩინო ვალიდობა. ადსანიშნავია, რომ რამდენადაც მარტივად არ უნდა მოგვეჩვნოს თვალსაჩინო ვალიდობის ცნება, ხშირია ტესტირების დროს მისი დარღვევის შესაძლებლობა, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ტესტირების ობიექტის არაპირდაპირი შეფასება ხდება.

ამგვარად, **ვალიდობა არის ტესტის მახასიათებელი, რომელიც ადგენს, ზომავს თუ არა ტესტური კითხვა (დაგალება) იმ უნარს, როს გასაზომადაც არის განკუთვნილი.**

ტესტის და მისი შემადგენელი ტესტური კითხვების (დაგალებების) ვალიდობის შესაფასებლად შეგვიძლია გამოვიყენოთ შემდეგი სქემა (ბექერი, 2008):

- შეესაბამება შერჩეულ უნარს;
- კითხვაზე სწორი პასუხის მიღება შესაძლებელია სწორედ ამ უნარის ამოქმედებით და არა ტრიგიალური პასუხის გაცემით ან

## მნის შეფასება და ტუსტირება

გამოცნობით, როდესაც, უბრალოდ, საღი აზრის გათვალისწინება ხდება;

- გამართულია მეცნიერული თვალსაზრისით, არ შეიცავს შეცდომას;
- დახურული კითხვის ალტერნატიული პასუხები წარმოადგენენ რეალურ ალტერნატივებს, არ არის აბსურდული, მოსწავლემ მართლა შეიძლება ასეთი შეცდომა დაუშვას;
- შესაძლებელია შედეგის და მისი მიღწევის თითოეული დონის ტესტური დავალებების/კითხვების მეშვეობით შეფასება;
- კარგად ზომავს მოცემული შედეგის მიღწევის დონეს ტესტური დავალებების კითხვები;
- რეპრეზენტატულია დავალებების ერთობლიობა, რომლითაც უნდა-მოხდეს მოცემული შედეგის გაზომვა.

ტესტის შექმნის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დავალებების რეპრეზენტატულობას ტესტის მიზანთან და შესაბამისად ტესტის სპეციფიკაციასთან მიმართებით. ამასთან რეპრეზენტატულობა განხილულ უნდა იქნას რამდენიმე თვალსაზრისით. ცხადია, ტესტი პირველ რიგში რეპრეზენტატული უნდა იყოს საგნობრივი თვალსაზრისით, რაც იმას ნიშნავს, რომ ტესტში გამოყენებული ტესტური კითხვები და დავალებები სწორედ იმ საგნიდან უნდა იყოს, რომლის შესაფასებლადაც შეიქმნა ტესტი. თეორიულად ამ პირობის დაცვა თითქოს ადვილია, მაგრამ პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა ტესტური დავალებაზე პასუხის გაცემა სხვა საგნის ცოდნაზეა დაფუძნებული. მაგალითად, ტესტში შესაძლებელია იყოს გამოყენებული მაგალითი, რომელიც გულისხმობს მოსწავლის მიერ გეოგრაფიის ცოდნას და მხოლოდ ამ ცოდნაზე დაყრდნობით შესაძლებელია ამ დავალებისთვის სწორი პასუხის გაცემა. სწორი პასუხის შემთხვევაში, ჩვენ გვექნება ინფორმაცია, რომ მოსწავლემ გეოგრაფიის ეს კონკრეტული საკითხიც იცის და ქართულ ენაზე გაგების უნარიც აქვს, მაგრამ არასწორი პასუხის შემთხვევაში, ჩვენ ვერ გავარკვევთ, რატომ მიიღო მოსწავლემ ნული ქულა, იმიტომ, რომ გეოგრაფიის ეს კონკრეტული თემა არ იცოდა, თუ მისი ენობრივი კომპეტენცია არის დაბალი? მნიშვნელოვანია, აგრეთვე, რომ ტეს-

## ენის შეფასება და ტქმირება

ტი სრულად მოიცავდეს ყველა იმ უნარის, ცოდნისა და დირებულებების შესაფასებელ ტესტურ დავალებებს, რომლებიც ტესტის მიზნით განსაზღვრულ და ტესტის სპეციფიკაციაში დაზუსტებულ სასწავლო შედეგს/ინდიკატორის შეადგენენ. ისეთი ტესტური დავალებების ნიმუში, სადაც დარღვეულია ტესტის შინაარსთან მათი რეპრეზენტატულობა მოყვანილია ქვემოთ.

### ნიმუში:

ტესტის მიზანია, შეაფასოს მოსწავლის კითხვის უნარი. ამ უნარის შესაფასებლად გამოყოფილია შემდეგი ინდიკატორები:

მოსწავლეს შეუძლია

1. მოიძიოს და ამოიცნოს კონკრეტული ინფორმაცია ტექსტიდან;
2. მოლიანი შინაარსის გაგება;
3. ტექსტის ანალიზი;
4. ტექსტის შეფასება - საკუთარი არგუმენტირებული აზრის გამოხატვა.

### გამოყენებული ტექსტები:

პედლის წარმომადიმობელი

საშინლად გაბრაზებული ვარ იმის გამო, რომ სკოლის კედელი უპავ მეოთხედ გაწმინდეს და შედებეს, კედლის წარწერები რომ მოეშორებინათ. რა თქმა უნდა, შემოქმედებითობა დასაფასებელია, მაგრამ ადამიანებმა საკუთარი თავის გამოსახატავად სხვა გზა უნდა მოძებნონ და ეს საზოგადოების ხარჯზე არ უნდა ხდებოდეს.

რატომ აკეთებთ კედლის წარწერებს იქ, სადაც ეს აკრძალულია და ულახავთ რეპუტაციას ახალგაზრდებს? პროფესიონალი მხატვრები თავიანთ ნახატებს ქუჩებში არ ფენენ, ხომ მართალია?! თუმცა ისინი მაინც ახერხებენ პოპულარობის მოხვეჭას კანონიერი გამოფენების მოწყობით.

ჩემი აზრით შენობები, ღობეები, პარკის სკამები თავისთავად ხელოვნების ნიმუშები არიან. ამიტომ ყოვლად მიუღებელია არქიტექტურის ამ ნიმუშების კედლის წარწერებით გაფუჭება. გარდა ამისა ზიანდება ოზონის შრეც. მე ნამდვილად არ მესმის რატომ იწუხებენ თავსეს კრიმინალი მხატვრები და თავიანთ „შემოქმედებას“ ხელახლა ხატავენ გასუფთავებულ კედლებზე.

ელენე

## ენის შეფასება და ტუსტირება

ბემოვნებაზე არ დაკობინ

საზოგადოებას მრავლად მიეწოდება სხვადასხვა სფეროს რეკლამები, კომპანიის ლოგოები, ქუჩები სავსეა უზარმაზარი ბანერებით და პოსტერებით. რამდენად მისაღებია ისინი?! უმეტესწილად მისაღებია. რამდენად მისაღებია კედლის წარწერები? ზოგიერთის აზრით მისაღებია, ზოგიერთის აზრით კი არა.

ვინ იხდის ფასს კედლის წარწერებში? საბოლოოდ ვინ იხდის ფასს რეკლამებში? სწორია: მომხმარებელი.

როდესაც ბილბორდებს კიდებდნენ ქუჩებში გაითხათ ვინმემ აზრი? - არა. აქედან გამომდინარე უნდა გთხოვონ თუ არა კედლის წარწერების ავტორებმა ნებართვა? ბოლოსდაბოლოს ეს ხომ კომუნიკაციის საკითხია-საკუთარი სახელების, სხვადასხვა მეტსახელების და დიდი ზომის ნახატების ქუჩაში გამოფენა.

გაიხსენეთ კუბოკრული და ნახაზებიანი ტანსაცმელი, რომელიც რამდენიმე წლის წინ გამოჩნდა მაღაზიებში. გახსოვთ სათხილამურო ტანსაცმელი?! ფერები და ნახატები ზუსტი ასლი იყო ბეტონის კედლებზე გაკეთებული წარწერებისა და ნახატების. გასაოცარია, რომ ეს ფერები და ნახატები მისაღები და მოსაწონია, მაგრამ იმავე სტილის კედლის წარწერები მიუღებელია. ცუდი დრო დაუდგა ხელოვნებას!

სოფო

### დაგალებები:

- ისაუბრეთ იმის შესახებ, თუ რას შეეხება წერილი (მიხი შინაარსი);
- როგორ არის წერილი დაწერილი (როგორია მიხი ხტილი)?
- მიუხედავად იმისა, რომელს ეთანხმები, შენი აზრით, რომელი წერილია უკეთესად დაწერილი? ახსენი შენი პასუხი და ამისათვის გამოიყენე წერილების მაგალითები.

## ენის შევასება და ტქისტირება

ნიმუში წარმოდგენილია ორი ტექსტი და თანდართული სამი ტესტური დავალება. ისინი სრულიად რელევანტურია ტესტის მიზანთან, მაგრამ შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ მხოლოდ ამ ტესტურ დავალებებზე დაყრდნობით ვერ მოხდება ტესტირების მიზნის მიღწევა, ანუ ზემოთ ჩამოთვლილი ინდიკატორების მიხედვით, მონაწილის/მოსწავლის შეფასება. იმისთვის, რომ ამ ინდიკატორების მიხედვით მოსწავლის შეფასება განხორციელდეს, საჭიროა დამატებითი ტესტური დავალებების შედგენა, რომლებიც პასუხს გასცემენ კითხვებს, თუ როგორ ართმევს თავს მოსწავლე ტექსტიდან ინფორმაციის მოძიებას, მისი მთლიანი შინაარსის გაგებას, ვინ არის ტექსტის ავტორი, ადრესატი, რა არგუმენტები აქვს ავტორს მოყვანილი საკუთარი პოზიციის საბუთად და სხვ.

ეს ნიმუში საინტერესოა იმითაც, რომ მასში დარღვეულია ტესტირების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წესი - მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ტექსტი, ანუ მაქსიმალურად დაიტვირთოს იგი ტესტური დავალებებით. ამ შემთხვევაში ტექსტი იძლევა საშუალებას, შეფასდეს ყველა ის ინდიკატორი, რომლის საფუძველზეც უნდა შეფასდეს მოსწავლის კითხვის უნარი. სინამდვილეში კი ტექსტის შესაძლებლობების მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილია გამოყენებული.

ამავდროულად, ტესტი უნდა მოიცავდეს ცოდნისა და უნარების ტაქსონომიის ყველა დონის შესაფასებელ ტესტურ დავალებებს. ცხადია, სასწავლო და ტესტირების მიზნიდან გამომდინარე, ტესტის შემქმნელმა შესაძლებელია ტაქსონომიის მხოლოდ დაბალ დონეზე გააკეთოს აქცენტი და ნაკლებად გამოიყენოს მაღალი დონის კოგნიტური ოპერაციების შესაფასებელი ტესტური დავალებები, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ეს არჩევანი იყოს გაცნობიერებული და არა შემთხვევითი (ამ საკითხზე ქვემოთ უფრო დეტალურად ვისაუბრებთ).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ვალიდობა არ არის ტესტის თანმდევი თვისება, რადგან იგი მიზანზეა დამოკიდებული. ერთი მიზნისთვის ტესტს შეიძლება ძალიან მაღალი ვალიდობა ჰქონდეს, ხოლო სხვა მიზნისთვის კი იგივე ტესტი სრულიად არავალიდური აღმოჩნდეს.

## ენის შეფასება და ტუსტირება

### ემპირიული ვალიდაციის მეთოდები

ტესტის ვალიდობაზე მოქმედებს ის პირობები და გარემოებებიც, რომელშიც ხდება ტესტის ადმინისტრირება (ენა, ტესტირება, შეფასება..., 2008, გვ. 177). ქვემოთ განხილულია ძირითადი ეტაპები, რომელსაც გადის ნებისმიერი ტესტი ჩატარებიდან დაწყებული, მისი შედეგების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებით დამთავრებული.

ეს ეტაპებია:

- მოსწავლის მიერ ტესტის შესრულება;
- შეფასება;
- მიღებული ნედლი (პირველადი) ქულა;
- ანალიზი;
- მიღებული საბოლოო ქულა;
- ინტერპრეტაცია;
- გამოყენება / გადაწყვეტილების მიღება.

### ტესტის მახასიათებლების/გარემოებების ზეგავლენა

#### ტესტის შესრულებაზე

ტესტის გარკვეულმა მახასიათებელმა შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს ენობრივი უნარების შეფასების ადეკვატურობაზე. მნიშვნელოვანია დავრწმუნდეთ, რომ საბოლოო ქულაზე ზეგავლენას არ ახდენს დამატებითი, გასაზომი ენობრივი კომპეტენციების შეუსაბამო, მათ მიმართ არარელევანტური ფაქტორები. მაგ., კომპიუტერულ ტესტის შემთხვევაში – კომპიუტერის სმარების ცოდნა და გამოცდილება. ასეთ შემთხვევაში, ტესტში მიღებული ქულა სინამდვილეში ენის ცოდნის დონეს კი არ გამოხატავს, არამედ იგი არის ორი ცვლადის: **კომპიუტერის ცოდნისა და ენის ცოდნის დონის ურთიერთქმედების შედეგი.** აქედან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ ტესტის ეს მახასიათებელი არავალიდურს ხდის ტესტს, რადგან ტესტის შედეგზე ზეგავლენას ახდენს კომპიუტერის ცოდნა/არ ცოდნა. შესაბამისად ასეთ გარუ-

## ენის შეფასება და ტქსტირება

მოქმედი ჩატარებული ტესტის შედეგმა შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს ენის ცოდნის დონის შეფასებისას.

### შეფასების კრიტერიუმები / რუბრიკების ზეგავლენა

#### ტესტის გალიდურობაზე

შეფასების კრიტერიუმებმა/ რუბრიკებმა, რომლებიც არ ასახავენ ტესტური კითხვის შესაბამის ცოდნას და უნარებს, შეიძლება მცდარ ქულებამდე მიგვიყვანონ. ეს კი თავის მხრივ საფრთხეს უქმნის ტესტის ვალიდობას. ამიტომ ტესტის შედგენისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს ადეკვატური, ობიექტური და სტანდარტიზებული შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბება. განსაკუთრებით ეს ეხება ე. წ. ღია ტიპის (სადაც მოითხოვება ავთენტური პასუხები) ტესტურ კითხვებს და ესეებს. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ წინასწარ იყოს გაწერილი შეფასების სქემები ანუ რუბრიკები და ზუსტად იყოს განსაზღვრული, თუ რა შემთხვევაში იღებს ქულას მოსწავლე და რა შემთხვევაში – არა. სიტუაცია კიდევ უფრო რთულდება, როცა საქმე გვაქვს მაღალ ქულიან ტესტურ დავალებებთან, მაგალითად, როდესაც ესე ფასდება 10 ან 6 ქულით. ამ შემთხვევაში ძალიან ზუსტად და სრულად უნდა იყოს გაწერილი შეფასების სქემაში, თუ რა პასუხების შემთხვევაში იღებს მოსწავლე სრულ ქულას და რა კომპონენტებისგან შედგება იგი. ქვემოთ წარმოდგენილია ესეს შეფასების ნიმუში, რომელიც აღებულია ამერიკის შეერთებული შტატების ბაკალავრიატში ჩასაბარებელი გამოცდის ტესტიდან SAT (იხ. SAT).

#### ესეს შეფასების კრიტერიუმები:

##### 6 ქულა:

ამ კატეგორიის ესე ნათელი და თანმიმდევრულია, თუმცა შეიძლება რამდენიმე უმნიშვნელო / პატარა შეცდომა აღმოაჩნდეს. ტიპური ესე:

- ეფუძბურად და შორსმჭვრეტელურად აყალიბებს შეხედულებას თემაზე და მიგვითოთებს მწერლის შესანიშნავ კრიტიკულ აზროვნებაზე რაც გამოიხატება მწერლის მიერ მოყვანილი

## მნის შეფასება და ტუსტირება

- აშკარად არარელევანტური მაგალითებით, მიზეზებით და სხვა მტკიცებულებებით, საკუთარი პოზიციის დასაცავად;
- არის კარგად ორგანიზებული და ფოკუსირებული; ეს ძალიან გამართულია და მასში აზრთა პროგრესირება აშკარა და ნათელია;
  - გამოირჩევა ენობრივი საშუალებების ოსტატურად ფლობით; მასში გამოყენებულია მრავალგვარი, ზუსტი და სათანადო ლექსიკა;
  - შედგება სტრუქტურულად მრავალგვარი აზრობრივად გამართული წინადაღებებისგან;
  - არის თითქმის უშეცდომო გრამატიკული / ორთოგრაფიული თვალსაზრისით.

### 5 ქალა

ამ კატეგორიის ეს ზომიერად თანმიმდევრულია თუმცა აქვს რამდენიმე შეცდომა ტიპური ეს:

- ეფექტურად აყალიბებს შეხედულებას თემაზე და მიგვითითებს მწერლის ძლიერ კრიტიკულ აზროვნებაზე, რაც გამოიხატება მწერლის მიერ მოყვანილი ძირითადად აშკარად არარელევანტური მაგალითებით, მიზეზებითა და სხვა მტკიცებულებებით, საკუთარი პოზიციის დასაცავად;
- არის კარგად ორგანიზებული და ფოკუსირებული; ეს გამართულია და მასში აზრთა პროგრესირება ნათელია;
- გამოირჩევა ენობრივი სიმწყობრივი; მასში გამოყენებულია შესაფერისი და სათანადო ლექსიკა;
- შედგება სტრუქტურულად მრავალგვარი წინადაღებებისგან;
- არის ძირითადად უშეცდომო გრამატიკული / ორთოგრაფიული თვალსაზრისით.

## ენის შევასება და ტუსტირება

### 4 ქულა

ამ კატეგორიის ესე მეტ-ნაკლებად თანმიმდევრულია, თუმცა აქვს შეცდომები. ტიპური ესე:

- აყალიბებს შეხედულებას თემაზე და მიგვითითებს მწერლის კომპეტენციურ კრიტიკულ აზროვნებაზე, რაც გამოიხატება მწერლის მიერ მოყვანილი ძირითადად რელევანტური მაგალითებით, მიზეზებითა და სხვა მტკიცებულებებით, საკუთარი პოზიციის დასაცავად;
- არის ძირითადად ორგანიზებული და ფოკუსირებული; ესე მეტ-ნაკლებად გამართულია და მასში აზრთა პროგრესიონება გახსაგებია;
- გამოირჩევა ნორმალური, მაგრამ არასაკმარისი ენობრივი გამართულობით; მასში გამოყენებულია ძირითადად სათანადო ლექსიკა;
- შედგება სტრუქტურულად ძირითადად მრავალგვარი წინადაღებებისგან;
- აქვს გარკვეული სახის გრამატიკული შეცდომები.

### 3 ქულა

ამ კატეგორიის ესე გამოირჩევა განვითარებადი ოსტატობით და აქვს ერთი აქ ჩამონათვალ სისუსტეთაგან:

- აყალიბებს შეხედულებას თემაზე და მიგვითითებს მწერლის მეტ-ნაკლებ კრიტიკულ აზროვნებაზე, მაგრამ არათანმიმდევრული ან არააღექვატური მაგალითებით, მიზეზებითა და სხვა მტკიცებულებებით, საკუთარი პოზიციის დასაცავად;
- არის ლიმიტირებული ორგანიზებულობასა ან ფოკუსირებაში; ესე შეიძლება არ იყოს მთლიად გამართული; შესაძლებულია, მასში აზრთა პროგრესიონება ცხადი არ იყოს;
- მიგვითითებს განვითარებად ენობრივ სიმწყობრეზე, მაგრამ ზოგჯერ მასში გამოყენებულია სუსტი ან არასათანადო ლექსიკა;

## მნის შეფასება და ტუსტირება

- შედგება სტრუქტურულად არამრავალფეროვანი, მწირი ან სტრუქტურულად არასწორი წინადაღებებისგან;
- არის ბევრი გრამატიკული შეცდომა.

### 2 ქულა

ამ კატეგორიის ესე გამოირჩევა ნაკლები ოსტატობით და აქვს ერთი აქ ჩამონათვალ სისუსტეთაგან:

- აყალიბებს ზედაპირულ ან ძალიან ლიმიტირებულ (შეზღუდულ) შეხედულებას თემაზე და მიგვითითებს მწერლის სუსტ კრიტიკულ აზროვნებაზე, რაც გამოიხატება არასაკმარის ან არააღექვაზურ მაგალითებში, მიზეზებაა და სხვა მტკიცებულებებში, რომლებსაც მწერალი იყენებს საკუთარი პოზიციის დასაცავად;
- არის ცუდად ორგანიზებული და/ან ფორმულირებული; შესაძლებელია, ესეში აზრთა პროგრესირება თითქმის გაუგებარი იყოს;
- მიგვითითებს ძალიან დაბალი დონის ენობრივ სიმწყობრეზე; მასში გამოყენებულია სუსტი და ლიმიტირებული (შეზღუდული) ან არასათანადო ლექსიკა;
- შედგება სტრუქტურულად არასწორი წინადაღებებისგან;
- არის იმდენი გრამატიკული შეცდომა, რომ აზრის გაგება ძნელია.

### 1 ქულა

ამ კატეგორიის ესე გამოირჩევა ძალიან სუსტია ოსტატობის თვალსაზრისით და აქვს აქვს ერთი ან რამდენიმე შემდეგი ტიპის ხარვეზი:

- არ აყალიბებს შეხედულებას თემაზე ან არ იძლევა თითქმის არანაირ ან არანაირ მტკიცებულებებს, საკუთარი პოზიციის დასაცავად;
- არაორგანიზებული ან არაფორმულირებულია, რის გამოც ესე არათანმიმდევრული ან გაუგებარია;
- არის სერიოზული ლექსიკური შეცდომები;
- შედგება სტრუქტურულად არასწორი წინადაღებებისგან;
- არის იმდენი გრამატიკული შეცდომა, რომ აზრი გაუგებარია.

## ენის შეფასება და ტქმირება

### 0 ქულა

ესე, რომელიც არ არის დაწერილი მოცემულ თემაზე (არ პასუხობს კითხვას / თემას) 0 ქულას მიიღებს.

**როგორც ნიმუშიდან ჩანს,** ესეს შეფასების მაქსიმალური ქულაა 6. შეფასების რუბრიკაში ზუსტად არის გაწერილი, თუ რა შემთხვევაში იღებს მოსწავლე / აბიტურენტი 6, 5, 4, 3, 2 1 ან 0 ქულას.

### **შემფასებლის არაობიუქტურობა/ტენდენციურობის ზეგავლენა ტესტის კალიდურობაზე**

შემდეგი საფრთხე, რომელიც შეიძლება დაემუქროს ტესტირების დროს ენის ფლობის/ცოდნის დონის აღეკვატურ შეფასებას ასევე დაკავშირებულია შეფასების კრიტერიუმებთან, თუმცა ის უფრო მეტად არის დაკავშირებული შემფასებლის პიროვნებასთან (ენა, ტესტირება, შეფასება..., 2008, გვ. 200, ეგნი, კოჩაკი, 2006, გვ. 529).

არასწორი ქულის კიდევ ერთი მიზეზი შეიძლება გახდეს შემფასებლის ტენდენციურობა, რომელიც შეიძლება განპირობებული იყოს შემფასებლის გარკვეული სტერეოტიპებით (მაგ. ლამაზი ხელით ნაწერმა დადგებითი ზეგავლენა მოახდინოს, ხოლო უშნო კალიგრაფიამ კი პირიქით - უარყოფითი), დაღლილობით ან მოყირჭებით. საკლასო სიტუაციაში შემფასებლის ტენდენციურობა გაუცნობიერებლად შეიძლება დაეფუძნოს გარკვეულ პირად სიმპათიებს ან წარსულში შექმნილ შთაბეჭდილებებს. შეფასების რუბრიკის არარსებობა ან არასრული შეფასების რუბრიკა (ან სქემა) ხელს უწყობს შემფასებლის ტენდენციურობას.

გარდა ზემოთ განხილულისა, ცხადია, განზრახული უნარების შესაფასებლად მეტად მნიშვნელოვანია ტესტში მიღებული პირველადი (ნედლი) ქულების აღეკვატური ანალიზი საბოლოო ქულების მისაღებად. ამისათვის გამოიყენება ტესტის ფსიქომეტრული სპეციალური თეორიები და შესაბამისი ფსიქომეტრული მეთოდები.

## ენის შეფასება და ტუსტირება

### ბ. სანდოობა

სანდოობა – ეს არის ტესტის მახასიათებელი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენად არის დამოკიდებული ტესტით მიღებული ქულები გაზომვის ცოორმილებებზე, განასხვავებს თუ არა ტესტური კითხვა ძლიერ და სუსტ მოსწავლეებს? მაგალითად, თუ სტანდარტიზებულ ტესტს ჩააბარებთ ორშაბათს, შემდეგ იმავე ტესტს ერთი კვირის შემდეგაც ჩააბარებთ და ორივეჯერ ერთსა და იმავე მაჩვენებელს მიიღებთ, საკმარისი მიზეზი გექნებათ იფიქროთ, რომ ტესტის შედეგები სანდოა. თუ ერთ დღეს 100 ადამიანი ჩააბარებს ტესტს და შემდეგ ისინი ერთი კვირის შემდეგ ამ ტესტს კვლავ გაიმეორებენ, მათი შედეგები კვლავ იგივე იქნება განმეორებითაც – თქვენ კიდევ უფრო მეტი საბაბი გექნებათ იმის სათქმელად, რომ ტესტის შედეგები სანდოა. (რა თქმა უნდა, იგულისხმება, რომ მეორე ტესტიმდე შუალედში ადამიანები არ იგებენ პასუხებს და არ სწავლობენ საკითხებს). მონაცემები სანდოა, თუ ტესტი სტაბილურ და მდგრად სურათს იძლევა ინდივიდის უნარის შესახებ სიტუაციიდან სიტუაციამდე. სანდო თერმომეტრი ერთნაირად მუშაობს, ერთნაირად გიჩვენებთ 100 გრადუსს ცელსიუსით, როცა მდუღარე წყლის ტემპერატურას ზომავთ. სანდოობის გაზომვის ეს გზა, ანუ ტესტის შესრულება ორ სხვადასხვა სიტუაციაში ნიშნავს სტაბილურობას და სანდოობას ტესტიდან ტესტამდე. თუ ადამიანთა ჯგუფი ასრულებს ტესტის ორ ეკვივალენტურ ვერსიას და მაჩვენებლები ამ ორივე ტესტში შედარებითა, ეს სანდოობის ალტერნატიული ფორმაა (ბურლაჩუკი, 2008, გვ. 265; ანასტაზი, ურბინა 2007, გვ. 103; ჰაგერსი, 1992, გვ. 29).

სანდოობა ასევე მოიცავს ტესტის შიდა მდგრადობასა და სიზუსტეს. სანდოობის მდგრადობა გამოითვლება ტესტის ერთი ნახევრის შესრულების შედეგების შედარებით მეორე ნახევრის შესრულების შედეგებთან.

არსებობს სანდოობის დადგენის რამდენიმე გზა, მაგრამ ყველა შესაძლო შედეგი 0-დან 1-მდე შუალედშია მოქცეული, როგორც კორელაციის კოეფიციენტი. ითვლება, რომ სანდოობა 0.8-ის ზემოთ ძალიან მაღალია, 0.8-დან 0.6-მდე - კარგი, 0.6-სა და 0.4-ს შორის დაბალი, ხოლო 0.4-ის ქვემოთ

## ენის შევასება და ტქისტირება

კი არა სანდო. სანდოობის ასამაღლებლად ყველაზე ეფექტური გზაა ტქისტირებითი საკითხების შეტანა. ზოგადად ითვლება, რომ ვრცელი (გრძელი) ტქსტები უფრო სანდოა, ვიდრე შედარებით მცირე ზომის (მოკლე) ტქსტები.

### გაზომვის შეცდომები

არც ერთი ტქსტი არ აფასებს სრულყოფილად იმ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რომელთა გასაზომადაც მათ იყენებენ, რადგან ყოველთვის ხდება შეცდომების დაშვება. არის ისეთი შეცდომები, რომლებიც მოსწავლესთან არის დაკავშირებული, და გამოწვეულია მაგალითად, გუნება-განწყობით, მოტივაციით ან ტქსტის ჩაბარების უნარ-ჩვევებით.

ზოგჯერ შესაძლებელია შეცდომა მოსწავლის სასარგებლოც აღმოჩნდეს და მისი მაჩვენებელი იმაზე მაღალი იყოს, ვიდრე მისი რეალური ცოდნაა. შესაძლებელია, მან ზუსტად ტქსტის წინ გადახედა ამ კონკრეტულ მასალას. ზოგჯერ შეცდომა შეიძლება მოსწავლისთვის არასახარბიელო იყოს. მაგალითად, იგი ავად არის ტქსტირების დროს, ან თავს შეუძლოდ გრძნობს ან გამოუძინებელია ან კიდევ გადადლილია სწორედ ტქსტირების დღეს ან არასათანადო მასალაზე იყო კონცენტრირებული. თუმცა შეცდომის წყარო შეიძლება თავად ტქსტს უკავშირდებოდეს – მითითებები არ იყოს ნათელი, საკითხავი მასალა მიზანშეუწონდად რთულია, საკითხები კი ორაზროვანია ან დრო არის ძალიან შეზღუდული. მაჩვენებელი, რომლებსაც მოსწავლე იდებს ტქსტში, ყოველთვის მოიცავს გარკვეულ შეცდომას. როგორ შეიძლება შევამციროთ ეს შეცდომები? რაც უფრო სანდოა ტქსტი, მით უფრო ნაკლებად არის მოსალოდნელი შეცდომა. სტანდარტიზებულ ტქსტებზე მუშაობისას მისი შემდგენლები ამას ითვალისწინებენ და ცდილობენ შეაფასონ, თუ რამდენად განსხვავებული შეიძლება იყოს მოსწავლის მონაცემი, თუ იგი განმეორებით შეასრულებდა ტქსტს. ამას გაზომვის სტანდარტული შეცდომა ეწოდება. ამდენად, სანდო ტქსტი შეიძლება ასეც განისაზღვროს, რომ ესაა ტქსტი, რომელსაც გაზომვის მცირე სტანდარტული შეცდომა აქვს. ტქსტების ინტერპრეტირებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს შეცდომის ფარგლები (ბურლაჩქი, 2008, გვ. 315).

## ენის შეფასება და ტუსტირება

ფართომასშტაბიანი სტანდარტიზებული ტესტირების დროს, როცა ტესტირების მიზანია, დაადგინოს ცოდნისა და უნარების ოვალსაზრისით არსებული საერთო დონე მოსწავლეთა გარკვეულ ჯგუფებში (ქვეყნის, რეგიონის, რაიონის სკოლის მასშტაბით) არასისტემატურ (შეიძლება ითქვას, შემთხვევით) შეცდომებს ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება. მაგრამ ისინი განსაკუთრებულ დატვირთვას იძენენ, როცა საკლასო ტესტებთან გვაქვს საქმე და ერთი რომელიმე მოსწავლის უნარისა და ცოდნის შეფასება გვიწევს ტესტირების საშუალებით. ამიტომ სპეციალისტები მასწავლებლებს ურჩევენ უნარის შესახებ აზრის ჩამოყალიბებისას ნურასოდეს დაეყრდნობიან მოსწავლის ზუსტად იმ მონაცემს, რომელსაც იგი ტესტში იღებს. ტესტების შემმუშავებლები მონაცემებს სანდო ინტერგალის, ანუ „სტანდარტული შეცდომის ფარგლების“ გათვალისწინებით აქვევნებენ. ეს შემოსაზღვრავს მოსწავლის რეალურ მაჩვენებელს, რაც საჭიროს ხდის გაზომვის სტანდარტული შეცდომის გამოყენებას და საშუალებას აძლევს მასწავლებელს, გაითვალისწინოს მაჩვენებელთა სპექტრი, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს მოსწავლის ზუსტ ქულას – მაჩვენებელს, რომელსაც მიიღებდა მოსწავლე, ტესტი რომ აპსოლუტურად ზუსტი და უშეცდომო ყოფილიყო (კულფოლკი, 2007, გვ. 525).

აუცილებელია, გვახსოვდეს სტანდარტული შეცდომის ფარგლები, როცა მოსწავლეებს ვარჩევთ სპეციალური პროგრამებისთვის. არც ერთი ბავშვი არ უნდა იყოს უარყოფილი მხოლოდ იმიტომ, რომ მათი მაჩვენებელი დადგენილ შესარჩევ მაჩვენებელს ერთი-ორი ქულით ჩამორჩება. მოსწავლის ნამდვილი მაჩვენებელი შეიძლება ამ დადგენილ მაჩვენებელზე მაღალი იყოს. ზოგადად, ტესტის შედგენისას მნიშვნელოვანია, რომ გავითვალისწინოთ, რომ სანდოობისთვის პრობლემას შეიძლება წარმოადგენდეს (ბეკერი, 2008):

- ტესტში გამოყენებულია არასწორი სიტყვები ან ბუნდოვანი ფორმულირებები;
- ორაზროვანი ან ძალიან ზოგადი ხასიათის ინსტრუქცია, რომლის წაკითხვის შედეგადაც მოსწავლეს გაუჭირდება გაიგოს, რა მოეთხოვება ამ დავალებაში;

## ენის შევასება და ტქისტირება

- ტქისტური კითხვები (დავალებები), რომლებიც შეიცავს უნებლივ მანიშნებლებს და მოსწავლეს უბიძგებს სწორი პასუხისაკენ;

- დახურულ კითხვაში ძალიან გამოკვეთილია სწორი პასუხი.

ქვემოთ წარმოდგენილია ასეთი შემთხვევების მაგალითები. კერძოდ, პირველ ტქისტურ დავალებაში გამოყენებულია არასწორი სიტყვები და ბუნდოვანი ფორმულირებები.

### 1. რა შეიძლება იყიდოთ:

2. პროდუქტების მაღაზიაში? \_\_\_\_\_
3. საპარიკმახეროში? \_\_\_\_\_
4. აფთიაქში? \_\_\_\_\_
5. საყოფაცხოვრებო მომსახურების სალონში? \_\_\_\_\_
6. საფუნთუშეში? \_\_\_\_\_

საპარიკმახეროში არაფრის ყიდვა არ შეიძლება და, აქედან გამომდინარე, ეს მხოლოდ დააბნევს მოსწავლეს. ამავდროულად, სრულიად ბუნდოვანია გამონათქვამი „საყოფაცხოვრებო მომსახურების სალონი“. უფრო მეტიც, ამ ტქისტურ დავალებაში წინასწარი მინიშნებაცაა, რადგან პროდუქტების მაღაზიაში ცხადია, რომ პროდუქტების ყიდვაა შესაძლებელი. სხვა ყველაფერთან ერთად, ამ ტქისტურ დავალებას აკლია სწორი პასუხების ჩამონათვალი ანუ შეფასების რუბრიკა და ოუ ის წინასწარ არ იქნება გადაწყვეტილი (ტქისტირების მიზნიდან გამომდინარე) და გაწერილი, შესაძლებელია 1.6. კითხვაზე პასუხი: "პური" ჩაითვალოს სწორ პასუხად და მეორე შემთხვევაში (ზემოთ განხილული ფაქტორების ზეგავლენით, მაგ., სხვადასხვა შემფასებლის პირობებში) იგივე პასუხი არასწორად ან უფრო სწორად არასაკმარისად, რადგან პასუხი "პური, ფუნთუშა და ა.შ." იყოს მიჩნეული სწორად.

შემდეგ მაგალითში (2) ტქისტურ დავალებას აქვს ორაზროვანი ან ძალიან ზოგადი ხასიათის ინსტრუქცია, რომლის წაკითხვის შედეგადაც მოსწავლეს გაუჭირდება გაიგოს, რა მოეთხოვება ამ დავალებაში

## ენის შეფასება და ტუსტირება

2. ტექსტიდან ამოიწერეთ განსაზღვრება, რომლებიც პერსონაჟის უარყოფითად ახასიათებს, თუმცა, საზოგადოდ, უარყოფითი მნიშვნელობით არ გამოიყენება.

(იგულისხმება მხატვრული ხერხი - ირონია - მაგ. ილია ჭავჭავაძის ლექსში - „ბედნიერი ერი“)

როგორც ვხედავთ, გაუგებარია, რის განსაზღვრება უნდა ამოიწეროს მოსწავლემ, ან ეგებ დავალების მიხედვით მან ირონიის გამომხატველი სიტყვები უნდა ამოიწეროს? ცხადია, ასეთი ინსტრუქცია დაბინევს მოსწავლეს და, შესაბამისად, მისი ენობრივი კომპეტენციები არააღეპატურად იქნება შეფასებული.

მესამე მაგალითი წარმოადგენს ისეთ ტექსტურ დავალებას (კითხვას), რომელიც შეიცავს უნებლიერ მანიშნებლებს და მოსწავლეს უბიძგებს სწორი პასუხისაკენ (თავად ნაწარმოების სათაურშივე მოცემულია ტექსტური დავალების სწორი პასუხი: მოსწავლეს შეიძლება სულაც არ ჰქონდეს წაკითხული ნაწარმოები, მაგრამ გასცეს ადეპტატური პასუხი):

3. ვინ არის თხზულების - „სოლომან მორბელაძის“ - მთავარი პერსონაჟი?

შემდეგ მაგალითში სწორი პასუხი ძალიან გამოკვეთილია და დისტრაქტორები სრულიად ხელოვნურია.

4. გაარკვიე, რომელია სწორი პასუხი:

სარკე გაკეთებულია:

- (ა) რძისგან;
- (ბ) ლვინისგან;
- (გ) მინისგან;

## ენის შეზასება და ტუსტირება

### გ. სამართლიანობა/არატენდენციურობა

ტესტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია სამართლიანობა. ამ ცნების ეკვივალენტად ხშირად არატენდენციურობას იყენებენ (ბექერი, 2008, პაგერსი, 1992, გვ. 19; ენა, ტესტირება, შეფასება... 2008, გვ. 183). ტესტის ცოდნისა და უნარების საზომი ინსტრუმენტია და იგი სამართლიანი, არატენდენციური უნდა იყოს, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა მოსწავლეს უნდა ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა, სრულად გამოავლინოს თავისი ცოდნა და უნარები. ტესტის სამართლიანობას ხშირად უკავშირებენ ტესტის ადმინისტრირების ობიექტურობასთან და იმასთან, თუ რამდენად ერთნაირი პირობებში აკეთებენ ტესტს მოსწავლეები. ეს, ცხადია, მეტად მნიშვნელოვანი საკითხია, თუმცა შესაძლებელია თვითონ ტესტი, როგორც გარკვეული ცოდნისა და უნარების საზომი ინსტრუმენტი, იყოს არასამართლიანი, ანუ ტესტი ისე იყოს შედგენილი, რომ სხვადასხვა სოციალური ჯგუფის, ფენის და ა.შ. მოსწავლეებს არ ჰქონდეთ თანაბარი პირობები საკუთარი ცოდნისა და უნარების გამოსავლენად. ამდენად, არასამართლიანობა, ტენდენციურობა გულისხმობს შეფასების ინსტრუმენტის თვისებას, უსიამოვნება მიაყენოს ან უსამართლოდ მოექცეს მოსწავლეებს მათი გენდერული, რასობრივი, ეთნიკური, სოციალურ-ეკონომიკური ან სხვა რაიმე სტატუსის გამო. ეს შეიძლება იყოს გამოწვეული ტესტის შინაარსის, ენის ან მაგალითების სხვადასხვა ასპექტებით, რომელმაც შეიძლება გაამრუდოს მოსწავლეების მიერ ტესტის შესრულება – შეცვალოს იგი უკეთესობისაკენ ან უარესობისაკენ. მაგალითად, თუ ტესტში შეტანილია კრივთან ან ფეხბურთთან დაკავშირებული საკითხები, უნდა ველოდოთ, რომ ამ ტესტს ბიჭები უკეთესად შეასრულებენ, ვიდრე გოგონები. როცა შინაარსი ეხება სპორტის სახეობებს, ეს უსამართლობაა – გოგონები შეიძლება დაიჩაგრონ ცოდნის ნაკლებობის გამო ვთქვათ, ფეხბურთსა და კრიკეტი. თუმცა ტესტი არა მხოლოდ უსამართლო, არამედ შეურაცხმუფელიც შეიძლება იყოს. ეს მაშინ ხდება, როცა ტესტის შემსრულებელთა ერთი ჯგუფისათვის ტესტი ან მისი გარკვეული დავალებები დამამცირებელია. დამცირებული, გაბრაზებული მოსწავლეები კი ვერ წარმოაჩენენ თავს საუკეთესოდ.

## ენის შეფასება და ტუსტირება

ტესტები შეიძლება პროცედურულად არ იყოს სამართლიანი. ანუ შესაძლოა ზოგიერთ ჯგუფს არ ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა ტესტირებისას გამოავლინეს თავისი ცოდნა. განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

1. ტესტისა და ტესტის ჩატარებლის ენა ხშირად განსხვავდება მოსწავლეების ენისაგან.
2. ის პასუხები, რომლებიც მხარს უჭერს საშუალო ფენის ღირებულებებს, უფრო მაღალი ქულებით ფასდება.
3. ინდივიდუალურად ჩატარებულ ტესტებში (მაგ, ლაპარაკის), მაღალი ქულებით ფასდება მაღალი ვერბალურობა და ბევრი ლაპარაკი და არა შინაარსი. ეს უკეთეს პირობებში აყენებს იმ მოსწავლეებს, რომლებიც ასეთ სიტუაციებში თავს კომფორტულად გრძნობენ.

ტესტები შეიძლება არ იყოს სამართლიანი, რამდენადაც შესაძლებელია, განსხვავებულ ჯგუფებს იმ მასალის სწავლის სხვადასხვა შესაძლებლობა ჰქონდეს, რომელიც მოწმდება. საკითხები, როგორც წესი, ეხება ხოლმე ისეთ ფაქტებსა და გამოცდილებას, რომელიც დომინანტური კულტურისათვის არის ნაცნობი და არა უმცირესობისათვის.

დღეს სტანდარტიზებული ტესტების უმეტესობა ყურადღებით მოწმდება, რომ მასში არ აღინიშნებოდეს ტენდენციურობა (ბეკერი, 2008), მაგრამ მასწავლებელთა მიერ შედგენილი ტესტებიც ასევე შეიძლება ტენდენციური იყოს. ამიტომ აუცილებელია, რომ მასწავლებელმა, განსაკუთრებით კი, ახალბედა მასწავლებელია კოლეგებს ან სპეციალისტებს სთხოვოს ტესტის გადახედვა იმ მიზნით, რომ შეამოწმოს, ხომ არ:

- ✓ აყენებს უპირატეს მდგომარეობაში გოგოს ან ბიჭს;
- ✓ აყენებს უპირატეს მდგომარეობაში გარკვეულ ჯგუფს დასახლების ტიპის, სოციალური სტატუსის ან ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით;
- ✓ გაანაწენებს გარკვეულ მოსწავლეებს და ზეგავლენას მოახდენს მათგან სწორი პასუხის გაცემის ალბათობაზე;
- ✓ არის დავალებაში ჩადებული უსამართლო ხაფანგი”.
- ✓ შეფასების სისტემა დასახვეწია.

## ენის შეზასხვა და ტქისტირება

### 3. ტქისტის ძირითადი თეორიები

ყველაზე ცნობილი თეორია, რომლის მიხედვითაც ხდება ტქისტის მონაცემების დამუშავება ეს არის ტქისტის კლასიკური თეორია (ანასტაზი, ურბინა, 2007, გვ. 196; ბურლაჩუკი, 2008, გვ. 448; რეინი, 2009; ფრანსი). ამ თეორიის მიხედვით მონაწილის/მოსწავლის მიერ ტქისტი მიღებული ქულა შედგება ჰეშმარიტი ქულისაგან, რომელიც შეესაბამება მოსწავლის/მონაწილის გასაზომი უნარების ოდენობას და გაზომვის შეცდომისგან. გაზომვის შეცდომა დამოკიდებულია შემთხვევითობაზე, ილბალზე, მოტივაციაზე, დაღლილობაზე და სხვა არასისტემატურ ფაქტორებზე. რაც უფრო კარგად არის შედგენილი ტქისტი და რაც უფრო სტანდარტიზებული და ობიექტურია იგი, მით უფრო მცირეა გაზომვის შეცდომა.

ტქისტის ადმინისტრირების შემდეგ მოსწავლის მიერ მიღებულ ქულათა ჯამი წარმოადგენს იმ ძირითად მაჩვენებელს, რომელზე დაყრდნობითაც ხდება მოსწავლის უნარის საბოლოო შეფასება. კლასიკური ტქისტის თეორიაში მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს ტქისტირებაში მონაწილე მოსწავლეთა ქულების საშუალო არითმეტიკული (სტანდარტულ გადახრასთან ერთად), რომელიც მოსწავლეთა შეფასების ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს. სწორედ მოსწავლეთა საშუალო ქულა გამოიყენება დასკვნების გამოსატანად იმის თაობაზე, თუ როგორ შეფასდება კონკრეტული მოსწავლის გარკვეული უნარი: როგორც საშუალოზე მაღალი, დაბალი, თუ საშუალო. ტქისტის მნიშვნელოვანი მახასიათებელია დისკრიმინაციის უნარი. ეს არის ტქისტის მახასიათებელი, რომელიც საშუალებას იძლევა განასხვაოს მაღალი, საშუალო და დაბალი უნარებისა და ცოდნის მქონე მოსწავლეები ერთმანეთისგან.

ტქისტის კლასიკური თეორია ძალიან მოსახერხებელია, როცა გვინდა შევარჩიოთ საუკეთესო მოსწავლეები; ვაფასებთ ერთ კონკრეტულ, შედარებით გირზო საკითხს; გვაქვს მხოლოდ ერთი ტქისტი და ერთი პოპულაცია. მაგრამ თუ ასე არ არის, მაშინ იქმნება მონაცემთა ინტერპრეტაციის პრობლემები (რეინი, 2009). მაგალითად, A მოსწავლემ და B მოსწავლემ გააკეთა

## ენის შევასხვა და ტუსტირება

სხვადასხვა ტესტი. ერთი ტესტი (E) უფრო ადვილია, ვიდრე - მეორე (D). როგორ შევადაროთ ტესტის ქულები  $X_{AE}$  და  $X_{BD}$  ერთმანეთს? როგორ მოვიქცეთ, თუ  $X_{AE} > X_{BD}$ ?

ან მეორე მაგალითი:

კ და j ტესტური დავალება გააკეთა ორმა სხვადასხვა ჯგუფმა. ერთი ჯგუფს აქვს ნაკლები უნარები (l), ხოლო მეორეს - მეტი (h).

როგორ შევადაროთ ამ ტესტური დავალებების სირთულე p ერთმანეთს? რა ვქნათ, თუ ტესტური დავალების სირთულე (P, რომელიც განისაზღვრება ჯგუფში იმ მოსწავლეთა პროცენტით, რომლებმაც სწორად გააკეთეს ტესტური დავალება)  $P_k < P_{jh}$ ?

ამ ტიპის პრობლემებს აგვარებს ტესტურ დავალებაზე დაფუძნებული თეორია (რეინი, 2009, ბურლაჩუკი, 2008, გვ.148; ანასტაზი, ურბინა, 2007, გვ. 211). თუ უნდა შევაფასოთ ცოდნისა და უნარების ფართო სპექტრი და შესაბამისად, გვჭირდება ბევრი ტესტური დავალება, თუ უნდა შევაფასოთ სხვადასხვა ჯგუფებისგან შემდგარი პოპულაცია, მაშინ უმჯობესია გამოვიყენოთ ტესტურ დავალებაზე დაფუძნებული თეორია. ეს არის ტესტის ალბათურსტატისტიკური თეორია, რომლის ძირითადი იდეა არის ის, რომ რაც უფრო მაღალია ტესტირებაში მონაწილის უნარები, მით უფრო მაღალია ტესტურ დავალებაზე მის მიერ სწორი პასუხის გაცემის ალბათობა. ამ თეორიის მიხედვით შედეგები არ არის დამოკიდებული ტესტირებაში მონაწილეთა საერთო დონეზე და იმაზე, თუ მონაწილეთა რამდენმა პროცენტმა გააკეთა ესა თუ ის ტესტური დავალება. ტესტირების ამ ფსიქომეტრული თეორიის მიხედვით ქულა არ არის დამოკიდებული ტესტურ დავალებებზე. ამასთანავე, მოსწავლებმა შეიძლება შეასრულონ სხვადასხვა ტესტური დავალებები; მოსწავლემ შეიძლება დაწეროს ტესტის ნაწილი (ბუკლეტი) და დასკვნა გაკეთდეს ისე, თითქოს მან მოედი ტესტი შეასრულა. მაგრამ ეს ტესტის ამ მოდელისთვის აუცილებელია ტესტური დავალებების განმეორება და მოსწავლეთა სხვადასხვა შერჩევის თანაკვეთა.

## **ენის შევასება და ტქისტირება**

---

ფსიქომეტრული ოვალსაზრისით, ეს მოდელი საკმაოდ რთულია და იგი გამოიყენება ფართომასშტაბიანი ტესტირების დროს. უფრო მეტიც, იგი ძალზე რთულ გამოთვლებს მოითხოვს და მისი გამოყენება შეუძლებელია სპეციალური კომპიუტერული პროგრამების გარეშე.

საკლასო ტესტირების დროს, ჩვეულებრივ, ტესტური ქულების ინტერ-პრეტაციისთვის იყენებენ უფრო მარტივ პროცედურებს, რომელთა შესახებაც ქვემოთ (იხ. თავი 5) იქნება მოთხოვნილი.

## ენის შეფასება და ტქისტირება

### 4. ტქისტის შედგენის საშუალოები (ეტაპები)

ტქისტის შედგენის პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია იმის განსაზღვრა თუ რისი დადგენა გვინდა ტქისტირების შედეგად და რა მიზნით. ამისთვის უნდა გავარკვიოთ, **რომელი კატეგორიის** ტქისტი გვჭირდება (მიღწევის, დახელოვნების თუ სხვ.), რა არის მათი **მიზანი** კონკრეტულ სიტუაციაში, მოსწავლეთა რომელი უნარების ტქისტირება გვესაჭიროება, როგორ უნდა მოხედეს მონაცემთა ინტერპრეტირება და ა.შ.

ტქისტის შექმნა მისი დეტალური გეგმის ჩამოყალიბებით იწყება. ასეთ გეგმას **ტქისტის სპეციფიკაციას** უწოდებენ (ტქისტური, 2009, გვ. 8). იგი ტქისტირების მიზნებზე დაყრდნობით ყალიბდება და მოიცავს დეტალურ ინფორმაციას ტქისტის მიზნის, შინაარსისა და ადმინისტრირების შესახებ. ტქისტის სპეციფიკაციას სხვადასხვა სახე შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ ყველა მათგანი უნდა მოიცავდეს ტქისტის მიზანს, შინაარსს, ფორმატს (შესაფასებელი უნარების/ცოდნის, გამოყენებული ტქისტური დავალებების და ტქისტში მათი წონის მატრიცას), აგრეთვე ინფორმაციას მონაწილეების, შეფასების სისტემისა და ადმინისტრირების შესახებ (ჰაგერსი, 1992, გვ. 48).

ტქისტირების საშუალებით ენის ფლობის შეფასების დროსაც საჭიროა, შევაღინოთ ტქისტირების გეგმა ანუ სპეციფიკაცია. განვიხილოთ ტქისტის სპეციფიკაციაში შემავალი ინფორმაციის მაგალითები.

**შინაარსი:** ტქისტის სპეციფიკაციაში სრულად უნდა იყოს აღწერილი ის შინაარსი, რომელზე დაყრდნობითაც შეიძლება აიგოს ტქისტი. მაგ., გრამატიკული ტქისტის შინაარსი უნდა შედგებოდეს შესაფასებელი გრამატიკული სტრუქტურების ჩამონათვალისგან, ხოლო ენობრივი უნარების საერთო ტქისტი კი უნდა მოიცავდეს ენობრივი კომპეტენციების ყველა განზომილების აღწერას. როგორც ზემოთ ითქვა, ტქისტის შექმნებლმა სხვადასხვაგვარი ფორმა შეიძლება მისცეს ტქისტის სპეციფიკაციას, მაგრამ მთავარია, რომ მასში ტქისტის შინაარსი სრულად და ამომწურავად იყოს აღწერილი.

## ენის შევასება და ტქისტირება

ტესტის სპეციფიკაციაში არა მხოლოდ ტესტის შინაარსი უნდა იყოს აღწერილი, არამედ მოცემული უნდა იყოს გამოყენებული მასალის თავისებურებები და ის ოპერაციები, რომელთა შესრულებაც მოუწევს მოსწავლეს ტესტირებისას. მაგ., კითხვის ტესტში შეიძლება გამოყენებული იყოს სხვადასხვა ტიპის ტექსტები (პუბლიცისტური წერილები, ლექსი, მოთხოვობა, სარეკლამო განცხადებები და სხვ.), რომელთა ტიპის, რაოდენობისა და მოცულობის შესახებ ინფორმაცია წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული ტესტის სპეციფიკაციაში. აქვე უნდა იყოს მოცემული იმ უნარებისა და ცოდნის ჩამონათვალი, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება ტესტი. მაგ., ტესტის მიზანი შეიძლება იყოს ტექსტში სპეციფიკური ინფორმაციის მოძიების უნარის შეფასება, კონტექსტის მიხედვით უცხო სიტყვის მნიშვნელობის გაგება და ა.შ.

**ტესტირებაში მონაწილეების/პოპულაციის აღწერა:** ტესტის სპეციფიკაციის ეს ნაწილი უნდა მოიცავდეს ამომწურავ ინფორმაციას ტესტირებაში მონაწილე ადამიანების შესახებ. ეს არის ინფორმაცია მათი ასაკის, საგანმანათლებლო საფეხურის/კლასის, ენის ფლობის არსებული დონის და სხვ. შესახებ. ენის ფლობის დონის ტესტის შემთხვევაში ცხადია, მნიშვნელოვანია ტესტის სპეციფიკაციაში მითოთებული იყოს, არის ეს ენა მშობლიური მონაწილეებისთვის, თუ იგი მეორე ან უცხო ენაა.

**ფორმატი/მატრიცა და დროის განაწილება:** ამ ნაწილში მოცემული უნდა იყოს ტესტის სტრუქტურა, რომელიც მოიცავს ტესტირების დროს და მის განაწილებას ტესტის თითოეული კომპონენტისთვის, ტესტური დავალებების ტიპებსა და სპეციალურ პროცედურებს. ამ ნაწილში ასევე მოცემული უნდა იყოს თითოეული კომპონენტის წრინა. აქვე გაწერილი უნდა იყოს, რომელი ტიპის რამდენი ტესტური დავალება არის განსაზღვრული თითოეული კომპონენტისთვის (ტესტური..., 2009, გვ. 12).

ქვემოთ მოგვავს ტესტის სპეციფიკაციაში წარმოდგენილი ტესტის ფორმატის/მატრიცის მაგალითი ქართული ენის ტესტისთვის.

## ენის შეფასება და ტუსტირება

	მეორე ენა
მოსმენილის გაგება	30 წთ 25% 15 მრავლობითი არჩევანის შემცველი დაგალება; 5 –ღია ტესტური დაგალება (2 მოკლე და 3 გავრცობილპა- სუხიანი)
წაკითხულის გაგება	45 წთ 25% 20 მრავლობითი არჩევანის შემცველი დაგალება; 5 –ღია ტესტური დაგალება (2 მოკლე და 3 გავრცობილპა- სუხიანი)
წერითი უნარ-ჩვევები	45 სთ 25% 15 – ესეს ტიპის დაგალება.
გრამატიკული კომპეტენცია	30 წთ 15% 15 წინადადება - თავისუფა- ლი პასუხი.
ლექსიკური კომპეტენცია	30 წთ 10% 30 მრავლობითი არჩევანის შემცველი დაგალება.

ტესტირების დროის განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია გავითვალის-  
წინოთ ტესტირების მონაწილეების/მოსწავლეების ასაკი და მათი ყურადღე-

## ენის შევასება და ტუსტირება

ბის კონცენტრაციის თავისებურებები. ასე მაგ., თუ დაწყებით საფეხურზე, განსაკუთრებით კი პირველ კლასებში ვატარებთ ტესტს, იგი უნდა შემოიფარგლოს 45-60 წუთით, ხოლო უფროსკლასელებსა და ზრდასრულებში ტესტირება 2 ან 3 საათის განმავლობაშიც შეიძლება გაგრძელდეს (შესაძლებელია შუაში მცირედი შესვენებით). თუ მონაწილის კოგნიტური პროცესების თავისებურებები არ იქნება გათვალისწინებული, მაშინ ტესტის მონაცემების დიდი ნაწილი დადლილობის ან მოყირჭების ფაქტორის ზეგავლენით იქნება მიღებული.

**მიღწევის დონეები:** მიღწევის დონეები ანუ მოსწავლეთა შესაძლო წარმატების დონეები, რომელიც ტესტში არის განსაზღვრული წინასწარ უნდა იყოს გაწერილი (ჰაგერსი, 1992, გვ. 50). ენაში "დახელოვნების დონეები" შესაძლოა განსაზღვრული იყოს მონაწილის/მოსწავლის მიერ სწორად გაკეთებული ტესტური დავალებების პროცენტული წილით. მაგ., 75% და მეტი ტესტური დავალებების სწორად გაკეთება მიუთითებდეს "დახელოვნების" მაღალ დონეზე, 50%-დან 75%-მდე ტესტური დავალებების სწორად გაკეთება - საშუალოზე მაღალ კომპეტენციაზე, 25%-დან 50%-მდე - საშუალოზე დაბალზე, ხოლო უფრო ნაკლების კი - ძალიან დაბალ დონეზე. თუ ტესტის მიზანია კომპეტენციის გარკვეული დონის მოსწავლეთა გადარჩევა (მაგ., ენის სწავლების შემდეგ საფეხურზე გადასავანად), მაშინ შესაძლებელია ავირჩიოთ შეფასების სხვა მიღგომა: მოსწავლეს მოეთხოვებოდეს ტესტის სრულად დაძლევა, მაგრამ იმისთვის, რომ შემდეგ საფეხურზე გადასასვლელად დაწესდეს მინიმალური ზღვარი, მაგ., ქულათა 80%.

ტესტის მიზნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია მიღწევის დონეები უფრო კომპლექსური იყოს. მაგ., „ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციები“ გვთავაზობს მიღწევის დონეების სკალას; სანიმუშოდ მოგვავს A2 დონის აღწერა (დესკრიპტორებითურთ):

### 1. მოსმენა

ნელა და ძალიან გარკვევით ნათქვამი ტესტის (მაგ., გამყიდველისა და მყიდველის დიალოგი მაღაზიაში) მოსმენისას შემსწავლელს შეუძლია სიტყვებისა და მოკლე წინადადებების გაგება.

## **ԵԲՈՒ ՇԵՎԱՏԵԾԱ ՀԱ ՖԱՍՏՈՐԵՆՔՆ**

Շեմե՞նացլելուտքուս ցասացեծու և այսպարու, ռոմելուց յեղի ազթոթոծուլուս ան և եցա բամեյ նոշտուս ցյըրս, նոմաս, վոնաս, մուշլուծաս.

Շեմե՞նացլելու Շեյմլուա ցացու Ծյէլսէրո, ռոմելուց մուտքուս նացնոծ տյմեծու (մած, և՞նացլա, ևամսակյուրո, տագուշուցալու դրու, ոչակո) յեղիա.

Տայնուս մումենուսաս Շեմե՞նացլելու եցացեծ մուսայնուրույնուս ցանիյուծուլուցաս (ռոգոր ցրմենոծին ուսոնու տացս, ռոգոր եասուանց արուան; արուան ացած, կարցած, մենցած ու դաժունուլուցի).

Շեմե՞նացլելու Շեյմլուա ցացու նելա դա գարկացատ վարմությունու Ծյէլսէրուս մուրուտածու Շոնաարսո, ու օցու Տայուցացեռացրցիւ ևազուտեցի յեղիա.

Շեմե՞նացլելու Մուկլա դա մարցուզո Շեյմուծունցեցիւու օցեցի մուրուտածու ոնցուրմացուաս.

Շեմե՞նացլելու Շեյմլուա Կյանուած վարմությունու Ծյէլսէրուս արսուս ցացիա.

Տոյ Տայնուրոծին նելա դա գարկացատ, Շեմե՞նացլելու օցեցի մուրուտածու ոնցուրմացուաս Տառընու անցարունուս, Տասայնունու Ռյալամուս, Ամոնցու Արոցնունուս Շյեսաեցի.

Մուկլա, մարցուզո Շեյմուծունցեցիւու դա ամեցիւու Շեմե՞նացլելու ցամուկիս դաժաանու, ու Ծյէլսէրու դոնչած դա գարկացատ արսու նատյամու դա մուտքուս նացնոծ տյմեցի յեղիա.

Ռուցա Շեմե՞նացլելու Ցիաս աս՞նացլուան, օցու եցացեծ, ռոգոր յնձա մուզուցես դանունց ածցուլամու պյեսու, ացիունուսու ու մեջրուու.

Ռուցա Շեմե՞նացլելու մալանունու ան ԾրանՏառընու յեմուս Տայնուրու, եցացեծ, ու Ռաս յեցի օցու.

Կյանու մուկլա Ծյէլսէրուու Շեմե՞նացլելու յեմուս մուրուտածու ոնցուրմացուաս մաս անցրյացեցի.

### **2. Հուտեցա**

Շեմե՞նացլելու Շեյմլուա Վոցնուս Տամոյեցլուսա ու Տարիյանու մուտքուս Տամունիյարեսու մուրուտածու ոնցուրմացուուս մումուցի դա ցացիա.

Շեմե՞նացլելու Շեյմլուա Վուրնալ-ցանցույնու մուտքուս նախունուծու նացնոծ տյմեծնու ացեցնու մարցուզո Տիանցույնու դաժաանուու ցացիա.

Շեմե՞նացլելու Շեյմլուա Վուրնալ-ցանցույնու ցագատցալույնուսաս ու Օնիյանու մարցուզուս մուկուտու դա ցացու մուտքուս Տամունիյարեսու մարցուզո ոնցուրմացուուս

## **ენის შევასება და ტუსტირება**

ძირითადი აზრი, გაერკვეს თუ რას წერენ ადამიანები საკუთარ თავზე, როგორ ახასიათებენ ერთმანეთს და მიხვდეს, ვის რა თვისება აქვს.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს მოკლე, მარტივი ტექსტის თუ შეტყობინების ძირითადი აზრი.

შემსწავლელს შეუძლია ცალკეული ფრაზებისა და ხშირად ხმარებული სიტყვების გაგება მაშინ, როცა ტექსტი მისთვის საინტერესო თქმას ეხება.

შემსწავლელს შეუძლია ადვილად მისახვედრი ინფორმაციის მოძიება განრიგში, ცხრილში, მენიუში, რეკლამაში, განცხადებაში...

შემსწავლელს შეუძლია პირადი წერილების გაგება.

### **3. ლაპარაკი**

შემსწავლელს შეუძლია საკუთარ თავზე მოკლე ინფორმაციის გაცემა (წარადგინოს თავი – თქვას ვინაობა, მისამართი, ტელეფონის ნომერი, საიდან არის და სად მუშაობს).

შემსწავლელს შეუძლია მარტივი სიტყვებით თქვას, თუ როგორ გრძნობს თავს.

შემსწავლელს შეუძლია გადმოსცეს საკუთარი ოჯახის შესახებ ძირითადი ინფორმაცია (მაგ., ვინ არიან, რა ასაკისა და პროფესიის არიან მისი ოჯახის წევრები).

შემსწავლელს შეუძლია თქვას, რომელი სასმელი და საჭმელი უყვარს / მოსწონს ან არ უყვარს / არ მოსწონს; რომელ გარემოში (სოფელში, ქალაქში, ზღვაზე, მთაში...) ურჩევნია ყოფნა და მოკლედ დასაბუთოს მიზეზი.

შემსწავლელს შეუძლია თქვას, რა არის მისი პობი (მაგ., მუსიკა, თეატრი, კინო, ფერწერა, ქანდაკება, სპორტი).

შემსწავლელს შეუძლია წინასწარი მომზადების გარეშე წარმოადგინოს მისთვის ნაცნობი საგანი / ობიექტი (ქვეყანა, მუსიკალური ჯგუფი, გუნდი).

შემსწავლელს შეუძლია ძალიან მარტივი დასახელების საკვები პროდუქტისა და სასმელის დასახელება მისი ყიდვის ან შეკვეთის მიზნით.

შემსწავლელს შეუძლია თავაზიანი ფორმების გამოყენებით მიმართოს სხვას და დაუსვას არცოუ როგორი შეკითხვა.

## მნის შევასება და ტუსტირება

შემსწავლელს შეუძლია მოკლედ და მარტივად ილაპარაკოს რაიმე მოვლენის, ფაქტის (მაგ., წვეულებაზე, ექსპურსიაზე, გაკვეთილზე) ან საკუთარი განცდის შესახებ.

შემსწავლელს შეუძლია მოკლედ აღწეროს სად ცხოვრობს და როგორ შეიძლება მასთან მისვლა (ტრანსპორტი, მგზავრობის ხანგრძლივობა, მანძილი).

შემსწავლელს შეუძლია მოკლე ამბის მოყოლა და მოგლენების თანმიმდევრულად წარმოდგენა.

შემსწავლელს შეუძლია მსმენელს მიაწოდოს ინფორმაცია საკუთარი სამსახურის შესახებ.

შემსწავლელს შეუძლია მოკლედ გადმოსცეს, თუ რას აპირებს კვირის ბოლოს ან არღადეგებზე; შეუძლია მოყვეს, თუ როგორ აღნიშნავენ შობას ან სხვა დღესასწაულებს მის ქვეყანაში.

შემსწავლელს შეუძლია მოკლე სატელეფონო საუბრის წარმართვა, მაგ., შეხვედრის ადგილის დანიშვნა.

შემსწავლელს შეუძლია მარტივი სიტყვებით გამოხატოს თავისი გრძნობები (მაგ., ეს ჩემთვის ნათელია, მეშინია, მშია...).

შემსწავლელს შეუძლია ითხოვოს დახმარება და შესაბამისი რეაგირება მოახდინოს, როცა მას სთხოვენ დახმარებას.

შემსწავლელს შეუძლია ისაუბროს კვირის დღეებზე, დაასახელოს წელიწადი, თვე, რიცხვი, საათი და ყოველივე ამის შესახებ თავადაც დასვას შეკითხვები.

შემსწავლელს შეუძლია დამარცვლოს სიტყვები.

შემსწავლელს შეუძლია სხვადასხვა საკითხებზე დათანხმება, შეკამათება, ან უარის თქმა.

### 4. წერა

შემსწავლელს შეუძლია მარტივი სიტყვებით დაწეროს საკუთარი საქმიანობის შესახებ (მაგ., სამსახურის, სპორტისა და თავისუფალი დროის თაობაზე).

შემსწავლელს შეუძლია მარტივი სიტყვებით დაწეროს, რომ გადაიფიქრა შეხვედრა; შეუძლია მიწვევაზე წერილობით რეაგირება.

## ენის შევასება და ტქისტირება

შემსწავლელს შეუძლია მოკლე და მარტივი სიტყვებით მეგობრებს შეატყობინოს, რომ აგვიანდება / ავად არის / სხვა საქმით არის დაკავებული და არ შეუძლია დანიშნულ ადგილას მისვლა.

შემსწავლელს შეუძლია თავისთვის ჩამოწეროს სამეცადინო გეგმა კვირის დღეებისა და თარიღების მითითებით.

შემსწავლელს შეუძლია ახლობლების სახელზე დაწეროს მოსაწვევი.

შემსწავლელს შეუძლია მარტივი წინადადებებით აღწეროს მოვლენა, როდის და რა ვითარებაში მოხდა იგი.

შემსწავლელს შეუძლია მოკლე, მარტივი წინადადებებით მისთვის ნაცნობი საგნებისა და ადგილების აღწერა.

შემსწავლელს შეუძლია ნაცნობი თემების შესახებ მარტივი ტექსტების შედგენა, საკუთარი აზრის წერილობით ჩამოყალიბება.

შემსწავლელს შეუძლია მარტივი ისტორიის მოყოლა (მაგ., ლამაზად გატარებული არდადებების ან მომავალი ცხოვრების შესახებ).

შემსწავლელს შეუძლია ელექტრონული ფოსტით, მოკლე ტექსტური შეტყობინებით (შ. შ.-ით) ან მოკლე წერილით ნაცნობებსა და მეგობრებს საჭირო მარტივი ინფორმაცია, რჩევა მიაწოდოს (მაგ., ამა თუ იმ დისკეტის ფასი სხვადასხვა მაღაზიაში, რომელი სპორტული კლუბი, საცურაო აუზი ჯობს).

შემსწავლელს შეუძლია მარტივი, ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებული წინადადებებით აღწეროს რაიმე მოვლენა.

შემსწავლელს შეუძლია სურათებითა და მოკლე ტექსტებით აღწეროს მოგზაურობის მიზანი.

შემსწავლელს შეუძლია მარტივი განცხადების დაწერა, მისთვის საინტერესო განცხადებაზე რეაგირება, ინფორმაციის განთავსება ახალგაზრდულ გაზეთსა თუ კებ-გვერდზე.

შემსწავლელს შეუძლია სასწავლო დღიურში მარტივად ჩაიწეროს, როდის რა გააკეთა და რა აქვს სასწავლი.

## ენის შეფასება და ტუსტირება

როცა ტესტს ვქმნით, უნდა გვახსოვდეს, რომ მიღწევის დონეების ასეთი კომპლექსური სკალების შემთხვევაში დიდია სუბიექტური შეფასების საფრთხე და, შესაბამისად, არასანდო შედეგების მიღების ალბათობა. ამიტომ ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ძალიან ზუსტად მოხდეს იმ კოგნიტური (ენობრივი) ოპერაციების გაწერა, რომლის საფუძველზეც კეთდება შეფასება.

ქვემოთ წარმოდგენილია ქართულის, როგორც მეორე ენის ფლობის დასადგენად შემუშავებული ტესტის სპეციფიკაციის ნიმუში, რომელიც ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ მასწავლებელთათვის გამოცემულ სახელმძღვანელოში განხილულ ტესტის სპეციფიკაციის ფორმას (ტესტური, 2009, გვ. 14).

### ძართულის, როგორც მეორე ენის ტასტის სპეციფიკაციის ნიმუში:

- 1. ტესტის სათაური:** ქართულის, როგორც მეორე ენის ფლობის მიღწევის დონის დადგენა
- 2. ტესტის ძირითადი მიზანია შემსწავლელის ენობრივი კომპეტენციების დადგენა სახელმწიფო ენის (მეორე ენის) მოდულის (SLI-ის) კომპეტენციებთან მიმართებით (კრიტერიუმთან შედარებაზე დაფუძნებული ტესტები); გამოყენებული იქნება მიღწევების ტესტირება, რომელიც გულისხმობს გამომუშავებული უნარების ტესტირებას.**
- 3. მოცემული ტესტით იზომება ტესტირების მონაწილის მიერ ქართულის, როგორც მეორე ენის იმ მოდულის (SLI-ის) გავლის შედეგად ათვისებული ენობრივი კომპეტენციები, რომელიც განიხილვა შემსწავლელის წინასწარი ტესტირების საფუძველზე.**
- 4. ტესტირება უტარდებათ ზრდასრული ასაკის უმაღლესი განათლების მქონე არაქართულენოვან პედაგოგებს, რომელთათვისაც სახელმწიფო – ქართული ენა (რომლის ტესტირებაც ხდება) მეორე ენად**
- 5. ტესტირების პარალელურად, რომელიც მხოლოდ მოსმენის, კითხვისა და წერის უნარების შემოწმების საშუალებას იძლევა, ლაპარაკის უნარის შესაფასებლად დაგეგმილია ინტერვიუს ფორმატი.**

## ენის შევასება და ტუსტირება

<p><b>6. ინფორმაციის გამოყენების წესი დგინდება ტესტის შემდგენელი ჯგუფის მიერ</b></p> <p><b>7. ტესტირების ხანგრძლივობა განისაზღვრა 3 საათით</b></p> <p><b>8. ინფორმაციის ტესტის შინაარსი:</b></p> <p>მიმართულება: პირება</p> <p>კითხულობს და იგებს საჯარო წარწერებს (გამაფრთხილებელი წარწერა, გაჩერებების/ქუსის სახელი, მაღაზიის/საჯარო შენობის დასახელება, ინფორმაცია ყიდვა-დაქირავების შესახებ, მემორიალური დაფა, სხვადასხვა ტიპის აბრა სხვა), სავარჯიშოს პირობებს.</p> <p>კითხულობს ოფიციალური/ადმინისტრაციული ხასიათის დოკუმენტებს, ფორმულარებს (კვირის განრიგი, გაკვეთილების ცხრილი, ანკეტა, სავიზიტო ბარათი, პირადობის მოწმობა, ბილეთი და სხვა).</p> <p>კითხულობს და იგებს ყოფითი ხასიათის ინფორმაციულ ტექსტებს (კატალოგი, სამარშრუტო გვგმა, მენიუ, კულინარული რეცეპტი).</p> <p>კითხულობს და იგებს მარტივ კორესპონდენციას: სხვადასხვა ხასიათის დია ბარათს (მისალოცი, მოსაწვევი, მოწვევის სამადლობელო და სხვა), მარტივ შეტყობინებას.</p> <p>ამოიცნობს ტექსტის კომპოზიციურ მახასიათებლებს და ნასწავლ ენობრივ ფორმებს. მიმართავს სხვადასხვა სტრატეგიას შინაარსის გაგების გასაადგილებლად.</p> <p>მიმართულება: ჭერა</p> <p>ნიმუშის მიხედვით წერს დია ბარათს.</p> <p>მოდელის მიხედვით წერს სხვადასხვა სახის მცირე ზომის პრაგმატულ ტექსტებს (კატალოგი, მენიუ, კულინარული რეცეპტი და სხვა).</p> <p>მოდელის მიხედვით წერს მცირე ზომის აღწერით ტექსტს.</p> <p>იცავს წერილობითი ტექსტის სტრუქტურას, იძენს ელემენტარულ ენობრივ უნარ-ჩვევებს და ცდილობს ფუნქციურად გამოიყენოს ისინი.</p> <p>მიმართავს წერის სტრატეგიებს ნაწერის გაუმჯობესების მიზნით.</p>
<p><b>9. მატრიცა/ფორმატი: იხ. გვ. 118.</b></p> <p><b>10. ქულების დაწერა: დახურული ტიპის ტესტურ დავალებებში 1 ან 2 ქულით ფასდება; 1 ქულა იწერება ისეთ დავალებებში, რომელიც მოსმენილი (წაკითხული) ტექსტიდან იმპლიციტური ინფორმაციის მოძიებას გულისხმობს / მარტივ ცოდნაზეა ორიენტირებული; 2 ქულიანი შეფასება – მაღალი დონის კონიტურ ოპერაციებზე (ძლუმის ტაქსონომიის მიხედვით) ორიენტირებულ ტესტურ დავალებებში.</b></p> <p>ესეს ფორმატის (დია ტიპის) დავალებებში მაქსიმალური ქულა განისაზღვრება 5 ქულით; გრადაცია მოცემული იქნება დავალებებში.</p>

## მნის შეფასება და ტუსტირება

**ტესტის შედგენა/შექმნა:** ტესტში უნდა შედიოდეს სპეციფიკაციაში გაწერილი შინაარსი. შინაარსობრივი ვალიდიზაციისა და სასწავლო პროცესთან კვავშირიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია, რომ ტესტი (ტესტური დავალებები) ფართოდ ასახავდეს შინაარსს. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ტესტი სრულად უნდა მოიცავდეს ყველა იმ უნარის, ცოდნისა და ღირებულებების შესაფასებელ ტესტურ დავალებებს, რომლებიც ტესტის მიზნით განსაზღვრულ და ტესტის სპეციფიკაციაში დაზუსტებულ სასწავლო შედეგს/ინდიკატორის შეადგენენ. მნიშვნელოვანია, აგრეთვე სხვადასხვა დონის კოგნიტური ოპერაციების გათვალისწინებაც და შესაბამისი უნარების შეფასება.

არსებობს კოგნიტური უნარების სხვადასხვა ტაქსონომია, მაგრამ მათგან განათლების სფეროში ყველაზე ფართოდ გამრცელებულია ბენჭამენ ბლუმის კოგნიტური ოპერაციების ტაქსონომია (განმარტებითი, 2007, გვ. 7). ტესტების დიდი ნაწილიც ამ მეთოდოლოგიურ საფუძველზეა აგებული. ამიტომ ჩვენ მოკლედ განვიხილავთ ბლუმის ტაქსონომიას და ტესტირებაში მისი მისი გამოყენების მნიშვნელობას.

ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით, კოგნიტური ოპერაციები იყოფა შემდეგ დონეებად:

1. ცოდნა;
2. გაგება;
3. გამოყენება;
4. ანალიზი;
5. სინთეზი;
6. შეფასება.

ბლუმის მიხედვით, პირველი სამი დონე აზროვნების ქვედა დონის ოპერაციებია, ხოლო ანალიზი, სინთეზი და შეფასება კი მაღალი დონის კოგნიტურ ოპერაციათა ჯგუფს მიეკუთვნება.

**ცოდნა** ეს არის კონკრეტული მასალის მეხსიერებაში არსებობა. ეს მასალა შეიძლება იყოს ფაქტები, წესები, პროცედურები, ტერმინები და სხვ.

## ენის შევასება და ტქისტირება

მასში იგულისხმება აგრეთვე გარკვეული ინფორმაციის დამახსოვრებისა და აღდგენის უნარებიც.

**გაგება** გულისხმობს მოვლენების, ფაქტების, ამბების და სხვ, საკუთარი სიტყვებით გადმოცემის უნარს, ასევე ტექსტის ძირითადი აზრის გადმოცემის უნარს.

**გამოყენება** ეს არის ათვისებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარს, კერძოდ, სააზროვნო ამოცანის გადაწყვეტის ხერხის სხვა ამოცანაზე გავრცობის/ გადატანის უნარს ან ნიმუშის მიხედვით დავალების შესრულების უნარს.

**ანალიზის** დროს ხორციელდება მოვლენათა შემადგენელ ნაწილებიდან დაყოფა, მათი განცალკევებულად განხილვა ან მათ შორის კავშირების დადგენა, მიზეზების აღმოჩენა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენა და სხვ.

**სინთეზი** მოიცავს მოვლენის ცალკეული ელემენტების ან ნაწილების ახალ სტრუქტურულ ერთეულში გაერთიანებას.

**შეფასება** ეს არის გარკვეულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანის უნარი. კერძოდ, ეს არის საკუთარი პოზიციის არგუმენტირებული დასაბუთება, ტექსტის სტრუქტურის შეფასება ან გამომხატველობითი ფორმების შეფასება და სხვ.

ტექსტის შედგენისას მნიშვნელოვანია, რომ გავითვალისწინოთ კოგნიტური ოპერაციების დონეები და მონაწილის/მოსწავლის ენობრივი კომპეტენციები მხოლოდ დაბალი ან მხოლოდ მაღალი დონის ოპერაციებზე დაყრდნობით არ შევამოწმოთ. სასურველია ტექსტის შინაარსი მოიცავდეს ყველა დონის ოპერაციას. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში (მაგ., მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინების გამო) შესაძლებელია დაბალი დონის კოგნიტური ოპერაციები უფრო დიდი წონით იყოს წარმოდგენილი ტექსტში, ვიდრე - მაღალი დონის სააზროვნო ოპერაციები. რომელი ოპერაციები და რა წონით შეადგენენ ჩვენი ტექსტის შინაარსობრივ-მეთოდოლოგიურ ჩარჩოს – ამის შესახებ წინასწარ უნდა იყოს მიღებული არგუმენტირებული გადაწყვეტილება. საჭმე ისაა, რომ ცოდნის ოპერაციების შესატყვისი ტექსტური დავალებების შედგენა ძალიან ადვილია და ხშირად

## ენის შეფასება და ტუსტირება

სწორედ ასეთი ტესტური დავალებები გვხვდება სპონტანურად, გაუაზრებლად შექმნილ ტესტებში დიდი დოზით. ცხადია, თავისთავად ასეთი დავალებების ტესტში არსებობა ცუდი არ არის, მაგრამ მხოლოდ ცოდნაზე ორიენტირებული ტესტური დავალებები შესაძლებელია ნაკლებ ინფორმაციული აღმოჩნდეს ტესტის მიზანთან მიმართებით. განსაკუთრებით ეს ეხება ენის ტესტს, სადაც მაღალი დოზის კოგნიტური ოპერაციების მონაწილეობა ძალზე მნიშვნელოვანია მონაწილის/მოსწავლის ენობრივი კომპეტენციის ობიექტური, სანდო და ვალიდური შეფასებისთვის. ქვემოთ მოგვყავს ტესტისა და კოგნიტური ოპერაციების შესაბამისი ტესტური დავალებების ნიმუშები:

### **ტესტი:**

#### **ჩემი მეგობრები**

მე ბევრი მეგობარი მყავს. ჩემი უახლოესი მეგობრები არიან აჩი და ანა. ჩვენ ერთ ეზოში კუცოვრობთ, ერთად ვთამაშობთ, ერთად დავდივართ სკოლაში. ჩვენ ერთ კლასში ვართ.

წინა კვირას ჩვენი სახლის წინ გარაჟები აიღეს და ფეხბურთის მოედანი გააკეთეს. ბავშვებს ძალიან გაგვიხარდა, უბედნიერესები ვიყავით, უფროსებსაც გაუხარდათ. მარტო გარაჟის პატრონები დაღონდნენ.

ახლა ეზოში ფეხბურთის გუნდი გვყავს. მე და აჩი ამ გუნდში ვართ. ანა არ არის ამ გუნდში, ამ გუნდში მხოლოდ ბიჭები ვთამაშობთ.

დღეს თამაში გვაქს. თამაში სადამოს შვიდ საათზე იწყება. დღეს დილიდან წვიმს. ჩვენ დილით ვივარჯიშეთ და ახლა ვისვენებთ.

მე ახლა ფანჯარასთან ვდგავარ და ვიყურები გარეთ და ვფიქრობ. ისევ წვიმს. გამვლელები ქოლგებით დადიან. ყველაფერი რუსია, სახლიც, მოედანიც, გზებიც, ცაც.

მე არ მიყვარს წვიმაში თამაში, არავის არ უყვარს წვიმაში თამაში. არც მაყურებელს მოსწონს ასეთ ამინდში ჯდომა. ის ქოლგით ან ცელოფნით ზის და მაინც სველდება. დღეს წვიმამ თუ არ გადაიღო, ალბათ არავინ მოვა სტადიონზე.

თამაშის დაწყებამდე სამი საათი რჩება. მოედანი ცარიელია. ყველა თავის სახლშია თბილად და იქ ერთობა: უყურებს ტელევიზორს, კითხულობს წიგნს. ჩემი კლასელები ალბათ არ მოვლენ ფეხბურთზე. არც ანა მოვა.

თამაშის დაწყებამდე ერთი საათი დარჩა. ისევ წვიმს, ძალიან წვიმს. ცუდი ამინდია.

## ენის შევასება და ტქისტირება

სტადიონი სველია. ჩვენ სტადიონზე მივდივართ. ვემზადებით მატჩისთვის.

ტრიბუნებიც ივსება. მაყურებლები მოდიან და სხდებიან. ჩვენი მეგობრები უკვე მოვიდნენ. ანაც ტრიბუნაზე ზის. მე აღარ მეშინია. უკვე მომწონს წვიმაში თამაში, უკეთესია, საინტერესოა.

თამაში დაიწყო. მოედანი სველია და სირბილი ძნელია. ჩვენ ხშირად ვვარდებით მიწაზე, თამაშის დაწყებამდე ჩვენ თეთრი მაისურები გვეცვა, ახლა ჩვენი მაისურები შავია. უძნელესი ყოფილა ცუდ ამინდში თამაში.

აჩი ბურთით შევარდა კარში და დაეცა.

მე გუბეში ჩამიგარდა ფეხი, თავი გერ შევიკავე, უახლოეს მოთამაშეს დაგვიცე ზედ და დავაგდე.

მაყურებელი ერთობა.

დრო ისე გავიდა, ვერ გავიგეთ.

თამაშის ბოლოს ერთი ბურთი გავიტანეთ.

ჩვენი მეგობრები უბედიერესები იყვნენ. ტრიბუნებზე ხტოდნენ და გვილოცავდნენ ყვირილით.

თამაში მალე დამთავრდა. ერთით ნული მოვიგეთ. მოწინააღმდეგე გუნდმა ნულით ერთი წააგო.

სახლებში სველები დაგბრუნდით. ახლა ცხელი წყალი მინდა. ცხელი წყალი და ცხელი ჩაი.

გარეთ ისევ წვიმს. მე სახლში თბილად ვზიგარ და ადარ ვფიქრობ წვიმაზე. მე ჩემს მეგობრებზე ვფიქრობ, მე ძალიან მიყვარს ისინი. ჩვენზე უაეთესი მეგობრები არავის ჰყავს! ჩვენ ერთად გავიმარჯვეთ ტრიბუნასა და მოედაზე!

**ინსტრუქცია:** ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი და პასუხი გაეცით  
ქვემოთ მოყვანილ კითხვებს.

ვინ არიან აჩის უახლოესი მეგობრები?

ვის გაუსარდა და ვის – ეწყინა გარაუების აღება?

...

(ამ ტიპის დავალებები ექსპლიციტური ინფორმაციის მოძიებაზე / მარტივი კოგნიტური ოპერაციების შესრულებაზეა ორიენტირებული).

## ენის შეფასება და ტუსტირება

სანიმუშოდ მოყვანილი დავალებები შედარებით მაღალი დონის კოგნიტური ოპერაციების შესრულებაზეა ორიენტირებული: ანალიზს, სინთეზსა თუ შეფასებას გულისხმობს:

განმარტეთ ტექსტიდან მონაკვეთი:

„თამაშის დაწყებამდე ჩვენ თვთრი მაისურები გვეცვა, ახლა ჩვენი მაისურები შევია.“

---

---

როგორ განმარტავთ აჩის სიტყვებს:

„ჩვენ ერთად გავიმარჯვეთ ტრიბუნასა და მოედანზე!“

---

---

და ა.შ.

ტექსტური დავალებების შედგენა: ხშირად გამოუცდელ მასწავლებლებს მიაჩნიათ, რომ ტექსტური დავალებების შედგენა ძალიან ადვილია და მათ მიერ შედგენილი ყველა ტექსტური დავალება (კითხვა) კარგია. სინამდვილეში ტექსტური დავალებების შედგენა ძალიან რთული ამოცანაა და უმეტეს შემთხვევაში პირველ ჯერზე შედგენილი ტექსტური დავალებების დიდ ნაწილს ხელახლი გადამუშავება და დახვეწა სჭირდება, ნაწილი კი უბრალოდ არ ვარგა და გადასაგდებია.

შედგენილი ტექსტური დავალებების პირველადი გადარჩევისათვის საუკეთესო გზაა ექსპერტული ანალიზი, რათა ტექსტურ დავალებებში მოძებნოს შეცდომები, უზუსტობები და დადგინდეს, რომელი მათგანი შესაძლებელია, რომ გამოსწორდეს/ გადამუშავდეს და რომელი უნდა გადაიგდოს. ცნობილია, რომ ტექსტური დავალებების დამწერებს გარკვეული ემოციური დამოკიდებულება უყალიბდებათ საკუთარი ნამუშევრის მიმართ და ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ისინი მიმღებლები იყვნენ კრიტიკის მიმართ და საქმის

## თეის შეფასება და ტქსტირება

ინტერესებიდან გამომდინარე პოზიტიურად შეფასონ და მიიღონ კრიტიკული შენიშვნები.

**ქულების დაწერა:** როცა ტესტურ დავალებაში მხოლოდ ერთი სწორი პასუხია, მაშინ სიტუაცია მარტივია. მაგრამ ხშირად საკალსო ტესტებში მიზნიდან გამომდინარე შესაძლებელია მისაღები იყოს რამდენიმე პასუხი. როცა არსებობს ალტერნატიული სწორი პასუხები, რომლებიც განსხვავებული ქულებით უნდა შეფასდეს ან შესაძლებელია ტესტური დავალების პასუხი ნაწილობრივ სწორად ჩაითვალოს, ამ შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღების გამოვლენაა საჭირო და ქულათა განაწილება მეთოდოლოგიურ საფუძველს (შესაფასებელი საგნის/უნარის ტაქსონომიას) უნდა ემყარებოდეს.

**ტესტური დავალებების (კითხვების) ემპირიული გამოცდა:** ტესტის შედგენის მნიშვნელოვანი ეტაპია ტესტური დავალებების გამოცდა. იგი ხორციელდება საბოლოო ტესტირებაში მონაწილე მოსწავლეების მსგავსს ჯგუფზე. ამ გზით ხდება შეფასების პრობლემების იდენტიფიცირება. საცდელი ტესტირებების საფუძველზე ხდება ტესტის სანდოობის კოეფიციენტის გამოთვლა და დგინდება თითოეული ტესტური დავალების გაზომვისუნარიანობა.

თუ ტესტირება ისე ჩატარდება, რომ არ მოხდება ტესტური დავალებების ემპირიული გამოცდა და წინასწარი ტესტირება, მაშინ ცხადია, რომ ყველა შეცდომა და პრობლემა, რომელიც ტესტს, როგორც გაზომვის ინსტრუმენტს გააჩნია, ტესტირების დროს წარმოჩინდება. ეს შეიძლება იყოს ტესტის დაბალი სანდოობა, შეფასების არასწორი სქემა/რუბრიკა, ქულათა მინიჭების არაადეკვატური სისტემა, უფრუნქციო ან სულაც ცუდად მომუშავე ტესტური დავალება, პროცედურული შეცდომები და სხვ. ამდენად, ასეთი ტესტის შედეგები უჭირებელი დადგება, მაგრამ უკვე დაგვიანებული იქნება ტესტის გადამუშავება და ხელახლი ჩატარება.

## ენის შეფასება და ტესტირება

### 5. ტესტური დაგალებების ტიპები

ტესტირებაში გამოიყენება სხვადასხვა ტიპის ტესტური დაგალებები. არსებობს მათი კატეგორიზაციის სხვადასხვა მცდელობაც. ტერმინოლოგიის აღრევის თავიდან აცილების მიზნით, ჩვენ დავეყრდნობით ეოვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ მასწავლებელთათვის შედგენილ სახელმძღვანელოში (ტესტური, 2009, გვ. 20) მოცემულ კატეგორიზაციას, მოკლედ წარმოგიდგენთ ტესტური დაგალების თითოეული ტიპის დახასიათებას და მოვიყვანო მაგალითს ქართულის, როგორც მეორე ენის ტესტიდან.

ქვემოთ განვიხილავთ ტესტური დაგალებების შემდეგ ტიპები:

- ✓ შესაბამისობის (ურთიერთმისადაგების);
- ✓ კლასიფიკაციის;
- ✓ მრავლობითი არჩევანის;
- ✓ ლია ანუ პასუხის კონსტრუირების მოკლებასუხიანი;
- ✓ ლია ანუ პასუხის კონსტრუირების გაგრცობილი პასუხის მქონე;
- ✓ ლია ანუ პასუხის კონსტრუირების ტექსტის "დახურვის";
- ✓ ლია ანუ პასუხის კონსტრუირების წინადადების შევსების და დასრულების;
- ✓ ჭეშმარიტი-მცდარობის;
- ✓ პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული.

როგორი ტიპისაც არ უნდა იყოს ტესტური დაგალება (კითხვა) იგი მოიცავს ორ ძირითად ნაწილს. ესაა მიწოდებული მასალა (*სტიმულის* ნაწილი) და *პასუხის* ნაწილი (ტესტური, 2009, გვ. 21). განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

მიწოდებული მასალა ანუ *სტიმული* ორგვარი შეიძლება იყოს: ინფორმაციული და დირექტიული. ხოლო პასუხის ნაწილი კი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორია ტესტური დაგალება. მრავლობითი არჩევანის ტიპის დაგალებებში არსებობს პასუხთა ალტერნატივები, რომელთაგანაც ერთი სწორი პა-

## ენის შევასება და ტუსტირება

სუხია და დანარჩენი კი – არასწორი პასუხები ანუ **დისტრაქტორები**. ამ ტიპის დავალებებში პასუხი ფაქტიურად იგივე შეფასების სქემა ანუ რუბრიკაა. მასში წარმოდგენილია ყველა შესაძლო სწორი პასუხი და ყველა შესაძლო არასწორი პასუხი.

მიწოდებული ინფორმაციული ხასიათის მასალა – ეს არის ტექსტი, ნაწყვეტი, ლექსი, რომელსაც ტესტური დავალება ეყრდნობა ან სქემა, დიაგრამა, ფოტოსურათი, ნახატი, ნახაზი, გრაფიკი დასხვ., რომელიც ამოცანის (ტესტური დავალების) გადაჭრის საფუძველია.

მიწოდებული დირექტიული ხასიათის მასალა (სტიმული) მოიცავს წამყვან წინადადებას ანუ “**ბირთვები**”, რომელშიც მითითებულია, თუ რა კითხვას უნდა გასცეს პასუხი მოსწავლემ ან რა ტიპის დავალება უნდა შესრულოს მან. ფაქტობრივად, ეს არის საკუთრივ ტესტური დავალების კითხვა ან დავალება.

მიწოდებული დირექტიული ხასიათის მასალა ანუ წამყვანი წინადადება, ჩვეულებრივ, მოიცავს ისეთ სიტყვებს, როგორიცაა, **მოიძიეთ**, **ამოიწერეთ**, **შეაფასეთ**, **შეადარეთ**, **შეაპირისპირეთ**, **მოიტანეთ** არგუმენტი, **გააკეთეთ** ინტერპრეტაცია, **დაამტკიცეთ**, **დაასაბუთეთ**, **მოახდინეთ** კატეგორიზაცია, **მოახდინეთ** კლასიფიკაცია, **შექმენით**, **შეადგინეთ**, **მოიგონეთ** მეთოდი, **გააკეთეთ** გეგმა და სხვ.

ქვემოთ მოცემულია ტესტური დავალების ნაწილების ნიმუშები.

მიწოდებული მასალის (სტიმულის) ნიმუშები:

**ინფორმაციული ხასიათის მასალა (სტიმული)**

- იხილეთ 49-ე გვერდზე წარმოდგენილ ნიმუშში მოცემული წერილი.

**დირექტიული ხასიათის მასალა (სტიმული)**

- მაგ: „**ვინ არის წერილის აღრესატი? ვის სწერს აგტორი წერილს?**“

პასუხების ნიმუში მრავლობითი არჩევანის ტიპის ტესტური დავალებისთვის:

- დავითს;

## ენის შეფასება და ტუსტირება

- .....
- ბ. ლიას;
  - გ. ზაურს;
  - დ. ლევანს.

პასუხების ნიმუში და ტიპის ტესტური დავალებისთვის:

1. „როდის წერს წერილს აკტორი? (დაახახელეთ თვის რომელი დღე და რიცხვი)“

სწორი პასუხი: -----ჩაიწეროს -----

ქვემოთ მოცემულია მრავლობითი არჩევანის ტიპის ტესტური დავალება, რომელსიც იდენტიფიცირებულია მისი შემადგენელი ნაწილები:

**ნიმუში.**

<b>მრავლობითი არჩევანის შემცველი ტესტის დავალების ნაწილები</b>	
<b>ინსტრუქცია ენის შემსწავლელებისთვის</b>	წაიკითხეთ შემდეგი ნაწყვეტი და უპასუხეთ ქვე- მოთ მოტანილ კითხვებს
<b>ინფორმაციული ხა- სიათის მასალა (სტი- ლული)</b>	გამარჯობა, შვილო, როგორ ხარ? დედა რო- გორ არის? შენი ძმა ხომ არ ცელქობს? დია, ქუთაისში ვეღარ ჩამოვალწიე. ბათუმიდან პირდაპირ სამტრედიაში ჩავედი, როგორც შენ მოხოვე, შენი მეგობრისთვის საჩუქრის გადასაცე- მად. კარგი ვქენი, რომ ჩავედი. მამამისი ავად იყო და მიწა ჰქონდათ გასათოხნი. არ მეუბნებოდა, მა- გრამ როცა გავიგე, ვუთხარი, დაგეხმარებით-მეთქი. გვიანობამდე ვიმუშავეთ და დამე იქ დარჩენა მომი- წია. სამშაბათს კი ზუგდიდში წავედი სემინარზე. ხომ იცი, 16 ივნისს იწყება სემინარი და დილის 9 საათზე იქ ჩასვლას ვერ მოვასტრებდი. დამე ზუგ- დიდში, ჩემს ძმასთან დავრჩები.
<b>დირექტიული ხასია- თის მასალა (სტილუ- ლი - ზოგადი)</b>	ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი და პასუხი გაე- ციო ქვემოთ მოყვანილ კითხვებს

## ენის შევასება და ტქსტირება

წამყვანი წინადადება ანუ ღერძი/ბირთვი	ვინ არის ლია დავითისთვის?
პასუხის ვარიანტები	a. ცოლი b. შვილი c. და d. მეგობარი.
გასაღები ანუ სწორი პასუხი	a. ცოლი
მცდარი პასუხის ვა- რიანტები	b, c და d

ტესტურ დავალებებს სამ მსხვილ კატეგორიად ყოფენ; ესენია:

### 1. ტესტური დავალებები, რომლებიც პასუხის შერჩევას მოითხოვს.

ამ კატეგორიაში შედის

- ✓ "ჭეშმარიტი-მცდარი"-ს ტიპის ტესტური დავალებები, სადაც მოცე-  
მულია პასუხის მხოლოდ ორი ალტერნატივაა მოცემული. ტესტირე-  
ბის მონაწილე/მოსწავლე ან ადასტურებს სტიმულის ნაწილში გა-  
მოთქმული დებულების ჭეშმარიტებას (ირჩევს პასუხს: "სწორია") ან  
უარყოფს მას და ირჩევს პასუხს "არ არის სწორი". ამ ტიპის ტეს-  
ტური დავალების დადებითი მხარეა ის, რომ იგი ადვილი შესადგე-  
ნია და მისი ინტერპრეტაციაც ადვილია. თუმცა მას აქვს უარყოფი-  
თი მხარეებიც. კერძოდ, მათი ნაკლი ისაა, რომ მაღალია სწორი  
პასუხის შემთხვევით გამოცნობის ალბათობა (0.5). ამავდროულად  
ისინი ვერ აფასებენ მაღალი დონის კოგნიტურ ოპერაციებს.
- ✓ ურთიერთმისადაგების ტესტური დავალებები. ურთიერთმისადაგების  
(შესაბამისობის) ტიპის ტესტური დავალებები, სადაც მოსწავლე  
ტესტური დავალების მოცემულ დირექტიულ ნაწილში მოცემული  
პრინციპით გარკვეულ სტიმულებს უნდა შეუსაბამოს პასუხები.  
ამასთან, პასუხები შესაძლებელია წინასწარ განსაზღვრული იყოს  
ან მოსწავლეს უწევდეს მათი მოძებნა ტექსტში ან საკუთარ გამოც-  
დილებაში/ცოდნაში (მესინერებაში). თუ პასუხები წინასწარ არის

## ენის შეფასება და ტუსტირება

- მოცემული, მაშინ, ჩვეულებრივ, მათი რაოდენობა აღემატება იმ სიტყვების რაოდენობას, რომლებიც წყვილებს ქმნიან. ამ ტიპის ტესტური დავალებები სასარგებლოა კავშირებისა და მიმართებების ტესტირებისათვის, ადვილია შეფასება, ადვილია ამ ტიპის ტესტური დავალებების დიდი რაოდენობის შედგენა. მათი ნაკლი ისაა, რომ როცლია ინსტრუქციების სიტყვიერი ფორმულირება.
- ✓ **მრავლობითი არჩევანის ტიპის ტესტური დავალებები,** სადაც ტესტირების მონაწილეს მოეთხოვება ჩამოთვლილი შესაძლო პასუხებიდან აირჩიოს ერთი პასუხი, რომელიც მას სწორად მიაჩნია. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ არჩევითპასუხიან ტესტურ დავალებებში მხოლოდ ერთი პასუხია სწორი, ხოლო დანარჩენი პასუხები დისტრაქტორების როლს ასრულებენ. აქვე მნიშვნელოვანია ადინიშნოს, რომ, ჩვეულებრივ, მრავლობითი არჩევანის ტიპის ტესტურ დავალებებში გამოიყენება 3, 4 ან 5 შესაძლო პასუხი. ცხადია, რაც უფრო მეტია პასუხების ალტერნატივები, მით უფრო როცლი ხდება ტესტური დავალება და მით უფრო მცირდება სწორი პასუხის გამოცნობის ალბათობა. პასუხთა სამ ალტერნატივიანი ტესტური დავალების სწორი პასუხის შემთხვევითად გამოცნობის ალბათობა 0.33 -ს შეადგენს, ოთხ პასუხიანის - 0.25 -ს, ხოლო ხუთი შესაძლო პასუხის შემთხვევაში გამოცნობის ალბათობა მხოლოდ 0.2-ია. ამდენად, რაც უფრო მეტია პასუხთა ალტერნატივები, მით უფრო სარწმუნოა, რომ ტესტური დავალება ნამდვილად მოსწავლის ცოდნასა და უნარს ზომავს, და არა მის ილბალს. თუმცა გამოცდილებამ აჩვენა, რომ თითქმის შეუძლებელია ხუთზე მეტი შესაძლო ადეკვატური პასუხის მოფიქრება და მათი რაოდენობის გაზრდა მხოლოდ ხელოვნურად არის შესაძლებელი. ეს პასუხები არ ფუნქციონირებს, ისინი არაფერს არ ზომავენ და შესაბამისად სრულიად ტყუილად გვაპარგვინებენ ჯერ დროს მათზე ფიქრით და შემდგომ ადგილს ტესტის რგეულში. ამ ტიპის ტესტური დავალებები მრავალფეროვანია - გამოიყენება სხვადასხვა დონის კოგნიტური

## ენის შეფასება და ტუსტირება

ოპერაციების გასაზომად, მათი გამოყენებისას შეუძლებელია სუბიექტური შეფასება, თუმცა მნელია მცდარი პასუხის ვარიანტების ფორმულირება.

- ✓ **კლასიფიკირის ტესტური დავალებები,** რომელშიც ტესტირების მონაწილეს მოეთხოვება ტესტურ დავალებაში მოცემული მასალის ექსპლიციტურად ან იმპლიციტურად მოცემული პრინციპით კატეგორიზაცია. ამ ტიპის ტესტური დავალებები შედარებით ადვილი შესადგენია, ადვილია მათი შეფასებაც, ისინი კარგად გამოიყენება ფაქტობრივი ხასიათის ინფორმაციისა და მარტივი მიმართებების ტესტირებისთვის. მათი უარყოფითი მხარეა ის, რომ ისინი შეზღუდული კოგნიტური ოპერაციების შეფასების საშუალებას იძლევიან, რადგან იფარგლებიან ფაქტების დახარისხებით.

### 2. ტესტური დავალებები, რომელიც პასუხის კონსტრუირებას მოითხოვს.

ამ ტიპის დავალებებს ხშირად დია ტიპის დავალებებს უწოდებენ ხოლმე, ზემოთ განხილული ტესტური დავალებებისგან განსხვავებით, რომლებიც პასუხის შერჩევას საჭიროებენ. ამ უკანასკნელთ ე.წ. დახურული ტიპის ტესტურ დავალებებსაც უწოდებენ. დია ტესტურ დავალებებში ტესტირების მონაწილეს მოეთხოვება პასუხის კონსტრუირება. აქ არ არის წინასწარ მოცემული ალტერნატიულ პასუხთა ჩამონათვალი, მონაწილემ თვითონ უნდა ჩაწეროს სწორი პასუხი. აქედან გამომდინარე, სწორი პასუხის დაშტამპული, ერთადერთი ფორმა არ არსებობს და შეფასებისთვის გამოიყენება შეფასების სქემა/რუბრიკა. ტესტური დავალებები, რომლებიც პასუხის კონსტრუირებას მოითხოვენ შემდეგი ტიპისაა:

- ✓ **მოკლებასუხიანი ტესტური დავალებები,** სადაც ერთი ან რამდენიმე სიტყვით ხდება პასუხის გაცემა. ასეთი დავალება ჩვეულებრივ მოითხოვს მოკლე და კონკრეტულ პასუხს. ამ ტიპის ტესტური დავალებები კარგად აფასებენ ფაქტობრივ ცოდნას, ადვილი შესადგენია და ადვილი შესაფასებელია, მაგრამ გამოუსადეგარია როგორი კოგნიტური ოპერაციების შესაფასებლად.

## ენის შეფასება და ტუსტირება

- ✓ ტესტური დავალებები, რომლებიც ტექსტის გამოტოვებული აღგილების შესებას და წინადადებების დასრულებას მოითხოვს. ამ ტიპის ტესტებში ჩვეულებრივ მოცემულია წინადადებები, რომლებიც სწორი პასუხით უნდა დასრულდეს. სწორი პასუხის აღმნიშვნელი სიტყვა გამოტოვებულია. ასეთი ტესტური დავალებები ძალიან სასარგებლო მაგ., ენის ლექსიკური მარაგის შესაფასებლად. ამ ტიპის ტესტური დავალებებით ადვილია ფაქტობრივი ცოდნის შეფასება, მინიმუმადე დადის გამოცნობის შესაძლებლობა, ისინი ადვილი შესადგენი და შესაფასებელია, მაგრამ ისინი ვერ ზომავენ მაღალი დონის კოგნიტურ ოპერაციებს.
- ✓ ტესტური დავალებები, რომლებიც ტექსტის "დახურვას" მოითხოვს. ამ ტიპის ტესტებში ჩვეულებრივ მოცემულია ერთი ან რამდენიმე წინადადება, სადაც გამოტოვებულია გარკვეული სიტყვები. ტესტირების მონაწილეს მოეთხოვება წინადადებების დასრულება ან შევსება. ამ ტიპის ტესტური დავალებები განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება ენობრივი კომპეტენციების შესაფასებლად. შესაძლებულია, ტესტურ დავალებაში სიტყვები კი არ იყოს გამოტოვებული, არამედ - სიტყვის თავსართები ან ბოლოსართები. ამ შემთხვევაში მოსწავლეს მოეთხოვება გამოტოვებული ადგილების შევსება ისე, რომ წინადადება გრამატიკულად გამართული იყოს. ასეთი ტიპის ტესტური დავალებები ადვილი შესადგენია, კარგად ზომავს ლექსიკურ მარაგს და გრამატიკული წესების ცოდნას, თუმცა დაზღვეული არ არის შემთხვევითი პასუხებისგან.
- ✓ ტესტური დავალება, რომელიც გაგრცობილ პასუხს მოითხოვს (თემა და ეტა). ასეთი ტიპის ტესტური დავალება კანდიდატისგან მოითხოვს რაიმე თემაზე ტესტის ტექსტში მოცემულ ინფორმაციაზე ან საკუთარ გამოცდილებზე დაყრდნობით შეადგინოს გარკვეული არგუმენტირებული თხზულება. ამ ტიპის ტესტური დავალება მეტად შრომატებადია, იგი დროსა და ენერგიას მოითხოვს, როგორც ტესტური დავალების შემქმნელისაგან ასევე ტესტირებაში მონაწილისგან. რო-

## ენის შეფასება და ტუსტირება

გორც ზემოთ იყო ნაჩვენები ესეს შეფასების სქემა წინასწარ უნდა იყოს ჩამოყალიბებული და მკაცრად გაწერილი. ამასთან ზემოთ მოყვანილი ნიმუში სულაც არ წარმოადგენს ერთად ერთ სწორ შეფასების სქემას ესესა თუ თემისთვის. შეფასების რუბრიკა დამოკიდებულია იმაზე, თუ რის შეფასება გვინდა ტესტით და ამ კონკრეტული ტესტური დავალებით. მეორე მხრივ, ესეს ან თემის დაწერას გარკვეული დრო სჭირდება და აქვთ გამომდინარე, ტესტირების სპეციფიკაციაში მისთვის ადეკვატური დრო უნდა იყოს გამოყოფილი. დროითი და სხვა არგუმენტების (მაგ., სტანდარტიზების, შეფასების ობიექტურობის და ა.შ.) გათვალისწინებით, ხშირად ასეთი ტესტური დავალების მოცულობა შემოსაზღვრულია სიტყვითა რაოდენობით, მაგ., მაქსიმუმ 100-150 სიტყვით. ასეთი ტესტური დავალებები იძლევა მაღალი დონის კოგნიტური ოპერაციებისა და უნარების შეფასების საშუალებას. მათვის ძნელი შესადგენია შეფასების რუბრიკა და ძნელი და შრომატევადია შეფასება. არ არის გამორიცხული სუბიექტურობა.

- ✓ **პრობლემის გადაჭრის შემცველი ტესტური დავალებები, რომლებიც შესაძლებელია ესეს კატეგორიაში მოვათავსოთ, რადგან ამ ტიპის დავალებაში ჩვეულებრივ მოცემულია ერთი საკითხის შესახებ ორი ალტერნატიული მოსაზრება და ტესტირების მონაწილეს მოეთხოვება საკუთარის პოზიციის დაფიქსირება და საკუთარი გამოცდილებიდან ან წაკითხული მასალიდან მოტანილი მაგალითებით და არგუმენტებით გამყარება. ასეთი ტესტური დავალებებიც, ისევე, როგორც ესე და თემა იძლევა მაღალი დონის კოგნიტური ოპერაციებისა და უნარების შეფასების საშუალებას. თუმცა ძნელი შესადგენია შეფასების რუბრიკა და ძნელი და შრომატევადია შეფასება. იგი არ არის დაზღვეული სუბიექტურობისგან.**

ქვემოთ განხილულია ტესტური დავალებების ნიმუშები:

## ენის შეფასება და ტუსტირება

1. ჭეშმარიტი-მცდარობის ტიპის ტესტური დავალების ნიმუში:  
დავითი ზუგდიდში თავის ძმასთან დარჩა.
  - ა) ხწორია
  - ბ) მცდარია.
2. შესაბამისობის (ურთიერთმისადაგების) ტიპის ტესტური დავალების ნიმუში:

მოძებნეთ სინონიმური წყვილები და დააკავშირეთ ერთმანეთს ისრებით:

მამაცი	დაახრულა
დაამთავრა	გულადი
მოკურცხლა	გადაეღობა
წინ გადაუდგა	გაქცელა

ან

გაიხსენეთ საპირისპირო სიტყვა:

- დილა .....
- შეადგე .....
- ადრიანი .....

3. კლასიფიკაციის ტიპის ტესტური დავალების ნიმუში.

დაალაგეთ ქრონოლოგიური თანამიმდევრობით, რა რის მერე მოხდა:

- ა) სადილი რესტორანში
- ბ) ზუგდიდში ჩასვლა
- გ) დმანისის პირველი საჯარო სკოლის დირექტორის მოხსენება
- დ) სამტრედიაში ჩასვლა
- ე) ზუგდიდში ძმასთან გასვლა
- ვ) სემინარის დაწყება
- ზ) მინისერის მოადგილის გამოსვლა

1	2	3	4	5	6	7

## ენის შევასება და ტუსტირება

4. მრავლობითი არჩევანის ტიპის ტესტური დავალების ნიმუში:  
რომელ რიცხვში ჩავიდა დავითი ლიას მეგობართან:

- ა. 13-ზე
- ბ. 14-ზე
- გ. 15-ზე
- დ. 16-ზე.

5. ლია ანუ პასუხის კონსტრუირების ტექსტის "დახურვის" ტიპის  
ტესტური დავალების ნიმუში:

დაურთეთ სათანადო თანდებულები სახელებს:

ყველანი სახლ..... ვძრუნდებით; ამ ადამიან..... ყველა კარგს აძ-  
ბობს; თეატრ..... დღეს პრემიერაა; სახურავ..... კარლსონი დაბი-  
ნავდა; ამ ამბავ..... დიდხანს ვფიქრობდი; სკოლა..... მივდიგარ;  
თიხის..... ჭურჭელი კეთდება; სახლისა..... წავედო.

ან

მოცემული ფორმებიდან შეარჩიეთ სწორი ფორმა:

მიღინართ მოვიდა	დახვალ
მიგა დავალ მიღიან დაგეშლვარ მი- ღის დავედი დახვედით	

1. მე სალომესთან \_\_\_\_\_.
2. გუშინ სკოლაში ვერ \_\_\_\_\_.
3. ხვალ შეხ \_\_\_\_\_ სკოლაში?
4. ნათია მარიკასთან \_\_\_\_\_ და მერე ერ-  
თად \_\_\_\_\_ ჩემთან.
5. სად \_\_\_\_\_ გუშინ შეხ და რეზო?
6. გუშინ და გუშინ სკოლაში არ \_\_\_\_\_.

የኖስ ሽეቶአስዎን ፍል ቅዱስተኛዎን

7. სად \_\_\_\_\_ შენ და მერაბი?

8. სად \_\_\_\_\_ ნანა? — ის და ნინიკო თეატრში  
\_\_\_\_\_.

9. ხვალ ხვოლაში ვერ \_\_\_\_\_, აგად ვარ.

10. ნონა \_\_\_\_\_? — არა, ჯერ არ \_\_\_\_\_.

11. დია ანუ პასუხის კონსტრუირების მოქლეპასუხიანი ტესტური დავა-  
ლების ნიმუში.

მოიფიქრე წაკითხული მოთხოვობისათვის სათაურო.

56

როდის წერს წერილს აგტორი? (დაახახელეთ თვის რომელი დღეა და რიცხვი).

86

զօս մռելեցնեծին դաշտի վերաբերության մեջ առաջարկություն է համարվում առաջարկությունը կատարելու համար։

7. ნიმუში ტესტური დაგალებისა, რომელიც ცარიელი ადგილის შევსებასა და წინადაღების დასრულებას მოითხოვს:

## დაასრულოთ წინადაღება:

„გიორგიმ დავალება შეასრულა და დაფასთან . . . . .

8. ლია ანუ პასუხის კონსტრუირების განვრცობილი პასუხის მქონე ტესტური დაგალების ნიმუში (მოკლე თემა და ესე)

წარმოიდგინეთ, რომ წასული ხართ მივლინებაში კოლეგათან ერთად მისწერეთ წერილი თქვენი ოჯახის წევრს (ძეუდღეს, დედას, შვილს...); მოუყვეთ, ხად ხართ, ვისთან ერთად, როგორი ამინდია, რას აკეთებთ დილას, შეადღისას, ხადამთო; მოიფიქრეთ, რას გააკეთებთ თქვენი ოჯახის წევრებთან ერთად, როცა მივლინებიდან დაბრუნდებით.

სიტყვების მინიმალური რაოდენობა - 50, მაქსიმალური - 100

## 060ს შევასება და ტქისტირება

9. გადასაჭრელი პრობლემების შემცველი ტესტური დაგალების ნიმუში გამოხატეთ საკუთარი პოზიცია მოცემულ თემასთან დაკავშირებით:

უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში სწავლისას საჭიროა თუ არა საშინაო დაგალებების შესრულება?

## ენის შეფასება და ტუსტირება

### 6. დამატებითი ოჩებები ტუსტის შემზღვისათვის

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ტესტის შექმნისას მნიშვნელოვანია სრულად დაფუროთ სასწავლო მასალა და ამისთვის კი აუცილებელია ტესტში სხვადასხვა ტიპის ტესტური დავალებების გამოყენება. ისინი საშუალებას გვაძლევენ, სხვადასხვა გზებით და წყაროებით შევაგროვოთ ინფორმაცია ტესტირების მონაწილის ენობრივი კომპეტენციების შესახებ. ასეთი მასალა კი მეტად სანდო და გალიდურია, ვიდრე ერთგვაროვანი ტესტური დავალებებიდან შეგროვებული მონაცემები.

ტესტური დავალებების ფორმულირებისას გაითვალისწინეთ, რომ ისინი შეესაბამებოდნენ მოსწავლეთა კლასის, დონის ან საგანმანათლებლო საფეხურისთვის დადგენილ გარკვეულ სტანდარტებს ან ნორმებს.

ასევე გასათვალისწინებელია ტესტური დავალებების სირთულის და მოცულობის შესატყვისობა მოსწავლეთა ასაკთან და მათი კოგნიტური უნარების განზომილებებთან. გამოიყენეთ ასაკისა და ცოდნის დონის ადგევა-ტური სირთულის ენა.

ეცადეთ, ტესტური დავალებები, განსაკუთრებით კი დავალების დირექტიული მასალა მარტივად, ცხადად და მოკლედ იყოს ფორმულირებული;

მრავლობითი არჩევანის ტესტურ დავალებებში მოერიდეთ ხელოვნურ პასუხებს, ეცადეთ, შესაძლო პასუხები ბუნებრივად უდერდნენ; გახსოვდეთ, რომ ასეთი ტიპის დავალებებში მხოლოდ ერთი სწორი პასუხი უნდა იყოს;

დია ტიპის ტესტურ დავალებებში შეფასების სქემა/რუბრიკა უნდა შეესატყვისებოდეს შესატყვისობა ტესტურ დავალებას და იგი მაქსიმალურად სრული უნდა იყოს.

დაიცავით ტესტური დავალებების ავტონომიურობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი ტესტური დავალება არ უნდა უწყობდეს ხელს სხვა ტესტური დავალებაზე სწორი პასუხის გაცემას. სხვაგვარად რომ კოქათ, ერთ ტესტურ დავალებაზე გაცემული პასუხი არ უნდა იყოს დამოკიდებული მეორე ტესტურ დავალებაზი ნაგულისხმევ ინფორმაციაზე. ამ თვალსაზრისით, ცედი ტესტური დავალებების ნიმუშია შემდეგ მაგალითი:

## ენის შევასება და ტქისტირება

### სტიმული (ტექსტი):

ლია, ქუთაისში ვეღარ ჩამოვალწიე. ბათუმიდან პირდაპირ სამტრედიაზი ჩავედი, როგორც შენ მთხოვე, შენი მეგობრისთვის საჩუქრის გადასაცემად. კარგი ვქენი, რომ ჩავედი. მამამისი ავად იყო და მიწა ჰქონდათ გასათოხნი. არ მეუბნებოდა, მაგრამ როცა გავიგე, გუთხარი, დაგეხმარებით-მეთქი. გვიანობამდე ვიმუშავეთ და დამე იქ დარჩენა მომიწია. სამშაბათს კი ზუგდიდში წავედი სემინარზე. ხომ იცი, 16 ივნისს იწყება სემინარი და დილის 9 საათზე იქ ჩასვლას ვერ მოვასწრებდი. დამე ზუგდიდში, ჩემს ძმასთან დავრჩები.

### მიწის თოხნა დაიწყეს:

- ა. ორშაბათს
- ბ. სამშაბათს
- გ. ოთხშაბათს
- დ. კვირას.

### რომელ რიცხვში ჩავიდა დავითი ლიას მეგობართან:

- ა. 13-ზე
- ბ. 14-ზე
- გ. 15-ზე
- დ. 16-ზე.

### ტექსტის მიხედვით, რა დღე იყო 14 მაისი:

- ა. ორშაბათი
- ბ. სამშაბათი
- გ. ოთხშაბათი
- დ. კვირა.

ეველა ამ დავალებაში საკმაოდ რთული ლოგიკური ოპერაციების ჩატარებაა საჭირო სწორი პასუხების ამოსაცნობად (ანალიზი, სინთეზი...). თუმცა, ადსანიშნავია, რომ თუკი ერთი მათგანის ამოცნობა მოახერხა ენის შემსწავლელმა (ლოგიკური ოპერაციების საშუალებით და არა შემთხვევითი

## ენის შეფასება და ტუსტირება

მიგნებით), დანარჩენებისთვის ამავე ოპერაციების წარმოება აღარ უწევს და, შესაბამისად, მომდევნო ორი დავალება აღარაფერს გვაძლევს მისი კომპეტენციების შეფასების თვალსაზრისით.

**ამასთანავე, ტესტური დავალებების შედგენისას მოერიდეთ:**

- ✓ რთული შედგენილი წინადადებების გამოყენებას;
- ✓ უარყოფით ან ორმაგად უარყოფით წინადადებებს;
- ✓ რამდენიმე კითხვის შემცველ დირექტიულ მასალას;
- ✓ ზედმეტი, არასაჭირო, მიზნისგან დაშორებული ინფორმაციის შემცველ მასალას;
- ✓ სპეციალურ მახებს, “ხრიკებს”, “გამოჭერას”;
- ✓ ზედმეტად ლიტერატურულ ენას ან უარგონს;
- ✓ ისეთ სიტყვებს, როგორიცაა “ყოველთვის”, “არასდროს”;
- ✓ სხვადასხვა სიგრძის პასუხებს.

**გამორიცხეთ:**

- ✓ შეცდომები (შემთხვევითი, ტექნიკური)
- ✓ არასრულად მიწოდებული მასალა
- ✓ პასუხის შემცველი მასალის მიწოდება
- ✓ არარსებული/შეუძლებელი პასუხის მიცემა

## ენის შეზასხვა და ტქისტირება

### 7. ტქისტირების მონაცემების პირველადი ანალიზი

ტქისტის ადმინისტრირებისა (ჩატარებისა) და მონაცემთა შეგროვების შემდეგ საფეხურებზე ხორციელდება ტქისტირების შედეგების - ემპირიული მონაცემების ფსიქომეტრული ანალიზი ტქისტური დავალებების დახვეწის მიზნით. მისითვის ტარდება სპეციალური ფსიქომეტრული ანალიზი და პირველ რიგში დგინდება თითოეული ტქისტური დავალების სირთულე და დისკრიმინაციის ინდექსი. სირთულე პირველ ეტაპზე განისაზღვრება იმ მოსწავლეთა (კანდიდატთა) პროცენტული წილით, რომლებმაც სწორად გააკეთეს მოცემული ტქისტური დავალება. ჩვეულებრივ, ტქისტის შემქმნელები ერიდებიან ტქისტში ისეთი ტქისტური დავალებების გამოყენებას, რომლებიც ძალიან ადვილია ან ძალიან რთულია. მაგ., თუ თუ ტქისტური დავალებას მონაწილეთა თითქმის 100%-მა გაართვა თავი ან პირიქით თითქმის ვერცერთმა მოსწავლემ ვერ გასცა სწორი პასუხი, მაშინ ასეთი ტქისტური დავალება არაფერს არ ზომავს, რადგან პირველ შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ ჯგუფის ყოველი წევრისათვის ეს დავალება ძალიან ადვილია ანუ ყველას აქვს საკმარისი ცოდნა ამ დავალების შესასრულებლად, ხოლო მეორე შემთხვევაში - ჯგუფის ყოველი წევრისათვის ეს დავალება ძალიან რთული აღმოჩნდა ანუ არც ერთ მოსწავლეს არ აღმოაჩნდა საკმარისი ცოდნა მის გადასაწყვეტად. ასეთი ტქისტური დავალებები ვერ გვეხმარებიან მოსწავლეთა სასელექციოდ ცოდნისა და უნარების თვალსაზრისით. არც კრიტერიუმზე ორიენტირებული ინტერპრეტაციისთვის არის ასეთი ტქისტური დავალებები სასარგებლო, რადგან ჩვენ ვერ ვიგებთ, როგორია სხვაობები ტქისტირებაში მონაწილე მოსწავლეებს შორის ცოდნისა და უნარების თვალსაზრისით. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის დავალებები კარგ ორიენტირს წარმოადგენენ მასწავლებლისთვის ან დამწყები სპეციალისტისთვის ტქისტური დავალებების დახვეწის.

მეორე მნიშვნელოვანი თვისება, რომელიც ტქისტურ დავალებას უნდა ჰქონდეს, ეს არის დისკრიმინაციის უნარი, რომელსაც განსაზღვრავენ, როგორც დავალების უნარს, გაარჩიოს დაბალი, საშუალო და მაღალი ცოდნის

## ენის შეფასება და ტუსტირება

დონის მქონე მოსწავლეები ერთმანეთისგან. დავალების ამ უნარის გამოსათვლელად სპეციალური ფსიქომეტრული მეთოდები გამოიყენება. ანალიზის შედეგად დაბალი დისკრიმინაციის უნარის მქონე ტესტური დავალებები საჭიროა ან გაუმჯობესდეს ან უბრალოდ „გადაიყაროს“. ჩვეულებრივ, ტესტური დავალებების შედეგების ფსიქომეტრული ანალიზის საფუძველზე ტესტის დამწერები და საგნის ექსპერტები ცდილობენ, გააუმჯობესონ ტესტური დავალებები. ტესტის შექმნის ეს ეტაპი საკმაოდ რთულია და იგი სპეციალურ ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვს. ამ ეტაპზე ხორციელდება თითოეული ეწ. "ცუდი" ტესტური დავალების დეტალური ანალიზი. განიხილება ტესტური დავალების თითოეული ნაწილი (სტიმული, ბირთვი, პასუხები); მოწმდება შინაარსობრივი მხარის სიწორე, ტექნიკური გამართულობა, სასტიმულო მასალის შესატყვისობა პასუხებთან, სწორი პასუხისა და დისტრაქტორების აღეკვატურობა, შეფასების სქემის ანუ რუბრიკის აღეკვატურობა და სისრულე.

ამგვარად, სანამ საბოლოო ტესტი შედგება, მასში შემავალი ტესტური დავალებები საფუძვლიანად მოწმდება როგორც საგნის ექსპერტების მიერ, ასევე - ფსიქომეტრულადაც.

ტესტის შედეგების ანალიზი რთულ ფსიქომეტრულ მეთოდებზეა დაფუძნებული და იგი სპეციალურ ცოდნას მოითხოვს. თუმცა ტესტირების შედეგების მარტივი ანალიზი შესაძლებელია საკლასო პირობებშიც. ამიტომ ქვემოთ მოკლედ განვიხილოთ ტესტის შედეგების ძირითადი მახასიათებლები და მონაცემთა შედარების ინსტრუმენტები.

**სიხშირეთა განაწილება** ტესტში მონაწილეთა მიერ მიღებული ქულების (მონაცემების) უბრალო ჩამონათვალია. მაგალითად, მართლწერის ტესტში 19-მა მოსწავლემ დააგროვა ეს ქულები: 100, 95, 90, 86, 84, 85, 80, 75, 75, 75, 70, 65, 60, 60, 55, 50, 50, 45, 40. ამ მონაცემების წარმოდგენა შესაძლებელია გრაფიკულადაც, მაგ., ჰისტოგრამის სახით.

**ცენტრალური ტენდენციის მაჩვენებელი და სტანდარტული გადახრა.** საშუალო, ჩვეულებრივ, ჯგუფის მონაცემების საშუალო არითმეტიკულია. მის გამოსათვლელად მონაცემები უნდა შეკრიბოთ და მიღებული რიცხვი გავყოთ მონაცემების რაოდენობაზე. მაგალითად, თუ მართლწერის ტესტში

## ენის შევასება და ტუსტირება

19 მონაწილეებ მთლიანად დააგროვა 1340 ქულა, საშუალო იქნება 1340/19, ანუ 70,53. საშუალოს გამოთვლა ერთ-ერთი გზაა ჯგუფის მონაცემთა ცენტრალური ტენდენციის შესაფასებლად.

თუმცა, ჯგუფში არსებული ძალიან მაღალი ან ძალიან დაბალი ქულები გავლენას ახდენს საშუალოზე და ამახინჯებს საერთო სურათს. ამ შემთხვევაში ჯგუფის მაჩვენებლების ცენტრალური ტენდენციის შესაფასებლად შეიძლება გამოვიყენოთ სხვა საზომები. ესენია მედიანა და მოდა. **მედიანა** არის ზრდადობის ან კლებადობის მიხედვით დალაგებულ მონაცემთა განაწილების შეალედური რიცხვი. ზემოთ განხილული 19 მაჩვენებლის მედიანა არის 75. ცხრა მაჩვენებელი განაწილებაში 75-ზე მეტი ან მისი ტოლია და ცხრაც მასზე ნაკლები. როდესაც არის რამდენიმე ძალიან მაღალი ან რამდენიმე ძალიან დაბალი მაჩვენებელი, მედიანა შეიძლება უკეთესად წარმოადგენდეს ჯგუფის მთავარ ტენდენციას. **მოდა** არის ის მაჩვენებელი, რომელიც ყველაზე ხშირად გვხვდება. ზემოთ წარმოდგენილ მონაცემებში მოდა 85, რადგან იგი სამჯერ მეორდება.

ჯგუფის მონაცემების დახასიათებისთვის მხოლოდ ცენტრალური ტენდენციის საზომი არ არის საკმარისი, რადგან შესაძლებელია ორი ჯგუფის მონაცემთა საშუალო არითმეტიკული ერთნაირი იყოს, მაგრამ მათში მონაცემები სხვადასხვაგვარად იყოს განაწილებული. მაგალითად, ერთში მონაცემები მცირედ განსხვდებოდეს საშუალო არითმეტიკულისგან, ხოლო მეორეში კი მონაცემთა გაბნევის დიაპაზონი დიდი იყოს.

**სტანდარტული გადახრა** გვიჩვენებს რამდენად განსხვავდება მაჩვენებლები საშუალოსგან. რაც უფრო დიდია სტანდარტული გადახრა, მით უფრო ვრცლად არის განაწილებული მაჩვენებლები. და პირიქით რაც უფრო მცირეა სტანდარტული გადახრა, მით უფრო ახლოსაა საშუალოსთან მონაცემები განლაგებული.

სტანდარტული გადახრის გამოთვალა სკოლის საბაზო საფეხურზე ისწავლება, იგი საკმაოდ ადვილი გამოსათვლელია, მაგრამ მას გარკვეული დრო სჭირდება. სტანდარტული გადახრის გამოთვლის საფეხურებია:

1. მონაცემთა საშუალო არითმეტიკულის გამოთვლა;

## ნის შევასება და ტუსტირება


2. თითოეული მონაცემისა და საშუალო არითმეტიკულის სხვაობის გა-  
მოთვლა;
3. მიღებული მონაცემების კვადრატების გამოთვლა;
4. მიღებული მონაცემების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლა;
5. მიღებული მონაცემიდან კვადრატული ფესვის ამოღება.

ჯგუფის ქულების (მონაცემების) საშუალო არითმეტიკულისა და სტანდარტული გადახრის ცოდნა გვეხმარება მოსწავლის მონაცემის მნიშვ-  
ნელობის გარკვევაში. მაგალითად, დაგუშვათ, ტესტში მიიღეთ 60 ქულა. ეს  
ფაქტი ძალიან გაგახარებთ, თუ გეცოდინებათ, რომ ჯგუფის საშუალო 50-ის  
ტოლია, ხოლო სტანდარტული გადახრა 4-ს უდრის. ამ შემთხვევაში თქვენი  
მაჩვენებელი საშუალოზე ბევრად მაღალია. მაგრამ თუ ჯგუფის საშუალო  
არითმეტიკული იგივეა, მაგრამ სტანდარტული გადახრა 20-ს ტოლია, მაშინ  
თქვენი მონაცემი აღარ არის ისეთი მაღალი, რადგან იგი ახლოს არის სა-  
შუალო ქულასთან. საკითხში უკეთ გასარკვევად განვიხილოთ ნორმალური  
განაწილება და მისი მახასიათებლები.

**ნორმალური განაწილება.** ძალიან ბევრი ბუნებრივად მიმდინარე ფი-  
ზიკური, სოციალური და ფსიქოლოგიური ფენომენი (მათ შორის კოგნიტუ-  
რი) ნორმალურადაა განაწილებული, რაც მარტივი ენით იმას ნიშნავს, რომ  
ძალიან მცირე და ძალიან დიდი მონაცემები შედარებით იშვიათად გვხვდება,  
ხოლო საშუალო მონაცემები კი შედარებით ხშირად. მაგალითად, ძალიან  
იშვიათია ძალიან ჭკვიანი (გენიოსი) ადამიანები და ასევე იშვიათია ძალიან  
სულელებიც, ადამიანთა უმრავლესობას საშუალო ინტელექტი აქვს ან იშ-  
ვიათია ძალიან დაბალი ან ძალიან მაღალი ადამიანები, ადამიანების უმეტე-  
სობა საშუალო სიმაღლისაა. იგივე ვითარებაა ტესტირების დროსაც, ცხა-  
დია, როდესაც ტესტირება მოსწავლეთა საპარისად დიდ ჯგუფში ტარდება:  
იშვიათად გვხვდება ძალიან დაბალი ან ზალიან მაღალი ქულები და მოს-  
წავლეთა უმრავლესობის ქულები საშუალო დიაპაზონში თავსდება. სწორედ  
ამიტომ სტანდარტული გადახრა შესანიშნავი გზაა ტესტის შედეგების გა-  
საგებად. განსაკუთრებით გვადგება მაშინ, როცა შედეგები ნორმალურად

## ენის შეფასება და ტუსტირება

არის განაწილებული. ნორმალურ განაწილებას გრაფიკულად ზარის ფორმა აქვს და იგი ქვემოთ მოცემულ სურათზეა წარმოდგენილი.



ნორმალურ განაწილებაში საშუალო, მედიანა და მოდა ერთმანეთს ემთხვევა. ამასთანავე, მონაცემთა ნორმალური განაწილების შემთხვევაში ჯგუფის მონაცემთა 68% თავსდება ინტერვალში რომელიც მეტია ერთი სტანდარტული გადახრით საშუალო არითმეტიკულზე და ასევე ერთი სტანდარტული გადახრით ნაკლებია მასზე. მონაცემთა 95% თავსდება საშუალო არიტმეტიკულიდან პლიუს მინუს ორი სტანდარტული გადახრის ინტერვალში, ხოლო მონაცემთა 99% კი – სამი სტანდარტული გადახრის ინტერვალში. ცხადია, ამ ცოდნაზე დაყრდნობით ჩვენ შეგვიძლია შევაფასოთ რამდენად კარგია ტესტირებაში მიღებული კონკრეტული ქულა. ზემოთ განხილულ მაგალითს თუ დავუბრუნდებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირველ შემთხვევაში თქვენი ქულა 60 ქულით თქვენ საუკეთესო 2%-ში მოხვდით, ხოლო მეორე შემთხვევაში კი თქვენი 60 ქულა საშუალოა, რადგანაც ასეთი და მასზე მეტი მონაცემი ტესტირებაში მონაწილე მოსწავლეების ნახევარს აქვს.

## თავი 4

### შეფასების მეთოდები

#### 1. სპალების შემუშავების მეთოდები

განსხვავებულ დონეთა არსებობა გულისხმობს იმას, რომ უნარები შეიძლება მივაკუთვნოთ მხოლოდ ერთ და არა სხვა დონეს და რომ ენის ფლობის განსაზღვრული დონის პარამეტრები მიეკუთვნება ერთ განსაზღვრულ დონეს და არა სხვას. ყოველივე ეს გულისხმობს გარკვეული ერთგვაროვანი სკალის არსებობას. არსებობს რამდენიმე მეთოდი, რომელთა დახმარებით ენის ფლობის პარამეტრები შეიძლება მივაკუთვნოთ განსხვავებულ დონეებს. ეს მეთოდები შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად: **ინტუიტური, თვისებრივი** და **რაოდენობრივი**. ენის ფლობის შეფასების არსებულ სკალათა უმეტესობა და დონეთა სხვა სისტემები შემუშავდა ინტუიტური მეთოდების პირველი ჯგუფის, ერთ-ერთი შემადგენლის მეშვეობით. საუკეთესო მიდგომა აერთიანებს სამივე მეთოდს იმგვარად, რომ მათ შეავსონ და გააძლიერონ დადებითი ზემოქმედება ერთი მეორის მიმართ. თვისებრივი მეთოდები გულისხმობენ მასალის ინტუიტიურ მომზადებასა და შერჩევას, ამასთანავე შედეგის ინტუიტიურ შეფასებას. რაოდენობრივი მეთოდები უნდა ახორციელებდნენ თვისებრივი მეთოდების საშუალებით წინასწარ ტესტირებული მასალის აღნუსხვას; ისინი უნდა შეივსოს შედეგების იმტუიტიური ინტერპრეტაციით. ამგვარად, დონეთა ზოგადევროპული სისტემის შემუშავებისას გამოყენებული იქნა ინტუიტიური, თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების შეხამება..

თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებისას შეიძლება დავიწყოთ როგორც **ინდიკატორებიდან**, ისე **ქცევის ნიმუშებიდან**.

## ენის შევასება და ტუსტირება

**ინდიკატორებიდან დაწყებისას:** პირველი ამოსავალი პუნქტი – უნდა იქნეს გააზრებული ის, რის აღწერასაც ვაპირებთ, ხოლო შემდეგ მოვახდინოთ მნიშვნელოვანი კატეგორიებისთვის აუცილებელი ინდიკატორების ნუსხის რედაქტირება და თავმოყრა, რათა მივცეთ მათ თვისებრივი მეთოდების გამოყენების ეტაპისთვის მომზადების სახე. ასეთი მეთოდიკა უფრო გამართლებულია ისეთი კატეგორიის ინდიკატორთა შემუშავებისას, რომლებიც სასწავლო პროგრამაში შედის, როგორც **ქმედების კომუნიკაციური სახეები**, მაგრამ იგივე მეთოდიკა შეიძლება გამოვიყენოთ ენობრივი კომპეტენციის ცალკეული ასპექტების ინდიკატორთა შემუშავების დროსაც, დაწყებით ეტაპზე ინდიკატორების და კატეგორიების ფორმულირება იძლევა თეორიულად დაბალანსებული სისტემის ჩამოყალიბების საშუალებას (დაწვრილებით ის. ენათა ფლობის... (I), 2008, გვ. 199-201).

**ქვევის ნიმუშებიდან დაწყებისას:** ალტერნატიული მიდგომა, რომლის დროსაც ინდიკატორთა სისტემის შემუშავება იწყება ენის ფლობის დონის შეფასების მიზნით, იწყება ქვევის ტიპობრივი ნიმუშებით. ასეთი მიდგომისას გამომცდელი აფასებს იმას, რასაც ხედავენ ნიმუშებთან მუშაობის პროცესში. კერძოდ, შემფასებელი აღწერს შემოთავაზებულ ნიმუშებს. შემდგომ ეს აღწერა მუშავდება სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით, იმის გამოსავლენად, თუ რომელი მახასიათებლებია საკვანძო ძირითადი შეფასებისთვის (თვისებრივი მეთოდები). ამ მიდგომის უპირატესობა ისაა, რომ მიღებული აღწერა ეყრდნობა კონკრეტულ მონაცემებს.

სტატისტიკური მეთოდები შეიძლება გამოვიყენოთ არა მხოლოდ ზოგადი სკალის შემუშავებისთვის, არამედ სკალის შემუშავების შემდგომაც, მისი პრაქტიკული გამოყენების დასაბუთებისა და გადასინჯვის დადგენის აუცილებლობისთვის.

(დაწვრილებით ის. ენათა ფლობის... (I), 2008, გვ. 199-203).

## ენის შეფასება და ტუსტირება

### ა. 06ტუსტირო გეთოდები

ეს მეთოდები არ მოითხოვს მონაცემთა სპეციალურად ორგანიზებულ თავმოყრას, ისინი ეფუძნება გამოცდილების ინტერპრეტაციას გარკვეული პრინციპების შესაბამისად.

**I. ექსპერტი:** სკალა იქმნება ექსპერტთა ჯგუფის მიერ არსებული სკალების, სასწავლო პროგრამებისა და სხვა მნიშვნელოვანი მასალების საფუძველზე. შესაძლოა იმ ჯგუფის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით, რომლისთვისაც ეს სკალა მუშავდება. ამის შემდეგ ჯგუფი ახდენს სკალის აპრობაციას და კორექტირებას, დასაშვებია ინფორმაციების მონაწილეობაც.

**II. კომიტეტი:** მუშაობს ისევე, როგორც ექსპერტი, თუმცა აქ ჩართულია შემმუშავებლის მცირერიცხოვანი და კონსულტანტების დიდი ჯგუფი, რომელიც ახდენს შემმუშავებლის მიერ შემოთავაზებული ვარიანტების რეცენზირებას. კონსულტანტებმა შეიძლება იმუშაონ ინტუიციაზე დაყრდნობით, თავისი გამოცდილებიდან გამომდინარე, და / ან საკუთარი თავის შემსწავლელებთან ან ურთიერთშორისი სამეტყველო ქცევის ნიმუშების შედარების გზით.

**III. გამოცდილების გზით:** მუშაობს ისევე, როგორც კომიტეტი, მაგრამ პროცესი უფრო დიდხანს გრძელდება და დასრულდება „ერთიანი თვალსაზრისის“ გამომუშავებით. სპეციალისტთა ჯგუფი იზიარებს შეფასების კრიტერიუმებისა და დონეების სისტემის გარკვეულ გაგებას. ფორმულირებათა დაზუსტების მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ექსპერიმენტული პილოტირება და მისი შედეგების განხილვა. გამომცდელებმა შეიძლება იმსჯელონ ინდიკატორთა ფორმულირებასა და ენობრივ ქცევას შორის არსებულ მიმართებაზე, ან იმაზე, თუ როგორ იწვევს ერთის ცვლილება მეორის ცვლილებას. ეს – ენობრივი კომპეტენციის დონეთა შემუშავების ტრადიციული საშუალებაა (ენათა ფლობის... (1), 2008, გვ. 200).

## ენის შეზასხვა და ტუსტირება

### პ. მიზანმდებლივი მეთოდები

ეს მეთოდები გულისხმობს სამუშაო სექციათა გამოყენებას ინფორმატიკის თანამონაწილეობით და მიღებული შედეგების თვისებრივ და არა სტატიკურ ინტერპრეტაციას.

**I. საკვანძო კონცეპტების ფორმულირება:** წინასწარი სკალის შექმნის შემდეგ ყველაზე მარტივი მეთოდია – მისი დაყოფა ნაწილებად და ინფორმანტებისთვის (ამ სკალის მომხმარებელთა იმ ჯგუფის ტიპობრივი წარმომადგენლებისთვის რომლებიც გამოიყენებენ მას შემდგომში) მიწოდება რათა მათ (ა) განალაგონ განსაზღვრებები იმ თანამიმდევრობით, რომელიც მათ მიაჩნიათ მართებულად, (ბ) განმარტონ, რატომ მიაჩნიათ ასე და მას მერე რაც გამოვლინდება სხვაობა თავდაპირველსა და მათ მიერ შემოთავაზებულ წყობას შორის. (გ) წარმოაჩინონ, რომელი საკვანძო დებულებები ეხმარებოდათ და რომელი უშლიდა ხელს. ეს მეთოდი შეიძლება გავართულოთ, მოგხსნათ ერთ-ერთი დონე და შევთავაზოთ იმ ხარვეზის მოძებნა, რომელიც მიუთითებს გამოტოვებულ დონეზე ასეთი მეთოდით იქნა შემუშავებული სკალები სერტიფიცირებისთვის ევროცენტრებში.

**II. საკვანძო ცნებები – ენობრივი ქცევა:** ინდიკატორები შეეფარდება ტიპურ ენობრივ ქცევებს გამოყოფილ დონეებზე იმგვარად, რომ რაიმეს აღწერა შეესაბამებოდეს რეალურად მიმდინარე მოვლენებს. კემბრიჯის ზოგიერთი საგამოცდო ცნობარში მოცემულია ამ პროცესის აღწერა გამომცდელებისათვის. აქ ერთმანეთს უდარდება სხვადასხვა სკალის ინდიკატორთა ფორმულირებები და ის შეფასებები, რომლებმაც დაიმსახურეს კონკრეტულმა საგამოცდო ნამუშევრებმა. ენობრივი ტესტირების საერთაშორისო სისტემის (IELTS) ჩარჩოში ინდიკატორთა შექმნის პროცესში პროფესიონალ გამომცდელებს სთხოვეს განესაზღვრათ „ტიპობრივი ნამუშევრის ნიმუში“ ყოველი დონისთვის, შემდეგ კი

## ენის შევასება და ტუსტირება

გამოევლინათ ყოველი ნამუშევრის „საკვანძო თავისებურებები“. ის თავისებურებები, რომლებიც სხვადასხვა დონისთვის ტიპობრივად იქნება მიჩნეული, საბოლოოდ ინდიკატორებში განთავსება სათანადო მსჯელობის შემდეგ.

**III. პირველადი დახასიათება:** ინდივიდუალური ინფორმატორები განალაგებენ ნამუშევრებს (როგორც წესი წერილობითს) გარკვეული თანამიმდევრობით. ჯგუფური განხილვისას ყველა დახარისხებული ნამუშევარი განლაგდება ერთიანი თანამიმდევრობით. შემდგომ ხდება იმ პრინციპის გამოყოფა, მისი გამოვლენის აღწერა რის მიხედვითაც მოხდა დახარისხება. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ მიმართულებებს, რომლებიც ყოველი დონისთვის ინდივიდუალურია. ის რაც იყო აღწერილი, წარმაოდგენს პირველად დახასიათებას, სწორედ ის განსაზღვრავს განლაგების წესებს. ამ მეთოდის ნაირსახეობას წარმოადგენს ნამუშევრების რამდენიმე წესებად დალაგება ერთიანი რიგის მაგივრად. ამ კლასიკურ მიდგომასაც აქვს თავისი მრავალგანზომილებიანი სორტირების ვარიანტი. ამ შემთხვევაში საკვანძო თავისებურებების მეშვეობით ხდება პირველადი მახასიათებლების განსაზღვრა. შემდეგ ხდება ნაშრომების სორტირება ყოველი პირველადი მახასიათებლის შესაბამისად. შედეგად ვლებულობთ არა ერთგანზომილებიან ქოლისტურ სკალას ერთი პირველადი მახასიათებლისთვის (თვისებისთვის), არამედ მრავალგანზომილებიან ანალიტიკურ სკალას რამდენიმე მახასიათებლისათვის.

**IV. ორი გარიანტიდან ერთ-ერთის ამორჩევა.** ეს არის პირველადი დახასიათების მეთოდის დადგენის კიდევ ერთი ვარიანტი. პირველ ეტაპზე ხდება წარმოდგენილი ნიმუშების სორტირება რამდენიმე ჯგუფად მათი დონიდან გამომდინარე. შემდეგ, დონეთა შორის საზღვრების დადგენის პრინციპი მის თაობაზე მსჯელობისას ხდება საკვანძო მახასიათებლების გამოყოფა (იხ. მეთოდი №5). ზემოხსენებული მეთოდისგან განსხვავებით ხდება ყოველი საკვანძო მახასიათებლის ფორმულირება ისეთი კითხვის სახით, რომლებიც გულისხმობს პასუხს: „კი / არა“. ამგვარად, ყალიბდება

## **ენის შევასება და ტუსტირება**

---

ბინარულ ოპოზიციათა გაშლილი სტრუქტურა. ეს სტრუქტურა აძლევს გამომცდელს გადაწყვეტილების მიღების ალგორითმს.

**V. შედარებითი მცდელობები:** ჯგუფები წყვილ-წყვილად ადარებენ საგამოცდო ნამუშევრებს იმის განსასაზღვრად, თუ რომელი მათგანია უკეთესი და რატომ. ეს მეთოდი იძლევა ისეთი მეტაენის შექმნის საშუალებას, რომელიც გამოიყენება ენობრივი კომპეტენციის შეფასების დროს და ემსახურება ყოველი დონისთვის მნიშვნელოვანი მახასიათებლის გამოვლენას. ეს მახასიათებლები შემდეგ ფორმულირდება, როგორც ინდიკატორები.

**VI. სორტირება:** მას მერე, რაც ჩამოყალიბდება ინდიკატორთა აღწერის პირველადი ვარიანტები, ინფორმანტები მიიღებენ წინადაღებას დააკომპლექტონ ისინი იმ კატეგორიათა შესაბამისად, რომლებსაც ისინი აღწერენ, და / ან იმ დონეთა შესაბამისად, რომლებსაც ისინი განეკუთვნებიან. ინფორმანტებს შეუძლიათ აგრეთვე დააზუსტონ, მოახდინონ ინდიკატორების რედაქტირება და / ან სრულიად უარყონ ისინი, აგრეთვე გამოყონ მნიშვნელოვანი, მკაფიო, ან სასარგებლო ინდიკატორები. ამ მეთოდიკის შემწეობით არჩეულ იქნა ინდიკატორების საერთო ნუსხა, რომლის საფუძველზე ჩამოყალიბდა და რედაქტირება გაუკეთდა აღწერით სკალებს (ენათა ფლობის... (1), 2008, გვ. 201-202).

### **გ. რაოდენობრივი მეთოდები**

რაოდენობრივი მეთოდები გულისხმობს მიღებული შედეგების მნიშვნელოვან სტატისტიკურ ანალიზსა და გამოწვლილვით ინტერპრეტაციას.

**I. დისკრიმინანტული ანალიზი:** პირველ ეტაპზე რიგი საგამოცდო ნამუშევარი, რომელმაც გაიარა სორტირება (უმჯობესია გამომცდელთა

## ენის შეფასება და ტუსტირება

ჯგუფის მიერ) გაივლის დისკურსიულ ანალიზს. ეს თვისებრივი ანალიზი გამოავლენს და დააჯამებს სხვადასხვა თვისებრივი მახასიათებლის სიხშირეს. შემდეგ მრავლობითი რეგრესიის მეშვეობით განისაზღვრება თუ გამოყოფილ მახასიათებელთაგან რომელი უფრო მნიშვნელოვანია მასალის გარკვეული დონისათვის მისაკუთვნებლად. ეს საკვანძო მახასიათებლები შემდგომში დაერთვება ყოველი დონის ინდიკატორის ფორმულირებას.

**II. მრავალასპექტიანი სკალირება:** სახელწოდების მიუხედავად, ეს არის აღწერით მეთოდიკა, რომლის მეშვეობითაც ხდება ცალკეული საკვანძო მახასიათებლის გამოყოფა და მათ შორის მიმართების განსაზღვრა. ენობრივი კომპეტენციის შეფასება ხდება ისეთი ანალიტიკური სკალის მეშვეობით, რომელიც რამდენიმე კატეგორიას აერთიანებს. ანალიზი აჩვენებს, რომელმა კატეგორიებმა ითამაშეს განმსაზღვრელი როლი ენობრივი კომპეტენციის გამოვლენის საქმეში, რის შემდეგაც შეიძლება შევადგინოთ დიაგრამა, რომელიც გამოხატავს კატეგორიების თანაარსებობას ან მათ დაშორებას ერთმანეთისაგან. ამრიგად, ეს მოთოდიკა გვაძლევს საშუალებას გამოვავლინოთ და ექსპერიმენტის გზით შევამოწმოთ მნიშვნელობის მქონე კატეგორიები.

**III. ტესტურ დავალებაზე დაფუძნებული თეორია (ტდდთ) ანუ „ფარული (ლატენტური) უნარების / თვისებების“ ანალიზი:** ტდდთ გვთავაზობს ურთიერთდაკავშირებულ განზომილებათა ანუ სკალების მოდელების სისტემას (ტესტირების ამ მიდგომაზე ზემოთ უკვე იყო საუბარი – იხ. თავი 3, აქ კი უფრო კონკრეტულად განვიხილავთ ერთ-ერთ პირველ და ყველაზე მარტივ მოდელს, რომელსაც დანიელი მათემატიკოსის გეორგ რაშის საპატივცემულოდ რაშის მოდელი ეწოდა).

ტდდთ წარმოადგენს ალბათობის თეორიის განვითარებას და გამოყენება მირითადად დავალებათა ბანქში ამა თუ იმ ამოცანის სირთულის განსასაზღვრად. თუ თქვენი ენობრივი კომპეტენცია „განვითარებული“, მაშინ მარტივ შეკითხვებზე თქვენს მიერ გაცემული პასუხის ალბათობა მაღიან მაღალია. დამწყებისთვის კი სწორი პასუხის

## ენის შევასება და ტქსტირება

ალბათობა განვითარებულ დონეზე მეტად მცირეა. ეს უბრალო ფაქტი გადატანილია სკალირების მეთოდში, რომელიც რაშის მოდელზეა დაფუძნებული, და რომელიც შემდგომში გამოიყენება ერთი სკალის ფარგლებში პუნქტების ერთგაროვნების უზრუნველსაყოფად. ამ მიდგომის შემდგომი განვითარება იძლევა მისი გამოყენების საშუალებას როგორც კომუნიკაციურ ჩვევათა ხასიათის მქონე ინდიკატორთა სკალირებისათვის, ასევე ტესტური დავალებების შესასრულებლად.

რაშის მეთოდიკით ანალიზისას სხავადასხვა ტესტური დავალება ან კითხვარი შეიძლება გარდაიქმნას უწყვეტ ჯაჭვად „ღუზის ელემენტების“ გამოყენების წყალობით რომლებიც საერთოა ერთმანეთთან ახლოს მდგომი დონეებისთვის. ქვემოთ მოყვანილ სქემაში აღნიშნული „ღუზის ელემენტები“ ნაცრისფრადაა შეფერილი. ამგვარად, დავალება შეიძლება მიესადაგოს მოსწავლეთა ინდიგიდუალური კატეგორიების და ამასთანავე დარჩეს ერთიანი სკალის იმ შემსწავლელთა შედეგებს, ვინც აგროვებს ქულათა მაქსიმალურ ან მინიმალურ რაოდენობას სხვადასხვა დონეზე.

			ტესტი C
	ტესტი B		
ტესტი A			

რაშის მეთოდით ანალიზის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ის იძლევა ისეთი სკალირების მიღების საშუალებას, რომელიც ანალიზისთვის გამოყენებული ტესტის, ან ტესტური დავალებების / კითხვარების კონკრეტულ შედეგებზე არაა დამოკიდებული. მიღებული სკალის მნიშვნელობები რჩება უცვლელი შემდგომი ტესტირებისთვის იმ პირობით, რომ ამ ტესტირების ობიექტები შეიძლება განხილულ იქნენ როგორც ახალი ჯგუფები მოსახლეობის იმავე სტატისტიკური ჯგუფის ფარგლებში. დროთა განმავლობაში სკალათა მნიშვნელობის სისტემატური ცვლილებები (მაგალითად, სასწავლო პროგრამის შეცვლის ან გამომცდელობა

## მნის შეფასება და ტუსტირება

მომზადების გამო) შეიძლება რიცხობრივად იქნეს გამოხატული და გათვალისწინებული.

ინდიკატორთა სკალირების მიმართ რაშის მეთოდით ანალიზი შეიძლება ნაირგვარად იქნეს გამოყენებული:

(ა) თვისებრივი მეთოდებით მიღებული მონაცემები შეიძლება აღიწეროს რაშის მეთოდის მოშველიებით არითმეტიკული სკალის სახით.

(ბ) შეიძლება შემუშავდეს ტესტები იმისთვის, რომ გამარტივდეს ისეთ ინდიკატორთა პრაქტიკული გამოყენება, რომლებიც აღწერენ ენის ცოდნას, კერძოდ კი საგამოცდო დავალებაში. ამ დავალებათა სკალირება შეიძლება ჩატარდეს რაშის მეთოდის საშუალებით და მათი მნიშვნელობები მოცემულ სკალაში გამოხატავენ ცალკეული ინდიკატორის სიძნელეს.

(გ) ინდიკატორები შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც კითხვარის ჰუნქები მასწავლებლის მიერ თავისი მოსწავლეების შეფასების მიზნით (შეუძლია მას x დავალების შესრულება?). ამგვარად, ინდიკატორები შეიძლება დავაყენოთ ერთ ყაიდაზე და განვალაგოთ არითმეტიკულ სკალაზე იმგვარად, როგორც ეს ხდება დავალებათა ბანკში დავალებათა სიძნელის მიხედვით კლასიფიცირებისას.

სკალათა შემუშავების გარდა, რაშის მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმის დასადგენად, თუ როგორ ხორციელდება მიღებული შეფასების სკალების პრაქტიკული გამოყენება. ეს იძლევა არაზუსტი ფორმულირებების დაზუსტების, გამოყენებულ სკალათა მონაკვეთების სიდიდისა და მათი გადახედვის საშუალებას (ენათა ფლობის... (1), 2008, გვ. 202-203).

## თავი 5

### ბილინგვური განათლების პროცესის შევასება

#### 1. ბილინგვური / მულტილინგვური განათლების არსი და შევასების მნიშვნელობა

მულტილინგვალია პიროვნება, რომელსაც ორ ან მეტ ენაზე შეუძლია ლაპარაკი. თუმცა, იმის განსაზღვრა, თუ ვინ არის ბი/მულტილინგვალი და ვინ არა – გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე შეიძლება თავიდან მოგვეჩენოს. მულტილინგვიზმის დეფინიცია შესაძლებელია წარმომავლობის, კომპერენტურობის, ფუნქციებისა და იდენტიფიკაციის კრიტერიუმებზე დაყრდნობით. უმეტესწილად დეფინიციისთვის მთავარ კრიტერიუმად გამოიყენება მრავალენოვანი პიროვნების ლინგვისტიკური კომპეტენციები.

##### **მულტილინგვიზმის დეფინიციები:**

- „„მულტილინგვიზმი - ორი ან მეტი ენის მშობლიური ენის დონეზე ფლობა.“
- „„აქტიური, ორი ან მეტი ენის სრულიად ერთნაირ დონეზე ფლობა.“
- „„სრულიად სხვადასხვა ორი (ან მეტი) ენის ცოდნა ლინგვისტურ პროცესებში ერთმანეთის ხელის შეშლის გარეშე.“
- „„ბილინგვიზმი იწყება მაშინ, როცა ერთი ენის მომხმარებელს დასრულებული და შინაარსის თვალსაზრისით სრულყოფილი აზრის გამოთქმა შეუძლია მეორე ენაზე.“
- „„ორი (ან მეტი ენის ალტერნატიული გამოყენების გამოცდილებას შეიძლება გუწოდოთ ბილინგვიზმი და ამ პრაქტიკის მომხმარებელს - მულტილინგვალი.“
- „„მულტილინგვიზმად უნდა ჩაითვალოს ორი ან მეტი ენის ალტერნატიული გამოყენება, თუ ამას ერთი ინდივიდი აკეთებს.“

## მნის შეფასება და ტუსტირება

„მულტილინგვალია ადამიანი, „რომელიც, სიტუაციათა უმრავლესობაში, კომუნიკაციის საშუალებად თავისუფლად იყენებს ორ ან მეტ ენას და, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია ერთიდან მეორე ენაზე გადასვლა“.

„მულტილინგვალად შეიძლება ჩაითვალოს ბავშვი, რომელსაც თავის მიერ შემოფარგლულ ენობრივ და სოციალურ გარემოში ესმის ყველაფერი და აგებინებს ყველაფერს (ასაკისა და სიტუაციის შესაბამისად, რომელშიც იგი იმყოფება).“

„მოსაუბრე არ უნდა გამოირჩეოდეს საზოგადოებისგან, რომელშიც მეორე ენას ხმარობს, სხვებმა იგი მშობლიურ ენაზე მოლაპარაკედ უნდა აღიქვან.“

„ნამდვილი მულტილინგვალია პიროვნება, რომელსაც ორი სხვადასხვა, ენობრივად დახსლოებით ერთნაირი, სოციალური და კულტურული დონის მქონე ჯგუფი თავისიანად მიიჩნევს.“ (იხ. ბილინგვური განათლება, 2010, გვ. 9-10).

თავად ტერმინიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ბილინგვიზმი მარტივად ორ ენასთან დაკავშირებულ საკითხებს გულისხმობს. თუმცა, როგორი ინტერპრეტაციაც არ უნდა მიეცეს ტერმინს - „ბილინგვალი“ - ორის ენის ფლობა არცოუ ისე იოლია... მნიშვნელოვანია გაგმიჯნოთ ბილინგვიზმი როგორც ინდივიდუალური და როგორც ჯგუფური ან სოციალური ფენომენი. რასაკვირველია, ინდივიდუალურ და ჯგუფურ ბილინგვიზმს შორის მნიშვნელოვანი კავშირი არსებობს: არსებობს არაერთი მაგალითი, როცა ადამიანმა იცის ორი ენა, თუმცა იყენებს მხოლოდ ერთს; ან იყენებს ყოველდღიურ ცხოვრებაში ორ ენას, თუმცა ერთ-ერთ ენაში შესაძლოა გააჩნდეს შეზღუდული ენობრივი კომპეტენცია. უფრო მეტიც, შეიძლება ადამიანისთვის სასაუბრო ენა იყოს ერთი, ხოლო კითხვისა და წერისთვის იყენებდეს მეორე ენას. შესაბამისად, როდესაც ვსაუბრობთ ენაზე, მნიშვნელოვანია გაგმიჯნოთ ენის ფლობის უნარი და ენის გამოყენება (ბეიკერი, 2010, გვ. 2-3). შესაბამისად, როდესაც ბილინგვალის ენობრივი კომპეტენციების შეფასებას ცახდენთ, იმთავითვე უნდა განისაზღვროს, რაზე ვაკეთქმთ აქცენტს...

ბილინგვური განათლების ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია – არ მოხდეს ენობრივი კომპეტენციების ამაღლება საგნობრივი კომპეტენციების ხარჯზე; სხვაგვარად რომ ვთქვათ, მეორე ენის დაუფლებაში წარმატება

## ენის შეფასება და ტქმირება

ცალსახად არ ნიშნავს იმას, რომ ბილინგვური განათლების მოცემული პროგრამა წარმატებულია. მაგალითად, შესაძლოა, რომელიმე „ძლიერი“ სასკოლო ბილინგვური განათლების პროგრამის პირობებში მოსწავლემ მაღალ დონეზე შეისწავლოს მეორე (არამშობლიური) ენა, თუმცა საგნობრივი კომპეტენციების თვი აღსაზრისით, დაბალი ქულები დაიმსახუროს... ასეთ შემთხვევაში აუცილებლად საკვლევია, ეს მოხდა ხსენებული პროგრამის ხარვეზების გამო თუ მიზეზი სხვაა (მშობლიურ ენაზე სწავლების პირობებშიც ამგვარი შედეგი იქნებოდა)...

შეფასებისას აქცენტი ასევე კეთდება ბილინგვალების მეორე ენის კომპეტენციაზე და არ ფასდება ის მნიშვნელოვანი წარმატებები და უპირატესობები, რაც ბილინგვიზმს ახლავს თან (მაგალითად, ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ინტერპერსონალური უნარები – ინფორმაციის მოპოვებისა და ინტერპრეტირების უნარი, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარი, პასუხისმგებლობის აღებისა და განაწილების, სოლიდარობისა და ა.შ. უნარები (იხ. ბეიკერი, 2010).

ბილინგვური განათლების მთელი პროცესის (ბილინგვალი შემსწავლელის ენობრივი კომპეტენციები, ბილინგური პროგრამების შეფასება, ბილინგვური საგაკვეთილო პროცესი, შემსწავლელის/მოსწავლის საგნობრივი კომპეტენციები, სხვა ექსტრა-ფაქტორები, რომლებზეც ზემოთ იყო საუბარი...) აღეკვატურად, უკელა ასკექტის გათვალისწინებით შეფასებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. როგორც მხოლოდ კატეგორიზაცია ვერ ასახავს ბილინგვიზმის სრულ სურათს, ისე ბილინგვიზმის გაზომვისა და შეფასების მცდელობაც წარუმატებელი იქნება სრული სურათის წარმოსაჩენად....

## ენის შეფასება და ტუსტირება

### 2. ორგოვნების (გილინგგიზმის) შეფასება

ბილინგვიზმის შეფასება შესაძლებელია სხვადასხვა მიზნით განხორციელდეს. ქვემოთ განვიხილავთ ბილინგვალების შეფასების რამდენიმე მიზანს და ამ მიზნებს შორის არსებულ თანხვედრის წერტილებს.

ბილინგვალების შეფასების მაგალითია მოსახლეობის აღწერისას მოთხოვნილი ინფორმაცია ორი ენის გამოყენების უნარის თაობაზე (მაგალითად აშშ, კანადა, ირლანდია, ისრაელი). აღნიშნული მონაცემი მკვლევარს აძლევს ინფორმაციას ბილინგვალების რაოდენობისა და (გადანაწილების) შესახებ კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, შესაძლებელია, მაგალითად, გეოგრაფიული რუკის შედგენა ამა თუ იმ ქვეყანაში თუ რეგიონში უმცირესობათა ჯგუფების განსახლებისა და მათი პროპორციების შესახებ (უილიამსი, 2004).

ბილინგვალები შეიძლება გამოვყოთ, როგორ ცალკე ჯგუფი სელექციის მიზნით. მაგალითად, შესაძლებელია, სკოლას სურდეს ბავშვების დაჯგუფება კლასებში ორი ენის ფლობისა და მათი ენობრივი ფონის შესაბამისად. ბილინგვალები შეიძლება შევარჩიოთ სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეების კლასისთვის (იხილეთ მე-15 თავი). ანალოგიურად, სამეცნიერო კვლევის მიზნისთვის შესაძლებელია საჭირო გახდეს კვლევაში მონაწილეობა ორ ან 3 ჯგუფად დაყოფა (მაგალითად, დაბალანსებული ბილინგვალები, ნაწილობრივი ბილინგვალები და მონოლინგვალები).

### გილინგგალების შეფასება

როგორც ზემოთ ითქვა, ენის ფლობის შეფასება ძირითადად ორი ტიპის ტესტების მეშვეობით ხდება. პირველი გახლავთ ნორმაზე დაფუძნებული ტესტები, რომლებსაც შემაჯამებელი / საბოლოო შეფასებისას იყენებენ და მეორე გახლავთ კრიტერიუმზე დაფუძნებული

## ენის შევასება და ტქსტირება

შეფასება, რომელიც მიმდინარე (ფორმატული) ტიპის შეფასებას განეკუთვნება (იხ. თავი, I).

ბილინგვალების შემთხვევაში, კრიტერიუმზე დაფუძნებულ ტესტირებას აქვს უპირატესობა ნორმაზე დაფუძნებულ ტესტირებასთან მიმართებით, რადგან ის არ იყენებს შედარების პრინციპს. თუმცა, ნორმაზე დაფუძნებული ტესტირებისას შესაძლებელია **ბილინგვალის შედარება** მოხდეს **მონოლინგვალთან**, რაც თავად ბილინგვური სწავლების პროცესის შეფასებისთვის და მისი უპირატესობისთვის ხაზგასასმელად ზოგჯერ აუცილებელია.. ამ შემთხვევაში ნორმად განისაზღვრება მშობლიურ ენაზე მოსაუბრება, რაც, არაერთი მეცნიერის აზრით, უსამართლო და არავალიდურია (ფრედერიქსონი და კლინე, 1996, კუკი, 2002, გროსიენი 1985, 1994; იხ. ბეიკერი, 2010).

კრიტერიუმზე დაფუძნებული ტესტირებისას კი მოწმდება მოსწავლის უნარები დაწესებულ სტანდარტთან მიმართებით და, შესაბამისად, თითქოს გამოირიცხება უსამართლო შედარება ბილინგვალსა და მონოლინგვალს შორის, თუმცა, პრაქტიკულად, კრიტერიუმზე დაფუძნებული ტესტების შედეგების გამოყენებაც შეიძლება მოხდეს შედარებისთვის (მაგალითად, მშობლიურ ენაზე მოსაუბრეთა და ბილინგვალების მაჩვენებლების შედარება, სხვადასხვა ასაკისა და სკოლის მოსწავლეთა მაჩვენებლების შედარება).

ბილინგვალი ბავშვების სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა პროგრამებზე გადანაწილება ეფუძნება გარკვეულ შეფასებას. ტესტები ხშირად არ არის აკურატული და ძირითადად ემსახურება მოსწავლის მეორე ენაში კომპეტენციის შემოწმებას ან ენობრივი უმცირესობის მოსწავლეთათვის მისთვის სუსტ ენაზე ტესტირებას. საკანანონმდებლო ბაზის შეცვლის, კვლევებისა და მეცნიერების მიერ გაკეთებული არაერთი რეკომენდაციის მიუხედავად, ენობრივი უმცირესობის მოსწავლეები დისკრიმინირებულნი არიან ტესტირებისა და შეფასების არსებული სისტემის პირობებში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, განვიხილოთ ის ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს შეფასების მიკროებულობას და

## ენის შეფასება და ტუსტირება

ამ სისტემის გამოხვრების აღმოჩენაზე გზებზე ვიმსჯელოთ. ამ მხრივ კოლინ ბეიკერი რამდენიმე რეკომენდაციას გვთავაზობს:

მნიშვნელოვანია გაიმიჯნოს მოსწავლის დროებითი და ხანგრძლივი პროცესები. მაგალითად, იმიგრანტი ბავშვის ენობრივი შეფერხება დროებით სიმნელეს წარმოადგენს, რომელიც მაღე დაიძლევა. ხოლო, დისლექსია, სმენის დაკარგვა, მაღალი ნეიროციტიზმი და სხვა დაავადებები არის უფრო სერიოზული და ხანგრძლივი პროცესებისა და სიმნელეების გამომწვევი და, შესაბამისად, მათ დასაძლევად უფრო ხანგრძლივი და განსხვავებული ინტერვენციული დონისძიებების გატარებაა საჭირო (ბეიკერი, 2010, გვ. 355).

სპეციალური საჭიროებების დიაგნოზირება უნდა გასცდეს მხოლოდ ტესტირების შედეგებს და შეფასების უფრო ფართო და მრავალმხრივი მექანიზმებით უნდა მოხდეს. ბავშვების სხვადასხვა კონტექსტში დაკვირვება (კლასში და გარეთ), აგრეთვე მოსწავლის ოჯახის, თემის და კულტურის შესწავლა მოსწავლის უფრო მართებული პროფილის შექმნის შესაძლებლობას იძლევა. მნიშვნელოვანია, რომ შეფასება მოახდინოს მულტიდისციპლინარულმა გუნდმა და მულტიდისციპლინარული გუნდის მრავალმხრივი შეფასების მეთოდებით გაკეთებული დასკვნა უფრო მეტად რელევანტურია.

მოსწავლეთა შეფასებისთვის და შედეგების ინტერპრეტაციისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ოჯახის, თემის, კულტურის და ინდივიდუალური მახასიათებლების გააზრება. მოსწავლეები სკოლაში მოდიან ოჯახებიდან, სადაც სწავლა/სწავლების პროცესი განსხვავებულად აღიქმება. მაგალითად, თამაშით, შეკითხვების დასმით, დაკვირვებითა და აღმოჩენებით სწავლა არ არის მისაღები ზოგიერთი კულტურისთვის. ამ კულტურაში გავრცელებულია ავტორიტარული სწავლების სტილი, სადაც ბავშვს ევალება დაიმახსოვროს უფროსის მიერ ნასწავლები, მაგალითად „საღვთო წიგნი“. (ბეიკერი, 2010, გვ. 355); საქართველოს შემთხვევაშიც ხშირად ირდვევა კულტურული (მეტწილად – რელიგიური) განსხვავებისადმი პატივისცემის პრინციპი: არის სკოლები, რომლებშიც მასწავლებლები კატეგორიულად მოითხოვენ ქრისტიანული დატვირთვის მქონე

## ენის შევასება და ტქისტირება

ლიტერატურის ათვისებას, რაც, რასაკვირველია, მუსულმანთათვის მიუღებელი და დისკომფორტულია...

მნიშვნელოვანია მოხდეს ტესტირების შედეგების დეკონტექსტუალიზაცია. ტესტირების სისტემის რუკის შედგენის შედარება იძლევა თვალნათელ სურათს. რუკის შედგენისას სდება რუკაზე ამა თუ იმ ადგილის მარტივად დატანა, ხოლო რუკაზე დატანილი ობიექტების შესახებ ნაკლები ინფორმაციაა. მაგალითად, ადგილი, რომელიც უსაყვარლესია შენოვის, რადგან არის ულამაზესი ტბა და თვალწარმტაცი ბუნება – ეს ადგილი გამორჩეულია. თუმცა, რუკაზე ის დატანილია უბრალოდ, როგორც ტბისა და, ზოგადად, ბუნების სილამაზე და სხვა მნიშვნელოვანი თვისებები არ ჩანს. ანალოგიურად, ტესტირება ვერ აჩენს მოსწავლის დრმა და ფართო მახასიათებლებს და მხოლოდ ზედაპირულ სურათს იძლევა ბავშვის მონაცემების შესახებ (იხ. ბეიკერი, 2010, გვ. 355).

შემფასებელთა შერჩევა განაპირობებს შეფასების შედეგებს. შეფასებაზე გავლენას მოახდენს, თუკი შემფასებელი არის მაღალი დონის პროფესიონალი და, ამავე დროს, წარმოადგენს შესაფასებელი მოსწავლის ენობრივ ჯგუფს. შემფასებლის ასაკი, სქესი, სოციალური კლასი, ძალაუფლება – ასევე განაპირობებს მოსწავლის პასუხებს და შეფასების შედეგებს. შეფასება არ არის ნეიტრალური პროცესი. შემფასებელთა არასწორი შერჩევა ორი ტიპის ხარვეზს იწვევს შეფასებისას ბილინგვალ ბავშვებთან მიმართებით: (1) პრობლემის დადგენა, როცა რეალურად პრობლემა არ არსებობს; (2) პრობლემის ვერშემჩნევა მისი არსებობის პირობებშიც კი (ბეიკერი, 2010, გვ. 356).

მოსწავლის შეფასება უნდა მოხდეს მოსწავლისთვის უფრო „ძლიერ“ ენაში, ანუ, რომელსაც უკეთესად ფლობს. შეფასება, რომელიც ტარდება მოსწავლის „სუსტ“ ენაში, ხელს უწყობს არასწორი დიაგნოზის დასმას;

მშობლები და მასწავლებლები დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ ტესტებში გამოყენებული ენა შესაბამისია. მაგალითად, თუ ტესტი ნათარგმნია ქართულიდან სომხურად, შეიძლება თარგმანის გამო არაერთი უზუსტობა გაიპაროს ტესტში, რაც ასახვას ჰპოვებს ტესტების შედეგებზე. ამასთანავე, გასათვალისწინებულია ენათა სახესხვაობები, მაგალითად,

## მნის შეფასება და ტუსტირება

სომხურ ენას გააჩნია სახესხვაობები და შესაძლებელია ტესტები იყოს სომხურ სალიტერატურო ენაზე – ერთი შეხედვით, მოსწავლის მშობლიურ ენაზე. მაგრამ სომხური ენის სახესხვაობა, რომელიც წარმოადგენს მოსწავლის რეალურ მშობლიურ ენას (ჯავახეთში სომხურის ერთ-ერთ გავრცელებულ დიალექტზე საუბრობენ), არ იძლეოდეს საშუალებას, შეფასდეს მოსწავლეთა რეალური შედეგები. თუკი ტესტებში მოსწავლეთა ენობრივი კომპეტენციების პრობლემები იკვეთება, მნიშვნელოვანია გაიმიჯნოს ბავშვის ენობრივი პროფილი და ენობრივი პერფორმანსის პროფილი, რომლებიც ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა (კუმინსი, 1984). პერფორმანსის პროფილი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან აქ წარმოჩნდება მოსწავლის კოგნიტური უნარებიც და არა მხოლოდ ენობრივი კომპეტენციები.

მნიშვნელოვანი პრობლემაა ტესტირებისას მხოლოდ მოსწავლეზე ფოკუსირება. ტესტირების შედეგებიდან ჩანს, თითქოს ცუდ შედეგებში მხოლოდ მოსწავლეა დამნაშავე. მნიშვნელოვანია, ფოკუსმა გადაინაცვლოს ბავშვისგან სკოლისკენ. იქნებ წარუმატებლობის მიზეზი სწორედ სკოლაა, რომელიც არ სთავაზობს მოსწავლეს მშობლიურ ენაზე სწავლების საშუალებას და, შესაბამისად, ცოდნისა და უნარების განვითარების შესაძლებლობებს? შესაბამისად, ასეთ სიტუაციაში გამოსავალი იქნება არა მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების (სსსმ) პროგრამაში გადაყვანა, არამედ სკოლის ფილოსოფიის შეცვლა.

საზოგადოდ, ტესტირებამ შესაძლოა გამოიწვიოს ბილინგვალი ბავშვის დაძაბუნება მისი გაძლიერების ნაცვლად (კუმინსი 1984). შეფასებამ შეიძლება გამოიწვიოს მოსწავლეთა კატეგორიზაცია წარმატებულ და ჩამორჩნილ მოსწავლეებად და პოტენციალის მქონე მოსწავლის თავდაჯერებულობაც კი მინიმუმადე დაიყვანოს, რამაც ასახვა შეიძლება პპოვოს მისი შემდგომი სწავლის პროცესზე და მათი საბოლოო მარგინალიზაცია გამოიწვიოს; ეს უაღესად სენსიტიური პროცესია და პედაგოგს დიდი სიფრთხილე მართებს. მნიშვნელოვანია ბავშვის მასწავლებლის პოზიციის მოსმენა შეფასებისას. მასწავლებელი მეტად

## ენის შევასება და ტუსტირება

იცნობს მოსწავლეს და საინტერესოა მისი მოსაზრება, თუ რა არის მოსწავლის აკადემიური პრობლემების მიზეზი, რა გადაწყვეტისა და ინტერვენციის გზებია საჭირო პრობლემის მოსაგვარებლად და ა.შ.

**ბილინგვალების ტესტირება,** საზოგადოდ, გავრცელდა მონოლინგვალების ტესტირებაზე დაფუძნებით. თუმცა, ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ბილინგვალების ენობრივი კომპეტენცია განსხვავებულია, რადგან ენას ბილინგვალები სხვადასხვა კონტექსტში გამოიყენებენ და სხვადასხვა სიტუაციაში მათი ენობრივი კომპეტენცია განსხვავებულია. შესაბამისად, ბილინგვალებისა და მონოლინგვალების შედარება ენობრივი კომპეტენციების თვალსაზრისით უსამართლოა. ამასთანავე, როგორც წესი, ტესტები შედგენილია დომინანტი კულტურის წარმომადგენლების მიერ და, შესაბამისად, კულტურულად მიკერძოებულია, რადგან უმრავლესობის ენობრივ სტილსა და კულტურას გამოხატავს. ტესტების უმრავლესობა გულისხმობს რამდენიმე არჩევანიდან სწორი პასუხის შერჩევას. მსგავსი ტესტებისას შეუძლებელია სხვადასხვა ენობრივი უნარების შეფასება, **სალაპარაკო / სახაუბრო** ენა ვერ ფასდება მსგავსი ტიპის ტესტირების გზით.

ნორმაზე დაფუძნებული ტესტი ადარებს ერთ მოსწავლეს სხვასთან. ბილინგვალ ბავშვთან მიმართებით კი გაცილებით მნიშვნელოვანია ამ ბავშვის ცოდნისა და უნარების შემოწმება თითოეულ საგანში, ვიდრე მათი შედარება სხვა მოსწავლეებთან. შესაბამისად, ალტერნატიული მიღგომაა ბავშვის პროგრესის შეფასება **სასწავლო გეგმით** განსაზღვრულ საგნებში. მსგავსი ტესტები უფრო მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა მშობლისთვის, ისევე, როგორც მასწავლებლისთვის, რადგან თვალნათელს ხდის, რას ვერ მიაღწია მოსწავლემ კონკრეტულ საგანში (მაგალითად, მათემატიკაში) და სასწავლო პროცესშიც აქცენტირება უკვე ამის მიხედვით კეთდება. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ კრიტერიუმზე დაფუძნებული ტესტებიც არ არის დაზღვეული კულტურული მიკერძოებულობისაგან.

### 3. მიორე ენის შეფასება პილიტიკურ გაკვეთილზე

ბილინგვური სწავლების პროცესის შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თავად სწავლების პროცესსა (ფორმატული შეფასება) და შედეგებს (შემაჯამებელი შეფასება). ამისათვის გამოიყენება სხვადასხვა ხერხი, კერძოდ: დაკვირვება, ინტერვიუ, ტესტები და სხვა. პროდუცირების უნარების შეფასება გულისხმობს პასუხს შემდეგ კითხვებზე:

- რა ინფორმაციის / სამეტყველო ფუნქციის გამოყენება შეუძლიათ მშობლიურ და მეორე ენაზე მოსწავლეებს შეცდომებით თუ უშეც-დომოდ (დასახული ამოცანების შესრულების შეფასება)?
- ვისთან – მასწავლებლებთან, თანატოლებთან და სტუმრებთან – შეუძლიათ ურთიერთქმედება (კომუნიკაციის პრობლემა)?
- როგორია მათი ლინგვისტური უნარები (ენობრივი კონსტრუქციების ათვისების დონის შეფასება და არა შეცდომების აღნუსხვა)?

შემფასებელთა ამოცანებში უნდა შედიოდეს სასწავლო პროცესის ანალიზი (დაკვირვება კლასში), მასწავლებლის / მოსწავლების / მშობლების ურთიერთობები, სასწავლო მასალები, ასევე მოსწავლეთა კომპეტენციების ტესტირება (ფორმატული / შემაჯამებელი). კლასში დაკვირვებისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მარტო მოსწავლეების, არამედ მასწავლებლის ქცევასაც: რა გავლენას ახდენს ის მოსწავლეებზე და როდის და როგორ იყენებს ენებს? როგორ ქმნის მოტივაციას? როგორ რეაგირებს შეცდომებზე? შეცდომების გასწორების როგორ ფორმებს იყენებს: მოდელირებას (სწორი ფორმის თანამიმდევრული და ხშირი გამეორება შეცდომების პირდაპირი შესწორების გარეშე) თუ ხელახლა ფორმულირებას (მოსწავლის შეცდომით ნათქვამის სწორად და გასაგებად ფორმულირება)? როგორ არის ორგანიზებული სასწავლო პროცესი?

მოსწავლეთა პროგრესის შესაფასებლად ბილინგვურ სკოლაში ყურადღება უნდა მიექცეს მათ მიღწევებს საგანში. ბილინგვურ სკოლაში მოსწავლეს ხუთი წელი მაინც სჭირდება იმისათვის, რომ იგი დაეუფლოს მეორე ენას საგნების შესასწავლად. ამ ხანგრძლივობის გამო მოსწავლეს

## ენის შეფასება და ტქისტირება

შეიძლება გაუჩნდეს საკუთარი უსუსურობის განცდა, ჩამოუყალიბდეს დაბალი თვითშეფასება. ამ პრობლემის გადასაწყვეტად არსებობს ორი გზა: პირველი – ბილინგვური კლასის მოსწავლეთა შეფასება სპეციალურად მათთვის შედგენილი სტანდარტების მიხედვით. ამ მიღებობამ შეიძლება მშობლებისა და საგნების მასწავლებელთა განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვიოს, რადგან მათი სურვილია, მოსწავლის შედეგები შეესაბამებოდეს სახელმწიფო სტანდარტს. ამის გამო აუცილებელი ხდება ჩვეულებრივი სკოლებისათვის განკუთვნილი ტესტების გამოყენება. მაგრამ, ამასთან, უნდა ვიფიქროთ ტესტებში გარკვეული ცვლილებების შეტანის შესახებ. მაგალითად, ასეთი შეიძლება იყოს ორენოვანი ტესტი. ასევე შეიძლება მოსწავლეებს მიეცეთ დამატებითი დრო, ნება დაგროვოთ, ისარგებლონ ლექსიკონებით ან გავუმარტივოთ ტესტური დავალებების პირობები.

ვაფასებთ რა ბილინგვურ პროგრამებს, არ უნდა შემოვიფარგლოთ მხოლოდ ენობრივი უნარების შეფასებით. უნდა შეფასდეს შინაარსი, მიზანი და მეთოდიკა.

ქვემოთ გთავაზობთ შესაფასებელ ობიექტთა საგარაუდო ჩამონათვალის ცხრილს:

	მოსწავლეთა შეფასება	ბილინგური სწავლების კომპონენტების შეფასება	ბილინგური მოდელის შეფასება
<b>რას ვაფასებთ?</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• კომპეტენციას მშობლიურ ენაში;</li> <li>• კომპეტენციას საგანში;</li> <li>• კომპეტენციას მეორე ენაში;</li> <li>• მოტივაციას;</li> <li>• სხვა კომპეტენციები (კოგნიტური უნარები, სოციალური უნარები, სხვა სასწავლო უნარები);</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სწავლების მეთოდიკა;</li> <li>• სასწავლო შინაარსი;</li> <li>• მასწავლებელთა ურთიერთობა მოსწავლეებთან.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მოდელის ეფექტურობა;</li> <li>• ბილინგვური სწავლების მასწავლებელთა მომზადება.</li> </ul>
<b>გინ</b>	• მასწავლებლები;	• დამპარვებელთა ჯგუფი.	• გარე მონიტორინგი

## ენის შეფასება და ტუსტირება

<b>აფასებს?</b>	<b>• საატესტაციო / საგა-მოცდო კომისია.</b>		ინგის ჯილდური.
<b>მიზანი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარე-ების გამოვლენა;</li> <li>• სტანდარტის შედეგების მიღწევა;</li> <li>• ინფორმაცია მშობელთათვის;</li> <li>• შერჩევა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სარისხის კონტროლი;</li> <li>• მასალების გადამუშავება;</li> <li>• მასწავლებელთა მომზადების დონე.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• გადაწყვეტილების მიღება მოდელის შენარჩუნება / არშენარჩუნებაზე, განვითარებაზე.</li> </ul>
<b>როგორ გაფასებთ?</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• კითხვარები;</li> <li>• ტესტები;</li> <li>• ინტერვიუ;</li> <li>• დაკვირვება.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ინტერვიუ;</li> <li>• დაკვირვება კლასში ჩატარებულ სამუშაოებზე;</li> <li>• ზეპირმეტყველების ანალიზი;</li> <li>• სასწავლო მასალების ანალიზი.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სასწავლო პროცედურების რამების ანალიზი;</li> <li>• კითხვარები;</li> <li>• კვლევები.</li> </ul>

ბილინგვური სასწავლო პროცესის შეფასებისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გაკვეთილის შეფასება. გაკვეთილის შეფასებისას, რეკომენდებულია, რომ მასწავლებლებმა უპასუხონ შემდეგ კითხვებს:

- მიღწეული იყო თუ არა გაკვეთილის მიზნები?
- შერჩეული სტრატეგიების საშუალებით რამდენად მოხერხდა გაკვეთილის წინაშე დასმული ამოცანების (როგორც საგნობრივი, ისე ენობრივი) გადაჭრა?
- შეესაბამება თუ არა გაკვეთილისათვის გამოყოფილი დროის გადანაწილება მოსწავლეთა რეალურ შესაძლებლობებს, საჭიროებებსა და მოთხოვნებს?

## ენის შევასება და ტქისტირება

- როგორ გამოიყენებენ მოსწავლეები გაკვეთილზე მიღებულ ცოდნას მომავალში?
- რა ენობრივი პომპეტენციების განვითარებას შეუწყო ხელი გაკვეთილში?
- რა შეიძლებოდა გაკეთებულიყო სხვაგვარად?

ბილინგვურ გაკვეთილზე მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ რა და როგორ შეიძლება შეფასდეს ენის გამოყენების თვალსაზრისით.

იმისათვის, რომ მასწავლებლებმა უკეთ გაიაზრონ ბილინგვურ გაკვე-  
თილზე შეფასების საგანი და საშუალებები ენის გამოყენების პუთხით,  
გთავაზობთ გაკვეთილების სცენარების ნიმუშებს თანდართული რეკომენ-  
დაციებით შეფასებისათვის.

# მნის შეფასება და ტუსტირება

## I პლასი

**საგანი:** ბუნება

**თემა:** ფრინველები და ცხოველები.

**აკადემიური მიზნები:** შეუძლია ცხოველებისა და ფრინველების გარჩევა, მათი ამოცნობა ნახატზე.

**ენობრივი მიზნები:** იცის ცხოველებისა და ფრინველების დასახელება და ილუსტრაციაზე დაყრდნობით მარტივი კითხვების დასმა? რა ცხოველია? რა ფრინველია?

**ლექსიკა:** ცხოველები, ფრინველები, დათვი, ძაღლი, კატა, დორი, ცხენი, ბუ, მამალი, ქათამი, არწივი...

**სოციალური მიზნები:** შეძლებს აქტიურ მოსმენას, მონაწილეობას.

**პროფოცირება:** მასწავლებელს გაკვეთილზე შეაქვს ცხოველებისა და ფრინველების წინასწარ გამზადებული სურათები / ნახატები, აკრავს დაფაზე.

**აქტივობები:** 1) მოსწავლეები მშობლიურ ენაზე ასახელებენ ნახატზე მოცემულ ცხოველს ან ფრინველს.

2) ცალკე მომზადებული T სქემით (ქართულ-სომხურად ფრინველები და ცხოველები) აჯგუფებენ ცხოველებისა და ფრინველების სურათებს.

**ორგანიზება** წუთი;

**რესურსი:** ნახატები,

მომზადებული T სქემა.

3) საკომუნიკაციო სიტუაცია: წალკაში უნდა გახსნან ზოოპარკი, თბილისიდან უნდა ჩამოვიყვანოთ ცხოველები და ფრინველები. ვისწავლოთ სახელები ქართულად, რომ ზოოპარკის დირექტორს ჩამოვუთვალოთ სასურველი ცხოველები, ფრინველები.

4) ლექსიკაზე მუშაობა:

ცხოველს / ფრინველს ასახელებს პედაგოგი და აჩვენებს შესაბამის ნახატს:

ასახელებს და ბაგშვები აჩვენებენ ნახატებს;

მასწავლებელი აჩვენებს ნახატს, ბაგშვები ასახელებენ.

## ენის შეფასება და ტქისტირება

ორგანიზება: 8 წუთი

5) კედელზე განთავსებულ სიტყვებს (ფრინველთა და ცხოველთა სახელები) ზემოდან ამაგრებს შესაბამის სურათს და ეკითხება ქართულად: რა ცხოველია? რა ფრინველია? ვინც სწორად უპასუხებს, აირჩევს ნახატს, შეუსაბამებს ნაწერს და სვამს კითხვას.

ორგანიზება: 8 წუთი.

6) ბავშვები მუშაობენ წყვილებში. დახატავენ საყვარელ ცხოველსა თუ ფრინველს, ცვლიან ერთმანეთში და ადგენენ მათ ქართულ სახელწოდებას, შემდეგ აკრავენ თავიანთ ნამუშევრებს, ასახელებენ და კითხულობენ: ცხოველია თუ ფრინველი?

**საშინაო დაგალება:** სახელმძღვანელოდან ამოჭრან და წარწერიან უჯრაში ჩააკრან შესაბამისი ცხოველისა და ფრინველის ნახატი.

### რეკომენდაციები შეფასებისათვის

უპირველეს ყოვლისა, უნდა განვსაზღვროთ, **რას გაფასებო?** და **როგორ გაფასებო?**

მიზნებიდან გამომდინარე, ფასდება როგორც აკადემიური, ისე ენობრივი უნარები. აკადემიური უნარებიდან არსებითია კლასიფიცირების უნარი. სწორედ ეს უნარი შეფასდება T სქემის შევსების პროცესში დაკვირვების საშუალებით. რაც შეეხება ენობრივ ასპექტებს, უნდა შეფასდეს;

ა) მარტივი ინსტრუქციების (ფუნქციური ფრაზების) გაბება, კერძოდ:

გადაშალეთ წიგნები, ჩასვით ცხრილში, დაასახელეთ, მონახეთ სახელი.

ბ) შესწავლილი ლექსიკისა და ენობრივი ფორმულების გამოყენება.

გ) “არის” ზმნის შემოკლებული ფორმის მართებული გამოყენება.

დ) შეკითხვების (რა არის ეს? რა ჰქვია? ფრინველია? ცხოველია?) გაგება და სწორად პასუხი.

თითოეულზე შეიძლება შედგეს შეფასების სქემა. მაგალითად, ახალშეწავლილი ლექსიკისა და ენობრივი ფორმულების გამოყენებაზე:

## მნის შეფასება და ტუსტირება

კრიტიკული ნახატების შესაბამება დასახ- ელებებთან და პირიქით	კარგი	დამაკმაყოფ.	არადამაკმაყ.
წარმოთქმა (აქცენტი სპეციფი- კურ ბგერებზე)			
კომუნიკაციურ სიტუაციაში ადგევატური რეაგირება			
ენობრივი ფორმულების მარ- თებული გამოყენება საკომუ- ნიკაციო სიტუაციაში			

## II პლასტ

**საგანი:** ქართული ენა

თემა: „ზამთარი“ (ამჯერად ივარაუდება, რომ შეფასება ხდება თემის დასრულების შემდეგ).

მიზანი: მოსწავლე შეძლებს

- ზამთრის სურათის აღწერას;
- მარტივი სიტყვების ამოკითხვას (ილუსტრაციაზე დაყრდნობით);
- მარტივი სიტყვების დაწერას (ილუსტრაციაზე დაყრდნობით);
- ნიმუშის საფუძველზე მარტივი წინადადების დაწერასა და ამოკითხვას;
- სურათზე და მასზე მიწერილ სახელებზე დაყრდნობით მარტივი კითხვების დასმას და მათზე პასუხს.

**საჭირო ფრაზები:** თოვს. ციფა. ყინვაა. მთები თეთრია.

რომელია ზამთრის თვეები? ზამთრის თვეებია დეკემბერი, იანვარი, თებერვალი.

მე მიყვარს / არ მიყვარს ზამთარი.

რას თამაშობ ზამთარში? ზამთარში მიყვარს ციგაობა, გუნდაობა, ციგურუბით სრიალი.

**ლექსიკა:** თოვლი, ზამთარი, თოვლის პაპა, ციფა, ყინვა, თეთრი, დიდი, გუნდა/გუნდაობა, ციგა/ციგაობა, თამაში, ციგურები.

(წერისთვის აქედან აირჩევა სიტყვები იმისდა მიხედვით, თუ რა ასოები აქვთ გავლილი და რა უნდა გაიარონ).

## ენის შეფასება და ტუსტირება

### რეკომენდაციები შეფასებისათვის

თემის დასრულების შემდეგ, სასურველია, მოსწავლეები შეფასდნენ ყველა მიმართულებით: მოსმენა, კითხვა, წერა და ზეპირმეტყველება. გთავაზობთ შეფასების სქემებს ყველა მიმართულებით:

#### მოსმენა:

კრიტერიუმი	ყოველთვის	იშვიათად	არასოდეს
ყურადღებით ისმენს			
ადეპტატურად რეაგირებს ინსტრუქციებზე			
მცირე ხმაურიც კი ხელს უშლის მოსმენაში			
ესმის დასმული შეკითხვის / შეგითხვების შინაარსი			

#### პითხება:

კრიტერიუმი	ყოველთვის	იშვიათად	არასოდეს
შეუსაბამებს სურათს ამოკითხულ სიტყვას / ფრაზას			
მარცვლებისაგან აწყობს სიტყვას			
სვამს წინადაღებაში შესაბამის სიტყვას			

## ენის შეზასება და ტესტირება

**შერა:**

კრიტერიუმი	ყოველთვის	იშვიათად	არასოდეს
ნიმუშის მიხედვით უშეცდომოდ იწერს სიტყვას			
ილუსტრაციას უძუ- თებს შესაბამის წარწერას			
აღადგენს სიტყვაში გამოტოვებულ ასოს			

**ლაპარაკი:**

კრიტერიუმი	ყოველთვის	იშვიათად	არასოდეს
მკაფიოდ და სწორად წარმოთქვამს სიტყ- ვებს (მათ შორის სპეციფიკურ ბეჭ- რებს)			
აღწერს სურათს შესწავლილი სიტყ- ვებისა და ფრაზების გამოყენებით			
სვამს მარტივ შე- კითხვას			
უპასუხებს სხვის მიერ დასმულ მარ- ტივ შეკითხვას			

### III პლასი

**საგანი:** მათემატიკა

**თემა:** გეომეტრიული ფიგურები (ფერთა მოზაიკა, ჩვენ გქმნით კომპოზიციური ნახაზების სილამაზებს).

**სახელმძღვანელო:** მათემატიკა – ნ. გვილავა; ე. ჩილოჩავა, ს. ჩხეიძე.

**აკადემიური მიზნები:**

ამოიცნობს ნახატზე გამოსახულ გეომეტრიულ ფიგურებს;

ქმნის ახალ კომპოზიციას;

გამოთვლის მოცემული ფიგურების გვერდების ჯამს;

გამოთვლის თითოეული ფერის ფიგურების რაოდენობას (მეტობა-ნაკლებობა).

**ენობრივი მიზნები:**

ასახელებს სურათზე გამოსახულ ფიგურებს;

აღწერს ილუსტრაციას ფერებისა და ფიგურების მითითებით და გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას (მომწონს / არ მომწონს, ლამაზია / არ არის ლამაზი);

დექსიკა და კონსტრუქციები: ფერებით, ფიგურებით, წითელი მეტია ცის-ფერზე /

ნაკლებია, –ით,... გვერდი, სიგრძე...

**სოციალური მიზნები:**

შეუძლია შეაფასოს სხვისი და საკუთარი ნამუშევარი;

აღიაროს სხვისი დირსება;

ჰქონდეს ერთობის განცდა;

შეძლოს რესურსების განაწილება.

**აქტივობები:**

**აქტივობა 1:** წყვილები უნდა დაუკვირდნენ სახელმძღვანელოში მითითებულ ფრანგი მხატვრის პოლ მონდორიანის ნახატს და გასცენ პასუხი შემდეგ კითხვებს:

რა არის გამოსახული ნახატი?

## ენის შევასება და ტქსტირება

რა ფიგურებია?

რამდენი კუთხე აქვს თითოეულს?

რით პგავს ეს ფიგურები ერთმანეთს?

რით განსხვავდებიან ეს ფიგურები ერთმანეთისგან?

დრო: 5 წუთი;

რესურსი: წიგნი, გვ. 26;

ორგანიზება - მუშაობა წყვილებში.

**აქტივობა 2.** – მოსწავლეებს ისევ ვთხოვთ დაუკვირდნენ ნახატს.

ეძლევათ შესავსებად ცხრილი, რომელშიც უნდა ჩაწერონ სურათზე ფერთა რაოდენობა, ფერების დასახელება.

წყვილები ასრულებენ შემდეგ დავალებას: ასახელებენ ფიგურების რაოდენობას ფერების მიხედვით; აკეთებენ ჩანაწერს: ცისფერი ფიგურების რაოდენობა მეტია თუ წითლის? რამდენით ნაკლებია შავი ფერის ფიგურა ნაცრისფერ ფიგურაზე?

დრო: 7 წუთი;

რესურსები: სახელმძღვანელო გვ. 26.;

ორგანიზება – მუშაობა წყვილებში.

**აქტივობა 3.** მოსწავლეებს ვურიგებთ სხვადასხვა ფერის, ზომის, ფორმის ფიგურებს და ვთხოვთ შეადგინონ მსგავსი კომპოზიცია.

დრო: 10 წუთი;

რესურსი: ფერადი ქაღალდები (ფიგურები), თეთრი ფურცლები, წებო;

ორგანიზება: ჯგუფური.

**აქტივობა 4.** ჯგუფები ცვლიან ერთმანეთის ნამუშევრებს და უპასუხებენ კითხვებს (წერილობით):

რამდენი ფიგურაა ფურცელზე?

რომელი ფერებია გამოყენებული?

რომელი ფერის ფიგურაა მეტი და რამდენით?

(კითხვები ჩამოწერილია დაფაზე)

**აქტივობა 5.** ჯგუფები ასრულებენ დავალებას: ზომავენ მოცემულ ფურცელზე ყველაზე დიდი და ყველაზე პატარა ოთხკუთხედების გვერდების სიგრძეს და ითვლიან თითოეულის სიგრძეთა ჯამს.

## მნის შეფასება და ტუსტირება

ჯგუფები აკეთებენ პრეზენტაციას (თითო ჯგუფს თითო წუთი).

დრო: 7 წუთი;

რესურსები: ჯგუფების ნამუშევრები, ფურცლები, კალმები;

ორგანიზება: ჯგუფური.

**აქტივობა 6.** ამოიცნონ დავით კაკაბაძის ნახატში მსგავსი ფიგურები და დაითვალონ რამდენი ფიგურაა ასეთი.

დრო: 3 წუთი;

რესურსი: სახელმძღვანელო გვ. 26;

ორგანიზება: მუშაობა ჯგუფებში.

**აქტივობა 7.** ვურიგებთ ბარათებს, რომლებზეც წერტილებით მონიშნულია ოთხეუთხედები. ვთხოვთ, შეაერთონ წერტილები და მიაწერონ, რამდენი ოთხეუთხედია მონიშნულ ბარათზე?

დრო: 7 წუთი,

რესურსი: ბარათები, მარკერები;

ორგანიზება: ინდივიდუალური.

**საშინაო დავალება:**

შექმნან ნახატი სხვა გეომეტრიული ფიგურების გამოყენებით და მიაწერონ, რამდენი ფიგურა გამოიყენეს და რამდენი ფერი.

### რეკომენდაციები შეფასებისათვის

ენობრივი უნარების თვალსაზრისით უნდა შეფასდეს:

- დავალების პირობის / ინსტრუქციის გაგება და ადგვატური რეაგირება;
- მათემატიკური ცნებების (მეტია, ნაკლებია) და ტერმინების (სამკუთხედი, ოთხეუთხედი, წრე, კუთხე, გვერდი... და ა.შ.) მართებული გამოყენება;
- გრამატიკული კონსტრუქციების – -ით ნაკლებია, -ით მეტია, -ით ჰგავს, -ით განსხვავდება – მართებული გამოყენება.

## ენის შეფასება და ტქმირება

იმისათვის, რომ მოსწავლემ მიზანმიმართულდად წარმართოს სასწავლო საქმიანობა, მან უნდა იცოდეს, რას ითხოვენ მისგან. როცა მოსწავლემ იცის ის კონკრეტული მიზნები, რომელთა მისაღწევადაც წარმართავს სამუშაოს და იცის კრიტიკულებიც, რომელთა მიხედვითაც შეაფასებენ, არის უფრო მოტივირებულიც და მობილიზებულიც.

ამჯერად ჩვენ გთავაზობთ გაკვეთილზე ენის გამოყენების შეფასების კრიტიკულების:

კრიტიკულები	დიახ	არა	შენიშვნა
ადეპვატურად რეაგირებს ინსტრუქციებზე			
სწორად ამოიცნობს და ასახელებს სურათზე გამოსახულ გეომეტრიულ ფიგურებს			
ასახელებს მინიმუმ ერთ განსხვავებას და ერთ მსგავსებას და მართებულად იყენებს ენობრივ კონსტრუქციას: პგავს -ით, განსხვავდება -ით.			
მართებულად იყენებს ენობრივ კონსტრუქციას: -ით მეტია, -ით ნაკლებია.			
იცის ფერების სახელწოდებები (მარტივი და შედგენილი).			
იყენებს დამოკიდებულების გამომსატველ ენობრივ ფორმულებს: მომწონს / არ მომწონს.			

მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა დაადგინოს, მათემატიკის საკითხებში შეცდომების დაშვების შემთხვევაში მოსწავლეს არ ჰყოფნის მათემატიკური ცოდნა თუ ენობრივი, ამიტომ შემოწმების მიზნით შესაძლებელია პასუხის დროს ქართული ენის მშობლიურით ჩანაცვლება.

#### IV პლასი

**საგანი:** ბუნებისმცოდნეობა

**თემა:** ცხოველთა ჯგუფები

**აკადემიური მიზნები:** იცის და ასახელებს ცხოველთა ჯგუფებს.

**ენობრივი მიზნები:** ისწავლის ცხოველთა კლასების დასახელებას (ძუძუმწოვარი, ქვეწარმავალი, ამფიბია...), ამ ჯგუფებში შემავალი ცხოველების სახელწოდებებს და ახასიათებს ცხოველებს გადაადგილების (დახოხავს, დაფრინავს, ცურავს), არსებობის სხვა მახასიათებლების (რით იკვებება, როგორ მრავლდება...) მიხედვით.

**აქტივობები:**

**აქტივობა 1:**

ბავშვი გამოდის კალათთან, იღებს ცხოველის სურათს, ამბობს დასახელებას ქართულად; კლასიფიკაციას – ჯგუფს აკუთვნებს მშობლიურ ენაზე, მოძებნის იმ ჯგუფს სომხურ ენაზე წარწერილ პლაკატზე, წაიკითხავს ამ სიტყვის ქართულ შესატყვისს და იტყვის წინადადებას – ლომი არის ძუძუმწოვარი ცხოველი... კუ არის ქვეწარმავალი...

დრო – 20 წუთი;

**ორგანიზება – ინდივიდუალური;**

**რესურსები – კალათში ყრია ცხოველთა სურათები; პლაკატი ცხოველთა კლასიფიკაციის დასახელებებით სომხურად და**

**ქართულად.**

**აქტივობა 2:**

მასწავლებელი აძლევს მშობლიურ ენაზე განმარტებებს –

ჯგუფებში გეძლევათ დავალება: დაასახელეთ ჯგუფებში შემავალი ცხოველები ქმედებების მიხედვით, ვისაც შეუძლია, ქართულ ენაზე შემდეგი სახის წინადადებებით – ლომი არის ძუძუმწოვარი ცხოველი – ის დადის, დარბის; დელფინი არის ძუძუმწოვარი ცხოველი – ის დაცურავს. თუ მოსწავლეს ამის თქმა გაუჭირდება, იმავეს ამბობს მშობლიურ ენაზე, მხოლოდ ცხოველთა ჯგუფს პლაკატზე ვაკითხებოთ ქართულად.

## ენის შეფასება და ტქსტირება

დრო: 15 წუთი;

ორგანიზება: ჯგუფებში.

**საშინაო დავალება:** ვაძლევთ შეფასების სქემას (მითითება სომხურად), რომელიც უნდა შეავსონ (ცხრილი იქნება შესავსები ქართულ ენაზე):

**შეფასება:** პრეზენტაციების ზეპირი შეფასება. ფორმალური დაკვირვებით და ჩანიშვნით.

### რეკომენდაცია შეფასებისათვის

ამ შემთხვევაში შესაძლებელია გამოვიყენოთ თვითშეფასების სქემა, რომელიც კიდევ უფრო კონკრეტული შეიძლება გავხადოთ. ეს დაეხმარება არა მარტო მასწავლებელს ობიექტურობის დაცვაში, არამედ მოსწავლესაც ობიექტურ თვითშეფასებაში. შეფასების სქემაში სასურველია იყოს ორი სვეტი: ერთი მოსწავლისათვის, მეორე – მასწავლებლისათვის. მეორე სვეტი მასწავლებელს აძლევს საშუალებას დააკვირდეს, რამდენად ობიექტურია მოსწავლე საკუთარი სასწავლო საქმიანობის შეფასებისას. მოსწავლეს უვითარდება თვითშეფასების უნარი. ის კარგად ხედავს საკუთარ ძლიერ მხარეებს და იმასაც, რა უნდა გააუმჯობესოს. გთავაზობთ ასეთი სქემის ნიმუშს (კველგან იგულისხმება, რომ ჩამოთვლილ სასწავლო ქმედებებს მოსწავლე ასრულებს მეორე ენაზე):

კრიტერიუმი	მოსწავლის თვითშეფასება		მასწავლებ- ლის შეფა- სება		რა უნდა გა- ვაუმჯობესო
	დიახ	არა	დიახ	არა	
მე უოველთვის ვიგებ მასწავ- ლებლის ინსტრუქციებს					
მე შემიძლია ცხოველთა და- სახელება სურათების მიხედ- ვით					
მე შემიძლია ცხოველთა					

## მნის შეფასება და ტუსტირება

ჯგუფის (კლასის) დასახელება					
მე შემიძლია ზრდის სწორად შერჩევა					
მე შემიძლია სწორად ვუპა- სუხო შეკითხვებს					
მე შემიძლია ცხრილის შევსე- ბა					

შენიშვნა: დაწყებით კლასებში ასეთი სქემა შეიძლება გაკეთდეს ორ ენაზე.

## ენის შევასება და ტუსტირება

### V პლასი

**საგანი:** ხელოვნება

**თემა:** ხელოვნების რუკა.

**აკადემიური მიზნები:** იცის და ასახელებს ქვეყნების სახელწოდებებსა და ქვეყნების დირსებულებების აღგილებს.

**ენობრივი მიზნები:**

**შესახვავლი ცნებები:** საფრანგეთი, საბერძნეთი, ეგვიპტე, ჩინეთი, ავსტრალია, ბრაზილია, ამერიკის შეერთებული შტატები.

შენობა ტაძარი, ნაგებობა, ქანდაკება.

**ენობრივი კონსტრუქციები:** ეს შენობა მდებარეობს . . . . . -ში.

**აქტივობა 1.** მასწავლებელი მშობლიურ ენაზე სთხოვს მოსწავლეებს, ჩამოთვალონ ქვეყნები, რომლებიც იციან და თუ იციან, რა დირშესანიშნაობებია იმ ქვეყნებში. რა ლირშესანიშნაობებია მათ სოფელში/ქალაქში?

**დრო:** 5-7 წუთი

**აქტივობა 2.** მასწავლებელი აკრავს სქემას, რომელშიც მშობლიურ ენაზე წერია ქვეყნების სახელწოდებები. მოსწავლეებმა წყვილებში უნდა მოუქებნონ მათ ქართული შესატყვისები.

წყვილები ცხრილში პოულობენ ქვეყნების დასახელებას მშობლიურ ენაზე, კითხულობენ ქართულ დასახელებას და შესაბამის გრაფაში წერენ სწორ პასუხებს.

**დრო – 15 წუთი;** რესურსი: სახელმძღვანელო, სქემა;

**ორგანიზება:** ჯგუფური მუშაობა.

**აქტივობა 3.** მასწავლებელი თითოეულ ჯგუფს უნაშილებს თო-თო ტესტს და ქართულ ენაზე აძლევს მითითებებს: წაიკითხეთ ტესტი და დაწერეთ, რომელ ქვეყანაშია ეს შენობა?

მასწავლებელი ქართულ ენაზე აცნობს დაფალების პირობას (საჭიროების შემთხვევაში, განმარტებებებს ვაკეთებთ მათ მშობლიურ ენაზე): სწორი პასუხის რიგითი ნომერი შემოხაზეთ, არასწორი პასუხის შემთხვევაში გაასწორეთ და მიუთითეთ სწორი ვარიანტი (ტესტიც, ასევე, ქართულ ენაზე).

## ენის შეფასება და ტუსტირება

დრო – 10 წუთი;

რესურსი – წინასწარ დაბეჭდილი ტესტები.

ორგანიზება – წყვილები.

**აქტივობა 4.** მასწავლებელი მცირე ჯგუფებს აძლევს სქემას, რომლის მიხედვითაც უნდა დააჯგუფონ ლირსებსანიშნავი აღგილები შემდეგი კლასით:

ტაძარი / შენობა-ნაგებობა / ქანდაკება.

შენიშვნა – ეს წარწერები ქართულ ენაზე კეთდება.

კეთდება ნამუშევრების პრეზენტაცია.

დრო: 5 წუთი;

რესურსი: სქემა;

ორგანიზება: ჯგუფური მუშაობა.

**საშინაო დავალება –** წიგნში მოცემული რუკის მიხედვით გადაანაწილონ ლირშესანიშნაობები ქვეყნების მიხედვით.

### რეკომენდაციები შეფასებისათვის

ამ გაკვეთილზე ეფექტიანი იქნება ურთიერთშეფასების ფორმის გამოყენება. მეორე აქტივობის შემდეგ წყვილები ცვლიან ერთმანეთში ნამუშევრებს და ერთი წყვილი აფასებს მეორე წყვილის ნამუშევარს (თითო სწორი პასუხი – თითო ქულა).

ურთიერთშეფასების ფორმა შეიძლება გამოვიყენოთ მეორე აქტივობის დროსაც. ტესტები მოსწავლეებმა უნდა გაუსწორონ ერთმანეთს. გთავაზობთ ტესტის ნიმუშს:

სწორია არ არის	სწორი
ჯვრის ტაძარი მდებარეობს საქართველოში.	
პირამიდები მდებარეობს საფრანგეთში.	
თავისუფლების ქანდაკება მდებარეობს ნიუ-იორკში.	

## ენის შევასება და ტქისტირება

ჩინეთის კედელი მდებარეობს ეგვიპტეში.		
ქრისტეს ქანდაკება მდებარეობს ბრაზილიაში.		
ლუკრი მდებარეობს ავსტრალიაში.		
თაჯ-მაჰალი მდებარეობს ინდოეთში.		
პართენონი მდებარეობს საქართველოში.		

მეწყვილის ნაწერის შესაფასებლად მოსწავლეს შეუძლია დაუბრუნდეს ტექსტს. კიდევ ერთხელ გადაამოწმოს ინფორმაცია, რომელიც ამოიკითხა. ამდენად, ურთიერთშეფასება მხლოდ შეფასების უნარს კი არ ავითარებს, არამედ ცოდნის ათვისება-განმტკიცების კარგი საშუალებაცაა.

VI პლასი

საგანი: ძველი მსოფლიო ისტორია.

თემა - ისტორიული (არქეოლოგიური) პერიოდიზაცია.

აკადემიური (საგნობრივი) მიზნები: მოსწავლეები შეისწავლიან ისტორიული პერიოდიზაციის აღმნიშვნელ ტერმინებს (პალეოლითი, მეზოლითი, ნეოლითი, ენეოლითი, ბრინჯაოს ხანა, რკინის ხანა), თითოეული პერიოდის დასაწყისსა და დასასრულს.

ენობრივი მიზნები: შეისწავლიან საერთაშორისო ტერმინების ქართულ შესატყვისებს (პალეოლითი = ძველი ქვის ხანა, მეზოლითი = შუა ქვის ხანა, ნეოლითი = ახალი ქვის ხანა, ენეოლითი = სპილენძ-ქვის ხანა, ანუ სპილენძის ხანა). დაადგენენ მიმართებას: ათასწლეული = 1000 წელი, ასწლეული = 100 წელი.

შესასწავლი ლექსიკა: დრო, პერიოდი, ძველი, შუა, ახალი, ქვა, სპილენძი, ბრინჯაო, რკინა, საუკუნე, ასწლეული, ათასწლეული.

აქტივობები:

აქტივობა 1. მასწავლებელი დაფაზე / ფორმატზე ასახავს ტერმინების საერთო და განსხვავებულ ნაწილებს:

„ძველი” = პალე

„შუა” = მეზო

ლითი = „ქვა”

„ახალი” = ნეო

„სპილენძი” = ენე

იმის შესამოწმებლად, დაიმახსოვრეს თუ არა ახალი ტერმინები, მასწავლებელი ამბობს ქართულ სიტყვებს (ძველი, შუა, ახალი, სპილენძი + ქვა), მოსწავლეები დაჭრილ მუჟაოზე დაწერილი შესაბამისი ლათინური სიტყვებით (პალე, მეზო, ნეო, ენე + ლითი) ადგენენ პერიოდების სახელწოდებებს.

დრო – 10 წელი,

ორგანიზება – მუშაობა მოქლ ჯგუფთან,

## ენის შევასება და ტუსტირება

რესურსები: მუკაო ლათინური ხიტყვებით.

**აქტივობა 2.** მასწავლებელი ჯგუფებს სთავაზობს ცხრილს, რომელშიც უნდა ჩაწერონ თითოეული პერიოდის გასწვრივ დასაწყისი და მისი სანგრძლივობა, ე.წ. ქრონოლოგიური ჩარჩო. მაგ: პალეოლითი – ადამიანის გაჩენიდან 12 ათასწლეული (12.000).

დრო – 10 წუთი,

ორგანიზება – ჯგუფური,

რესურსი – ცხრილის ქსეროასლები.

**აქტივობა 3.** მოსწავლეები ინდივიდუალურად კითხულობენ მასალას სახელმძღვანელოდან პერიოდების შესახებ.

დრო – 10 წთ., ორგანიზება – ინდივიდუალური,

რესურსი – სახელმძღვანელო.

**აქტივობა 4.** მასწავლებელი ჯგუფებში არიგებს ცხრილებს. თითოეული ჯგუფი ავსებს მონაცემებს ქართულად ერთი პერიოდისათვის. შემდეგ ხდება თითოეული

ჯგუფის მიერ ამ მასალის წარმოდგენა.

პერიოდი	დრო (თარიღი)	რა მნიშვნელოვანი მოვლენა უკავშირდება ამ დროს

დრო – 15 წუთი;

ორგანიზება – ჯგუფური;

რესურსები: სახელმძღვანელო, ცხრილები.

საშინაო დაგალება:

1. გაპეტილზე შესწავლილი სიტყვების, ტერმინებისა და ფრაზების გამოყენებით შეადგინონ პერიოდიზაციის ამსახველი შედგენილი სრული ცხრილი ქართულ ენაზე.

2. მოამზადონ ქართულად პრეზენტაცია თითოეული პერიოდის შესახებ.

## ენის შეფასება და ტუსტირება

### რეკომენდაციები შეფასებისათვის

ამ გაპკეთილზე იმ ტერმინების დამახსოვრება, რომლებიც ლათინური ფუძისაა, მოსწავლეებს არ უნდა გაუჭირდეთ. უფრო მეტიც, ეს ტერმინები მათთვის შეიძლება ერთგვარ “კუნძულებად” გამოდგეს, რომლებიც მთლიანი ტექსტის გაგებას გაუადვილებს. არსებითი სწორედ ის არის, რომ მოსწავლეებმა გაიგონ და გაიაზრონ ტექსტი, რომელზედაც დაყრდნობით მოახდენენ ინფორმაციის ორგანიზებას. მნიშვნელოვანია, მოსწავლეები დავაკვირვოთ კომპოზიტების, წარმოქმნილი სიტყვების შემადგენლობას (მაგალითად, ათასწლეული, ასწლეული).

შეფასება შესაძლებელია მოხდეს შემდეგი რებრიკების საშუალებით. კითხვის პროცესზე დაკვირვების საფუძველზე მასწავლებელი ავსებს ცხრილს. მაგალითად:

რებრიკა	დიას	არა	შენიშვნა
ტექსტის წაკითხვისას იგებს ძირითად ინფორმაციას;			
ტექსტის გასააზრებლად იყენებს ტერმინებს ლათინური ფუძით;			
ცხრილის შესავსებად რამდენიმეგზის უბრუნდება ტექსტს, კითხულობს შესაბამის აღგილებს;			
მისთვის ბუნდოვანი / გაუგებარი ადგილების დასაზუსტებლად სვამს კითხვებს / სთხოვს დახმარებას მასწავლებელს / თანატოლებს.			

მოსწავლეებს ეძლევათ პრეზენტაციის შეფასების სქემაც, რომლის მიხედვითაც აფასებენ ერთმანეთის ნამუშევრებს. მაგალითად:

## ენის შეზასხვა და ტუსტირება

	1-2	3-5	6-7	8-10
ინფორმაციის საკმარისობა (გექ-სტიდან არ ტოვებს არსებით და მნიშვნელოვან ინფორმაციას)				
ინფორმაციის სიზუსტე (არ ამა-ხინჯებს ფაქტებს, ზუსტად ასახე-ლებს თარიღებს)				
შესაბამისი არავერბალური საშუა-ლებები (ენობრივი საშუალებების დაფიციტის შემთხვევაში ადეკვა-ტურად იყენებს უესტებს, მიმიკას)				
შესაფერისი ენა (იყენებს შესწავ-ლილ ლექსიკას, ტერმინებსა და ფრაზებს)				

მოცემული ცხრლები ორიენტირებულია არა მარტო ენის გამოყენების უნარის შეფასებაზე, არამედ საგნობრივი ცოდნისა და ზოგადი უნარების (მაგალითად, ინფორმაციის ორგანიზების უნარი) შემოწმებაზე.

## VII კლასი

საგანი: ისტორია

თემა – ისტორიული დრო

გაკვეთილის მიზანი - მოსწავლეები გაეცნობიან ისტორიული დროის ერთეულებსა და შეძლებენ მათ ერთმანეთთან დაკავშირებას.

შესასწავლი ლექსიკა - დრო, წელი, ათწლეული, საუკუნე, ათასწლეული, ისტორიული დრო, გეოლოგიური დრო, ათვლის სისტემა, ცხრილი, ფლიფ-ჩარტი, რელიგია, ისლამი,

ტექნიკა, კალენდარი.

ენობრივი მიზანი - მოსწავლე შეისწავლის ისტორიული პერიოდების აღმნიშვნელ ძირითად ტერმინებს - მაგ. ძველი წელთაღრიცხვა, ახალი წელთაღრიცხვა; ასევე გაეცნობა ისტორიის პერიოდებად დაყოფის აღმნიშვნელ ტერმინებს - ძველი დრო, შეა საუკუნეები, ახალი დრო.

ფუნქციური ფრაზები - გადაიხაზეთ, იყოფა, იწყება, მთავრდება, გამოიანგარიშეთ, განსაზღვრეთ, შეაგსეთ, ჩაწერეთ, დავიწყოთ თემის ზოგადი განხილვით, ახლა გაგაცნობთ გაკვეთილის თემასა და მიზანს, რას შევისწავლით ამ გაკვეთილზე, გადაშალეთ სახელმძღვანელოები, წაიკითხეთ (გავცანით), შეკითხვები ხომ არ გაქვთ? წერა დასრულებულია - ჩამაბარეთ ნაწერები.

დრო - 45 წუთი.

რესურსები - მასწავლებელი - დიდი ფორმატის ქაღალდი (ფლიფ-ჩარტი), დაფა, ცარცი; მოსწავლეები - სახელმძღვანელო მე-7 კლასი (მოსწავლის წიგნი), რვეული, კალმისტარი, სახატავი ფურცლები.

აქტივობები:

აქტივობა 1

მასწავლებელი ამოწმებს საშინაო დაგალებას: ათვალიერებს შერჩევით მოსწავლეთა რვეულებს და ასევე ზეპირად გამოიკითხავს დაგალებას.

საშინაო დაგალება

## **ენის შევასება და ტქისტირება**

რვეულში გადაიხაზეთ გეოლოგიური და ისტორიული დროის ცხრილი (ცნობა 1). ქვედა, ცარიელ გრაფებში ჩაწერეთ თითო-თითო ისეთი მოვლენა, რომელსაც გეოლოგიური და ისტორიული დროით ანგარიშობენ (იხ - მე- 7 კლასი სახელმძღვანელო, პარაგრაფი 1 - ”დრო და ისტორია”).

### **აქტივობა 2**

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს შესასწავლი გაკვეთილის თემასა და მიზანს და წერს დაფაზე. ის საუბრობს ისტორიული დროის მნიშვნელობაზე.

აქტივობას ეთმობა - 5 წთ.

### **აქტივობა 3**

მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს გაეცნონ შესასწავლი გაკვეთილის 1-ელ ქვეთავს (იხ. -მე- 7 კლასი სახელმძღვანელო, პარაგრაფი 2 - ”ისტორიული დრო”) და სვამს შეკითხვებს, რომლებსაც მოსწავლეები ადგილიდან პასუხობენ.

შეკითხვები:

- თქვენი აზრით, რატომ სჭირდებათ ისტორიკოსებს ერთიანი ათვლის სიტყმა?
- იმ შემთხვევში, თუ ისტორიკოსები გამოიყენებდნენ სხვადასხვა ათვლის სისტემებს, რა მოხდებოდა?

აქტივობას ეთმობა - 10 წთ.

### **აქტივობა 4**

მასწავლებელი მოკლედ საუბრობს ისტორიული დროის ერთეულებზე და წინასწარ მომზადებული ფლიფჩარტის დემონსტრირებას ახდენს ან (თუ ფლიფჩარტი არ აქვს), წერს დაფაზე:

1 წელი;

100 წელი - 10 ათწლეული - 1 საუკუნე;

1000 წელი - 100 ათწლეული - 1 ათასწლეული.

მასწავლებელი საუბრისას განუმარტავს მოსწავლეებს, რომ 1-ელი საუკუნე გრძელდება 1-ელი წლიდან 100 წლის ჩათვლით, მე-2 საუკუნე 101 წლიდან 200 წლის ჩათვლით და ა.შ. ასევე უსსნის ათასწლეულებს:

1-ელი ათასწლეული – 1-ელი წლიდან 1000 ჩათვლით,

## მნის შეფასება და ტუსტირება

მე-2 ათასწლეული – 1001 წლიდან 2000 წლის ჩათვლით და ა.შ. და წერს დაფაზე ან წინასწარ აქვს მომზადებული ფლიფჩარტზე.

დროის ერთეულების ახსნის შემდეგ მოსწავლეებმა შესაძლებელია დასვან შეკითხვები - მასწავლებელი პასუხობს.

აქტივობას ეთმობა 10 წთ.

### აქტივობა 5

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს კლასში შესასრულებელ დავალებას (სავარჯიშო №1 და სავარჯიშო №2 - იხ. დანართი № 1). ამ დავალების ტექსტი მას წინასწარ აქვს დაწერილი ფლიფჩარტზე (აკრავს დაფაზე) ან დაბეჭდილი აქვს თაბახის ფურცლებზე (პერსონალურად ურიგებს მოსწავლეებს). მასწავლებელი დავალებას ამოწმებს გაკვეთილების შემდეგ:

აქტივობას ეთმობა 15 წუთი.

### რეკომენდაციები შეფასებისათვის

ამ შემთხვევაში გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებისათვის მიცემული სავარჯიშოები (მინიტესტები) ძირითადად გაკვეთილზე მიღებული ცოდნის შეფასებაზეა ორიენტირებული, მაგრამ, რადგან ისინი ქართულ ენაზე სრულდება, გარკვეულ ენობრივ კომპეტენციასაც მოითხოვს. ამ სავარჯიშოებით შემოწმდება:

- პირობის გაგება და გააზრება;
- ახლადათვისებული ტერმინებისა და სპეციფიკური ლექსიკური ერთეულების ცოდნა და გამოყენება;
- რთული რიცხვითი სახელების ცოდნა და ადეკვატური გამოყენება.

ეფექტიანია თვითშეფასების სქემის გამოყენება, რომელიც კიდევ უფრო მეტ ინფორმაციას მისცემს მასწავლებელს მოსწავლის ცოდნასა და უნარზევებზე, დაეხამერება მას იმის დადგენაში, თუ რა უძნელდება მოსწავლეს, რა საჭიროებები აქვს, მოსწავლეს კი დააფიქრებს იმაზე, რა გააუმჯობესოს. გთავაზობთ თვითშეფასების სქემას ამ კონკრეტული გაკვეთილისათვის:

## ენის შეზასხვა და ტქისტირება

		8-10	6-7	4-5	3-2	1-0
მოსმენა	კიგებ მასწავლებლის ყველა ინსტრუქციას.  მასწავლებლის საუბრისას ჩემთვის ნაცნობ სიტყვებსა და ფრაზებზე დაყრდნობით შემიძლია საუბრის შინაარ- სის გაგება.					
ზეპირმეტყველება	ვპასუხობ მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებს.  შემიძლია საპუთარი მისა- ზრების გამოთქმა.					
კითხვა	შემიძლია საპუთარი მოსა- ზრების არგუმენტირებისათ- ვის დავიმოწმო (ამოვიკითხო) სახელმძღვანელოს შესაბა- მისი მონაცემთი.  ტექსტის კითხვისას ვევრდ- ნობი ჩემს ცოდნას თემის შესახებ და ნაცნობ სიტყ- ვებსა და ფრაზებს, რისი საშუალებითაც ვიგებ წა- კითხულის შინაარსს.					
წერა	ვავსებ ცხრილს მოცემული ინსტრუქციის მიხედვით.					
ლექსიკა	თარიღების აღსანიშნავად ვიყენებ მარტივ და რთულ რიცხვით სახელებს, ყველა ახლადშესწავლილ ლექსი- კურ ერთეულს.					

## ენის შეფასება და ტუსტირება

გასაუმჯობესებელია:

---

---

---

---

# ენის შეზასხვა და ტქსტირება

## VIII პლასი

**საგანი:** ქიმია

**თემა:** მუსავა, მარილი. ზოგადი დახასიათება

**გაკვეთილის მიზანი:** არაორგანულ ნაერთთა კლასების - მუსავებისა და მარილების გაცნობა-დახასიათება, ფორმულების შედგენა, დასახელება.

**ენობრივი მიზანი:** მოსწავლე შეისწავლის მუსავებისა და მარილების ქართულ სახელწოდებებს, ქართულად განმარტავს მუსავების კლასიფიკაციას, აღწერს სქემატურად გამოსახულ მასალას ქართულად. ამისათვის იყენებს ისეთ მარტივ წინადადებებს, როგორიცაა: გოგირდმუსავა არის ორფუძიანი უანგბა-დიანი მუსავა; მარილმუსავა არის ერთფუძიანი უუანგბადო მუსავა; მარილი შედგება მეტალისა და მუსავას ნაშთისაგან და ა.შ.

**ნაცნობი ცნებები:** ქიმიური ელემენტი, ოქსიდი, მეტალი, არამეტალი, ქიმიური ელემენტის სიმბოლო, ქიმიური ფორმულა.

**შესასწავლი ცნებები:** მუსავა, მუსავას ნაშთი, მუსავას ფუძიანობა, უანგბადიანობა, მარილი, მარილების სახელწოდებები.

**ფუნქციური ფრაზები:** შეიცავს მუსავას ნაშთს, დაახასიათეთ ფუძიანობის მიხედვით, განსაზღვრეთ მუსავას ნაშთის ვალენტობა, შეავსეთ ცხრილი, დაახასიათეთ ჟანგბადიანობის მიხედვით, შეავსეთ გამოტოვებული ადგილები, შეადგინეთ მარილის ფორმულა, დაასახელეთ ნაერთი.

**ხანგრძლივობა:** 45 წთ.

**რესურსები:** სახელმძღვანელო, სქემები, ცხრილები, პერიოდული სისტემა.

შენიშვნა: დეტალურად გაკვეთილის სცენარი იხ. ბროშურაში . . . . .

### რეკომენდაციები შეფასებისათვის

გაკვეთილის სცენარში წარმოდგენილი სქემებისა და ცხრილების შევსება მცირე ჯგუფებში / წყვილებში მოსწავლეებს საშუალებას მისცემს არა მარტო გაცვალონ მიღებული ინფორმაცია, არამედ დაეხმარონ ერთმანეთს გაუგებარი ცნებებისა და ტერმინების განმარტებაში. იმის შესაფასებლად, რამდენად ნაყოფიერია ჯგუფური / წყვილებში მუშაობა, მასწავლებული

## მნის შეუფასება და ტუსტირება

უნდა აკვირდებოდეს ჯგუფების მუშაობას და ინიშნავდეს წინასწარ შემუშავებულ ფორმაში თითოეული ჯგუფის საქმიანობას. გთავაზობთ ასეთი ფორმის ნიმუშს:

პრიტერიუმები	4-5	6-7	8-10
<b>ჯგუფის მიერ დაგალების პირობის, შინაარსის გააზრება</b>	ჯგუფმა დაგალების პირობა და შინაარსი კარგად ვერ გაიგო	დაგალების პირობა და შინაარსი გაიგო მხოლოდ მასწავლებლის დამატებითი კომენტარების შემდეგ	ჯგუფმა დაგალების პირობა და შინაარსი კარგად გაიგო და გააცნობიერა
<b>ჯგუფის მიერ სამუშაოს ორგანიზება</b>	სამუშაო არ იყო ორგანიზებული. ჯგუფის წევრებიდან სქემაზე მუშაობდა მხოლოდ ის, ვინც ენას უკეთესად ფლობს.	სამუშაო ორგანიზებული იყო, მაგრამ ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არათანაბრად გადანაწილდა	სამუშაო კარგად იყო ორგანიზებული, ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები სწორად და თანაბრად გადანაწილდა
<b>ჯგუფში ენის გამოყენება</b>	ჯგუფის წევრები მხოლოდ მშობლიურ ენაზე ურთიერთობდნენ მუშაობის პროცესში	ჯგუფის წევრები ძირითადად მშობლიურ ენაზე ურთიერთობდნენ, თუმცა მუშაობის პროცესში იყო მომენტები, როცა მეორე ენას იყენებდნენ	ჯგუფის წევრები ადეკვატურად ანაცვლებლნენ მშობლიურსა და მეორე ენას ურთიერთობისა და მუშაობის პროცესში
<b>ჯგუფის წევრთა შორის ურთიერთობა</b>	ჯგუფის აქტიურ წევრსა და პასიურ წევრებს შორის ზოგჯერ ურთიერთობები იძაბებოდა	ჯგუფის წევრთა შორის ძირითადად პოზიტიური ურთიერთობები იყო	ჯგუფის წევრთა შორის იყო პოზიტიური და საქმიანი ურთიერთობები

## **ენის შევასება და ტქისტირება**

---

ამ გაკვეთილზე შეიძლება ასევე ჯგუფის წევრთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კითხვარების გამოყენებაც, რომელთა ნიმუშები ზემოთ მოგაწოდეთ.

## IX პლასი

**საგანი:** სამოქალაქო განათლება

**თემა:** რეფერენდუმი და პლებისციტი

**გაკვეთილის მიზანი** - მოსწავლეები გაეცნობიან დემოკრატიის ისეთ ცნებებს, როგორებიცაა რეფერენდუმი და პლებისციტი. ერთმანეთს შეადარებენ ამ ორ ცნებას და დაადგენენ მათ მსგავსებასა და განსხვავებას.

**ენობრივი** **მიზანი** - მოსწავლეები შეისწავლიან რეფერენდუმთან და პლებისციტთან დაკავშირებულ ქართულ და საერთაშორისო ტერმინოლოგიას.

**შესასწავლი ლექსიკა** - დემოკრატია, კონსტიტუცია, კანონმდებლობა, რეფერენდუმი, პლებისციტი, პრეზიდენტი, პარლამენტი, ქმედულნარო, მსჯავრდებული.

**ფუნქციური ფრაზები** - დააკვირდით, წაიკითხეთ, გაეცანით, დაასახელეთ, ვინ მიპასუხებს, რომელ თქმებინს სურს? ვინ დაეხმარება ამხანაგს? იმუშავეთ წყვილებში, შეავსეთ ტესტები, შეავსეთ გამოტოვებული ადგილები, გაუცვალეთ თქვენს მეწყვილეს, შეაფასეთ თქვენი მეწყვილე, შეასწორეთ მეგობრის ნაწერი და მიუწერეთ კომენტარები, კლასს წარუდგინეთ თქვენი ნამუშევარი, დაასაბუთეთ თქვენი პასუხი, პასუხი საჭიროებს არგუმენტაციას, სამუშაო ფურცლებს დააწერეთ თქვენი სახელი და გვარი, დავიწყოთ თემის ზოგადი განხილვით, ახლა გაგაცნობთ გაკვეთილის თემასა და მიზანს, რას შევისწავლით ამ გაკვეთილზე, გადაშალეთ სახელმძღვანელო, ვინ მეტყვის? ვინ მიპასუხებს? დაეხმარეთ მოპასუხებს, თუ არსებობს სხვა მოსაზრება, შეკითხვები ხომ არ გაქვთ? წერა დასრულებულია - ჩამაბარეთ ნაწერები.

**დრო** - 45 წუთი.

## ენის შევასება და ტუსტირება

**რესურსები** - მასწავლებელი - დაფა, ცარცი; მოსწავლეები - სახელმძღვანელო მე-9 კლასი (მოსწავლის წიგნი), ორი ფერის კალმისტარი, შავი ფანქარი, საწერი ფურცლები, დანართი №1.

**აქტივობა 1.** მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის თემასა და მიზანს (წერს დაფაზე), ხოლო შემდეგ სთხოვს მათ (გამეორების მიზნით) უპასუხონ შეკითხვებს:

- რა არის დემოკრატია? (25 -ე პარაგრაფი);
- რითი განსხვავდებიან ერთმანეთისგან პირდაპირი და არჩევითი დემოკრატია (26 -პარაგრაფი).

აქტივობას ეთმობა 10 წუთი.

**აქტივობა 2.** მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს გაეცნონ 34-ე პარაგრაფის (“რეფერენდუმი და პლებისციტი”) ტექსტს და ამ ტექსტზე დაყრდნობით შეავსონ დარიგებული ტეხტი.

(დანართი №1).

1. საქართველოში რეფერენდუმი გაიმართა .....წელს  
..... საკითხზე.
2. რეფერენდუმი ..... არის
3. პლებისციტი ..... არის
4. რეფერენდუმში და პლებისციტში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს მოქალაქეს ..... ასაკიდან.
5. რეფერენდუმს ნიშნავს .....
6. პლებისციტს ნიშნავს .....

წერის დასრულების შემდეგ, მასწავლებელი კრებს ნაწერებს, ერთ-ერთ მოსწავლეს იძახებს დაფასთან, გადასცემს საკუთარ ნაწერს და სთხოვს კლასის წინაშე წაიკითხოს საკუთარი პასუხები.

## მნის შეფასება და ტუსტირება

აქტივობა - 2 ფასდება შემდეგნაირად: 1- ელი და მე - 4 შეკითხვები ფასდება 1 ქულით, ხოლო მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 შეკითხვები ფასდება 2 ქულით.

აქტივობას ეთმობა 20 წუთი.

**აქტივობა 3.** მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს: გადაიხაზონ დაფიდან ცხრილი (მასწავლებელი ამ ცხრილს წინასწარ ხაზავს დაფაზე, რათა დრო არ დაიკარგოს) და ჩაწერონ ამ ცხრილში სამი მსგავსება და სამი განსხვავება რეფერენდუმსა და პლებისციტს შორის:

მსგავსება	განსხვავება
1.	
2.	
3.	

### რეკომენდაციები შეფასებებისათვის

გაკვეთილის სცენარის მიხედვით, ტექსტის წაკითხვის შემდეგ მოსწავლეები ავსებენ ტექსტს. იმის მიუხედავად, ტექსტის რა ნაწილია ქართულად, ტექსტი ქართულ ენაზე უნდა იყოს და შეიგსოს მხოლოდ ქართულად. იმ ვარიანტის გარდა, რომელიც სცენარშია (იგულისხმება მოსწავლის პრეზენტაცია და კლასის გამოხმაურება), სასურველია, მასწავლებელმა გამოიყენოს მოსწავლეთა ურთიერთშეფასების ფორმა. წყვილები გაცვლიან ერთმანეთში ნაწერებს და ასწორებენ. მასწავლებელი ტექსტებს ასწორებს სახლში და ამოწმებს როგორც შესრულებული ტექსტების სისტორებს, ისე გასწორების ხარისხს (ტექსტს უნდა ეწეროს როგორც უშულოდ პასუხების ავტორის სახელი და გვარი, ისე გამსწორებლისა).

ტექსტებით შემოწმდება არა მარტო ცოდნა საგანში, არამედ:

- რეფერენდუმთან და პლებისციტთან დაკავშირებულ ქართული და საერთაშორისო ტერმინოლოგიის ცოდნა;
- განმარტებების ფორმულირება ქართულად ნაკლული ტექსტის გამოყენებით;

## ენის შევასება და ტუსტირება

- ინსტრუქციების გაგება.

იმისათვის, რომ შემოწმდეს, რამდენად გაიაზრეს რეფერენდუმისა და პლებისციტის არსი და შეუძლიათ თუ არა მათი დამახასიათებელი ნიშნების ჩამოყალიბება ქართულად, მოსწავლეები ავსებენ ცხრილს. იმისათვის, რომ დავადგინოთ ახერხებს თუ არა მოსწავლე ტექსტიდან მთავარი და არსებითი ინფორმაციის ამოღებას, გთავაზობთ თვითშეფასების კითხვარს:

პრიტერიუმი	მოსწავლის თვითშეფასება		რა უნდა გავაუმჯობესო
	დიას	არა	
ტექსტის კითხვისას ვახერხებდი არსებითი და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მონიშვნას.			
იმისათვის, რომ შევავსო ცხრილი, ტექსტს ხელახლა ვუბრუნდები და ადვილად ვპოულობ საჭირო ადგილს.			
მე შემიძლია ქართული და საერთაშორისო ტერმინოლოგიის ადეკვატური გამოყენება.			
მე შემიძლია რეფერენდუმისა და პებისციტის არსებითი ნიშნების ჩამოთვლა.			
მე შემიძლია განსხვავებების დანახვა რეფერენდუმისა და პებისციტის ნიშნებს შორის.			
მე ცხრილის შევსებისას ადვილად ვარჩევდი საჭირო ლექსიკასა და ენობრივ კონსტრუქციებს.			

## X პლასი

**საგანი:** გეოგრაფია

**თემა –** გეოგრაფიის შესწავლის ობიექტი და მიზნები

**გაპეტილის მიზნები –** მოსწავლემ გაიხსენოს გეოგრაფიის დარგები, მისი შესწავლის ობიექტი და კვლევის მეთოდები; დააკავშიროს ერთმანეთთან გეოგრაფიული გარსის შემადგენელ კომპონენტები; ეცოდინება ბუნებრივი რესურსები და მისი მრავალფეროვნება. აგრეთვე, გეოგრაფიის მნიშვნელობა.

**ენობრივი მიზნები –** მოსწავლემ იცოდეს გეოგრაფიის დარგები და კვლევის მეთოდები; გეოგრაფიული გარსი და მისი შემადგენლობა; ბუნებრივი რესურსები და მისი კლასიფიკაცია.

**შესასწავლი ლექსიკა/ტერმინები –** საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი გეოგრაფია, აღწერილობითი და შედარებითი მეთოდები, გეოგრაფიული გარემო, რესურსი, ბუნებრივი რესურსების კლასიფიკაცია


**ფუნქციური ფრაზები –** რას ნიშნავს, . . . . ნიშნავს, დააკავშირე ისრებით, არის თუ არა საჭირო, იმისათვის არის საჭირო, რომ . . .

**დრო – 45 წუთი.**

**რესურსები –** სახელმძღვანელო, სქემები, დაფა, ცარცი.

### აქტივობა 1.


I. რას ნიშნავს სიტყვა „გეოგრაფია”



„გრაფოს”-აღწერა

## ენის შევასება და ტესტირება

### II. გეოგრაფიის მიმართულებები




### III. პრაკტიკის მეთოდები

აღწერილობითი  
დრო 10 წუთი.


შედარებითი

### აქტივობა 2

#### გეოგრაფიული გარსის შემადგენლობა




## ენის შეფასება და ტუსტირება



დრო 15 წთ.

აქტივობა 3

ბუნებრივი რესურსი




ფრანგული – ქართ. მარაგი

## ენის შეზასება და ტქსტირება

### აქტივობა 4

ბუნებრივი რესურსების კლასიფიკაცია



დრო 5 წუთი.

### აქტივობა 5

მასწავლებელი წყვილებს აძლევს სავარჯიშოს.

ქვემოთ ჩამოთვლილი ბუნებრივი რესურსები დააკავშირეთ ისრებით იმის მიხედვით, რომელია გამოლევადი და რომელი – გამოულევადი:

მსოფლიო ოკეანის

ქარი

ნიადაგები

გამოლევადი

ტყის

მზის

გამოულევადი

წიაღისეული

დრო 10 წუთი.

### აქტივობა 6.

მასწავლებელი სვამს შეკითხვას: არის თუ არა საჭირო გეოგრაფიის ცოდნა და რისთვის?

მასწავლებელი კლასს უთითებს ტექსტს სახელმძღვანელოში და სთხოვს მის წაკითხვას. მოსწავლეები საკუთარ პასუხებს ადარებენ წაკითხულს.

დრო 5 წუთი.

## ენის შეფასება და ტუსტირება

### რეკომენდაციები შეფასებებისათვის

გაპვეთილის სცენარის მიხედვით, მოსწავლეებმა გეოგრაფიაში მანამდე მიღებულ და ახალ ცოდნაზე დაყრდნობით უნდა მოახდინონ ინფორმაციის ორგანიზება. რადგან სქემების შევსებისას მოსწავლეებს, უპირველეს ყოვლისა, სჭირდებათ ტერმინებისა და ცნებების ცოდნა, შეფასების სქემის შედგენისას აქცენტი უნდა გაკეთდეს ზოგადკოგნიტურ უნარზე (ინფორმაციის ორგანიზების უნარი) და გეოგრაფიული ტერმინებისა და ცნებების გააზრებულ ცოდნაზე, აგრეთვე იმაზე, რამდენად ადეკვატურად იგებს ინსტრუქციებს: დააკავშირე ისრებით, შეავსეთ იერარქიული დიაგრამა, და ა.შ.

მნიშვნელვანია, რომ ბოლო აქტივობა შესრულდეს ქართულ ენაზე. მოსწავლეებმა უნდა გამოთქვან მოსაზრებები გეოგრაფიის ცოდნის მნიშვნელობაზე. ამ აქტივობის შესაფასებლად შესაძლებელია გამოვიყენოთ როგორც მოსწავლის თვითშეფასების სქემა, ისე სქემა მასწავლებლისათვის გთავაზობთ ამ უკანასკნელის ნიმუშს:

კრიტერიუმი	3-4	5-6	7-8	9	10
იგებს შეკითხვის შინაარსს და ადეკვატურად უპასუხებს					
აზრს შეუზღუდავად გამოთქვამს, არ იბორკება ენობრივი შეცდომის დაშვების შიშით					
ადეკვატურად იყენებს შესწავლილ ცნებებსა და ტერმინებს					

შენიშვნა: ამ შემთხვევაში ყურადღება არ უნდა მივაქციოთ მეტყველებაში დაშვებულ ენობრივ შეცდომებს. მთავარია, მოსწავლეს გაუჩნდეს აზრის გამოთქმის სურვილი და მოახერხოს ამ აზრის ადრესატამდე მიტანა.

## XI პლასი

საგანი: ფიზიკა

თემა - რხევითი მოძრაობა

საგნობრივი მიზანი: მოსწავლე ცდის საშუალებით აბვირდება ქანქარის რხევას, მონაცემებს წარმოადგენს ცხრილის სახით.

ენობრივი მიზნები: მოსწავლე შეისწავლის ქართულ ტერმინებს, ქართულად ავსებს ცხრილს, დასკვნას აყალიბებს ქართულად.

შესასწავლი ლექსიკა/ტერმინები: რხევის ამპლიტუდა, რხევის სიხშირე, რხევის პერიოდი.

ფუნქციური ფრაზები: ჩაატარე ცდა, დაინიშნე დრო, დაითვალე რხევათა რიცხვი, გამოთვალე რხევის პერიოდი, გამოთვალე რხევის სიხშირე, ჩაიწერე მონაცემები, შეადგინე ცხრილი. შეიტანე დაკვირვების შედეგები. წარმოადგინეთ შედეგები, გააკეთეთ დასკვნა.

რესურსები: 40 და 50 სმ სიგრძის ორი ძაფი, ორი ტვირთი: 100 და 150 გ მასის, წამმზომი, სკოტჩი, თაბახის ფურცლები, გალმისტრები

### აქტივობა 1

მასწავლებელი დაუზე წერს გაკვეთილის მიზანს: ”რხევითი მოძრაობის შესწავლა”. მასწავლებელი ახდენს თავისუფალი რხევის დემონსტრირებას ზამბარაზე დაკიდებული ტვირთის მოძრაობის მაგალითზე და განმარტავს რხევის ამპლიტუდას, რხევის პერიოდს და სიხშირეს.

### აქტივობა 2 – ექსპერიმენტი

მიზანი: ქანქარას რხევითი მოძრაობის შესწავლა

მოსწავლეთა ორგანიზება: ჯგუფური, თითო ჯგუფში 4-5 მოსწავლე ექსპერიმენტის მიზანია გამოიკვლიონ, არის თუ არა დამოკიდებული რხევის პერიოდი ქანქარას სიგრძეზე და მასაზე და როგორ.

თითოეულ ჯგუფს ეძლევა კონკრეტული დავალება.

## მნის შეფასება და ტუსტირება

I ჯგუფი: ატარებს ექსპერიმენტს 100 გ ტვირთისთვის, როცა ქანქარას სიგრძეა 50 სმ.

II ჯგუფი:  $\vartheta = 100$  გ,  $\varrho = 40$  სმ.

III ჯგუფი:  $\vartheta = 150$  გ,  $\varrho = 50$  სმ.

IV ჯგუფი:  $\vartheta = 150$  გ,  $\varrho = 40$  სმ.

მოსწავლეები ინაწილებენ ფუნქციებს: ერთი – ინიშნავს დროს, მეორე – ითვლის შესრულებულ რხევათა რიცხვს, მესამე – ითვლის რხევათა პერიოდს, მეოთხე – სიხშირეს, მეხუთე – ადგენს ცხრილს, შეაქვს დაკვირვების შედეგები.

	$m_{\text{ქანქარას}} \text{ მასა, გ}$	$\ell_{\text{ქანქარას}} \text{ სიგრძე, სმ}$	$t_{\text{რხევების}} \text{ დრო, წმ}$	$N_{\text{რხევების}} \text{ რიცხვი}$	$T_{\text{ რხევის}} \text{ პერიოდი, წმ}$	$v_{\text{რხევის}} \text{ სიხშირე, } 1/\text{წმ}$
1 ჯგ.	100	50	20	12	1,67	0,6
2 ჯგ.	100	40	20	14	1,43	0,7
3 ჯგ.	150	50	20	12	1,67	0,6
4 ჯგ.	150	40	20	14	1,43	0,7

### აქტივობა 3 – პრეზენტაცია

ჯგუფები წარმოადგენენ საკუთარ შედეგებს.

მასწავლებლის დახმარებით კეთდება დასკვნები:

- ქანქარას რხევის პერიოდი დამოკიდებულია ქანქარას სიგრძეზე.
- რაც მეტია ქანქარას სიგრძე, მით მეტია რხევის პერიოდი.
- ქანქარას რხევის პერიოდი მასაზე დამოკიდებული არ არის.

### რეკომენდაციები შეფასებებისათვის

მოცემულ გაკვეთილზე, მოსწავლეების სასწავლო საქმიანობიდან გამომდინარე, სასურველია ენაში შემოწმდეს მოსმენის, წერის, კითხვის, ზეპირმეტყველების უნარები. მოსწავლემ უნდა გაიგოს მასწავლებლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია, გაიაზროს ექსპერიმენტის ჩატარების პირობები, წაიკითხოს ცხრილში ჩაწერილი მონაცემები,

## ენის შეფასება და ტუსტირება

გააკეთოს ჩანაწერები, დაბოლოს, გააკეთოს ექსპერიმენტის შედეგების პრეზენტაცია. აქედან გამომდინარე, შეფასების სქემა იქნება კომპლექსური, ორიენტირებული ერთდროულად რამდენიმე უნარის შეფასებაზე. გთავაზობთ ასეთი სქემის ნიმუშს:

		8-10	6-7	4-5	3-2	1-0
მოსმენა	შერადდებით ისმენს და იგებს მასწავლებლის მიერ გადაცემულ ინფორმაციას					
	იგებს ინსტრუქციებსა და პირობებს ექსპერიმენტის ჩასატარებლად.					
ზეპირმეტყველება	უპასუხებს მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებს.					
	ჯგუფში მუშაობისას ცვლი-ან ინფორმაციას ერთმანეთში.					
	პრეზენტაციისას იყენებს ექსპერიმენტის შედეგების შეჯამებისათვის (დასკვნის) საჭირო ენობრივ ფორმულებსა და შესაბამის ცნებებსა და ტერმინებს.					
კითხვა	ადგევატურად იგებს ცხრილში მოცემულ ცნებებსა და პირობით აღნიშვნებს					
წერა	ავსებს ცხრილს მოცემული ინსტრუქციის მიხედვით.					

გასაუმჯობესებელია:

---



---

## XII პლასტ

**საგანი:** მათემატიკა

**თქმა:** „ზოგიერთი რაციონალური და ირაციონალური ფუნქცია“

**საგნობრივი მიზნები:** მოსწავლეები შეისწავლიან წილად-წრფივ ფუნქციას, გამოიკვლევენ მის თვისებებს და ააგებენ გრაფიკს; განივითარებენ ფუნქციათა ოჯახების შედარების უნარ-ჩვევევას ისეთი თვისებების მიხედვით, როგორებიცაა განსაზღვრის არე და მნიშვნელობათა სიმრავლე, ფესვებისა და ექსტრემუმების შესაძლო რაოდენობა, ნიშანმუდმივობის და ზრდადობა-კლებადობის შუალედები, ასიმპტოტური ქცევა, გრაფიკის გეომეტრიული თვისებები.

**წინაპირობები:** საკითხის შესწავლისთვის მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ

წრფივი ფუნქცია და მისი გრაფიკი, ცვლადებს შორის უკუპროპორციული დამოკიდებულება, მისი თვისებები და გრაფიკი (პიპერბოლა), პოლინომური ფუნქცია; ფიგურათა გეომეტრიული გარდაქმნები სიბრტყეზე; შეეძლოთ მარტივი გარდაქმნების შესრულება ალგებრულ გამოსახულებებზე.

**ენობრივი მიზნები:** მოსწავლე შეისწავლის ფუნქციის ყოფაქცევის დამახასიათებელ ძირითად ტერმინებს, ეცოდინება ფუნქციის თვისებების ქართული სახელწოდებები, შეძლებს ქართულად აღწეროს ფუნქციის გრაფიკის თავისებურებანი და განმარტოს პარამეტრების ზეგავლენა ფუნქციის თვისებებზე.

**შესასწავლი ლექსიკა/ტერმინები:** რაციონალური ფუნქცია, წილად-წრფივი ფუნქცია, პოლინომურ ფუნქციათა შეფარდება, გრაფიკის ასიმპტოტი, ფუნქციის ყოფაქცევა არგუმენტის უსასრულოდ გაზრდის/შემცირებისას.

**ფუნქციური ფრაზები:** დამოუკიდებლად შეასრულე საგარჯიშო, შეასრულე გეომეტრიული/ალგებრული გარდაქმნები, აღწერე ფუნქციის ყოფაქცევა, გამოიყენე ალგებრული და გრაფიკული მეთოდები, გამოიკვლიე პარამეტრების ზეგავლენა ფუნქციის თვისებებზე.

**რესურსები:** გავეთიდი არ საჭიროებს რაიმე განსაკუთრებული ინსტრუმენტების, თვალსაჩინოებებისა და ტექნოლოგიების გამოყენებას.

## ენის შეზასება და ტესტირება

### აქტივობები

#### მოსწავლეთა მოტივაცია

მოსწავლეებს დავუსვამთ ამოცანას: გაარკვიეთ, რა ფუნქციის გრაფიკი მიიღება  $y = 1/x$  ფუნქციის გრაფიკისგან პარალელური გადატანით მარცხნივ ( $X$  ღერძის პარალელურად) 1 ერთეულით და ზემოთ ( $y$  ღერძის პარალელურად 3 ერთეულით (იხ. სახელმძღვანელო, ნახ. გვ. 244).

დრო - 2-3 წთ.

#### კავშირი წინა მასალასთან

მოსწავლეებს ვთხოვთ  $y = 1/x$  ფუნქციის გრაფიკის აგებას და ფუნქციის ყოფაქცევის აღწერას, როცა არგუმენტი უსაზღვროდ იზრდება, ან მცირდება.

დრო - 2-3 წთ.

#### ახალი მასალის წარდგენა

მოსწავლეებს გავაცნობთ რაციონალური ფუნქციის, წილად-წრფივი ფუნქციის, ფუნქციის გრაფიკის ასიმპტოტის ცნებებს, მოსწავლეთა დახმარებოთ აღვწერ წილად-წრფივი ფუნქციის ყოფაქცევას, როცა არგუმენტი უსაზღვროდ იზრდება ან მცირდება.

დრო - 7-9 წთ.

#### მოსწავლეთა აქტივობები

ფრონტალური მუშაობისთვის მოსწავლეებს შევთავაზებთ სახელმძღვანელოს სავარჯიშოებს № 1, 4, 5, 6, 14 (ა, ბ).

დრო - 10-12 წთ.

#### ცოდნის გამყარება

მოსწავლეებს დაგავალებთ, დამოუკიდებლად შეასრულონ სახელმძღვანელოს № 17 (ა, გ), ხოლო მაღალი შესაძლებლობების მოსწავლეებს დამატებით - № 16 სავარჯიშოები.

დრო - 8-10 წთ.

#### გაქვეთილზე დასახული მიზნების შესრულების შეფასება

მოსწავლეებს ვთხოვთ, ინდივიდუალურად უპასუხონ სახელმძღვანელოს № 20 სავარჯიშოს კითხვებს.

დრო - 3-5 წთ.

## ენის შეფასება და ტუსტირება

### რეკომენდაციები შეფასებისათვის

მოცემულ გაკვეთილზე ენობრივი მიზნებიდან უმთავრესია ცნებებისა და ტერმინების გაგება-გააზრება და ამიცანების, დავალებების პირობის გაგება-გააზრება. არსებით პრობლემას აქ შექმნის იმის განსაზღვრა, მოსწავლის შეცდომას განაპირობებს მათემატიკური ცოდნისა თუ ენობრივი კომპეტენციის ნაკლებობა. ამიტომ ასეთ შემთხვევაში ყველაზე ეფექტური თვითშეფასების კითხვარის გამოყენებაა. გთავაზობთ ასეთი კითხვარის ნიმუშს:

კრიტერიუმები	დიახ	არა	შენიშვნა
მე მესმის ფუნქციის ყოფაქცევის დამახასიათებელი ტერმინების ქართული განმარტებები.			
შემიძლია ფუნქციის თვისებების განსაზღვრა ახლად შესწავლილი ტერმინების გამოყენებით.			
შემიძლია აღვწერო ფუნქციის გრაფიკის თავისებურებაზე.			
სრულად ვიგებ ამოცანის / დავალების პირობას.			
შემიძლია ავაგო მათემატიკური მსჯელობა, განვმარტო პარამეტრების ზეგავლენა ფუნქციის თვისებებზე.			

შენიშვნის გრაფაში მოსწავლეს შეუძლია ჩაწეროს კომენტარი, რამ გაუადვილა / გაურთულა მათემატიკური დავალების შესრულება, რაც საშუალებას მოგვცემს გადაფჭრათ ზემოთ დასახელებული პრობლემა.

## ენის შეფასება და ტუსტირება

### 4. პილიგრიმური განათლების პროგრამების შეფასება

შეფასებისას აქცენტი კეთდება ბილინგვალების მეორე ენის კომპეტენციაზე და არ ფასდება ის მნიშვნელოვანი წარმატებები და უპირატესობები, რაც, საზოგადოდ, ბილინგვური განათლების პროცესს ახლავს თან. საჭირო უნარების მიღწევის შეფასების პროცესში ყერადღება უნდა გამახვილდეს ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა ინტერპერსონალური უნარები (გუნდური მუშაობა, მოლაპარაკება, კულტურულად მრავალფეროვან ადამიანებთან ურთიერთობა და თანამშრომლობა და ა.შ.), ინფორმაციის მოპოვებისა და ინტერპრეტირების უნარი, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარი, პასუხისმგებლობის აღებისა და განაწილების, სოლიდარობისა და ა.შ. უნარები. ამ უნარების ნაწილში კი ბილინგვალების უპირატესობა მონოლინგვალებთან შედარებით კვლევებითაა დადასტურებული. თუკი შეფასება დაეფუძნება და მოიცავს ამ უნარების შეფასებასაც და არა მხოლოდ კლასში გამოხატულ ლინგვისტური კომპეტენციის შეფასებას, მაშინ ბილინგვალი ბაგშეგებისადმი და ბილინგვიზმისადმი საზოგადოებრივი განწყობებიც პოზიტიურად შეიცვლება.

ბილინგვური პროგრამის, სწავლებისა და შეფასების ერთმანეთთან შესაბამისობა და თანმიმდევრულობა ერთ-ერთ ყველაზე რთულ ამოცანას წარმოადგენს. არის შემთხვევები, როდესაც ცალკეული საგნის მასწავლებლები მხოლოდ თავიანთი შეხედულებით ადგენენ შეფასების სქემებს, რომელშიც ვერ ითვალისწინებენ მეორე ენის კომპონენტს, ვერც იმას, როგორ შეუსაბამონ ერთმანეთს მოთხოვნები საგანში და ენაში. მსგავსი მდგომარეობის თავიდან აცილების მიზნით სკოლის დირექტორებსა და მასწავლებლებს შემდეგ სტარტეგიებს შეიძლება შევთავაზოთ:

- კარგად შეისწავლეთ სტანდარტები და დარწმუნდით, რომ კარგად გესმით თუ რა უნდა იცოდნენ და რისი გაკეთება უნდა შეეძლოთ მოსწავლეებს მოცემულ საგანსა და მეორე ენაში;
- უზრუნველყავით სასკოლო სასწავლო გეგმაში თანმიმდევრულობა საგანსა და ენაში საფეხურების, კლასების მიხედვით;

## ენის შეფასება და ტუსტირება

- სასწავლო გეგმების შემუშავების დროს გამოიყენეთ “უკუდმა” დაგეგმვის პრინციპი: სტანდარტებზე დაფუძნებით ჯერ განსაზღვრეთ მისაღწევი შედეგები როგორც საგანში, ისე ენაში და შემდეგ შეიმუშავეთ მისი მიღწევისთვის საჭირო სასწავლო პროგრამა;
  - განსაზღვრეთ, საგანში სასწავლო პროგრამის რა ნაწილის დაფარვას შეძლებთ მოცემული დროის მონაკვეთში მშობლიურ ენაზე, რას – მეორე ენაზე;
  - განსაზღვრეთ ის მეთოდები, რომლებითაც შეაფასებთ როგორც ცოდნასა და უნარ-ჩვევებს საგანში, ისე ენის ფლობასა და გამოყენებას;
  - შეფასება გახადეთ სწავლების პროცესის შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოგცემთ შესაძლებლობას დროულად აღმოაჩინოთ “ჩავარდნა” საგანში ან/და ენაში და მოახდინოთ კორექცია;
- ბილინგვურ სკოლებში, სადაც რეგულარულად აკვირდებიან და აგროვებენ ინფორმაციას იმის შესახებ, როგორ სწავლობენ მოსწავლეები, რა შედეგები აქვთ საგანში, როგორ იყენებენ კლასში ენას როგორც მოსწავლეები, ისე მასწავლებლები, ყოველთვის იქნება იმის გარანტია, რომ ორენოვანი მასწავლებლები არ გადაუხვევენ მოთხოვნებს და მოსწავლეთათვის სწავლის გაადვილების მიზნით მხოლოდ მშობლიურ ენაზე არ ჩაატარებენ გაბეჭილს.

სასურველი მიზნის მიღწევისთვის ნებისმიერ სფეროში, მათ შორის განათლებაში, მნიშვნელოვანია არსებული მდგომარეობის ხშირად შეფასება სასურველ მდგომარეობასთან მიმართებით. მონიტორინგის გარეშე შეუძლებელია სწავლებისა და სწავლის პრაქტიკაში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირება და მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესების მიზნით მათი კორექტირება.

ბილინგვურ სკოლებში სწავლისა და სწავლების მონიტორინგი ორიენტირებული უნდა იყოს როგორც მოსწავლეების სწავლის შედეგებზე საგანსა და ენაში, ასევე საკლასო ოთახში ბილინგვური სწავლების პრაქტიკაზე.

## ენის შეფასება და ტუსტირება

სწავლის მონიტორინგი გულისხმობს მოსწავლეების აკადემიური პროგრესის შეფასებას და მიღებული შედეგების გაანალიზებას საგანსა და ენაში. ამ მიმართულებით სწავლის, ანუ მოსწავლეების მიღწევების მონიტორინგს ძირითადად ახორციელებს მასწავლებელი სამი სახის შეფასების ხშირი გამოყენებით, როგორებიცაა:

- სადიაგნოსტიკო შეფასება - სწავლის დაწყებამდე: რა იციან მოსწავლეებმა საგანში და რა - ენაში?
- განმავითარებელი შეფასება - სწავლის დროს: რას სწავლობენ მოსწავლეები საგანში და რას - ენაში?
- განმსაზღვრელი შეფასება - სწავლის შემდეგ: რა ისწავლეს მოსწავლეებმა საგანში და რა - ენაში?

### სადიაგნოსტიკო, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება

სადიაგნოსტიკო	განმავითარებელი	განმსაზღვრელი
<b>რა მიზანი აქვს?</b>	მოსწავლის საწყისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების დადგენა საგანსა და ენაში;	მოსწავლის ენობრივი კომპეტენციისა და საგნობრივი ცოდნისა და უნარების განვითარების ხელშეწყობა.
<b>რა ფასდება?</b>	საწყისი მდგომარეობა საგანსა და ენაში.	სწავლის შედეგები საგანსა და ენაში.
<b>შეფასების შედეგი და ტიპის ცესის დაგეგმვა გადაწყვეტილებას</b> – რა და როგორ	სასწავლო პროცესის დაგეგმვა შეტანა სასწავლო ნის განსაზღვრა (მეთოდების და ენაშის განვითარების საგანსა და ენაში).	

## ენის შეფასება და ტუსტირება

<b>ვიღებთ?</b>	უნდა ვასწავ- დები, სტრატეგიუ- ში; ლოთ იმისთვის, ბი, სასწავლო მა- რომ შევძლოთ სალები და ა.შ.) სწავლების არსებულიდან მომდევნო ეტა- სასურველ პის დაგეგმვა. მდგომარეობაში გადასვლა	სწავლების მომდევნო ეტა- პის დაგეგმვა.	
<b>როგორ განისაზღვრება წარმატება?</b>	საგნისა და ენის კონკრეტული სტანდარტით მოსწავლის წინს- განსაზღვრული ვლის საფუძველ- შედეგებთან შე- ზე (საკუთარ შედეგების მიღ- საბამისობის მიღწევებთან მი- საფუძველზე. მართებით – რა ველზე. დონეს ფლობდა და რა დონეს ფლობს საგანსა და ენაში).	საგნისა და ენის სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღ- წევის საფუძ- ველზე.	
<b>შეფასების რომელი ინსტრუმენტები გამოიყენება?</b>	ტესტი; შეკითხ- ვები; ზეპირი გასაუბ- რება, ესე და სხვა.	დაკვირვება, კითხ- ვები, გრაფიკული ორგანიზაციორები, რილობითი გა- ინდიკირული მოკითხვა, გასაუბრება, თვითშეფასების კითხვარი, საში- ნაო დავალება და სხვა.	შემაჯამებელი ზეპირი ან წე- რილობითი გა- მოტფოლიო და სხვა.
<b>შეფასების ფორმა</b>	ნიშანი ან/და კომენტარი	ზეპირი ან ნიშანი ან წერილობითი კულები კომენტარი	

ეველაზე რთული პრობლემა, რომელიც შეიძლება შეიქმნას ბილინგ-გური სასწავლო პროცესის შეფასებისას, ეს არის ის, თუ როგორ შევაფა-  
სოთ ადეკვატურად მოსწავლეთა ცოდნა საგანში და მისი პროგრესი ენაში?

ტესტები, გამარტივებული ფორმულირებებითა და მოკლე არჩევითი პასუხებით, მით უმეტეს, პასუხებით – “დიას” და “არა”, არ იძლევა სრულ ინფორმაციას. აუცილებელია შეფასების შეფასების ალტერნატიული სისტე-  
მის გამოყენებაც. ალტერნატიული შეფასების ქვეშ იგულისხმება სასწავლო

## ენის შეფასება და ტქისტირვება

პროცესში განხორციელებული ქმედებების შეფასების კრიტერიუმების სისტემა. ერთ-ერთი ასეთი მექანიზმია მოსწავლის პორტფოლიო, პროექტები, რომლებზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, რეფერატი, რომელიც გულისხმობს აღწერას, დაკვირვებას, პლავას, ჩანაწერების გაკეთებას. თუმცა რეფერატების შეფასებისასაც იჩენს თავს სირთულეები: რა მოქმედებს რეფერატის ხარისხზე: არასაკმარისი ენობრივი კომპეტენცია თუ საკითხის სიღმისეული ცოდნის ნაკლებობა? ზოგჯერ საინტერესო იდეის ხორცშესხმას, საინტერესო თვალსაზრისის გაშლას ხელს უშლის არა იმდენად საგანში ცოდნის ნაკლებობა, რამდენადაც ერთგვარი შიში, კომპლექსი გრამატიკული შეცდომების დაშვებისა ენაში. ეს ერთგვარად ბორკავს მოსწავლის “შემოქმედებით პოტენციალს”. ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზა არის ის, რომ მოსწავლემ პირველი ვარიანტის შექმნისას იფიქროს მხოლოდ საგანზე. შეიძლება რეფერატის ბილინგვურად დაწერაც კი. ნაშრომს, უპირველეს ყოვლისა, აფასებს საგნის მასწავლებელი მხოლოდ საგნობრივი კუთხით, შემდეგ კითხულობს ენის მასწავლებელი და მოსწავლესთან ერთად ხვეწს ნაწერს ენობრივად.

შეფასებისას ეფექტიანია მასწავლებლის ჩანაწერების გამოყენებაც. თითოეულ გაგეთილზე მასწავლებელს უურნალში / რვეულში თითოეული მოსწავლისათვის დათმობილი ადგილი გაყოფილი აქვს ორ სვეტად, ერთში ის წერს იმ კომპეტენციებს, რომელთა შემოწმებაც სურს საგანში, მეორეში კი – ენობრივს. თითოეული სვეტი დაყოფილია იმდენ უჯრად, რამდენი უნარის შემოწმებაც უნდა მასწავლებელს. მაგალითად, გამოსახულების ჩაწერა, მოვლენის ანალიზი. . . ენობრივში – ტერმინების გაგება და ადეკვატური გამოყენება, მოვლენის ახსნა მეორე ენაზე. . .

ადრე მოსწავლეების მიღწევების მონიტორინგი გულისხმობდა მასწავლებლის მიერ მოსწავლის სწავლის პროცესისა თუ შედეგების შეფასებას და სწავლების პრაქტიკაში შესაბამისი კორექტივების შეტანას. თუმცა აღნიშნულ პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლის თვითშეფასებას. ბილინგვურ სკოლებში მასწავლებლებთან ერთად მონიტორინგის პროცესში აქტიურად უნდა მონაწილეობენ მოსწავლეები, რომლებიც აკვირდებიან საკუთარი სწავლის პროცესს როგორც საგანში, ისე ენაში, აანალი-

## ენის შეფასება და ტუსტირება

ზებენ და იდებენ შესაბამის ზომებს. თვითშეფასება შეიძლება მოხდეს როგორც ათბალიანი სისტემით, ისე აღწერითი ფორმითაც. მასწავლებლებს შეუძლიათ მნიშვნელოვნად დაეხმარონ მოსწავლეებს თვითშეფასების განხორციელებაში სხვადასხვა კითხვისა და დაგალების საშუალებით. მაგალითად:

- თქვენი ნამუშევრის რომელი ნაწილი იყო ყველაზე მეტად ეფექტური? რატომ ფიქრობთ ასე? როდის გრძნობდით თავს ყველაზე უფრო კომფორტულად ენას გამოყენებისას?
- როდის დაბრკოლდით ენის გამოყენების პროცესში? რა ლექსიკური ერთეულებისა და ენობრივი კონსტრუქციების ნაკლებობა იგრძენით?
- თავიდან რომ სწავლობდეთ აღნიშნულ საკითხს, რას გააკეთებდით განსხვავებულად?
- რა დაგეხმარებათ უკეთესი შედეგების მიღწევაში?

თვითშეფასება რომ სანდო და ობიექტური იყოს, მასთან ერთად მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ურთიერთშეფასების გამოყენებაც. შეფასების ალტერნატიულ ფორმებში მოიაზრება პრეზენტაციები, ესე, ინტერვიუ.

მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, რომელ უნარს ვაფასებთ. ეს შეიძლება იყოს:

1. **პრობლემის გადაჭრა.** ამ უნარის ფარგლებში მოსწავლემ უნდა შეძლოს შესწავლილი მასალის გრაფიკულად წარმოდგენა (დიაგრამები, სქემები, ცხრილები და ა.შ.), ობიექტების კლასიფიცირება, ცდებისა და ექსპერიმენტის შედეგების ახსნა თანაკლასელებისათვის, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების შეთავაზება.
2. **შინაარსში ორიენტირება და მისი აღეპატური აღქმა.** მოსწავლემ უნდა გამოავლინოს, რომ მას ესმის დავალების შინაარსი (მაგალითად, გაამარტივე ალგებრული გამოსახულება, შეადგინე ქიმიური რეაქციის ტოლობა, მონახე რუკაზე...). ეს უფრო დამოკიდებულია მოსწავლის საერთო განვითარების დონეზე, რადგან მწირი ენობრივი კომპეტენციის მოსწავლეებსაც კი შეუძლიათ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა საგანში, თუ ადეკვატურად აღიქვამენ საგნობრივი მასალის შინაარსს. მოსწავლეს შეუძლია წარმატებით გამოიყენოს პირობითი

## ენის შევასება და ტქმირება

აღნიშვნები, ლათინური წარმოშობის (ძირის) სიტყვები, საერთაშორისო ტერმინოლოგია. მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ კომპიუტერული ლექსიკონებით სარგებლობა. ეს ხელს შეუწყობს ენის დაუფლების პროცესსაც.

3. **კონცეფციის გაგება და გააზრება.** მოსწავლემ უნდა დაამტკიცოს, რომ მარტო დავალების შინაარსი კი არ გაიგო, შეუძლია საკუთარი ცოდნის გამოყენებაც. მაგალითად, ადვილად არჩევს ერთმანეთისგან პერიმეტრის ცნებასა და ფართობის ცნებას, შეუძლია გრაფიკულად გამოსახული ინფორმაციის ახსნა, შეუძლია შეადგინოს ქართველ მეფეთა გენეალოგიური ხე და ა.შ.
4. **აკადემიური მიზნებისათვის ენის გამოყენების ხარისხი.** მართებულად იყენებენ თუ არა მოსწავლე აკადემიურ ტერმინოლოგიას, შეუძლია თუ არა კორექტულად გამოიყენოს ის, ახერხებს თუ არა განსხვავების დანახვას ლოგიკური ოპერაციებისათვის საჭირო სიტყვებს შორის (მაგალითად, „ზოგჯერ“, „იშვიათად“, „ხშირად“ „რეგულარულად“ და ა.შ.)
5. **კომუნიკაციური უნარები.** მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარი საქმიანობის ეტაპების ახსნა და ამ საქმიანობის შესახებ სხვების ინფორმირება, იდეების გაზიარება, საკუთარი თვალსაზრისის გამოხატვა.
6. **თანამშრომლობა.** მოსწავლეს უნდა შეეძლოს საერთო საქმეში საკუთარი წვლილის შეტანა, დახმარების გაწევა სხვებისათვის, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფში პრობლემა შეიქმნა ენის გამოყენებასთან დაკავშირებით ან, პირიქით, მიმართავს თუ არა თვითონ მეგობრებს დახმარებისათვის ენის გამოყენებასთან დაკავშირებით.
7. **დამოკიდებულება.** მასწავლებელმა უნდა შეაფასოს მოსწავლის დამოკიდებულება საგნისა და ენის მიმართ. ხალისით უკავშირებს თუ არა ცოდნას ცხოვრებისეულ საკითხებს, უხარია თუ არა რაიმეს აღმოჩენა საგანში, „იძულებით“ და ამიტომ უხალისოდ საუბრობს თუ არა მეორე ენაზე.

## ენის შევასება და ტუსტირება

ბილინგვურ სკოლებში მოსწავლეების სწავლის პროცესისა და სწავლის შედეგების პარალელურად მონიტორინგი უნდა გაეწიოს უშუალოდ სწავლების პროცესს. სწავლების მონიტორინგისთვისაც საჭიროა ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი იმ პროცესებისა და პრაქტიკის შესახებ, რომლებიც საკლასო ოთახებში მიმდინარეობს. ამ მიმართულებით მონიტორინგი ფოკუსირებული უნდა იყოს რამდენიმე ძირითადი საკითხის გარშემო:

- რა სასწავლო მიზნები (ცოდნის შეძენა და უნარ-ჩვევების განვითარება საგანსა და ენაში) აქვთ მასწავლებლებს დასახული მოსწავლეებისთვის?
- როგორ უზრუნველყოფენ მასწავლებლები მოსწავლეების მიერ აღნიშნული მიზნების მიღწევას?
- რა დოზით არის გამოყენებული ენა გაკვეთილზე?
- არის თუ არა კლასში ემოციურად და ინტელექტუალურად უსაფრთხო გარემო?
- ხდება თუ არა ინტერაქულტურული ელემენტების ადეკვატური გამოყენება?

ბილინგვური სწავლების მონიტორინგზე უპირველესი პასუხისმგებელი პირი არის სკოლის დირექტორი. მისი უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით სკოლის ადმინისტრაცია უნდა დარწმუნდეს, რომ სკოლაში სწავლება მიმდინარეობს სკოლის მიერ შემუშავებული მიზნების შესაბამისად და თანამედროვე მეთოდებისა და სასწავლო მასალების გამოყენებით. წინააღმდეგ შემთხვევაში იზოლირებული საკლასო ოთახებში მასწავლებლები აკეთებენ იმას, რაც შეუძლიათ და/ან რაც სურთ, რაც ყოველთვის არ ნიშნავს ხარისხიან სწავლებას.

მონიტორინგის საშუალებებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გაკვეთილზე ფორმალურ ან არაფორმალურ დასწრებას. სწორედ გაკვეთილებზე ხშირი დასწრებითა და მასწავლებლებისთვის რეკომენდაციების მიცემით შეუძლია სკოლის დირექტორსა და ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებს ყველაზე დიდი გავლენა მოახდინონ მოსწავლეების შედეგებზე.

## ენის შევასება და ტუსტირება

გაკვეთილზე დასწრება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს სწავლების მონიტორინგის შედეგიანი ინსტრუმენტი, თუ სკოლის დირექტორმა ან შესაბამისმა უფლებამოსილმა პირმა ზუსტად იცის, რას აკვირდება, რის შესახებ აგროვებს ინფორმაციას და რას აფასებს.

გთავაზობთ ბილინგვური გაკვეთილზე დაკვირვების სქემის ერთ-ერთ ვარიანტს:

№	საქმიანობების აღწერა	ხშირად	იშვიათად	არასოდეს
1.	მკაფიოდაა ჩამოყალიბებული გაკვეთილის მიზანი საგანში და ენობრივი მიზნები.			
2.	ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას როგორც საგანში, ისე ენაში.			
3.	მოსწავლეებს აძლევს მკაფიო და ადვილად აღსაქმელ ინსტრუქციებს.			
4.	სვამს როგორც ფაქტოლოგიურ, ისე მაღალი დონის სააზროვნო შეკითხვებს.			
5.	მაღალი დონის სააზროვნო შეკითხვების დასმისას ადგენებს თვალს, ხომ არ შეექმნა მოსწავლეს ენობრივი პრობლემები. ამისათვის აზუსტებს შეკითხვას, ეხმარება მეორე ენაზე პასუხის ფორმულირებაში.			
6.	იყენებს ინფორმაციის ორგანიზების საშუალებებს, მასალის ვიზუალიზაციას.			
7.	ამყარებს კავშირს სხვა საგნებოან.			
8.	იყენებს აქტიურ მეთოდებს.			

## ენის შეფასება და ტუსტირება

9.	იყენებს თანამშრომლობის ფორმებს (მუშაობა წყვილებში, ჯგუფებში) და ყურადღებით ადევნებს თვალს მოსწავლეების მუშაობას იმის დასადგენად, რამდენად იყენებენ ურთიერთობაში მეორე ენას და აკეთებს ჩანაწერებს.			
10.	აფასებს მოსწავლეებს წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე (შეფასების სქემების, რებორიკების გამოყენებით) და აძლევს განმავითარებელ პომენტარს.			

### ტერმინთა განმარტება

**აუთენტური** – ანუ თვითმყოფი; ნამდვილი, სარწმუნო, პირველწყაროზე დამყარებული, დედნის შესაბამისი.

**ბილინგვიზმი** სხვადასხვა სახისა შეიძლება იყოს: გაწონასწორებული – როცა ორივე ენა თანაბრად უკავშირდება აზროვნებას და ადამიანი გონიერებაში ხას ერთ ენაზე მეტყველებს და ხას – მეორეზე; ან დომინირებული – როცა მეორე ენა აზროვნებას მხოლოდ მაშინ უკავშირდება, როცა ადამიანი ამ ენაზე ურთიერთობის ვითარებაში მოხვდება, მარტო ყოვნისას კი, როგორც წესი, მხოლოდ მშობლიურ ენაზე მეტყველებს გონიერებაში.

**გაზომვის სტანდარტული შეცდომა** – მაჩვენებლები, რომლებსაც მოსწავლე იღებს ტესტი, ყოველთვის მოიცავს გარკვეულ შეცდომას. რაც უფრო სანდოა ტესტი, მით უფრო ნაკლებად არის მოსალოდნელი შეცდომა. სტანდარტიზებულ ტესტებზე მუშაობისას მისი შემდგენლები ამას ითვალისწინებენ და ცდილობენ შეაფასონ, თუ რამდენად განსხვავებული შეიძლება იყოს მოსწავლის მონაცემი, თუ იგი განმეორებით შეასრულებდა ტესტს. ამას გაზომვის სტანდარტული შეცდომა ეწოდება. ამდენად, სანდო ტესტი შეიძლება ასეც განისაზღვროს, რომ ესაა ტესტი, რომელსაც გაზომვის მცირე სტანდარტული შეცდომა აქვს.

**განმავითარებელი შეფასება** ემსახურება მოსწავლეთა სწავლის პროცესისა და წარმატებების გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასების დროს მოსწავლე, მასწავლებლის გამოხმაურებისა და კომუნიკაციების დახმარებით, მუდმივად იღებს ისეთ ინფორმაციას, რომელიც საჯუ-თარი სწავლის გათვალისწინებაში ეხმარება. მასწავლებლის მი-

## ენის შეფასება და ტუსტირება

ზანია: ახტავლოს მოხტავლებ, როგორ იხტავლოს (ხტავლის ხტავლა) და, ამავე დროს, მიიღოს ინფორმაცია მოხტავლის სახიროებების შესახებ, რათა დაქმართოს მას ხტორი გადაწყვეტილების მიღებაში. განმავითარებელი შეფასება ემსახურება ხტავლების დარჯგულირებას – დაგროვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით თითოეული მოხტავლისათვის სათანადო დახმარების აღმოჩენასა და პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებას. განმავითარებელ შეფასებას „ხტავლისათვის შეფასებასაც“ უწოდებენ. განმავითარებელი შეფასების უკლაშება გავრცელებული ფორმებით წერილობითი კომენტარები, შეფასება ცხრილების (რუბრიკების) ხაშუალებით და სხვ.

**დესკრიპტორები** – „ენათა ფლობის ზოგადებრობული კომპუტერციების“ მიერ განსაზღვრული დონეთა სკალებში თოხივე სამეტყველო გუნძების (ლაპარაკი, მოსმენა, კითხვა, წერა) მიხედვით არის გაწერილი დესკრიპტორები – ინდიკატორები, რომელთა შესრულების შემთხვევაშიც მიიჩნევა, რომ სტანდარტით განსაზღვრული შედეგი მიიღწევა.

**დიაგნოსტიკური შეფასება** – დიაგნოსტიკური შეფასება განმავითარებელი (მიმდინარე) შეფასების კომპონენტად განიხილება. დიაგნოსტიკური შეფასების დროს ხდება მოხტავლის გარკვეული მომენტისათვის არსებული ცოდნის დონის და უნარ-ჩვევების შეფასება, რათა ზუსტად დაიგეგმოს ხტავლის პროცესი მოხტავლის ხეხტი და ძლიერი მხარეების გათვალისწინებით. დიაგნოსტიკური შეფასების მიზანია მოხტავლის მომზადების საწყისი დონის დადგენა. მოხტავლის შედეგებს ვადარებოთ არა დადგენილ სტანდარტს, არამედ საწყის დონეს. დიაგნოსტიკური შეფასების საშუალებით ჩვენ ვიგებთ, რა ვითარებაა კლასში, არიან თუ არა მოხტავლეები მზად ახალი საპროგრამო მასალის ათვისებისათვის, რა სირთულეები შეიძლება შეგვექმნას და როგორ დაგძლიოთ იხინი. მიღებული ინფორმაცია გამოიყენება ცალკეული მოხტავლის ან მოხტავლეთა ჯგუფის ხასტავლო საჭიროებების დასაღისებისათვის, რა სირთულეები შეიძლება შეგვექმნას და როგორ დაგძლიოთ იხინი. მიღებული ინფორმაცია გამოიყენება ცალკეული მოხტავლის ან მოხტავლეთა ჯგუფის ხასტავლო საჭიროებების დასაღისებისათვის, რა სირთულეები შეიძლება შეგვექმნას და როგორ დაგძლიოთ იხინი.

## ენის შევასება და ტქისტირება

ხწორად განსაზღვრაში, ამ მიზნების მიღწევის ოპტიმალური გზების მონახვაში. დიაგნოსტიკური შეფასება, როგორც წესი, ტარდება სასწავლო წლის დასაწყისში ან ახალი თემის სწავლებამდე.

**დისკურსი** წარმოადგენს რაღაც კონკრეტული პრაქტიკის საგნის გარშემო ცოდნის კონსტრუირებას ან ამ საგანზე მსჯელობის გზებს: კომპლექსი (ერთობლიობა) იდეებისა, გამოხატულებებისა და პრაქტიკისა, რაც დაკავშირებულია გარკვეულ თემასთან, სოციალურ აქტივობასთან ან ინსტიტუტიციასთან საზოგადოებაში. ეს დისკურსული ჩამოყალიბებული ერთობლიობა განსაზღვრავს, თუ რა არის და რა არ არის მისაღები ამა თუ იმ კონკრეტული საგნისა თუ სოციალური აქტივობის შესახებ მსჯელობისას, რა ცოდნა არის აუცილებელი და აქტუალური იმ მოცემულ კონტექსტში და რა ტიპის ინდივიდები ატარებენ ამ მახასიათებლებს.

თანამედროვე პუმანიტარულ მეცნიერებებში დისკურსის განსხვავებული განმერტებები გვხვდება. მაგალითად, ლინგვისტიკურ და სემიოტიკურ ტერმინთა ინგლისურ-რუსულ ლექსიკონში დისკურსი განსაზღვრულია, როგორც თემატურად, კულტურულად ან კიდევ რამე ნიშით ურთიერთდაკავშირებული ტექსტების ერთობლიობა, რომლის განვითარება და შევსება შესაძლებელია დამატებითი ტექსტებით. მეორე განმარტებით, რომელიც სოციოლოგიასა და სოციალურ სემიოტიკაშია მიღებული, დისკურსი არის ურთიერთობა, რომელიც განიხილება როგორც გარკვეული დისკურსული „პრაქტიკების“ განხორციელება (მ. ფუკ). მესამე დეფინიცია ასევე გამოიყენება სოციოლოგიაში, მაგრამ გამოიყენება აგრეთვე ლოგიკასა და ფილოსოფიაშიც: იგი განსაზღვრულია როგორც სამეტყველო კომუნიკაციის სახეობა, რომელიც გულისხმობს სოციალური ცხოვრების დორებულებათა, ნორმათა და წესთა რაციონალურ კრიტიკულ განხილვას და რომლის ერთადერთი მოტივია ურთიერთგაგების მიღწევა (ი. ჰაბერმასი).

## ენის შეფასება და ტუსტირება

ევროპული ენობრივი პორტფოლიო – აღიარებული დოკუმენტი, რომელიც ფართოდ გამოიყენება და რომელშიც ფიქსირდება ენათა შესწავლისას მიღებული მიღწევების დონე.

ენათა ფლობის ზოგადეგროპული კომპეტენციები – სახელმძღვანელო, სადაც წარმოდგენილია ენათა დაუფლების დონეების, სწავლებისა და შესწავლის პროცესებისა და საშუალებებისადმი ზოგადი მიღვოდა.

ენობრივი ბიოგრაფია – დოკუმენტი, რომელიც მხარს უჭერს წინარე სწავლისა და თვითშეფასების ასახვას.

ენობრივი პასპორტი – დოკუმენტი, რომელშიც მომხმარებლები იწერებ ინფორმაციას დონის შესახებ ყველა იმ ენაში, რომელიც მათ იციან ან სწავლობენ.

ენობრივი რეპერტუარი – ენობრივი სახელმძღვანებების ჯგუფი (პირველი ენა, რეგიონული ენა, სკოლაში შესწავლილი ენები...), კრთი მოლაპარაკის მიერ დაუფლებული ცოდნის სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა გამოყენებისთვის. ეს ინდივიდუალური რეპერტუარი ცვლის ინდივიდის ცხოვრებას (ახალი ენების დაუფლება, შესწავლილი „დავიწყებადი“ ენები).

გალიდობა – ეს არის საკვლევი ინსტრუმენტი - ტესტის შესატყვევისობა საკვლევ უნართან / ცოდნასთან. ტესტი გალიდურია, თუ ის ზუსტად იმას აფასებს, რისთვისაც ის არის განსაზღვრული.

თვითმყოფი – ი. აუთენტური.

თვითშეფასება არის პროცესი, რომლის საშუალებითაც მოსწავლე ერთვება საკუთარი სწავლის მიზნების ჩამოყალიბებასა და საკუთარი სწავლის პროცესის მართვაში. იმისათვის, რომ მოსწავლე შეეჩიოს სა-

## ენის შეფასება და ტქისტირება

კუთარი პასუხის შემოწმებას, ჩამოუყალიბდეს შეცდომის მიმართ სწორი დამოკიდებულება, დაძლიოს შიში შეცდომის წინაშე, ხშირად უნდა მივცეთ საკუთარი ნამუშევრის შეფასების საშუალება. თვით-შეფასება მას ეხმარება იმის გაცნობიერებაში, რომ შეცდომების აღიარება და გამოსწორება წინავლის აუცილებელი პირობაა. თვით-შეფასებით იგი გრძნობს მეტ ვალდებულებას და ცდილობს იყოს მაქსიმალურად ობიექტური. თვითშეფასების მუდმივი წარმოება მოხ-წავლებს უყალიბებს შეცდომის მიმართ სწორ დამოკიდებულებას. მოსწავლე ხვდება, რომ მხოლოდ შეცდომის გამოსწორებით არის შესაძლებელი მისი თვითგანვითარება.

**კრიტერიალური ვალიდობა** – ვალიდობის ნაირსახეობა, რომელიც ფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეეხაბამება ტეხნიკის შედეგები მოხ-წავლის შესაფასებელი უნარის საზომ ხევა დამოუკიდებელი ინს-ტრუმენტის შედეგებს.

**კრიტერიუმზე ორიენტირებული შეფასება** - ისეთი შეფასება, როდესაც მოხ-წავლის მოსწორებას ადარებენ წინასწარ დადგენილ კრიტერიუმებს; კრიტერიუმზე ორიენტირებული შეფასება ადგენს, მიაღწია თუ არა მოსწავლემ კრიტერიუმებით განსაზღვრულ დონეს ან რამდენმა მოხ-წავლემ მიაღწია ამას კლასში.

**მედიანა** – მედიანა არის ზრდადობის ან კლებადობის მიხედვით დალაგებულ მონაცემთა განაწილების შეაღედური რიცხვი.

**მიმდინარე, ანუ ფორმატული შეფასება** ხდება ყოველ გაკვეთილზე, ყო-ველდღე, ყოველი აქტივობის დროს. არ არის სავალდებულო ქაღა-ბით შეფასება. მნიშვნელოვანია ის, რომ ასეთი შეფასება გვაძლევს მოსწავლის მრავალმხრივი შესწავლის საშუალებას, აქვს თუ არა წინავლა, თუ არა – რა არის წარუმატებლობის მიზეზი ან რა განა-პირობებს მის წარმატებას, აქვს თუ არა განვითარებული შემოქმე-

## ენის შეფასება და ტუსტირება

დებითი, სააზროვნო და სოციალური უნარები, როგორია მისი ინტერესების სფერო, ინდივიდუალური თავისებურებები, რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვთ. მიმდინარე შეფასების პროცესში მნიშვნელოვანია არა იმდენად ქულგბის დაწერა (ნიშნით შეფასება), რამდენაც ჩვენი რჩევები, რა და როგორ გააუმჯობესოს. ფორმატული შეფასება მოსწავლის შესახებ ამომწურავ, მრავალმხრივ ინფორმაციას იძლევა და ობიექტურობის გარანტია.

**მოდა –** მოდა არის ის მაჩვენებელი, რომელიც ყველაზე ხშირად გვხვდება.

მონიტორინგი არის სპეციფიკური ინდიკატორების (მაჩვენებლების) მიხედვით მონაცემების შეგროვების და გაანალიზების სისტემური პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს მოცემული სიტუაციის / ვითარების შეწავლის და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შესაბამისი ჩარევების განხორციელებას. განათლების სფეროში მონიტორინგი არის სასწავლო პროცესზე მეთვალყურეობა, დაკვირვება, რომლის შედეგადც მიღებული მონაცემები (პროცესის ზუსტი აღრიცხვა) საფუძვლად ედება ანალიზსა და შეფასებას. მნიშვნელოვანია, რომ მონიტორინგის მიმდინარეობისას თავი ავარიდოთ შეფასებით დამოკიდებულებებს. მთავარია, ზუსტად ვიცოდეთ, რას ვაკვირდებით და როგორ, რა ფორმით აღვნესხოთ მონიტორინგის საგნის თითოეული ასკექტი ისე, რომ მასზე დაფუძნებული შეფასება ობიექტური იყოს.

**მრავალენოვნება –** საზოგადოების ან მისი საქმაო ნაწილის მიერ რამდენიმე ენის ფლობა (ფლობა – და არა მხოლოდ პასიური ცოდნა). როგორც წესი, ესაა ორი ენა და, შესაბამისად, მრავალენოვნების მთავარი სახეა ორენოვნება (ბილინგვიზმი).

**მულტილინგვიზმი –** ის. მრავალენოვნება.

**ნორმაზე ორიენტირებული შეფასება –** ისეთი შეფასება, როდესაც ხდება ცალკეული მოსწავლეების მოსწრების ერთმანეთთან შედარება, ან

## ენის შევასება და ტქისტირება

მოსწავლის მოსწრებისა – დადგენილ ნორმასთან (ნორმა განიხაზდება რომელიმე ჯგუფის მოსწრებით).

ორენოვნება – *იხ. ბილინგვიზმი.*

პერცეფცია – ობიექტების სამყაროს, სინამდვილის ასახვა გრძნობის ორგანოების საშუალებით; აღქმა.

პიროვნებაზე ორიენტირებული შეფასება – ისეთი შეფასება, როდესაც მოსწავლის მოსწრებას ადარებენ მის წარსულ მოსწრებას.

პორტფოლიო – *იხ. საქაღალდე.*

პრედიქტორული ვალიდობა – კრიტერიალური ვალიდობის ერთ-ერთი სახეობაა, რომელიც ფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად შესაძლებელია ტესტის შედეგების მიხედვით ვივარაუდოთ (ვიწინასწარმეტყველოთ) მოსწავლის მომავალი წარმატებები. მაგ., თუ ენის ფლობის ტესტში მიღებული მაღალი ქულა მაღალ კორელაციაშია მომავალში უმაღლეს სასწავლებელში ქართული ენის ტესტში მიღებულ ქულასთან, მაშინ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ენის ფლობის შესაფასებელ ტესტს მაღალი პრედიქტორული ვალიდობა აქვს.

რეფერენტი – ჯავშირში მყოფი, შეტყობინების გამგზავნი.

რუბრიკები არის კონკრეტული ინფორმაცია ჩვენი მოთხოვნებისა და შეფასების კრიტერიუმების შეხახებ; მოსწავლეთა ჩაბმა შეფასების პროცესში გაადვილდება, თუ ისინი კარგად გააცნობიერებენ, რას ითხოვენ, რა შედეგებს ელიან მათგან. ამის გაცნობიერებაში მათ დაეხმარება მარტივად, მათთვის გასაგები ენით ჩამოყალიბებული კრიტერიუმები, ანუ კწ. რუბრიკები.

## მნის შეფასება და ტუსტირება

**სანდოობა** – ეს არის ტეხნიკური მახასიათებელი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენად არის დამოკიდებული ტეხნიკით მიღებული ქულები გაზომვის ცოორილებებზე, განასხვავებსთუარა ტეხნიკური კითხვა ძლიერდასუსტმოსწავლებებს.

საქაღალდე ანუ ე.წ. "პორტფოლიო" შეფასების ხანგრძლივი და შრომატევა-დი ფორმაა. მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს შეფასების მიზანს. მასწავლებელი და მოსწავლე წინასწარ თანხმდებიან იმ მასალებზე, რომლებიც დაადასტურებენ, რომ მოსწავლემ დააკმაყოფილა მოთხოვნები და მიაღწია სასწავლო შედეგებს. მოსწავლე ხსნის ხაჯუთარ საქაღალდეს, რომელშიც იდება სამუშაოს შეფასებისას გამოსაყენებელი ნამუშევრები. შეფასების პერიოდის დასრულებისათვის მოსწავლე წერს ესეს, რომელშიც აღწერს შეფასების პროცესია საქაღალდით მოსწავლის შეფასების სამუშაოს საქართველოსათვის მაინცდამაინც წარმოდგენილი მასალა. საქაღალდით მოსწავლის შეფასება საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ მოსწავლის ინდიკირულური პროგრესს, შეგვადაროთ სხვადასხვა დროს შექმნილი ნამუშევრები ერთმანეთს, კნახოთ, როგორ გაითვალისწინა მან ჩვენი კომენტარები და რჩევები, რომლებსაც დროდადრო ვაძლევდით.

**სტანდარტული გადახრა** – სტანდარტული გადახრა გვიჩვენებს, რამდენად განსხვავდება მაჩვენებლები საშუალოსგან. რაც უფრო დიდია სტანდარტული გადახრა, მით უფრო კრიტიკულ არის განაწილებული მაჩვენებლები. და პირიქით – რაც უფრო ძირი სტანდარტული გადახრა, მით უფრო ახლოსაა საშუალოსთან მონაცემები განლაგებული.

**ტესტის სპეციფიკაცია** – ტეხნიკის შექმნა მისი დეტალური გეგმის ჩამოყალიბებით იწყება. ასეთ გეგმას ტეხნიკის სპეციფიკაციას უწოდებენ. იგი ტეხნიკის მიზნებზე დაყრდნობით ყალიბდება და მოიცავს დეტალურ ინფორმაციას ტეხნიკის მიზნის, შენაარსისა და აღმინისტრირების

## ენის შეფასება და ტუსტირება

ბის შესახებ. ტესტის სპეციფიკიას სხვადასხვა სახე შეიძლება ჰქონდება, მაგრამ ყველა მათგანი უნდა მოიცავდეს ტესტის მიზანს, შინაარსს, ფორმატს (შესაფასებელი უნარების/ცოდნის, გამოყენებული ტესტური დავალებების და ტესტში მათი წონის მატრიცას), აგრეთვე ინფორმაციას მონაწილეების, შეფასების სისტემისა და ადმინისტრირების შესახებ.

**ტრანსფერი ერთგვარ სიტუაციაში ნახვავლის სხვაგვარ, განსხვავებულ სიტუაციაში გამოყენებას ნიშნავს.**

**შემაჯამებელი შეფასება** – ადგენს მოსწავლის წარმატებას სწავლებისა და სწავლის კონკრეტულ ეტაპზე: თემის დასრულებისას, სემებრის ბოლოს, სახვავლო წლის ბოლოს. ასეთი შეფასებისას მოწმდება ის, თუ რამდენად მიაღწია ცალკეულმა მოსწავლემ და მოსწავლეთა ჯგუფმა სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგს / შედეგებს.

**პეტეროგენული** – შემაღვენლობით, წარმოშობით, თვისებებით სხვადასხვაგ-ვარი (საპირისპ. პომოგენური).

**პომოგენური** – შემაღვენლობით, წარმოშობით, თვისებებით ერთგვარი (საპი-რისპ. პეტეროგენური).

## ენის შეფასება და ტუსტირება

### ბამოყვებული ლიტერატურა

ადრეული წიგნიერების კვლევა, ეგრა, 2009 - EARLY GRADE READING ASSESSMENT TOOLKIT, Prepared for The World Bank Office of Human Development, 2009

ანასტაზი, ურბინა, 2007 – А. Анастази, С. Урбина, Психологическое тестирование, "ПИТЕР", 2007

ბეიკერი, 2010 - კოლინ ბეიკერი, ბილინგვიზმისა და ბილინგვური განათლების საფუძვლები. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის 2010 წლის ქართული ვერსიის გამოცემა;

ბეკერი, 2008 – სტივენ ბეკერი, ტესტის შექმნა, პრეზენტაციის მასალები, ესგშც, 2008.

ბილინგვური განათლება, 2009 – ბილინგვური განათლება, სამაგიდო წიგნი მასწავლებლებისთვის; ობილისი, საიმედო, 2009.

ბოლტონი, 1996 – BOLTON, S., Probleme der Leistungsmessung: Lernfortschritt-tests in der Grundstufe. Berlin: Langenscheidt. 1996

ბრაუნი, 1995 – BROWN, G., 1995, Dimensions of Difficulty in Listening Comprehension. In: Mendelsohn, D. J. / Rubin, J. (eds.). A Guide for the Teaching of Second Language Listening. San Giego, CA: Dominie Press, 59-73.

ბუგატე, 2001 – BUGATE, M., SKEHAN, P., SWAIN M. (eds). 2001, Researching pedagogical tasks: second language learning, teaching and assessment. London: taylor & francis.

ბუკი, 2001 – BUCK, G., 2001, Assessing Listening. Cambridge: Cambridge University Press.

ბურლაჩუკი, 2008 - Л. Ф. Бурлачук - Словарь-Справочник по психодиагностике, "ПИТЕР", 2008

## ენის შევასება და ტესტირება

განმარტებითი, 2007 - განმარტებითი დექსიკონი განათლების სპეციალისტებისთვის, ნაწ. I. ესგუც, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2007

გერმანულის როგორც უცხო ენის ტესტის ინსტიტუტი (გრუტი), 2010 – Test-Daf. Workshop: Zuordnung von Testaufgaben und Leistungen zum Gemeinsamen europäischen Referenzrahmen für Sprachen. Fulda.

გოგოეს ინსტიტუტი, 2001 – Goethe-Institut (Hrsg.) 2001, Gemeinsamer europäischer Referenzrahmen für Sprachen: Lernen, Lehren, Beurteilen. (Übersetzung: Jürgen Quetz u. a.) München: Langenscheidt, 2001; <  
<http://www.goethe.de/referenzrahmen>>.

გოპი, 2000 – GOH, C., C., M., 2000, A Cognitive Perspective on Language Learners' Listening Comprehension Problems. In: System 28 (1), 55-75.

გროსეინი 1985 - GROSJEAN, F. 1985, The bilingual as a competent but specific speaker-hearer. Journal of Multilingual and Multicultural Development 6 (6), 467 477.

გროგიანი, 1998 – GROTIJAHN, R., 1998, Ausspracheunterricht: Ausgewählte Befunde aus der Grundlagenforschung und didaktisch-methodische Implikationen. In: Zeitschrift für Fremdsprachenforschung 9 (1), 35-83.

გულიე, 2008 – ფრენსის გულიე, ევროპის საბჭოს ენათა სწავლების ინსტრუმენტები: ზოგადევროპული კომპეტენციები და პორტფოლიოები, თბილისი, „საიმედო“, 2008.

ეგენი, კოჩაკი (2006) – Paul Eggen, Don Kauchak, Educational Psychology, Windows on Classrooms, Pearson, 2007

ენათა ფლობის... (1), 2008 - ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციები: შესწავლა, სწავლება, შეფასება, თბილისი, „საიმედო“, 2008.

ენათა ფლობის... (2), 2008 - ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციები: შესწავლა, სწავლება, შეფასება: მომხმარებელთა გზამკვლევი, თბილისი, „საიმედო“, 2008.

ენათა ფლობის... (3), 2008 - ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციები: შესწავლა, სწავლება, შეფასება: მაგალითების განხილვა, თბილისი, „საიმედო“, 2008.

## მნის შეფასება და ტესტირება

ენა, ტესტირება, შეფასება, 2008 - Language, Testing and Assessment, Encyclopedia of Language and Education, V 7, SPRINGER, 2008

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. ეროვნული  
სასწავლო გეგმა 2011-2016 წ.;

ეროვნული..., 2007 - ეროვნული სასწავლო გეგმის პილოტირების (2005-2006)  
და დანერგვის კვლევები 2007, ესგშც, საქართველოს განათლებისა  
და მეცნიერების სამინისტრო, 2007

ეროვნული..., 2008 - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის  
კვლევები 2006-07, II ნაწილი, ესგშც, საქართველოს განათლებისა და  
მეცნიერების სამინისტრო, 2008

ეროვნული შეფასება ქართულ ენასა და ლიტერატურაში, 2010 – ეროვნული  
სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ ჩატარებული  
კვლევა: <http://www.ncac.ge/index.php?m=841>

ესგშც - [www.ncac.ge](http://www.ncac.ge)

გოლფი, 2003 – WOLFF, D., 2003, Hören und Lesen als Interaktion: zur Prozesshaftigkeit  
der Sprachverarbeitung. In: Der fremdsprachliche Unterricht Englisch 64/65,  
11-16.

გულფოლკი, 2007 – Anita Woolfolk, Educational Psychology, Pearson, 2007

თომასი, ანგერლა, 1993 - Thomas A., Angerla. K. Patricia Cross, Classroom Assessment  
Technologies, Jossey-Bass Publishers, San Francisco, 1993.

ინასარიძე, ნაჭყებია, 2006 – მ. ინასარიძე, მ. ნაჭყებია, ქართული ენისა და  
ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მეთოდები; თბილისი,  
„საიმედო“, 2006.

კვო, 2010 - Kwo, O. (Ed.). (2010). *Teachers as Learners. Critical Discourse on Challenges  
and Opportunities*. Hong Kong University. Springer ;

კუბიჯინი, ბორიჩი, 2003 - Tom Kubiszyn, Gary Borich, Educational Testing and Measurement (Classroom Application and Practice), John Wiley & Sons, inc., 2003;

კუკი, 2002 - COOK, V., 2002, Language teaching methodology and the L2 user perspective. In V. COOK (ed.), *Portraits of the L2 User*. Clevedon: Multilingual Matters.

კუმინსი, 1984 - CUMMINS, J. *Bilingualism and Special Education: Issues in Assessment  
and Pedagogy*. Clevedon: Multilingual Matters; 1984.

## ენის შევასება და ტესტირება

მრავალენოვანი განათლება ევროპაში, 2008 - მრავალენოვანი განათლება ევროპაში, თბილისი, „საიმედო“, 2008.

მუიჯსი, რეინოლდსი, 2005 - Muijs, D., Reynolds, D. (2005). *Effective Teaching: Evidence and Practice*. Second Edition. Sage Publications

მუნოზი, ალვარეზი, 2010 - Ana P. Muñoz, Marta E. Álvarez, Washback of an oral assessment system in the EFL classroom

მური, 2009 - Moore, K. D. (2009). *Effective Instructional Strategies. From Theory to Practice*. Sage Publications

მუჯირი, 2011 - ენობრივი კომპეტენციების მიკუთვნების პრობლემები ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს დონეებისადმი, კრებული, თსუ გამომცემლობა; თბილისი, 2011.

ნოინერი, ჰუნფელი, 1993 - NEUNER, G., HUNFELD, H. 1993, Methoden des fremdsprachlichen Deutschunterrichts. Eine Einführung. Langenscheidt. München.

რეინი, 2009 - პიტერ ვან რეინი, ტესტის ფსიქომეტრული თეორიები, პრეზენტაციის მასალები, ესგშც, 2009

რიაგენი, ლიუდი, 2008 - პადრაიგ ო რიაგენი, ჯორჯ ლიუდი, ბილინგვური განათლება: ძირითადი სტრატეგიული ამოცანები; თბილისი, „საიმედო“, 2008.

როგორ შევადგინოთ ტესტები, 2009 – ს. ჯანაშია, ა. ქიტიაშვილი, ნ. ლაბარტყავა, ო. აბაშიძე, ლ. არუთინოვა, როგორ შევადგინოთ ტესტები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, თბილისი, 2009.

რუდნერი, 2002 - Rudner, L. M. (2002). *What Teachers Need to Know About Assessment (Student Assessment Series)*. Natl Education Assn

სლავინი, 2006 - Robert E. Slavin, Educational Psychology, Pearson, 2006

სწავლება და შეფასება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი, 2008 წ.;

ტესტური დავალებების შექმნის ხელოვნება, 2009 – ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი (შ. საძაგლიშვილის, მ. წერეთლისა და ო. ბერძენიშვილის რედაქტორობით); თბილისი, 2009.

## მნის შეფასება და ტესტირება

- ფრედერიქსონი და კლინე, 1996, FREDERICKSON, N. and CLINE, T. 1996, The development of model of curriculum related assessment. In CLINE, T. & FREDERICKSON, N. (eds), *Curriculum Related Assessment. Cummins and Bilingual Children*. Clevedon: Multilingual Matters.
- წიგნიერების საერთაშორისო კვლევის ანგარიში (PIRLS), 2010 -  
<http://www.naec.ge/images/doc/SXVA/pirlspre-2010.pdf>
- წიგნიერების საერთაშორისო კვლევის ანგარიში (PISA), 2009 -  
<http://www.naec.ge/saerthashoriso-kvlevebi-da-shefaseba/tsignebis-saerthashoriso-kvleva/2048-tsignierebis-saerthashoriso-kvleva.html?lang=ka-GE>
- ჰაგერბი, 1992 - Arthur Hughes, Testing for language teachers , Cambrige Universiity Press, 1992
- SAT – <http://sat.collegeboard.org/scores/sat-essay-scoring-guide>